



K 47.202
2

ქუთხი ჭრილობი

გიორგი
ვალენტინი
აზერბაიჯანის
აზერბაიჯანის
აზერბაიჯანის
აზერბაიჯანის



გამოიცემობა „საგაოთა სამართველო“
0803060-1977

17

1 ♂
1(09)
3 345


1) ფილონიური აზერბაიჯანის მცხვარი

2) მითოლოგია



ნაშრომში განხილულია მითოლოგიური მსოფლ-
მხედველობიდან ფილოსოფიურ აზერბაიჯანე გადასკ-
ლის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, ნაჩ-
ვენებია მითოსის ძირითადი თავისებურებანი რელი-
გიურ და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან მა-
მართებაში, შეფასებულია ფილოსოფიის საწყისის სა-
კითხშე არსებული ინტერპრეტაციები.

წიგნი გათვალისწინებულია ფილოსოფიისა და, სა-
ერთოდ, კულტურის განვითარების ისტორიით დაინ-
ტერესებული ფართო მკითხველისათვის.



$$y \frac{10501-342}{m601(08)-77} 58-77$$

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

K 44 202

შინასიტყვაობა

ფილოსოფიური აზროვნების საწყისის პრობლემა ჯერ კი-
დევ ანტიკურ ეპოქაშივე დაისვა. პირველად არისტოტელე
შეცადა გაეცა მასზე პასუხი. მისი აზრით, წმინდა აზრის ჩა-
მოყალიბება, ზოგადის გააზრება წინასწარ გულისხმობდა
„გრძელ გზას“, რომელიც „ადამიანის სულს“ მანამდე უნდა
გაევლო. ვ. ი. ლენინი არისტოტელეს¹ დაეთანხმა საკითხის
ამგვარ გადაწყვეტაში და თავის მხრივ განმარტა, რომ
ფილოსოფიური ცნებები, ლოგიკური ფორმები გუ-
ლისხმობს „უსასრულო პროგრესს“, „აზროვნების ფორმების
განთავისუფლებას“ მასალისაგან (von dem Stoffe), წარმოდგე-
ნათავან, სურვილებისაგან etc¹.

მარქსამდე მთელი სიღრმით ჰეგელმა განიხილა სინამდვი-
ლის შესახებ წინაფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან ფი-
ლოსოფიურზე გადასვლის, მითოლოგიურ-რელიგიურისა და
ფილოსოფიური აზროვნების დამკიდებულების საკითხი,
გაარკვია ფილოსოფიური აზრის სპეციფიკა წინაფილოსოფი-
ურთან მიმართებაში. ჰეგელმა შეძლო, კვლევის წმინდა ლოგი-
კური ასპექტის მიუხედავად, საკითხის დიალექტიკური გადა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხ. მე-4 გამოც., ტ. 38, გვ. 80.


წყვეტის არსებითი მომენტების აღმოჩენა, მაგრამ იდეალის-
ტური საფუძვლის გამო ჰეგელიანური კონცეფცია არამეტ-
ნიერულ დონეზე დარჩა.

თანამედროვე ბურუუაზიული ფილოსოფიის ირაციონალის-
ტური ნაკადი (მაგ. ეგზისტენციალიზმი) დიდ ყურადღებას უთ-
მობს მითოსის როლს ფილოსოფიისათვის, მითოს ფილოსო-
ფიის არსებით მხარედ მიიჩნევს (პაიდეგერი), უარყოფს
ფილოსოფიის იდენტობას ცნებით აზროვნებასთან და რაციონა-
ლიზმის „მეტაფიზიკის“ დაძლევის ცდით ეს თვალსაზრისი ფი-
ლოსოფიის უარყოფამდე შიდის.

მარქსიზმის კლასიკოსების მიერ შემუშავებული ისტორიის
მატერიალისტური გავება სრულ თეორიულ საფუძველს
ქმნის მითოსიდან ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლის კა-
ნონზომიერების საკითხის მეცნიერულ დონეზე დაყენებისა და
გადაწყვეტისათვის, იმის გარკვევისათვის, თუ სად და როდის
დაიწყო ფილოსოფიური აზროვნება, თუ როგორ ისტორიულ-
გენეტურ კავშირშია ფილოსოფია მითოსთან, რელიგიასთან.

საბჭოთა კავშირში უკანასკნელ ხანებში გაცხოველდა მუ-
შაობა ფილოსოფიის ისტორიული კვლევის იმ მიმართულებით,
რომ მარქსიზმის თეორიული პრინციპების გამოყენებით გადა-
წყდეს მითოსიდან ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლის
პრობლემა; ჩამოყალიბდა საკითხის კვლევის განსხვავებული
ასპექტები, ინტერპრეტაციები¹.

უდავოა, რომ ცნობიერების ფორმირება იმთავითვე სამ-
ყაროს შესახებ „რაღაც“ თვალსაზრისის, რამენაირი მსოფლ-

¹ ი. А. Ф. Лосев. Античная мифология в ее историческом раз-
витии, М., 1957., Ф. Х. Кессиди. От мифа к логосу, М., 1972; М. И.
Шахнович. Первобытная мифология и философия. Л., 1971.

მხედველობის ჩამოყალიბებაც არის და ცნობიერების საწყისით ფორმა, მეცნიერების მონაცემების მიხედვით, მითოლოგიურ-რელიგიური იყო. არ არსებობს „ცარიელი“ ცნობიერება, ასახვის, სამყაროზე გარკვეული თვალსაზრისის გარეშე. ცნობიერების მიერ თავდაპირველად შექმნილი მეტად ბუნდოვანი ცოდნა, რომელიც „უმეცრებას“ ემსგავსებოდა, ვერ ახსნიდა ვერც ბუნების მოვლენებს და ვერც სულიერ მოქმედებათ. ამ ? მიზეზით შეიქმნა ფანტასტიკური წარმოდგენები გასულიერებულ ბუნების მოვლენებზე, ჩამოყალიბდა რწმენა მათ შესახებ. ამიტომ ადამიანთა პირვანდელი მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენები რელიგიური გრძნობის თანმიმდევრობით, ან რაიმე მისტიკური სულიერი საფუძვლით კი არ აიხსნება, არა მედ მხოლოდ გარემოსთან ადამიანის მეტად შეზღუდული მა-? ტერიალური ურთიერთობით, რომელზედაც უნდა დაშენებულიყო ასევე პრიმიტიული ფანტასტიკური წარმოდგენები სამყაროს შესახებ.

მეცნიერებამ უარყო ცნობიერების ორი ფაზის, წინარელი-გიურ-მითოლოგიურისა და რელიგიურის (ავტორიტარული აზროვნების), „არაორგანიზებული ცდისა“ და „ორგანიზებული ცდის“ დაპირისპირების თეორია (ბოვდანვი). უარყოფილია, აგრეთვე, 20—30-იან წლებში ჩვენში გავრცელებული თვალსაზრისი რელიგიისა და კლასების ერთდროული წარმოშობის შესახებ. თუ ადრე მარქსისტულ-ლენინური თეორიის მოთხოვნათა შესაბამისად მხოლოდ ზოგადად იყო გამოკვლეული ფილოსოფიის, რელიგიისა და მითოსის მიმართება, ამჟამად საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში ნათელი ფორმულირება მიეცა თეორიას, რომელიც მკვეთრად ას-ხვავებს მითოსსა და რელიგიას, აღვენს მათ საერთო ნიშნებ-

საც, არკვევს მათ მიმართებას ფილოსოფიასთან. მაგრამ გან-
საკუთრებით ხაზგასმით შიუთითებს საპირისპირო განსაზღვ-
რებებზე.

ც სწორედ ის ნიშნები, რომლებითაც მითოსი ემიჯნება რე-
ლიგიას, გარკვეულში ილად განმსაზღვრელი გახდა შემდეგში მი-
თოსისაგან ფილოსოფიის წარმოშობისათვის. ამ ნიშნებში ჩანს
იგივეობის მომენტი ფილოსოფიურსა და მითოლოგიურ
მსოფლმხედველობას შორის. მკვლევართა მიერ საქმაოდ სა-
ფუძვლიანადაა გარკვეული მითოლოგიური მსოფლმხედვე-
ლობის ფორმაში, გრძნობად-წარმოდგენით აზროვნებაში გან-
ზოგადების ისეთი მომენტების არსებობის შესაძლებლობა, რო-
მელთავან შემდეგში განვითარდა ცნებითი ზოგადი, დასაბუ-
თებითი, ფილოსოფიური აზროვნება, რომ მითოლოგიურ წარ-
მოდგენებში შესაძლო იყო ბუნების მოვლენათა გარკვეული
სიმრავლის ფიქსაცია და ეს მაშინ, როცა მითოსმა თავისი გან-
ვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია, როცა იგი ანთროპო-
მორფული გახდა.

მითოლოგიური აზროვნებისათვის სპეციფიურია გასულიე-
რებულად წარმოსახული სამყაროს ფანტასტიკური ასახვა და
ფანტაზიაში „ბუნების ძალების დაძლევა“. ვიდრე ადამიანი
შეძლებდა ბუნების ძალების რეალურ დამორჩილებას, გარ-
დაქმნასა და ახსნას, მანამდე იგი ფანტაზიაში ცდილობდა ამის
განხორციელებას, და მითოსი ზედმეტი ხდება მხოლოდ ბუნე-
ბის ძალებზე ადამიანის ნამდვილი ბატონობის შემდეგ.

ფილოსოფია, მითოსისაგან განსხვავებით, სინამდვილის
მეცნიერული ასახვაა, იგი უპირველეს ყოვლისა სინამდვილის-
უზოგადეს კანონზომიერებათა ახსნასა და მეცნიერულად და-
საბუთებულ გააზრებას წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში ცნობიერების მიერ მითოსიდან

ფილოსოფიისაკენ გავლილი გზის დახასიათებისას ავტორი მინ-
ნად ისახავს ქართველ მყითხველს გააცნოს მითოსის სპეციალი-
კისა და მითოსიდან ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლის
შესახებ ჩვენში არსებული თვალსაზრისები, შეაჯეროს ისინი
ერთმანეთთან და მითოსისა და ფილოსოფიის მიმართების
პრობლემის გადაწყვეტის შხოლოდ შესაძლებელ ასპექტებზე
მიანიჭნოს.

ნაშრომში ძველი ინდური, ჩინური და ბერძნული მითოსი-
სა და ფილოსოფიის განხილვისას გამოყენებულია რუსულ და
გერმანულ ენაზე თარგმნილი ტექსტები. მითოსისა და
ფილოსოფიის მიმართების ქპეციალური საკითხების გარ-
კვეთისათვის ავტორი ძირითადად ხელმძღვანელობდა ჩვენს
შვეიცარიაში გამოქვეყნებული გამოკვლევებითა და გერმანელ
ავტორთა შრომებით.

ქართულ ენაზე არ გვეგულება რაიმე გამოკვლევა, რომელიც ეხებოდეს მითოსისა და ფილოსოფიის მიმართების საკითხს. სირთულეს ქმნის ის ვითარებაც, რომ ქართულად თითქმის არ გავაჩინია ძველი ინდური და ჩინური ფილოსოფიის ტექსტები და გამოკვლევები მათ შესახებ, ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული მათი სახელებისა და ტერმინების შესატყვისები ქართულში, ამიტომ ავტორი, ცხადია, დიდი სიფრთხილით ეკიდება ამ ძნელი საქმის განხორციელებას.

ნაშრომის გამოცემამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საქართველოში აღმოსავლეთის ფილოსოფიის, მითოსისა და ფილოსოფიის მიმართებისა და მათთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე მკვლევართა ინტერესის გაძლიერებას. ავტორი იმასაც ვარაუდობს, რომ ნაშრომი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან და დიდი მაღლიერებით მიიღებს ყველა შენიშვნას, რომელიც ხელს შეუწყობენ ნაშრომის შემდგომ სრულყოფას.

ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და ისახიერებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით, მაშასადამე, იგი ისპობა მათზე ნამდვილ ბატონობასთან ერთად

კ. მარჯანიშვილი

თავი 1. მითოსის რაოგა

მითოსი, ანუ შითოლოგია, ტრადიციული გაგებით, ხალხის მიერ შექმნილი გრძნობად-წარმოდგენით სახეებში გაფორმებული თქმულებების, „გადმოცემების“ ერთობლიობა [და, ამ აზრით, ეს ცნება არ ნიშნავს მოძღვრებას, „ლოგოსს“ მითების შესახებ. პირდაპირი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით ბერძნული სიტყვა „მითოლოგია“ აღნიშნავს ამბების, „გადმოცემების“ („მითოს“) „თხრობას“ („ლოგოს“).] მითოსის ობიექტები ფანტაზიით დადგენილი გრძნობად-კონკრეტული არსებებია; თავისთავში სულიერისა და ფიზიკურის ერთიანობად გაგებული ბუნების მოვლენები წარმოსახულია რეალურ მოქმედ პირებად, ცოცხალ არსებებად, ცხოველებად, აღამიანებად!]

მითოსის ძირითად აღრინდელ ფორმად მიჩნეულია ზოომორფიზმი, ანთროპომორფიზმი კი მითოსის განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზეა წარმოშობილი, იმ დროს, როცა ბუნების მოვლენები, სტიქიები ან საგანთა ერთობლიობანი ცნობიერებამ წარმოისახა აღამიანური სახით, როცა საგ-

ნობრივმა ურთიერთობებმა ადამიანთა ურთიერთობებთან შესრულებული და მათი ანალოგიური სახე მიიღეს.

მითოლოგიური ცნობიერების ფორმირების ისტორიული საფუძველი ადამიანთა სოციალური ერთობის პირვანდელი ფორმის, გვარის, ჩამოყალიბების პროცესს უკავშირდება. ამ დროიდან ადამიანის მარტივი ბიოლოგიური მოხმარებითი ურთიერთობა გარემოსთან შეიცვალა რთული მიმართებით,—ცნობიერება გაცნობიერებული ყოფიერებაა, ასახვაა სინამდვილისა. გნოსეოლოგიური დახასიათებით ცნობიერების ასახვით ფუნქცია თავდაპირველად თითქოს მარტივია, ადამიანი ასახვს უშუალოდ მოცემულ გრძნობად გარემოს, მაგრამ შემეცნების ფსიქოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით ეს პროცესი მეტად რთულია, რადგან სინამდვილის შესახებ პირვანდელი ცნობიერების მიერ შექმნილი ჯერ კიდევ გაურკვეველი, ბუნდოვანი წარმოდგენები შევსებული იყო თვით ცნობიერების მიერ შემუშავებული ფანტასტიკური სახეებით. რადგან ცნობიერების გენეზისის ისტორია ინსტინქტის მსგავსი ჯოგური ცნობიერების უარყოფასა. და სინამდვილესთან ადამიანის აქტიური, ცნობიერი მიმართების დამკვიდრებას უკავშირდება, — შეცნობილი ყოფიერების, სინამდვილის ასახვის პირველ საფეხურად მითოსი და უფრო აღრეულად პირვანდელი ჩატურალისტური რელიგიური წარმოდგენები (ტოტემიზმი, ფეტიზმი და სხვ.) ივარაუდება!

რელიგიის აღრინდელი ფორმები ახლოსაა მითოსთან, მათი წარმოშობის მიზეზი ერთი და იგივეა: ადამიანის უძლურება,

: მ. მიულერის ვარაუდით, ტოტემიზმი და ფეტიზიზმი წინ უძლოდა ვედებს, ე. ი. ინდოეთში მითოსის ჩამოყალიბებას, მაგრამ ამ აზრის როგორც დასაბუთება, ისე უარყოფა შეუძლებლად მიაჩნია. ი. მ. მიულერ (Шесть систем индийской философии, М., 1901, стр. 44).

შიში ბუნების სტიქიური ძალების წინაშე, აგრეთვე ტომებს შე
რის წარმოშობილ წინააღმდეგობათა მიმართ. ადამიანი ცდი
ლობდა ამ ფიზიკურიდა სოციალური ძალების წინაშე თავისი
უძლურება ფანტაზიით დაეძლია, ჩამოყალიბდა ღმერთის რწმე-
ნა, პირველად რელიგიურ თვალსაზრისებში (ანიმიზმი, მაგია,
ფეტიშიზმი, ტოტემიზმი) უპირველეს ყოვლისა ბუნების საგან-
თა და მოვლენათა გაღმერთება მოხდა). ადამიანმა ნატურალის-
ტური რელიგიის შექმნით, რომელიც ბუნების ძალების, საგ-
ნების გაღმერთებას ემყარებოდა, შეიმუშავა ბუნების ძლიერე-
ბის დამორჩილების რწმენა, მათშე გამარჯვების იმედი. ყველ-
გან ღმერთების ძალის აღიარება და მათი რწმენა ადამიანთა
მიზანშეწონილი მოქმედების საშუალებად გადაიქცა ბუნებას-
თან და საზოგადოებასთან მიმართებაში. ადამიანის აქტიურო-
ბის გაძლიერებამ ბუნების გარდაქმნაში, ადამიანის რწმენამ
საკუთარი ძალების ძლიერებაში, დაპირისპირებამ ბუნების ძა-
ლებისადმი, რომელთა არსების შესახებ ადამიანს ჯერ კიდევ
ზერელუ წარმოდგენა პქონდა, პირველი რელიგიური წარმოდ-
გენებიდან პოლითეიზმზე გადასვლა განსაზღვრა. ღმერთი უკვე
ბუნების ძალებს კი აღარ ერწყმის, არამედ ადამიანი გადაიქცა
ღმერთად, ღმერთებმა ადამიანური სახე მიიღეს და ერთმანეთ-
თან ადამიანთა მსგავსი ურთიერთობანი დაამყარეს.

ეს ანთროპომორფული პოლითეიზმია და მის წარმოშობას
თანამედროვე მეცნიერება იმით ხსნის, რომ საზოგადოებრივი
ცნობიერების გართულებამ, სოციალურმა სიძნელეებმა ადამი-
ანი ამ სოციალური ძალების გაფეტიშებამდე, ადამიანური სა-
ხით წარმოდგენილი ღმერთის რწმენამდე მიიყვანა.

ნატურალისტური რელიგიები და პოლითეიზმი ახლოს დგა-
ნან მითოსთან და ეს სიახლოვე იმაში მდგომარეობს, რომ,

მსგავსად მითური ღმერთებისა, მონიშნული რელიგიების ღმერ-
თები ჯერ კიდევ არ არიან წარმოსახული ტრანსცენდენტუ-
რად, ზეგრძნობადად. მაგრამ ამ სიახლოვესთან ერთად მითოს-
სა და რელიგიის ამ ფორმებს შორის განსხვავებაცაა!. ეს პირ-
ველ რიგში რელიგიური ღმერთის კულტისა და სპეციალური
საკულტო სამსახურის აუცილებლობაში მდგომარეობს, ე. ი.
რელიგიური ღმერთის ჩრდილი მოითხოვს მსხვერპლთშეწირვას,
ლოცვას, რიტუალებს, წეს-ჩვეულებათა შესრულებას, რომლის-
გან მითოლოგიური ცნობიერება, თუმცა თავისუფალი არ არის,
მაგრამ მისთვის ეს არ არის არსებითი. როგორც ცნობილია, მი-
თოლოგიურ ღმერთზე არ ლოცულობენ, მაგრამ მას მსხვერპლს
სწირავენ მითოსა და რელიგიას შორის განსხვავება უფრო
ნათელი გახდა რელიგიის განვითარების მაღალ საფეხურებზე,
იმ დროიდან, როცა რელიგია მართლაც „ტრანსცენდენტობის
ცნობიერებად“² ჩამოყალიბდა, როცა არსებითი გახდა კულ-
ტის, ლოცვის, მორჩილების ფენომენები.

თუმცა მითოსი, თავის მხრივ, განვითარების მაღალ საფე-
ხურებზე კულტის ელემენტს იყენებდა, ისევე როგორც რე-
ლიგია მითებს, მაგრამ ეს არც ერთისათვის არსებითი არ იყო,
მითები წმინდანთა ცხოვრებასა და სასწაულმოქმედებაზე რე-
ლიგიურ ჩრდილისა და მორჩილების აძლიერებდნენ და აკანო-
ნებდნენ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ რელიგიური დოქტრინები
უპირისპირდებოდნენ მითოლოგიურ მსოფლმხედველობას,
ებრძოდნენ მითოლოგიურ ღვთაებებს როგორც ერესის სა-
თავეს. ^{ა. ა. მ.}

¹ А. Ф. Лосев. Мифология. вб. Философская энциклопедия, т. 3, стр. 458.

² ქ. მარქსი, უ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. 1, 1975, გვ. 90.

შემდეგი განსხვავება რელიგიასა და მითოსს შორის, სკე
 ციალისტთა აზრით, მითოლოგიური ცნობიერების მოქმედება და
 აქტიურ ბუნებაში ვლინდება, ვიდრე რელიგიურისა. თუ რე-
 ლიგიური ცნობიერების ღმერთისაგან ადამიანი მოწყალებას
 მოითხოვს, ამ წყალობის მიღების რწმენით დაიმედებული
 თითქმის კარგავს საკუთარი ძალების აქტიურობის რწმე-
 ნას, მითოლოგიური ცნობიერება ინარჩუნებს ერთგვარ აქტი-
 ურობას თვით ღმერთების მიმართაც და ღვთაებათა სახეების
 შემუშავებაშიც. მითოსი მეტი ფანტაზიის, შემოქმედებითი გა-
 ქანების შესაძლებლობას აძლევს ადამიანს და ამიტომ არის,
 რომ ღვთაებრივი სახეები, მითოლოგიური სამყარო თავსი
 სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით დიდად გაშსხვავდება
 რელიგიური ღვთაებრივი სამყაროსაგან. მითოსის ასეთ სახე-
 ობრივ სიმდიდრეს განაპირობებს მასში იმპავითვე არსებული
 მხატვრულ-ესთეტიკური მომენტი, რაც ხელოვნებას, ეპოსის
 განვითარების საფუძველი გახდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
 თუმცა მითოსი და რელიგია თავიანთ განვითარებაში ერთმა-
 ნეთს უკავშირდებიან, ზოგჯერ ნაწილობრივ ერწყმიან კიდეც
 ერთმანეთს, მაგრამ ყველა პირობაში ისინი ცნობიერების გან-
 სხვავებულ ფორმებად რჩებიან, რაც რელიგიის ისტორიულმა
 განვითარებამ სულ უფრო მკვეთრად გამოავლინა. როგორც
 აღნიშნული იყო, მითოლოგიურისაგან რელიგიურის განსხვა-
 ვება, ცხადია, არ გამორიცხავს რელიგიურში მითოსის მომენ-
 ტებს, მითებისათვის საკულტო მნიშვნელობის მიწერას, მითუ-
 რი სახეებით მუდმივ სარგებლობას!

მითოსსა და განვითარებულ რელიგიას შორის ძირითადი

¹ Ф. Кессиди. От мифа к логосу. М., 1972, стр. 50, 51.

განმასხვავებელი ნიშანი მაინც ის არის, რომ მითოსი ფანტაზიაში აერთიანებს ფიზიკურსა და სულიერს, მატერიალურსა და ღვთაებრივს, გრძნობადსა და ზეგრძნობადს, რელიგია კი თავისი განვითარების კვალობაზე სულ უფრო თიშავს ერთიან სამყაროს არად — ღვთაებრივად და მიწიერად, ღვთაებრივს ამაღლებს მიწიერზე, გრძნობადს უმორჩილებს ზეგრძნობადის მბრძანებლობას. რელიგია მოითხოვს გარკვეული ნორმების, წეს-ჩვეულებების ჩამოყალიბებას და მათი შესრულებით ადამიანს აკისრებს ღმერთებისადმი ერთგულებას, სამსახურს. განვითარებული რელიგია არ არსებობს კულტისა და კულტ-მსახურების გარეშე.

მითოსი ადამიანთა კოლექტიური ცნობიერების პროდუქტია, ამ ადამიანთა მიერ სინამდვილის განცდის სახეობრივ-წარმოდგენითი ასახვაა, პირველი ცდაა სინამდვილეში ადამიანისათვის არსებულ წინააღმდეგობაზე გადაწყვეტისა, პრაქტიკულ სიძნელეთა ფანტასტიკური დაძლევისა. ადამიანი უპირველეს ყოვლისა სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის წინააღმდეგობას წააწყდა და ეძებდა მის დამძლევ ფანტასტიკურ საშუალებებს, „მეღიაციებს“. რომლებიც ამ წინააღმდეგობას თუ არ გადაწყვეტდა, მოწინააღმდეგეთ მაინც დააახლოებდა თანდათანობითი პროგრესული გაშუალებით! ადამიანის წარმოდგენით-სახეობრივი ცნობიერების ძალით ასეთ მედიაცებად ვაშოდიან ცხოველები და უცნაური არსებები, რომლებიც სიკვდილ-სიცოცხლის გამაერთიანებლებად, მათი წინააღმდეგობის დამძლევებად იქცევიან ადამიანის ფანტაზიაში. მე-

¹ К. Леви-Стросс. Структура мифов. ч. Вопросы философии, 1970, № 7.

თოსი ასახვეს გარე სამყაროსთან ადამიანის ისეთ მიმართებას, რომელიც ადამიანის მიერ სინამდვილის თავისებური დამორჩილების სურვილით, იმედით, ოცნებითა და მოთხოვნილებებით არის გაპირობებული და რაც ხორციელდება სახეობრივ-წარმოდგენითი აზროვნების, ფანტაზიის ფორმით.

მითოსს, როგორც სინამდვილის ფანტასტიკურ სახეობრივი ასახვის ფორმას, საერთო აქვს ხალხური შემოქმედების, ხელოვნების სპეციფიკურ ფორმებთან, კურძოდ მხატვრულ შემოქმედებასთან. მითებთან ახლოს დგანან ლეგენდები, ზღაპრები, პოეზიისა და ლიტერატურის ფანტასტიკური სახეები. ამ უკანასკნელთათვის, მსგავსად მითოსისა, დამახასიათებელია სახეობრივი აზროვნება, წარმოდგენების შემუშავება, სინამდვილის ფანტასტიკური მხატვრული აღქმის საფუძველზე. მაგრამ ამ საერთოსთან ერთად სინამდვილის მხატვრულ ასახვასა და მითოლოგიურ ასახვას შორის დიდი განსხვავებაა. ჯერ ერთი, მითოლოგიური ცნობიერება არ ასხვავებს წარმოდგენილსა და წარმოსადგენს, სახესა და ასასახავ სინამდვილეს, ფანტასტიკურსა და რეალურს. ამ ცნობიერებაში წარმოდგენა და მისი საგანი გამოხატვის ფორმა და შინაარსი შერწყმულია ერთმანეთთან, მხატვრულ შემოქმედებაში კი მათ შორის განსხვავებაა, შემოქმედი იყენებს შედარებებს, ალეგორიებს, ეპითეტებს იმისათვის, რომ წარმოდგენილი გამოსახოს, შესაბამისი ფორმები მიუყენოს. მეორეც, მითოლოგიური ცნობიერება კოლექტიურობით, გვაროვნულ-ტომობრივობით ხასიათდება, მხატვრული შემოქმედება კი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესია; პირველი არაცნობიერია, გრძნობათა სფეროში მიმდინარეა, მეორე კი ცნობიერი, გარკვეულ იდეას, სიუჟეტს დამორჩილებულია.

მითოსი არ არსებობს უფეტიშიზმოდ, ღმერთების, გმირების, დემონებისა და ა. შ. ზებუნებრივ ძალთა გარეშე, რომლებიც შერწყმული არიან გრძნობადთან, ბუნებრივთან, მათში არსებობენ და მოქმედებენ. ხელოვნებას, რა თქმა უნდა, შეუძლია ასეთი სახეები გამოიყენოს, ლიტერატურაში მითები სიუჟეტებად იქცევიან, მაგრამ ყოველივე ეს წინასწარგანზრასული, გაცნობიერებულია. აქ განცდა რაციონალურ მოქმედებასთან, გააზრებასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, მითოსის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ იგი რწმენას გულისხმობს, იმ მოვლენათა ღვთაებრივი სახეების რწმენას, რომელთა გარემოში მცხოვრებად ითვლება მითოლოგიური ცნობიერების მქონე კოლექტივი, ხელოვნება კი რწმენის ნაცვლად მოითხოვსა წარმოსახვისა და განცდის უნარს, სახის წვდომას ემოციურისა და რაციონალურის ერთიანობით.

მითოსი და მხატვრული შემოქმედება წარმოშობის თვალსაზრისით ისტორიულად ერთნაირი ქრონოლოგიური საწყისით ხასიათდებიან. ერთი შეხედვით, მითოსი თითქოს წინ უსწრებს მხატვრულ შემოქმედებას, მაგრამ ამავე დროს პრიმიტიული პირვანდელი მხატვრობა, თქმულებანი, ლეგენდები და წარწერები პირვანდელი მითების გამოხატულების, გამოთქმის საშუალებებია. განვითარების მაღალ დონეზეც ხელოვნება როგორც ნამდვილი მხატვრული შემოქმედება, მაგ., ანტიკური, მითოსის წიაღიდან მომდინარეობს და მით საზრდოობს. კ. მარქსი წერს: „ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც“. მხოლოდ ბერძნების მიერ შექმნილი მითოსის წიაღიდან შეიძლებოდა ბერძნული ჭეშმარიტი ხელოვნების განვითარება, ამ ხალ-

ხის მღიდარი ფანტაზიის ნაყოფი ხელოვნებაში, ლიტერატუ-
რაში გაგრძელებულიყო. კ. მარქსის სიტყვებით რომ ჭრევათ,
„ეგვიპტური მითოლოგია ვერასოდეს ვერ გახდებოდა“ საბერ-
ძნეთის ხელოვნების ნიმუშად და წიაღად“¹. ცხადია, ძერძნუ-
ლი მითოსი და ხელოვნება ბერძენი ხალხის საზოგადოებრივი
ცხოვრების როგორობასთან იყო დაკავშირებული. თუმცა ხე-
ლოვნება მითოსისგან განსხვავებულსა და დამოუკიდებელ
ფანტაზიას მოითხოვს, მაგრამ, მაგალითად, ბერძნული ხელოვ-
ნება არასვლით არ შეეძლო შეექმნა საზოგადოებრივ განვი-
თარებას, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარ მითოლოგიურ
დამოუკიდებულებას ბუნებასთან, ყოველ „გამმითებელ მიმარ-
თებას მისადმი“².

მითოლოგიური მსოფლმხედველობა, ერთი მხრივ, საკაცობ-
რიო აზროვნების, კულტურის საწყისია, სინამდვილის შესახებ
პრიმიტიული, სახეობრივ-წარმოდგენითი აზროვნების ფორმაა
და მისი საწყისები კაცობრიობის ძალითის შორეულ წარ-
სულს უკავშირდება, მეორე მხრივ კი, იგი ამზადებს ფილოსო-
ფიური აზროვნების წესს, იგი „პროფილოსოფიას“, თავისე-
ბურ წინამეტაფიზიკას წარმოადგენს.

მეცნიერების მიერ ისტორიულ-შედარებითი მეთოდით დად-
გენილია, რომ მითებში აისახა გადასვლა მატრიარქატიდან პატ-
რიარქატზე, ბუნების კულტიდან მეფეთა კულტზე, გვაროვნუ-
ლი წყობილებიდან მონათმფლობელობაზე. ამიტომ მითებს შო-
რის განსხვავება ისტორიულობაშია, არსებობს შედარებით მარ-
ტივი და რთული, ნატურალისტური და ანთროპომორფული ში-

¹ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1932, გვ. 35.

² იქვე.

ნაარსა! მითები. აღნიშნული მეთოდის მომარჯვებით მეცნიერების ბი ჰიუდინთებენ აღმოსავლეთის ხალხთა მითების დასავლეთის (ბერძნებისა და რომაელების) მითებზე ზეგავლენის ფაქტებზე, რაც ნათლად ჩანს მითების გმირთა მსგავსებაში, მათ საერთო ნიშნებში; ცხადია, ძველი ბერძნები აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დროს ითვისებდნენ მათ კულტურას და მითოლოგიური აზროვნების გავლენასაც განიცდიდნენ. (ამის ყველაზე მარტივი მაგალითებია: ამირანის მითი და პრომეთე, დასავლეთში — ბერძნების ზევსი და რომაელების იუპიტერი¹). მაგრამ თუნდაც მითურ გმირებთან დაკავშირებული სიუკეტების დამთხვევა როდი აიხსნება მხოლოდ ხალხთა კულტურის ურთიერთგავლენით, ეს უპირატესად იმით აიხსნება, რომ მითური სახეები ბუნების ისეთი მოვლენების ასახვას წარმოადგენენ, რომელთა შემეცნება აუცილებელი იყო აღამიანისათვის, იმ დროიდან, როცა იგი დაუპირისპირდა ბუნებას როგორც მწარმოებელი და შემმეცნებელი არსება, ე. ი. სხვადასხვა წყობისა და ეროვნების ხალხთა მითოსის განვითარების ერთიანი კანონზომიერების, მითური სახეების დამთხვევის მიზეზი მატერიალურ ურთიერთობებთან ერთად სულიერის, შემეცნების, ცნობიერების განვითარების კანონზომიერებაშიც არის საძებნი.

მითებს თავიანთი ხანგრძლივი და მოარული ისტორია აქვთ. ამ ისტორიულ გზებზე ხდებოდა მათი შინაარსობრივი გალრმავება, მხატვრული დაზვეწა, მითის გმირების სახეთა განზოგადება. მათი ძალების მოქმედებათა ასპარეზის გაფართო-

¹ იხ. Тренчени-Вальдапфель Имре. Мифология, 1959, М., стр. 43.
ა. ჩიქოვანი. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971.

2. პელიკ

ება და გაძლიერება. ეს პროცესი მატერიალურ წარმოებასთან
შემცირდებასთან ერთად ამავე დროს მითური სახეების ემოციურ შინაარსებრი სულ
უფრო მეტად გროვდებოდა მეცნიერული ცოდნის, ფილოსო-
ფიურის, ცნებითის, ლოგიკურის ელემენტები.

მითოსისა და ცნობიერების სხვა ფორმების მსგავსება-განს-
ხვავების განხილვისას აუცილებელია მითოსის სინკრეტული
ბუნების გათვალისწინება, მასში არსებული ჩანასახოვანი ელე-
მენტების გააზრება, რომელთაგან გამოიყოფიან პირველ რიგში
რელიგიური (რწმენითი), ესთეტიკური (ხელოვნებითი) მეც-
ნიერული (ფილოსოფები) და რომელთა შორის ხაზგასასმე-
ლია რელიგიური, რწმენითი მომენტის უპირატესობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის თავისებურება, რომ მი-
თოსის განვითარებამ თავისთავშივე განსაზღვრა მონოთეიზმი-
სა და მონიზმის ჩამოყალიბების აუცილებლობა, მონოთეიზმი
რელიგიური დოქტრინების განვითარების საფუძველი გახდა,
ხოლო მონიზმისაკენ სწრაფვამ განაპირობა ფილოსოფიურ
აზროვნებაზე გადასვლა!

მითოსიდან ფილოსოფიაზე გადასვლის ახსნისათვის აუცი-
ლებელია მათ შორის როგორც ისტორიული, ისე ლოგიკური
კავშირის გარკვევა, იგივეობრივი მომენტების გამოყოფა და
იგივეობაში დაპირისპირების აღმოჩენა. ამისი ახსნა, თავის
მხრივ, მოითხოვს მითოსისა და ფილოსოფიური აზრის ფორ-

¹ მ. მიულერმა ინდური მითოსის საფუძვლის, ვედების კვლევით დასკ-
ვნა, რომ ვედური აზროვნების განვითარების ბოლო პერიოდში ღვთაებათა
გამთლიანებისაკენ სწრაფვამ წარმოშვა მონოთეიზმი და მონიზმი, რომელ-
ნიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ (M. Мюллер. Шесть систем индийской
философии, стр. 44).

მირების პროცესის სოციალურ-ისტორიული საფუძვლების გა-
მოქველევას.

ფილოსოფიის საწყისის პრობლემის . დაყენება უშუალოდ
უკავშირდება ადამიანთა ურთიერთობის პირვანდელი ფორმი-
საგან განსხვავებულ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარე-
ბის ახალი ფორმის ჩამოყალიბებისა და ცნობიერების სპეცი-
ფიკური შემეცნებითი უნარის გამომუშავების საკითხების
კვლევას.

მეცნიერების მონაცემები ადასტურებენ, რომ ძველ კულ-
ტურულ ერებს განვითარების ერთიანი კანონზომიერება ახა-
სიათებდათ, რომ მითოსიდან ფილოსოფიური აზროვნების სა-
წყისზე, მეცნიერებაზე გადასვლა არსებითად ერთნაირი გზით
მიემართებოდა ამ უძველესი ერების ეროვნულ და გეოგრაფი-
ულ თავისებურებათა დიდი განსხვავების მიუხედავად.

ძველი კულტურული ერები — ინდოელები, ჩინელები,
ბერძნები საზოგადოებრივი ცხოვრების სულიერი და მატერი-
ალური კულტურის განვითარების ერთიან ზოგად კანონზომი-
ერებას ემორჩილებოდნენ. სულიერ-კულტურული განვითარე-
ბის არსებითად ერთნაირი გზით მიღიოდა კაცობრიობა სამყა-
როზე ფილოსოფიურ რეფლექსიამდე და თვით ამ რეფლექსის
პირობებშიც.

ფილოსოფიური ცნობიერების ჩამოყალიბების წინაისტო-
რია ხსიათდება ადამიანის ცნობიერების შემოსაზღვრით
გრძნობად-საგნობრივი მოქმედების სფეროთი. პირველყოფი-
ლი თემური წყობილების ადამიანი შრომის რარალების გაუმ-
ჭობესებით ართულებდა თავის დამოკიდებულებას ბუნებას-
თან და საზოგადოებასთან, ამის პარალელურად კი ბუნების
ახსნაში სულ უფრო მჭტი გარკვეულობა შეჰქონდა, ცნობიე-

რების ასახვითი ფუნქცია სულ უფრო მეტ ძალას იჩენდათ სისინდენტის ჩამდგენილის სწორი შემეცნების, კეშმარიტების ძიების გზაზე.¹

ცნობიერების რეალური ისტორია მარჯვის მის კლასიკო-სებმა პირველად დაუკავშირეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საფუძვლებს, ცნობიერების იდეალისტურ ჰეგელიანურ „ფენომენოლოგიას“ დაუპირისპირეს („გერმანულ იდეოლოგიაში“ გადმოცემული) ცნობიერების მატერიალისტური „ფენომენოლოგიის“ სახელმძღვანელო ზოგადი პრინ-

ციპი: ცნობიერება ყოფიერების ასახვაა. თვის განვითარებაში ცნობიერებამ ორი უმთავრესი ეტაპი გაიძრა: ე.წ. „ტომობრივი“, (გვარის) და ინდივიდუალური ცნობიერების სახით. კაცობრიობის ისტორიის პირველ საფეხურზე, გვაროვნული წყობილების საწყის ხანში, ადამიანის ცნობიერება ინსტინქტის მოვალეობას ასრულებდა, ადამიანი აცნობიერებდა უშუალოდ მოცემულს, გრძნობად აღქმაში წარმოდგენილ გარემოს და მასში შემავალ საგანთა და თვით ადამიანთა მეტად შეზღუდულ კავშირებს. ამ დროს ცნობიერება „წმინდა ჯოგური ცნობიერების“ სახით არსებობდა, ადამიანი თავისი ცნობიერებით ერწყმოდა პირველი ადამიანების იმ ჯგუფს, რომელიც ჯერ კიდევ სოციალურ ერთობად არ იყო ჩამოყალიბებული და ფარის ან ჯოგის ერთიანობის სახე ჰქონდა¹. ეს ცნობიერება მხოლოდ თვითდაცვის ინსტინქტებით იყო შეცყრბაბილი. მეცნიერების მიერ გამოკვლეულია გვაროვნული წყობილების წინა ხანა როგორც პირველყოფილი ჯოგური პერიოდი, დრო, როცა მთავრდება ადამიანის ბიოლოგიური ჩამოყალიბება და შზადდება მხოლოდ უმარტივესი იარაღები. აქ ჯერ არ არსე-

¹ ქ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. თხ., ტ. 1, გვ. 27.

ბობს მყარი სოციალური ერთობა. ეს უკანასკნელი ჩამოყალიბების შემდგომ ნათესაობის საფუძველზე, და ამ დროიდან დაიწყო ახალი, გვაროვნული წყობილების ეპოქა, რომელიც ორ პერიოდად, მატრიარქატად და პატრიარქატად დაიყო. ამ დროს შეიქმნა პირველყოფილი კულტურა თავისი მითოლოგიის, რელიგიისა და ხელოვნების ერთიანობით. პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევის ხანა იძლევა ახალ ეტაპს მისავე წიაღში, ე.წ. სამხედრო დემოკრატიის პერიოდს, როგორც გარდამავალს გვაროვნულიდან კლასობრივ საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე — სოციალური ერთობის ახალ ფორმაზე¹.

✓ გვაროვნული წყობილების ჩამოყალიბებას ისტორიულად დაუკავშირდა მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენების შემუშავება, როცა ადამიანმა ბუნებას თავის წარმოდგენებში ისეთი არსებობა მიაწერა, რომლითაც თვითონ ცხოვრობდა². რა დიდადაც უნდა მოჩვენებოდა ამ ეტაპზე ადამიანს თავისი გამოცდილება და დაგროვილი ცოდნა, ის ფიზიკურად უვიცობის ტყვეობაში იმყოფებოდა, უძლური იყო ბუნების ძალების წინაშე. რაკი ბუნების საგნები, მოვლენები არსებით როლს ასრულებდნენ ცხოვრებაში და ისინი ახსნას მოითხოვდნენ, პრიმიტიული ცოდნის ადამიანი ცდილობდა ეს ხარვეზი გამოგონილი წარმოდგენებით, ფანტაზიით შეევსო. ასე შეიქმნა არასწორი, დამახინჯებული წარმოდგენების მთელი სისტემა, სამყაროს თავისებური ფანტასტიკური მოდელი. ასე შეიქმნა ისტორიულად რწმენის სამყარო, შეიქმნა მისი პირველი თეო-

¹ მ. კოსვენი, პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნაჩვევები, თბ., 1971, გვ. 12 — 14.

² იქვე გვ. 172.

რია, პირვენდელი რელიგია და მითოსი შესაბამისი ესთეტიკული წარმოდგენებითა და სახეებით.

რამდენადაც გვაროვნული წყობილების აღამიანის ყოფიერება გაპირობებულია გვართან, როგორც პირველ სოციალურ ერთიანობასთან, პირველ საზოგადოებრივ ორგანიზმთან ორგანული კავშირით, ამდენად მისი ცნობიერების „თეორიული მოქმედება“ გრძნობად წარმოდგენათა სფეროთია შემოსაზღვრული და ამ ჩესურსებით ხდება მარტივი განზოგადებები, უმარტივესი ლოგიკური ოპერაციები. ცნობიერების განვითარების მოცემულ დონეზე იქმნება სამყაროს შესახებ უმარტივესად ერთიანი, სინკრეტული ცოდნა, ინდივიდუალურ დიფერენცირებას მოკლებული, დაუნაწევრებელი, ინდივიდუალური წესით გაუცნობიერებელი.

ცნობიერების განვითარების მატერიალისტური „ფენომენოლოგიის“ მიხედვით ცნობიერება იმთავითვე მოცემული როდია „წმინდა“ ცნობიერებად, „სულიერად“ მატერიის გარეშე, არამედ იგი გაგებულია როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოთხოვნილების შედეგი, აღამიანთა საზოგადოებრივი მოღვაწეობის პროდუქტი. თავისი ჩამოყალიბების პირველ მომენტიდანვე ცნობიერება უახლოესი გრძნობად-აღქმადი გარემოს გაცნობიერება იყო, იგი თავდაპირველად ასახვდა უაღრესად შეზღუდულ კავშირებს გარემყოფ აღამიანებსა და საგნებთან, კავშირებს, მხოლოდ რომელთა შეცნობის შემდეგ იწყება თვითშემეცნება, ცნობიერების რეცლექსია საკუთარ თვაზე. პირველ საფეხურზე ცნობიერება იმეცნებს ბუნებას როგორც მისაღმი დაპირისპირებულ სრულიად უცხო ძალას, დაუმორჩილებელსა და თავისთავალს, ყოვლისშემძლება და მიუღომელს და ამიტომ გაფეტიშებულსა და ღვთაებრივ აბი-

ექტად წარმოსახულს. ადამიანის შეზღუდული დამოკიდებულება მატერიალური სამყაროსადმი განაპირობებს, აგრეთვე, შეზღუდულ დამოკიდებულებას თვით ადამიანებს შორის, და პირიქითაც, — ერთმანეთთან ადამიანების შეზღუდული დამოკიდებულება განსაზღვრავს მათს ასევე შეზღუდულ მიმართებას ბუნებასთან.

ცნობიერების განვითარების მეორე ეტაპი შრომის სოციალური დანაწილებით ხასიათდება, რომელიც შრომის ბუნებრივი დანაწილებისაგან განსხვავებით (მაგ., ფიზიკური ძალის მიხედვით, სქესის მიხედვით და სხვ.), საზოგადოების არსებით დაყოფას გულისხმობს — ფიზიკური და გონებრივი შრომის ადამიანებად, დაპირისპირების კლასებად, — მონებად და მონათმფლობელებად, — ფიზიკური და „სულიერი“ შრომის ადამიანებად.

საზოგადოებრივი ანტაგონიზმის, შრომის დანაწილების საცუდველზე ფიზიკური და გონებრივი შრომის დაპირისპირების მომენტიდან ჩნდება შესაძლებლობა ცნობიერება ერთგვარიად გათავისუფლდეს არსებული გრძნობადი პრაქტიკისადმი მორჩილებისაგან, რამენაირად „გათავისუფლდეს“ სამყაროსაგან და გადავიდეს „წმინდა“ თეორიის, თეოლოგიის, ფილოსოფიის, მორალისა და ა. შ. შექმნაზე¹. ამ დროიდან ცნობიერებას შეუძლია წარმოიდგინოს, რომ იგი რაღაც სხვა რამეა, ვიდრე „შეცნობა არსებული პრაქტიკისა“. აქედან იწყება არსებითად ფილოსოფიის ძარღორია, იქმნება პირობები ცნობიერების თეორიული მოღვაწეობისა, სამყაროზე ერთიანი თვალსაზრისის შემუშავების, იმ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა, რო-

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩ. თხ. ტ. 1, გვ. 28.

მელსაც სინამდვილის უზოგადესი კანონზომიერების შემეცნება, მასთან ადამიანის მიმართების, მისი ადგილისა და როლის დადგენა აკისრია.

სამყაროს ფილოსოფიური ახსნის მოსამზადებელი საფეხური ისტორიულად აღმოჩნდა მითოსი, რომლის წარმოშობა უკავშირდება პირველყოფილი გვაროვნული წყობილების განვითარებას. მითოლოგიური ცნობიერება გულისხმობს სამყაროს სპეციფიკური შემეცნების უნარს, ცნობიერებას, რომელიც ხედვის, ჭვრეტის თავისებური ფორმით ხასიათდება.

მეცნიერულად დადასტურებულია, რომ მითოსი ცნობიერების ისტორიული და თეორიული განვითარების პირველ საფეხურს, გვაროვნული ურთიერთობის ხანას შეესაბამება, ხოლო ფილოსოფია მონათმფლობელური საზოგადოების აღორძინების პერიოდში განვითარდა.

თავი 2. მითოსისა და ფილოსოფიის მიმართების თანამედროვე მიცნიერული ასპექტები

უძველესი დროიდან დღემდე შექმნილია მრავალი თეორია მითის რაობის შესახებ. დღეისათვის სპეციალისტები არჩევენ მითის 500-ზე მეტ განსაზღვრებას. კონცეფციათა ეს მრავალფეროვნება, სხვადასხვა სახით სისტემატიზებული, უკვე XIX საუკუნიდან საკმაოდ ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში¹.

¹ მითების თეორიათა კლასიფიკაციის შესახებ საკმაოდ მდიდარინფორმაციას იძლევა ვ. ვუნდტის „Миф и религия“, СПб., 1912, ახალი გმოკვლევებიდან — ა. ლოსევის „მითოლოგია“ (იხ. ფილософская энциклопедия“, т. 3).

თანამედროვე დასავლეთში მითოსის გავრცელებულ ინტერესი პრეტაციებად ითვლება ოთხი თეორია: სიმბოლოების (კასი-რერი), რიტუალების (ტეილორი), არხეტიპის ანუ ფსიქოლო-გიური (ფროიდი, იუნგი) და სტრუქტურალისტური (ლევი-სტროსი)¹. პირველი სამი კონცეფციის საკმაოდ საფუძვლიანი კრიტიკის შემდეგ ჩამოყალიბდა მეოთხე — ლევი-სტროსის სტრუქტურალისტური თეორია, რომელშიც, ძირებული სიმც-დარის მიუხედავად, საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიტიური მო-მენტებია მოპოვებული, ღირებული მითიდან ლოგოსზე გა-დასცლის კანონზომიერების ასესიისათვის. ეს თეორია ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებისათვის გაფორმდა და საბოლოო სა-ხე მიიღო 1955 წელს ამერიკელი ფოლკლორისტების ეურნალ-ში გამოქვეყნებულ ნაშრომში „სტრუქტურალისტური მოძღვ-რება მითის შესახებ“. 1958 წელს პარიზში დაიბეჭდა ლევი-სტროსის ცნობილი შრომა „სტრუქტურული ანთროპოლოგია“. 1970 წელს ურნალში „Вопросы философии“ (№ 7) დაიბეჭ-და პირველად დასახელებული ნაშრომის რუსული თარგმანი (შევსებული ვარიანტით) სახელწოდებით „მითების სტრუქტუ-რა“. ეურნალმა იქვე გამოაქვეყნა ე. მელეტინსკის სტატია, სა-დაც ლევი-სტროსის თეორიის საკმაოდ პოზიტიური შეფასე-ბაა მოცემული.

ცნობილი ფრანგი სტრუქტურალისტი კლოდ ლევი-სტროსი ილაშქრებს საზღვარგარეთის თანამედროვე ანთროპოლოგიასა, ეთნოლოგიასა და ფსიქოლოგიაში გაბატონებული ირაციონა-ლური მეთოდების წინააღმდეგ, რომელთა საფუძველზე მითოსი

¹ ср. Р. Вейман. История литературы и мифологии. М., 1975, стр. 276.

მხოლოდ გრძნობებზე აგებული ფანტაზიის თამაშად არის გა
გვბული. ლევი-სტროსი მოითხოვს „მითოლოგიური აზროვნების“
ბის ლოგიკის“ გამოკვლევას და, საერთოდ, რაციონალური მე-
თოდის დანერგვას — ცნობიერების მოვლენების შესწავლაში,
ებრძევის „გაუფორმებელი და გამოუთქმელი გრძნობების“
მიხედვით ანთროპოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის
უგულვებელყოფას. ლევი-სტროსის აზრით, დღეისათვის მი-
თების კვლევა „ტრივიალობასა და სოფიზმს შორის“ რაღაც
საშუალო დონეზე დგას, ერთნი მითში ადამიანთა ფუნდამენ-
ტური გრძნობების, სიყვარულის, სიძულვილის, შურისძიებისა
და ა. შ. გამოხატულებას ხედავენ (ე. ი. სუბიექტურს), მეორე-
ნი კი — ასტრონომიულის, მეტეოროლოგიურისა და სხვ. ახსნის
ცდას (ე. ი. ობიექტურს). მითებში თითქოს ყოველივე შეიძლე-
ბა მოხდეს და თითქოს იქ მოვლენების განვითარება არ უთავ-
სდება ლოგიკის კანონებს. მითებში ლევი-სტროსი ასეთი „ნე-
ბისმიერი თვითწენებობის“ მიღმა ეძებს ერთიანობას, ნამდვილ
საზრისს, რომლის მიხედვით შეიძლება დადგინდეს მოვლენე-
ბის კავშირები და სტრუქტურა, ერთნაირი სიზუსტით გამო-
რებული სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მითებში. მკვლევარი ასე
სვამს კითხვას: თუ მითების შინაარსი მთლიანად შემთხვევი-
თია, მოკლებულია შინაგან ლოგიკას, რატომ ხდება, რომ დე-
დამიწის ზურგზე შექმნილი მითები ასე მსგავსნი არიან ერთ-
მანეთისა? ამ კითხვაზე პასუხისათვის ლევი-სტროსი მიმარ-
თავს ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების, განვითარებისა
და მითების კვლევის ანალოგიას. ენის ბუნების კვლევის დროს
მეცნიერები თავდაპირველად იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ
ყოველ ენაში ბევრათა გარკვეულ ჭრულებს შეესაბამებათ გარ-
კვეული აზრობრივი მნიშვნელობანი, მაგრამ ძნელი გახდა იმის

ახსნა, თუ რა შინაგანი კავშირი იყო ბერიათა ჯგუფსა და მათ ში მოცემულ მნიშვნელობას შორის. ამის გამორკვევა გარ-
თულდა იმის გამო, რომ სხვადასხვა ენაში ეს მნიშვნელობანი
სრულიად სხვა ბერიათა ჯგუფებთან იყვნენ დაკავშირებული.
კვლევის შედეგად მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ენის საზრისი-
სეული ფუნქცია, სიტყვათა მნიშვნელობები უშუალოდ დამო-
კიდებულია არა თვით ბერებზე, არამედ მათი ერთმანეთთან
შეერთების კანონზომიერებაზე.

მითსა და ენას შორის ამ შხრივ პირდაპირი ანალოგია არსე-
ბობს. მითშიც გადამწყვეტია მოვლენათა შეერთების კანონ-
ზომიერება, რომელიც ყოველთვის ერთიან საზრისთან არის
დაკავშირებული. ამასთან ერთად, როგორც ენას, მასაც აქვს
სტრუქტურული და სტატისტიკური ასპექტი.

მითს ამას გარდა ახასიათებს უცვლელი ობიექტის მთლია-
ნი შენარჩუნება, ასეთი მითი პოეზიას უპირისპირდება, რომე-
ლიც ვერ ჩერდება ერთსა და იმავე ობიექტზე. „მითის არსება
სტილში, გაღმოცემის მანერაში კი არ არის, არც სინტაქსი,
არამედ ისტორიაში, რომელიც მასშია მოთხოვნილი. მითი
ენაა, მაგრამ მეტად მაღალ დონეზე მომუშავე ენა, როცა
საზრისი შორ დება ლინგვისტურ საფუძველს“¹.

მითების კვლევისათვის სამუშაო ჰიპოთეზად ლევი-სტრო-
სის მიერ მიღებულია შემდეგი დებულება: რამდენადაც მითებს
საზრისი აქვთ, ისინი არ დაიყვანებიან იზოლირებულ ელე-
მენტებზე, არამედ მათ გააჩნიათ ამ საზრისის გამომთქმელი
ერთიანი სტრუქტურა. თუმცა მითი ენის წყობაზეცაა დამოკი-

¹ К. Леви-Стросс. Структура мифов; сб. «Вопросы философии» 1970, № 7, стр. 159.

დებული, მაგრამ სტრუქტურა უნდა დაიძებნოს ლინგვისტური გამოხატულების დონეზე უფრო მაღლა, რომელიც უტოლ რთულია, ვიდრე ენის სტრუქტურული მხარე. თუ ენის სტრუქტურას ქმნიან: ფონემები, მორფემები და სემანტიმები,— კონსტიტუციურ ელემენტებს მიეკუთვნებიან მხოლოდ სემანტიმები, რომლებზეც აგებულია მითის რთული, დიდი კონსტიტუციური ერთეულები ანუ მითე შები. ესენი მიმართებათა კონები არიან. ამ პრინციპით გააანალიზა ლევი-სტროსმა ოიდიპოსის მითი და გარკვეული ლოგიკური ოპერაციით დაადგინა ამ მითის სტრუქტურა, ე.წ. მითოლოგიკა. მან აღმოაჩინა, რომ მითის სიტუაციებს შორის ეკვივალენტური დამოკიდებულებაა, დაადგინა ფორმულა, რომლის მიხედვით ორი სიტუაციის ურთიერთობა ფუნქციისა და არგუმენტის მნიშვნელობას შორის კორელაციურ ინვერსიას ემყარება; კორელაციური ინვერსიის მიხედვით მითის ეპიზოდების წაკითხვა, შეიძლება ჰორიზონტალურადაც და ვერტიკალურადაც.

ლევი-სტროსის აზრით, მითებში ხდება წინააღმდეგობათა გადაწყვეტა, მაგ., სიკვდილ-სიცოცხლის წინააღმდეგობის გადასწყვეტად იქმნება ფენების გრძელი რიგი, რაც შეადგენს სპირალს. ამ სპირალით გამოიხატება ინტელექტუალური იმპულსი წინააღმდეგობით დაწყებული და სპირალი მთავრდება, როცა ეს იმპულსი ამოიწურება.

ლევი-სტროსი უპირისისპირდება ლევი-ბრიულის პრელოგიკური აზროვნების თეორიას, უარყოფს პრიმიტიული ანუ აზროვლოგიკური აზროვნების დაშვებას, შემოაქვს „მითური აზროვნების ლოგიკის“ ცნება და მას თავისი მნიშვნელობით ისეთსავე ღირებულებას ანიჭებს, როგორც „პოზიტიური აზროვნების ლოგიკას“, რომელთა შორის იგი არსებითად მეტად მცირე

განსხვავებას ხედავს! ამ შემთხვევაში განსხვავება, ლევი-
სტროსის აზრით, ინტელექტუალურ ოპერაციებს კი არ ეხება,
არამედ ამ ოპერაციების საგანს, მასალას, ისევე როგორც რეი-
ნისა და ქვის ცულის განსხვავება იმაზე კი არ დაიყვანება, რომ
ერთი კარგადაა გაკეთებული და მეორე ცულად, არამედ მხო-
ლოდ იმით ასესნება, რომ ისინი სხვადასხვა მასალისაგან არიან
გაკეთებული.¹ კაცობრიობის პროგრესი, ლევი-სტროსის მიხედ-
ვით, იმაში მდგომარეობდა, რომ ხანგრძლივ ისტორიულ პრო-
ცესში ადამიანთა უცვლელი უნარები ახალ-ახალი ობიექტე-
ბის აღმოჩენას, მათ გარკვევასა და ახსნას ახორციელებდნენ;
ისტორიულად იცვლებოდა ეტიოლოგიური თემა, ე. ი. მიზე-
ზობრივი ფაქტები, როგორც ახსნის ობიექტი, მაგრამ ადამია-
ნის აზროვნების ლოგიკური სტრუქტურა არ შეცვლილა; ეს
კონსტიტუციური მთელი მატერიალური სამყაროს, ბუნების
განვითარების შედეგია და შექმნილია ადამიანთა ურთი-
ერთობის პროცესში, ამიტომ არ არის დამოკიდებული სუბი-
ექტის ნებაზე; ლოგიკური მიმართებები ადამიანის ნებისა
და, საერთოდ, ცნობიერების მხრივ ქტიური ჩარევის გარეშე
ყალიბდება, იგი ცნობიერებაშია განხორციელებული გარკვეუ-
ლი სტრუქტურის სახით, მაგრამ ცნობიერებაზე როდია დამო-
კიდებული. ლევი-სტროსი თავისთავს მარქსის მიმდევრად
თვლის და ამას ასაბუთებს იმ აზრის განვითარებით, რომ ადა-
მიანთა ურთიერთობის პროცესში ყალიბდება ობიექტური, მა-
თი ნებისაგან დამოუკიდებელი მიმართებები, რომლებიც
ცნობიერებაში ფიქსირების შემდეგ არსებითს ზეგავლენას ახ-

¹ К. Леви-Стросс. Структура мифов; №. «Вопросы философии» 1970, № 7.

დენენ თვით ადამიანის ქცევებზე¹. ამგვარად, ლევი-სტროსის
აზრით, ადამიანის ცნობიერების მოქმედების ლოგიკური
სტრუქტურა მუდმივია და მისი გენეზისი უკავშირდება სოცი-
ალურ ურთიერთობებს. იგი ბაზისისა და ზედნაშენის მიმართე-
ბებზეც მსჯელობს, როგორც ამ სტრუქტურის ამსანელ საფუძ-
ველზე. ლევი-სტროსი მითოლოგიური აზროვნების ახსნის სო-
ციოლოგიურ გზას გაჰყვა, მიიღო „კოლექტიური წარმოდგე-
ნების“ ცნება, დამუშავებული ფრანგული სოციოლოგიური
სკოლის მიერ (ლევი-ბრიული), მან მითოლოგიური ახსნა რო-
გორც გაუცნობიერებელი ლოგიკური ოპერაციების არე, წი-
ნააღმდეგობათა გადაწყვეტის ლოგიკური სტრუქტურის მატა-
რებელი. ამის საფუძველზე მკვლევარმა საქმაოდ საფუძვლიანი
პიპოთეტური დასკვნა გააკეთა: „შესაძლებელია ჩვენ ოდესმე
აღმოვაჩინოთ, რომ ერთი და იგივე ლოგიკა მოცემული მი-
თოლოგიურსა და მეცნიერულ აზროვნებაში, და რომ ადამიანი
ყოველთვის ერთნაირად აზროვნებდა“.

ამგვარად, ლევი-სტროსის მიხედვით, მითი არის პირველ-
ყოფილი ადამიანის ლოგიკის ძალით გარკვეული ამოცანების,
წინააღმდეგობების გადაწყვეტა, მედიატორის დადგენა წი-
ნააღმდეგობის გადაწყვეტისათვის. ცნობიერების მოქმედების
მთელი ეს მიმდევრობა აგებულია თავისებური მატრიცების,
კოდების სისტემაზე, რომლებიც წარმოადგენენ პირველყოფი-
ლი აზროვნების მიერ შექმნილი სამყაროს მოდელებს. ცნო-
ბილი საბჭოთა მკვლევარი ა. ლოსევი ეთანხმება ლევი-სტროსს
და შესაძებლად მიიჩნევს სტრუქტურულ-მათემატიკური მო-

¹ Е. Мелетинский, Леви-Стросс и структурная типология мифа.
«Вопросы философии», 1970, № 7, стр. 173.

დელის გამოყოფას მითის შინაარსისაგან, მაგრამ ამ მხარეს მიუვა-
თისათვის არ მიიჩნევს ერთადერთად და არსებითად, არამედ
მას თვლის რიგით მომენტად, რომელთან ერთად ფუნქციონი-
რობენ სხვა რიგის მომენტები¹.

ლევი-სტროსი მითოლოგიური აზროვნების ახსნის ე. შ.
ეტიოლოგიურ თვალსაზრისს იცავს („იტია“—მიზეზი), რომ-
ლის მიხედვით მითი, ისევე როგორც მეცნიერული თეორია,
მოვლენების შიზეზობრივ ახსნას იძლევა. ეს თვალსაზრისი
საკმაოდ გავრცელებული იყო როგორც დასავლეთში, ისე საბ-
ჭოთა მკვლევარებს შორისაც. ამ თვალსაზრისის უძველესი და
პირველი ავტორი არის ტომორელეა, რომელიც სიბრძნეს მიზეზ-
თა ცოდნას უწოდებდა და, ამ თვალსაზრისით, მითებს, რო-
გორც ბუნების მოვლენათა მიზეზების ამსანელთ და ფილოსო-
ფიას შორის პრინციპულ განსხვავებას უარყოფდა. არის ტომორე-
ლე მითებში ზოგადის წვდომის განსაზღვრულ ფორმას ხედავდა
და ამ მხრივ მიუთითებდა იგივეობრივ მომენტებზე ხელოვნე-
ბასა, მითოსსა და ფილოსოფიას შორის. ადამიანის თეორიუ-
ლი მოღვაწეობა, ფიქრობდა არის ტომორელე, გადვირვებით იწყე-
ბა და ამის სათავე უკვე მითებშია მოცემული, რომელთაგან შემდეგ ფილოსოფია განვითარდაო

არის ტომორელე აზრით, შემმეცნებელი არმცოდნეა, ე. ი. ის,
ვინც გაოცებული და გაკვირვებულია სინამდვილით, „ამიტომ
ის ადამიანიც, ვისაც მითები უყვარს, გარდვეული აზრით, ფი-
ლოსოფონია“, რადგან მითის საფუძველია ისეთი მოვლენები,
რომელნიც გაკვირვებას იწვევენ². გაკვირვებამ მიიყვანა ჰესი-

¹ Философская энциклопедия. Т. 3, стр. 463.

² Аристотель. Метафизика, 982 в 10.

ოდე ეძებნა საწყისი ყოველივესი, რომლის მიხედვით „პირველ
რიგში გაჩნდა ქაოსი და შემდეგ კი გეა (მიწა) ფართო მყერ-
ლით“¹.

მითოსის ეტიოლოგიურ ფუნქციას უარყოფენ საბჭოთა
მეცნიერები ა. ლოსევი და ფ. კესიდი. ფ. კესიდი აკრიტიკებს
ლევი-სტროსის და სხვათა მოსაზრებებს მითოლოგიური აზროვ-
ნების „ლოგიის“ შესახებ და იმ აზრს ავითარებს, რომ მითი
კი არ „ახსნის“, არამედ „სუბიექტური“ (კოლექტიურ-არაცნო-
ბიერი) განცდებისა და შთაბეჭდილებების გაობიექტურებას
ახდენს. მითოლოგიურში გაიგივებულია სუბიექტური და ობი-
ექტური, სუბიექტური სახე და ობიექტური მოვლენა².

ჩვენი აზრით, მითოლოგიური აზროვნება, როგორც სინამ-
დვილის ასახვის პირვანდელი ფორმა, მოვლენათა მიზეზებს
თავისებურად ეძებს და მათ ფანტასტიკურ სახეებში წარმოად-
გეს. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ გავიხსენოთ გ. პლეხა-
ნოვის მოსაზრება: „ადამიანს აოცებს რაღაც, სულერთია, ნამ-
დვილი თუ მოჩვენებითი მოვლენა. იგი ცდილობს ახსნას, რო-
გორ არის იგი წარმოშობილი. . ასე წარმოიშვებიან მითები...
მითი არის თხრობა, რომელიც პასუხობს კითხვაზე: რატომ? და
როგორ? მითი არის ადამიანის ცნობიერების მიერ მოვლენებს
შორის კავშირის პირველი გამოხატვა“³. მოვლენათა განმსაზღვ-
რელი მიზეზების ფანტასტიკური ახსნა შესაძლებელია მაღალ
დონეზეც და დაბალ დონეზეც (შესაბამისად მაღალ და დაბალ
ფორმაში) — სუბიექტურისა და ობიექტურის, თუნდაც ცნ-

¹ Аристотель.-Метафизика, 984, в 14.

² Ф. Кессиди. От мифа к логосу, стр. 40.

³ Г. В. Плеханов. Литературное наследие. Сб. УП, 1939, стр.

ბიერისა და არაცნობიერის, მითური სახისა და საგნის თავისებულებური შერწყმის საფუძველზე. მითოლოგიური ცნობიერება, როგორც სინამდვილის ფანტასტიკური ოღმა, ბუნებისადმი დაპირისპირების გარკვეულ მინიმალურ ხარისხს გულისხმობს, თუმცა არა ისეთი ზომითა და ფორმით, როგორც ცნებითი აზროვნება. მითები სინამდვილის ფანტასტიკური ასახვანი არიან, ასახვის საფუძველი ეტიოლოგიურია, ახსნითია, იგი გულისხმობს თავისებურ მსოფლგაგებას, ფანტაზიაში გადატანილი მსოფლიოს, როგორც ბუნებისა და იდეალური ძალების ერთიანობად გაგებას.

მითოლოგიურ აზროვნებაში ახსნითი, ეტიოლოგიური ფუნქციის უარყოფის თვალსაზრისს იცავს, როგორც ითქვა, ა. ლოსევი. მისი აზრით, არ არის სწორი წესად შემოსული მითის ისეთი გაგება, თითქოს, იგი პირველყოფილი ადამიანის შეირ ბუნებისა და საზოგადოების ამხსნელი იყოს. ბუნებისა და საზოგადოების ყოველგვარი ახსნა, გაგება მოითხოვს ცნებითს აზროვნებას¹. ა. ლოსევი ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან იყვლევდა ბერძნული ფილოსოფიისა და მითოლოგიის დამოკიდებულების პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზაზე თავისი კონცეფციის დახვეწის მიმართულებით გარკვეული ევოლუცია განიცადა. მეცნიერის მიერ ამჟამად მიღებული შედეგები ჩამოყალიბებულია „ფილოსოფიური ენციკლოპედიის“ მე-3 ტომში — „მითოლოგია“. ა. ლოსევის აზრით, მითის განსაზღვრების არსებითი ნიშნები შემდეგია: 1. მითი გრძნობადი წარმოდგენაა, რომელშიც ზოგადია გამოსახული. 2. მითში არ არის განსხვავება იდეალურსა და მატერიალურს შორის, ყოველი მატე-

¹ Философская энциклопедия. Т. 3, стр. 457, 458.

რიალური ისე მოქმედებს, როგორც იდეალური, ამიტომ მითს ახასიათებს მაგიურობა, ფანტასტურობა, სასწაული. 3. მითს ძვეს საერთო ხელოვნებასთან (ფანტაზია) და რელიგიასთან (მაგია, სასწაული), მაგრამ ამავე დროს არსებითად განსხვავებულია მათგან¹.

მითოსის შესახებ განხილული თვალსაზრისი მკვეთრ მიზნას ავლებს აზროვნების ორ დონეს შორის, პირველი, მითოლოგიური გამორიცხავს ლოგიკურ აზროვნებას, ახსნას როგორც ასეთს. მაგრამ ასეთი თვალსაზრისის პირობებში ჩნდება საფრთხე ერთმანეთის შეპირისპირებიდან ეს ორი სახე აზროვნებისა ერთმანეთის გამომრიცხავნიც გახდნენ, ჩნდება საფრთხე ე.წ. წინალოგიკური აზროვნების დაშვებისა, რაც მკაცრად არის გაყრიტიკებული თვითონ პროფ. ა. ლოსევის მიერ, როცა იგი ლევი-ბრიულის თეორიას აფასებდა².

30-იანი წლებიდან ა. ლოსევის მიერ განვითარებულია თვალსაზრისი ძველი ბერძნული მითოსის შესახებ, როგორც სამყაროს ფანტასტიკური წარმოდგენისა, როცა გვაროვნულ-თემური წყობის ადამიანს ეს საზოგადოებრივი ურთიერთობანი გადაქვს ბუნებაზე³. ა. ლოსევი მკაცრ ზღვარს ატარებს მითოსსა და რელიგიას შორის იმ ნიშნით, რომ მითოსს არ ახასიათებს ზებუნებრივის რწმენა⁴: და სწორედ ამის გამო იყო რელიგია მტრულად განწყობილი მითოსის მიმართ. მითოსი,

1 Философская Энциклопедия, т. 3, стр. 457, 458.

2 იქევ.

3 ჩვენს ქვეყანაში ბერძნული მითოსისა და ფილოსოფიის პრობლემები უკავებებული უნდამეტურად დაუშავებულია ა. ლოსევის შრომებში: Аntichnaya mifologiya v ee istoricheskem razvitiy. M., 1957; istoriya antichnoj estetiki (rannej klassika), M., 1963.

ა. ლოსევის აზრით, ასახაედა მარად ცვალებადსა და განვითარებად ისტორიულ სინამდვილეს და მის შესაბამისად თვითონაც იცვლებოდა და ვითარდებოდა, განვითარება მიმდინარეობდა მარტივიდან რთულისაკენ, გარეგანიდან შინაგანისაკენ, ამავე დროს ქაოტიურიდან, დისპარმონიულიდან ანუ, მითოსის ენაზე, ტიტანურ-ციკლოპურიდან მოწესრიგებულისაკენ, ჰარმონიულისა და ოლიმპიურისაკენ, სადაც ბატონობს ზევსის ძლიერება, ათინა პალადას და აპოლონის მშვენიერება!

ამ გზაზე ანტიკური მითოსის განვითარებაში ჩამოყალიბდა ოთხი პერიოდი: 1. უძველესი (წინათესალიური), მატრიარქატის შესაბამისი (პალეოლითისა და ნეოლითის ხანა), 2. მითოსის ცენტრალიზაციისა ოლიმპოს ირგვლივ, რაც ხასიათდება ტიტანებისა და ციკლოპების სახეებიდან გადასვლით მხატვრულად სრულქმნილ ანთროპომორფულ გმირულ მითურ სახეებზე (პატრიარქატის შესაბამისი, თესალიურ პერიოდად იწოდება). 3. გმირული მითოსისა, რომელიც თანდათან ადგილს უთმობს ნატურფილოსოფიას (გვაროვნული წყობის დაშლის პერიოდი). 4. მითოსი, გამოყენებული კლასიკური პერიოდის ბერძნულ ფილოსოფიასა და ელინიზმის ეპოქის დეკადენტურ აზროვნებაში, რომელიც ძირითადად მხატვრულ ფორმებშია განხორციელებული (მონათმფლობელური წყობის აღორძინება).

ამგვარად, ა. ლოსევის აზრით, ბერძნული მითოსი მისდევს მთელ ანტიკურ სამყაროს და სახეს იცვლის სოციალური ძვრებისა და აზროვნების ფორმათა განვითარების შესაბამისად².

¹ А. Ф. Лосев. Античная мифология в ее историческом развитии, стр. 6.

² იქვე გვ. 11.

ჰესიოდეს თეოგონიაში, ა. ლოსევის მიხედვით, ყველაზე სრულად აისახა მატრიარქატის სოციალური თავისებურება, რადგანაც დედა იქ კოსმოსური მკერდგანიერი ღმერტია, რომელიც მთელ სამყაროს განავებს და ასაზრდოებს. ჰესიოდეს აფროდიტა ურანოსის მიერ სისხლნარევი ზღვის ქაფიდანაა წარმოშობილი და თავისი ხასიათით სრულიად არა ჰგავს კლასიკური პერიოდის აფროდიტას, სიყვარულისა და სილამაზის ღმერთს. ლუკრეციუსთან ვენერა დახასიათებულია ძველი მითოსის გავებით, როგორც კოსმოსური ღმერტი, ყოველივეს დამბადებელი, მაგრამ ასევე მკაცრი, — ყოველივეს შთანმთმელი. აფროდიტას პირვანდელი კოსმოსური სახე ანტიკურობაში არ გამერალა, მას ვხვდებით ფილოსოფოსებთან: პარმენიდესთან, ემპედოკლესთან, პლატონთან, არისტოტელესა და ნეოპლატონიკოსებთან! ზემონათქვამის საფუძველზე ა. ლოსევი დასკვნას აკეთებს მითოსში მატრიარქატის ხანის გვაროვნულ ურთიერთობათა უშუალო ასახვის შესახებ. მითოსის აღრინდელ ფორმაში ნათლად აისახა, აგრეთვე, მატრიარქატის ქორწინების ფორმები.

როცა მატრიარქატის მითოსში გაჩნდნენ გმირები, შეიქმნა ჰეროიული სახეები, ეს უცვე პატრიარქატზე გადასცლის დასაწყისია. პატრიარქატის ხანა, ა. ლოსევის მიხედვით, ჰეროიზმის ხანაა. მითურ სახეებში ასეთ გარდამავალ ფორმად განხილულია მითი ამორძალებისა (გმირი მებრძოლი ქალებისა, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ და მთელ სიცოცხლეს შეიარაღებული მხედრებივით საომარ მდგომარეობაში ატარებდნენ). ეს ხანა რომ მატრიარქატიდან პატრიარქატზე

¹ А. Ф. Лосев. Античная мифология в ее историческом развитии, стр. 64—65.

გარდამავალი ხანაა, ჩანს შემდეგიდან: მითების მიხედვით, ამორძალებზე თითქმის ყოველთვის იმარჯვებენ ცნობილი მითური გმირები — ჰერაკლე, თეზეოსი, აქილევსი და სხვ.

გვაროვნული წყობილების უმაღლესი მიღწევა ძელი ბერძნული აზროვნების ისტორიაში გმირული მითებია. გაჩნდა გმირის მითური სახე, რომელიც ამარცხებს ყოველგვარ ურჩხულებსა და ბოროტ არსებათ. ამასთან დაკავშირებით მარცხდებიან და ნაწილობრივ უქმდებიან წვრილ-წვრილი ღვთაებანი, იქმნება ძლიერი ღმერთის სახე — ზევსი, რომლის ძალას ყველაფერი ემორჩილება. „პატრიარქალური თემი ზეცაში შეიჭრა, რაც იგივეა — ოლიმპოს მთაზე ავიდა“¹. ზევსი ამარცხებს ურჩხულებს, ტიტანებს, ციკლოპებს, გიგანტებს და მათ ტარტაროზში, ანუ ქვესკნელში ყრის. ზევსთან ერთად გმირულად იბრძებიან აპოლონი, ჰერევსი, კადმოსი, ჰერაკლე და თეზევსი.

ამ დროიდან მითოსში გაჩნდენ ახალი ღმერთები, ოლიმპიელები. „დიადი დედა“ ღმერთი გაქრა. იგი დაიშალა ქალღმერთებად, რომელთაც ახალი ფუნქციები მიენიჭათ: ჰერა ქორწინების მფარველი გახდა, დემეტრა — მიწათმოქმედებისა, ათინა პალადა — სამართლიანი ომის, აფროდიტა — სიყვარულის და სილამაზისა და ა. შ. ეს ვითარება იმას ნიშნავდა, რომ შეიცვალა მითოლოგიური ცნობიერების დამკიდებულება ცხოვრებასა და ბუნებასთან, ცნობიერებამ აქ გარკვეული წესრიგი აღმოაჩინა, რაც ღმერთების დამოკიდებულებებში გამოისახა. ადამიანს ამ დონეზე უკვე ნაკლებ აშინებს ბუნება, გაქრა საოცრებათა, ურჩხულთა შესახებ წარმოდგენები, რაღაც ადამიანი თანდათან იმარჯვებს ბუნების მოვლენებზე, მას შეუძლია უფ-

¹ А. Ф. Лосев Античная мифология в ее историческом развитии, стр. 70.

რო მშვიდად, შიშის გარეშე გაერკვეს მოვლენებში, ორიენტიალური რება მოახდინოს სამყაროში. სამყარომ და ცხოვრებამ მითოლოგიური ცნობიერებისათვის მშვენიერებაც შეიძინა, განიღევნენ ურჩხულები და სასწაულებრივი მახინჯი არსებანი.

ამავე დროს მითოსში კოსმოლოგიური საკითხები სულ უფრო დიდ ადგილს იჭერს, სტიქიური ძალები ზევსის ნებას დამორჩილდნენ. განსაკუთრებით ძლიერადაა წარმოდგენილი ადამიანის დამმორჩილებელი ძალა ჰერაკლეს მითურ სახეში, რომელიც საკაცობრიო ძლიერების, გმირობის უძველეს და უძლიერეს სახელად დარჩა. ჰერაკლემ ორი უჩვეულო გმირობა ჩაიდინა: მიაღწია ჰესპერიდების წალკოტს და დაეუფლა მას, აგრეთვე მიწის სიღრმეში ჩაჰყვა ცერბერს და მიწის ზედაპირზე ამოიყვანა. ეს იყო ადამიანის მისწრაფებების, უფლებების, ძლიერების გამოთქმა მითოსის ენაზე.

გმირული მითოსის დაძლევის დასაწყისი, ა. ლოსევის მიხედვით, ძველ საბერძნეთში გვაროვნულ-თემური წყობილების რღვევას უკავშირდება, რაც აისახა პომეროსის პოემებში. პომეროსის ეპოსში აირეკლა ძველიდან ახალ წყობაზე გადასვლის პროცესი, გმირული მითოსიდან, რომელსაც მკაცრად გმირული სახე ჰქონდა — ახალზე, უფრო დახვეწილსა და ფაქიზ გმირულ სახეებზე გადასვლის პროცესი, სახეებზე, რომელნიც ველარ ურიგდებიან ღმერთებს, ებრძვიან და დასცინიან კიდეც მათ. ეს, ცხადია, „ანტიმითოლოგიური აზროვნების“, ფილოსოფიური აზრის საწყისი ხანაა. ამიერიდან მითოსმა ცნობიერების დამოუკიდებელი ფორმის სახით არსებობა შეწყვიტა და ცხოვრების სხვა ფორმებს დაუკავშირდა, მათ მოემსახურა თემატიკითა და სახეებით.

ა. ლოსევის მტკიცების მიხედვით, ბერძნული მითოსი თა-

ეის განვითარებაში თვითუარყოფამდე შივიდა, რაც ფაქტიურად განხორციელდა დიონისისა და პრომეთეს მითური სახეების საშუალებით. დიონისის ორგიული რელიგია თავისი დემოკრატიულობის გამო ფართოდ გავრცელდა ჩვ. წ.-მდე VII ს. საბერძნეთში და დაუპირისპირდა ოლიმპოს მითოლოგიურ-რელიგიურ არისტოკრატიზმს. დიონისის მიერ დაწესებული ორგიული ექსტაზი და მისი თაყვანისმცემლების ეგზალტაცია ბერძნებს უქმნიდა ღმერთებთან შინაგანი ერთიანობის ილუზიას, რითაც მოიხსნა ღმერთებსა და ადამიანებს შორის უფსკრული. ამიერიდან ღმერთი ადამიანისათვის იმანენტური გახდა, ადამიანი აღარ არის მიმართული მითოლოგიური ღმერთებისაკენ, იგი თავად აქტიურობს.

დიონისის კულტიდან განვითარდა ბერძნული ტრაგედიაც და კომედიაც, ტრაგედიამ მითოსი დამხმარე საშუალებად გამოიყენა, ხოლო კომედიამ გაამასხარავა და უარყო ძველი ღმერთები. ევრიპიდესა და არისტოფანესთან მითურმა პერსონაჟებმა თვითონვე დაადასტურეს თავიანთი სიცარიელე და უაზრობა რითაც მითოსის თვითუარყოფაც დადასტურდებოდა.

მითოსის თვითუარყოფის მეორე ნიმუშია პრომეთეს მითი². გმირული ეპოსის დასასრულს ტრიას ომამდე ჰერაკლე ათავისუფლებს პრომეთეს, მყარდება ზავი ზევსსა და პრომეთეს შორის. ა. ლოსევის აზრით, ეს ზავი ფაქტიურად პრომეთეს

¹ А. Ф. Лосев. Античная мифология в ее историческом развитии, стр. 81.

² ქართველმა მეტნიერებმა მრავალი შრომა მიუძღვნეს პრომეთეს პრობლემას. იხ. ი. შენგელია „ჰესიოდე და პრომეთეს პრობლემა“, „პრომეთეს შესახებ მითის უძველესი ელემენტები“, მ. ფიჩხაძე „პრომეთეს-პრობლემის ასტორიისათვის“ და სხვ.

გამარჯვებაა, მისი თავისუფლების, ადამიანის დამოუკიდებლობის, ბუნების ძალებზე ბატონობის ზეიმია!

მითოსის კვდომის, მისი უარყოფის დადასტურებაა ახალი ტიპის მითების გამომუშავება; ეს არის მითები გარდაქმნათა შესახებ, ანუ მეტამორფოზები. ბუნების ყოველი მოვლენა, მაგ. მცენარე მითური წარმოშობისად არის მიჩნეული, ყოველი არ-სებული ძირშივე მითური არსება იყო და შემდეგ გასაგნდა, დაკარგა მითური ბუნება (მაგ., ნარცისი, კვიპარისი და სხვ.).

მითოსი, როგორც გულუბრყვილო რწმენა, დამთავრდა გვაროვნულ წყობასთან ერთად, როგორც ამ საზოგადოების ღდეოლოგია, მაგრამ ანტიკურმა სამყარომ იყი ბოლომდე შეინარჩუნა თანაარსებულად, როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საშუალება. ამასთან ერთად მითოლოგიურმა გმირებმა სახე იცვალეს, ხოლო მითები ლიტერატურულ ხერხად გადაიქცა. ჩვენი წელთაღრიცხვით IV — V სს. ნეოპლატონიკოსებმა დაიწყეს მითოსის რესტავრაცია, მაგრამ ფაქტიურად ეს იყო მისი გამოყენება ფილოსოფიური ინტერპრეტაციით. მისი აღდგენა გარკვეული პოლიტიკურ-რელიგიური მიზნებით სცადა, აგრეთვე, იმპერატორმა იულიანემ, მაგრამ არავითარ რესტავრაციას აღარ შეეძლო თავისთავშივე უარყოფილი მითოსის გაცოცხლება.

თუ როგორია, კერძოდ, ფილოსოფიის მიმართება მითოსთან, ა. ლოსევი ამ საკითხის სადაო, მაგრამ ორიგინალურ გადაწყვეტას იძლევა: წინასოფრატულმა ფილოსოფიამ მითოსისაგან აიღო მისი აბსტრაქტული სტრუქტურა, ოღონდ მთლიანად ვერ უარყო მისი კავშირი ბუნებასთან, საგნობრივთან,

¹ А. Ф. Лосев. Античная мифология, стр. 82.



ამიერმ ამ პერიოდის ფილოსოფიაში ყოველი აბსტრაქტული, იდეალური აუცილებლობით გაიაზრება საგნობრივად, რეალურად. იდეალურისა და რეალურის ერთიანობა ჩანს ჰერაკლიტეს ლოგოსში, როგორც ცეცხლის იგივეობრივში, ემპედოკლესთან სიყვარულში, პითაგორელების რიცხვებში¹. ფილოსოფიური აზრის განვითარება დემოკრიტემდე და დემოკრიტეს ჩათვლით ძველ საბერძნეთში ნატურფილოსოფიის პერიოდია და მას, როგორც მითოსიდან განვითარებულს, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს საერთო მითოსთან. ამ ფილოსოფიისათვის აქსიომატურადაა მიღებული აპრიორული დებულება, რომ მითოსიდან გამოყოფილი „პრინციპები და კატეგორიები“ (რიცხვები, ფორმები, ფიგურები და ა. შ.) სხვა არაფერია, თუ არა ისეთივე ნივთობრივი არსებანი, როგორიც იყვნენ ძველი მითოლოგიური პერსონაჟები, ე. ი. ისინი იდეალურ-მატერიალურის ერთიანობას წარმოადგენენ. თუმცა ფილოსოფიური სტრუქტურები (რიცხვი, ფორმა, ლოგიკური ურთიერთკავშირი) თავისთავში აღარ ატარებენ ანთროპომორფულ სახეს, მაგრამ არსის სუბსტრანციურ საფუძველში. წინასოკრატული ფილოსოფიის წიაღში ჯერ კიდევ მითოსი ბატონობს².

დემოკრიტეთი მთავრდება ნატურფილოსოფიის პერიოდი, მთავრდება აგრეთვე მითოლოგიის გავლენა, ფილოსოფია ვითარდება ინდივიდუალიზმის მიმართულებით, ფილოსოფია ანთროპოლოგიური გახდა სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს შოძლვრებათა სახით.

გამოჩენილ მკველავრს ა. ლოსევს უთუოდ უნდა დავეთან-

¹ А. Ф. Лосев. История античной эстетики, 1963, стр. 496.

² იქვ, გვ. 497.

ხმოთ მითოლოგიური აზროვნების გავლენის შესახებ წინასახური დატული ფილოსოფიის პირველ საუკურებზე, მაგრამ რომ ეს გავლენა დემოკრიტეს მოძღვრებაშიც დაიძებნებოდეს, რომ არსის სუბსტანციურ ახსნაში ამ პერიოდში კვლავ მითოლოგია ბატონობდა, — ჩვენი აზრით, ამ თვალსაზრისის გამართლება მეტად საძნელოა. ატომთა მექანიკამ იმთავითვე განსაზღვრა, რომ დემოკრიტეს მოძღვრებას თავიდან აცილებინა ჰილოძოიზმისა და მასთან დაკავშირებული მითოლოგიურის გავლენა. დემოკრიტემ გაათავისუფლა მატერიალიზმი მითოლოგიურ-რელიგიური და ჰილოძოისტური დანამატებისაგან, რადგან სამყაროს ახსნისათვის დაკმაყოფილდა ატომების, სიცარიელისა და ატომთა მოძრაობის დაშვებით. მოკლედ, წინასორიატულ ფილოსოფიას უთუოდ ატყვერა მითოსის გავლენა, მაგრამ ეს გავლენა არ სცილდება მცირე ფიზიკოსების სკოლას, დემოკრიტეს მოძღვრებაში ფილოსოფიამ დასძლია მითოსი, თუმცა შემდგომ ჰილატონთან მითები კვლავ გამოყენებულია, მაგრამ არსებითად როგორც ლიტერატურული ხერხი, ფილოსოფიურ დებულებათა სიცხადეს რომ ისახავს მიზნად.

მითოსისა და ბერძნული ფილოსოფიის დამოკიდებულების საკითხს ეხება აგრეთვე ლ. ჩანიშვილი. მისი აზრით, ფილოსოფიას ორი თეორიული წანამძღვარი აქვს: მითოსი და მეცნიერული ცოდნის ჩანასახები. ადრეულ პერიოდში ფილოსოფიამ მემკვიდრეობით მიიღო მითოსის მომენტები ჰილოძოიზმის, ანთროპომორფიზმის, ანიმიზმის სახით. ფილოსოფია წარმოიშვა ისეთი მსოფლმხედველობრივი საკითხების წამოჭრით, როგორიცაა არსის რაობა და მასში ადამიანის აღვილი. ამ საკითხების ფორმირება პოზიტიური ცოდნის განვითარების პროცესსა და მითოლოგიური აზროვნების ჩარჩოებში მოხდა და შემდეგ ფილოსოფიის ძირითად პრობლემად გადაიქცა.

მ. შახნოვიჩი ფილოსოფიის წარმოშობის საკითხს უკავშირდებს სინამდვილის მითოლოგიური ასახვის საწინააღმდეგოდ „არსისა და შემეცნების ძირითად და არსებით განსაზღვრულობათა ჩამოყალიბების პროცესს“¹, როცა შეიქმნა სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობები და მოპოვებულ იქნა წარმატებები სამყაროს მეცნიერულ შემეცნებაში. „ელინებთან, ისევე როგორც სხვა ხალხებთან, პირველი ფილოსოფიური წარმოდგენები, წარმოშობილნი ცნობიერების რელიგიური ფორმის ფარგლებში, ინარჩუნებდნენ თავიანთ არსებობაში ამ უკანასკნელს“². ფილოსოფოსები ხშირად მითური სახეებით სარგებლობდნენ, რადგან ჯერ კიდევ არ გააჩნდათ თავიანთი აზრების გამოხატვის შესაბამისი ახალი საშუალებანი.

მ. შახნოვიჩის აზრთა მსელელობა, აქმდე განვითარებული, მთლიანად მიხალებია, მაგრამ როცა განიხილავს საკითხს საკუთრივ ბერძნული მატერიალიზმისა და იდეალიზმის წარმოშობის შესახებ, ძნელია გაიზიარო მის მიერ წამოყენებული თვალსაზრისი, რომ მატერიალისტი ფილოსოფოსები სტაქიურ-მატერიალისტურ და გულუბრყვილო დიალექტიკურ წარმოდგენებს წმენდდნენ მითოლოგიური გარსისაგან, ხოლო „ძველი ბერძნული იდეალიზმი იყო რელიგიის გაგრძელება და განვითარება“, რომ იდეალისტი ფილოსოფოსები მითების რელიგიურ შინაარსს იყენებდნენ“ და „ცდილობდნენ გამოეთქვათ უფრო ფრთხილი ფორმით“².

როგორ შეიძლება ფილოსოფიის საწყისშე სერიოზული

¹ М. И. Шахнович. Происхождение философии и атеизма, стр. 203.

² ვ. ვ. ვ.

მსჯელობა, თუ პრინციპული მნიშვნელობა მიეცემა დებულებას: იდეალიზმი იყო რელიგიის გაგრძელება და განვითარება? გ. შახნოვიჩი, ჯერ ერთი, უმართებულოდ აიგივებს მითოსსა და რელიგიას, ამგვარი გაიგივების საფუძველზე აქეთებს ასევე უმართებულო დასკვნას: იდეალისტი ფილოსოფოსები მითებს იყენებდნენ, ამიტომ იდეალიზმი რელიგიის გაგრძელება და განვითარებაა. ამ პოზიციიდან უმართებულოდ ჩანს მისი კრიტიკა ა. ლოსევის კონცეფციისა რელიგიისა და მითოსის ურთიერთ განსხვავების შესახებ.

დღეისათვის სპეციალისტების მიერ დადგენილია მითოლოგიური და რელიგიური მსოფლმხედველობის მკვეთრი განსხვავება, ამასთან ერთად აუცილებლობა ფილოსოფიის საწყისის საკითხის ერთიანი დაყენებისა მატერიალიზმის თუ იდეალიზმის მიმართ. რამდენად არის მითები გამოყენებული, რა მასშტაბისა და როგორი შინაარსით, ამ მხრივ განსხვავება ამ ორი მიმართულებას შორის უთუოდ არსებობს, მაგრამ ეს განსხვავება არ გულისხმობს, თითქოს მატერიალიზმი იმთავითვე თავისუფალი იყო მითოსის გავლენისაგან და პირდაპირ მეცნიერებასთან ჰქონდა კავშირი, ხოლო იდეალიზმი რელიგიურ-მითოლოგიურის, ე. ი. მისი საკულტო ფორმის უბრალო გაგრძელებას წარმოადგენდა. თუ პლატონის იდეალიზმი ისე შეფასდება, როგორც ეს მ. შახნოვიჩს აქვს წარმოდგენილი, რომ მისი არსებობა მთლიანად თითქოს ძველ ბერძნულ მითებზეა დამოკიდებული, რომ პლატონის „იდეები“ ღმერთებია ცნებების ენაზე გამოთქმული¹ და მეტი არაფერი, მაშინ იდეალიზმის როლი ფილოსოფიის ისტორიაში შეუფასებელი დარჩება,

¹ М. И. Шахнович. Происхождение философии и атеизма, стр. 203—204.

იყარგება ის რაციონალური, რაც მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორიულ პროცესშია მოპოვებული. უფრო მეტი, ზემოთ გამოთქმული კონცეფციის საფუძველზე თალესის მოძღვრება უფრო შინაარსობრივად მდიდარი აღმოჩნდება, ვიდრე პლატონისა, რადგან თალესი თურმე მხოლოდ „წმენდა“ თავის მოძღვრებას მითოლოგიური გარსისაგან, პლატონი კი პირდაპირ ავრძელებდა და ავითარებდა რელიგიურ თვალსაზრისს. განა ცხადი არ არის სპეციალისტისათვის, რომ დემოკრიტეს მოძღვრების ჩამოყალიბებამდე თალესისა და მთელი ბერძნული ნატურფილოსოფიური სკოლისათვის დამახასიათებელი ჰილოძოიზმი, ანიმიზმისა და ანთროპომორფიზმის მომენტები მითოლოგიის გავლენის შედეგია? ხოლო მ. შახნოვიჩის მიერ მოყვანილი მარქსის მითითება ეპიკურეს შესახებ, რომ იგი ბუნების ახსნის დროს ყველაფერს აკეთებდა „ოღონდ მითებისათვის არ მიემართა“, ეხება მხოლოდ ეპიკურეს და არ შეიძლება გავრცელდეს დემოკრიტეს წინა მატერიალისტურ მოძღვრებებზე; ეპიკურე კი საკმაოდ ვიანდელი წარმომადგენელია ბერძნული ფილოსოფიისა, იგი დემოკრიტესა და არისტოტელეს შემდეგ მოღვაწეობს და შესაძლებლობა აქვს ბერძნული მითების მიმართ საკმაოდ კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდეს.

დასახელებული ავტორების თვალსაზრისთა განხილვა ნათელს ხდის ფილოსოფიის საწყისის, მითოსისა და ფილოსოფიის დამოკიდებულების პრობლემის კვლევაში აზრთა მნიშვნელოვან განსხვავებას. მითოსიდან ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლის კინოზომიერება სპეციალურად გამოიკვლია ფ. კესილიმ მონოგრაფიაში „მითიდან ლოგოსამდე“, რომელშიც წამოყენებულია ასეთი კონცეფცია: ფილოსოფიური აზრის ჩამო-

ყალიბება და დამოუკიდებელი განვითარება მითიდან ლოგოსზე
გადასვლის პროცესს უკავშირდება. ეს ორი ეტაპისაგან შედგე-
ბა: ძითიდან მხატვრულ სახეზე გადასვლა (ეპოსი—ჰომეროსის
„ილიადა“ და „ოდისეა“, ჰესიოდეს „თეოგონია“) და მხატვრუ-
ლი სახიდან შედარებების გზით პირველი მეცნიერული ანალოგი-
ების გამომუშავება, ცნებათა დადგენა, ნატურალოსოფიის ჩა-
მოყალიბება. პირველ ბერძნთა ფილოსოფიურ თეორიებში
გრძნობადი სახე და აბსტრაქტული ცნება ერთმანეთთან და-
კავშირებული შეადგენენ „თეორიას“. მათვის უცხოა აზრისა
და არსის, სუბიექტისა და ობიექტის, ზოგადისა და კონკრეტუ-
ლის დუალიზმი. დუალიზმი ჩნდება ელევლებთან, რომელთაც
გამოიკვლიეს აზრის საგანი, გაარჩიეს რაციონალური არსი და
გრძნობადი სამყარო, ცნებითი აზროვნება და მისი საგანი. ლო-
გიურისა და გრძნობადის დუალიზმის შედეგი აღმოჩნდა ძენო-
ნის აპორიები!

კესიდის აზრით, ბერძნულმა პოლისურმა დემოკრატიამ გან-
საზღვრა ბერძნული „პაიდეიას“ (განათლების, კულტურის) თა-
ვისებურება, სამყაროს გონიერული ათვისების, გონების დაფა-
სების, ადამიანის პრომეთესებური (შემოქმედებითი) დანიშნუ-
ლების შესახებ². ასეთი რაციონალური ათვისების შედეგია
ფილოსოფია, რომელსაც ეტიოლოგიური ფუნქცია აქვს, და
რაც, კესიდის აზრით, არ ახასიათებს მითოსს. მითოსი არ არის
სამყაროს მიზეზობრივი ახსნის შედეგი.

ამგვარად, კონკრეტულად ასეთი ტრიადი აიგო: ბერძნული
მითოსი — გმირული ეპოსი (ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდი-

¹ Ф. Х. Кессиди. От мифа к логосу, стр. 303.

² იქვე, გვ. 26.

სეა", ჰესიოდეს ოეოკოსმოგონია) — ბერძნული ნატურფილო—
სოფია. ჰომეროსის ეპოსს პირველი აღგილი დაეთმო მითიდან
ლოგოსზე გადასცლის კანონზომიერების ახსნაში.

ფ. კესიდის ინტერპრეტაციით, აღამიანის ბედის გადაქცევა
ეპოსის ძირითად თემად იწვევს ღმერთების როლის შედარებით
შემცირებას, ღმერთების საუფლოს დაახლოებას აღამიანებთან,
ცხოვრებაში მათს თანამონაწილეობას. ჰომეროსის ღმერთები
არ არიან სამყაროსა და აღამიანის მიღმა მყოფნი, სამყაროს
შემოქმედნი, აღამიანი არ არის მონამორჩილი და აბსოლუტუ-
რად შეპირისპირებული ღმერთებისადმი; თუმცა ღმერთები
უკვდავნი არიან და, ამასთან ერთად, უფრო ძლიერნი, ბრძენი
და მარად ახალგაზრდანი მოკვდავ არსებათაგან განსხვავებით,
მაგრამ აღამიანები ხშირად არ ემორჩილებიან ღმერთების ნე-
ბას, წინაღუდგებიან მათს სურვილებს, ებრძვიან და კიდეც
დასკინიან მათ. ოვით ჰომეროსი ზოგჯერ პატივისცემით არ
ეპყრობა ღმერთებს, პაროდული სახით წარმოადგენს მათ ქცე-
ვებს, მხარს უჭერს აღამიანებს, რომელნიც ღმერთებს ებრძვი-
ან. მაგ., მენელაოსი რისხვით მიმართავს ზევსს, აქილევსი სრუ-
ლი უპატივცემლოდ ეპყრობა აპოლონს, დიომიდე არ დაკმა-
ყოფილდა ღმერთების დაგმობით, იგი თავს დაესხა აფროდი-
ტას, ხელში დაჭრა იგი, ასევე დაჭრა ომის ღმერთი არესი.
ღმერთებისადმი ჰომეროსის ასეთი კრიტიკული დამოკიდებუ-
ლება, მითოსის უარყოფის გზაზე დგომა, ფ. კესიდის აზრით,
ნათლად ჩანს მის თვალსაზრისში კოსმოსის წყობის შესახებ,
რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: ერთმანეთთან დაპირის-
პირებულია ცა და ტარტაროზი, ჩათელი და ბნელი (რომელიც
ოლიმპოს ღმერთებისა და ტარტაროზის ღმერთების დაპირის-
პირებაში გამოიხატება) და მათ შორის მდებარეა დედამიწა. ეს

სამი ნაწილი მთლიანად შეადგენს დიდ სფეროს, სიმეტრიულ-
სა და კანონზომიერს.

ჰომეროსის პოემებში მითოსის დაძლევა იმითაც დაიწყო,
რომ მათს მხატვრულ სახეებში ზოგადია დაჭერილი, შედარე-
ბების გზით სამყარო განვიტრეტილია ზოგადის ასპექტით. შე-
დარებები ჰომეროსთან პატარა პოემებს ქმნის და სწორედ ეს
არის ის ახალი მითებისა და ლეგენდების დამუშავებაში, რომ-
ლითაც იშვა ეპოსი. ამით, თავის მხრივ, მომზადდა ნატურფი-
ლოსოფიური ოვალსაზრისი, დაიწყო გადასვლა მითიდან ლო-
გოსზე.

ჰომეროსის პოემების განხილული ინტერპრეტაცია ნათელს
ხდის, რომ ბერძნული ეპოსის შექმნა მითოსისაგან გათავი-
სუფლების საწყისადაა გაგებული, მაგრამ უდავოა, რომ მითო-
სისაგან ბერძნულ ფილოსოფიაზე გადასვლის კანონზომიერე-
ბა უფრო დამაჯერებლად ჩანს ჰესიოდეს „თეოგონიაში“, რო-
მელშიც კოსმოგონიური სქემა უკვე მაღალ დონეზეა გააზრე-
ბული და ამიტომ, თუ აიგება ტრიადა მითოსიდან ფილოსოფი-
აზე გადასვლის გამომსახვი, გამაშუალებლის ადგილს სწო-
რედ ჰესიოდეს „თეოგონია“ დაიკვერს. ამ აზრს არ ეწინააღმ-
დევბა არც ფ. კესიდი, როცა წერს: ჰესიოდე მითოლოგიასა
და ნატურფილოსოფიას შორის იდგა, ნატურფილოსოფია „თე-
ოგონიას“ ემსგავსება შინაარსეულად, რადგან ორივე ეხება
სამყაროს წარმოშობასა და წესრიგს. ანაქსიმანდრესა და ანაქ-
სიმენეს კოსმოგონიური სქემა ძირითადად ემთხვევა ჰესიოდეს
მიერ გააზრებულ წესრიგს!

ჰესიოდეს „თეოგონიის“ სამყაროს მოდელისა და პირველი

¹ Ф. Х. Кессиди. От мифа к логосу, стр. 118—121.

ბერძენი ფილოსოფოსების კოსმოსურ სქემათა მსგავსებას მრავალი იცტორი იზიარებს. ამიტომ მითიდან ლოგოსისაკენ გარდამავალ გზაზე ჰესიოდეს როლი უფრო მაღალ შეფასებას მოითხოვს. ჰესიოდე თეოკოსმოგონიის შემოქმედია, რომლითაც მომზადდა გადასვლა კოსმოგონიაზე, რომლის მოქმედი გმირები უკვე ღმერთები კი არა, ბუნების რეალური მოვლენებია და სადაც თვით ბუნებაშივე აღმოჩნდა სამყაროს „არსი“, პირველმიზეზი.

გარდა ამისა, ჰესიოდეს „თეოგონიაში“ მთელი სისრულით აისახა გვაროვნული წყობილების თავისებურებანი ღმერთების ურთიერთობის სახით, აისახა სტიქიათა კავშირიც და გვარის ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანიც. ქაოსი, როგორც საწყისი ღმერთი, სინამდვილის პირველსაწყისის, სუბსტანციური საფუძვლის ანალოგიას წარმოადგენს. ჰესიოდეს ღმერთებიდან ახალი ღმერთების წარმომავლობამ, ღმერთების მთელმა შთამომავლობითმა გენეალოგიამ, როგორც სამყაროში მოვლენათა ურთიერთკავშირის, ურთიერთგამომდინარეობის ღრმა გააზრების შედეგმა, თავისი გამოხატვის უფრო მაღალი ფორმის ფილოსოფიური გააზრების საფუძველი შექმნა.

მითოსისაგან ბერძნული ფილოსოფიის განთავისუფლებისა და დამოუკიდებელ მსოფლმხედველობად ჩამოყალიბების ახსნისათვის არ არის საკმარისი არც მხოლოდ სოციალურ-ისტორიული ასპექტისა და არც მარტივ გნოსეოლოგიური საფუძვლების დადგენა, ამ ურთულესი აზროვნებითი ნახტომის ახსნა მოითხოვს მრავალი სხვა ასპექტის აღმოჩენას, რომელთა შორის გარკვეულ ადგილს დაიჭირს ესთეტიკურის, კონკრეტულ-მეცნიერულის, ფსიქოლოგიურისა და სხვა მომენტების მნიშვნელობათა გარკვევა.

ფილოსოფია ცნებითი აზროვნებაა და იგი ორ შეიძლება
ჩასახულიყო მარტივად და უეცრად რელიგიურ-მითოლო-
გიურის წიაღში ან მისი უარყოფის გზით. გარკვეულ, სოცია-
ლურ-ისტორიულ პირობებში და ამის საფუძველზე სამყაროს
აზროვნებითი ათვისების მაღალი ფორმების მოთხოვნის პრო-
ცესში ხდება ფსიქოლოგიური ძვრა ადამიანური ცნობიერე-
ბის განვითარებაში, რაც ახალი აზროვნებითი მონაპოვრის, ცნო-
ბიერების შესაბამისი ფორმის ჩამოყალიბებით უნდა დამთავ-
რებულიყო: სამყაროს საწყისი მითოლოგიურად გადაწყვეტილი,
ბუნების მოვლენებზე დაკვირვებისა და მათი ახსნის შემდეგ ფი-
ლოსოფიურ საწყისად გაიაზრება. მეტად საინტერესოა ფ. კე-
სიდის მიერ წარმოდგენილი პარალელები: ჰესიოდე — ქაოსი,
გეა, ეროსი, ერებოსი და ღამე, მთები და ზღვები, ოკეანები;
ანაქსიმანდრე — აპეირონი, თბილი და ცივი, მიწა და ჰაერი,
ცეცხლოვანი სფერო, ციური სხეულები, ზღვა; ანაქსიმენე —
ჰაერი, შეკუმშვა და გაშლა, მიწა და ჩვეულებრივი ჰაერი, ცი-
ური სხეულები, ზღვა. ამ სამი სქემის, სამყაროს მოდელის —
შედარებიდან ნათელია, თუ როგორ ხდება პირველსაწყისის
ნატურალიზაცია, არაბუნებრივი ძალების მოქმედებათა გადა-
ტანა ბუნების მოვლენებზე. ანაქსიმანდრე და ანაქსიმენე ავითა-
რებენ მილეტის სკოლის მამამთავრის თალესის მოძღვრებას,
მთლიანობაში კი ეს სკოლა სამყაროს გაგებაში კოსმოგონიურ
საფეხურზე დგას, ხოლო მისი უშუალო წინამორბედია ჰესიო-
დეს თეოკოსმოგონია, რომელიც ბერძნის ცნობიერებაში გადა-
მუშავდა მიწიერ საფუძველზე სამყაროს მოვლენებზე დაკვირ-
ვებისა და მათი ბუნების ძალების მიხედვით გააზრების შესა-
ბამისად. ამ რთული ფსიქიურ-შემეცნებითი გარდაქმნის პრო-
ცესში ფილოსოფიური საწყისი ჯერ კიდევ ორის თავისუ-

ფალი მითოლოგიურ-რელიგიური ნიშნებისაგან, რაც შესაბა-
მისსავე ფორმაში გამოითქმის. მაგ., ანაქსიმანდრე აპეირონს
ახასიათებს „ღვთაებრივის“ ნიშნით. ამით გამოთქმულია მისი
უკვდავება („ათანოტონ“) და მარადიულობა („აგერო“), იგი
დაპირისპირებულია ყოველი მოკვდავისა და წარმავლისადმი.
აპეირონი (როგორც საწყისი) ჯერ კიდევ არ არის წმინდა
აბსტრაქტულ-ლოგიკური ცნება, იგი ცნებაა, მაგრამ გრძნო-
ბად სახესთან დაკავშირებული.

ა. ლოსევის თვალსაზრისი ანტიკური ფილოსოფიის საწყი-
სში ცნებისა და გრძნობადი სახის ერთიანობის შესახებ
უთუოდ საფუძვლიანია. ამავე თვალსაზრისშე დგას ფ. კესიდი.
იგი წერს: „მილეტელ მოგზროვნეთა ნატურფილოსოფიური
თეორიები ათავსებენ სამყაროს სურათის რაციონალისტურ
გააზრებას, გონებით ჭვრეტას გრძნობით ჭვრეტასთან („ხელ-
ვასთან“)¹. გნოსეოლოგიური სუბიექტი, ფილოსოფიური გონე-
ბა და ემპირიული ადამიანი არ არიან ერთმანეთისაგან გამო-
ყოფილი. თუმცა ანაქსიმანდრეს განუსაზღვრელი (აპეირონი)
მოქლებულია გრძნობად კონკრეტულობას (დაუყვანელია რაიმე
სახის მატერიაზე), მაგრამ იგი არ არის არც წმინდა აბსტრაქ-
ტია, რადგან თავის თავში „მოიცავს“ სამყაროს მთელ შინა-
არსს, მოვლენათა მთელ მრავალსახეობას, აღებულს, როგორც
მათი საყოველთაო მატერიალური საფუძვლის მხრივ (თუმცა-
ლა თვისებრივად „განუსაზღვრელის“), ასევე საგანთა საყო-
ველთაო წესრიგის თვალსაზრისით².

მითოლოგიური მსოფლმხედველობა გრძნობად სახეებში

¹ Ф. Х. Кесиди. От мифа к логосу, стр. 133.

² იქვე, გვ. 125 — 126.

განხორციელებული აზროვნების პროდუქტია, რომელმაც  ფუძველი მოამზადა რაციონალური, ცნებითი აზროვნებისათვის. ფილოსოფია მითოლოგიურ-რელიგიური აზროვნების შედეგად ჩაისახა და ბუნებრივია მას იმთავითვე თან დაკყვა მისი წინამორბედის ერთი არსებითი თავისებურება: გრძნობადი სახეებით აზროვნება. იგი შეერწყა, მჭიდროდ დაუკავშირდა ახალს, რაციონალური აზროვნების ფორმას, ცნებითს, ლოგიკური დასაბუთების მეთოდს. ბერძნული ფილოსოფიის საწყისის, მილეტის სკოლის წარმომადგენელთა მოძღვრების ანალიზი ნათელს ხდის, რომ იგი არ არის წმინდა რაციონალური აზროვნების პროდუქტი, რომ აქ ჯერ კიდევ ერთმანეთთანაა დაკავშირებული სამყაროს ცნებითი გააზრება და სახეობრივი აზროვნება. მილეტის სკოლაში საწყისის პრობლემის გააზრება, ერთი მხრივ, გონების გამარჯვება იყო ინტუიციასა და სახეებით აზროვნებაზე — დადგინდა „არხეს“ (საწყისის) ცნება, უზოგადესი, საყოველთაო, აუცილებელი საფუძველი, — მაგრამ ამავდროულად ეს ცნება მაინც შეივსო სახეობრივი აზროვნების ნიშნებითაც და ეს პირველ რიგში იყო „ცოცხალის“ („ძოონ“) ნიშანი. პირველი ბერძენი ფილოსოფოსები საწყისს იაზრებენ როგორც „ცოცხალს“, სულიერს, ამიტომ თალესისათვის სამყარო სულებითაა აღსავსე, გასულიერებულია, მასთან ერთიანობაში არიან ღმერთები და დემონები. ვფიქრობთ, ცდება, ფ. კესიდი, როცა მილეტელ ნატურალისტოსთა თვალსაზრისს აფასებს როგორც პანთეისტურს!. პანთეიზმი, სიტყვა-სიტყვით—მოძღვრება, რომლის მიხედვით ყველაფერში ღმერთია, — მოითხოვს ფილოსოფიური აზრის განვითარების უფრო

¹ Ф. Х. Кесиди. От мифа к логосу, стр. 131.

მაღალ საფეხურს, დასაბუთების საქმაოდ რთული მეთოდების გამოყენებას, მაგ., ისეთისა, როგორსაც მიმართავდნენ კუზანელი, ჯორდანონ ბრუნო და სპინოზა. პირველ ბერძენ ფილოსოფოსებთან კი ღმერთი სულიერის ისეთ სახეშია მოქცეული, რომელიც უბრალოდ მატერიალურის თანმხლებია; ან თანამდებარეა და შინაარსობრივად მატერიალიზებულიც კია. მაგ., გადმოცემით, თალესს უთქვამს, სამყარო გასულიერებულია და ალსავსეა ღმერთებითო (A 22), ამავე ღროს უსულო საგნებში სულის არსებობაზე მიუთითებია მაგნიტისა და ქარვის მიზიდულობის ანალოგით. როგორც არისტოტელე შენიშნავს, თალესს სული მიაჩნდა რაღაც მამოძრავებელ საწყისად, რადგან ფიქრობდა, მაგნიტს სული აქვს სწორედ იმის გამო, რომ მას მოძრაობაში მოჰყავს რკინა (A 22). ნათქვამიდან ცხადია, რომ თალესთან ღმერთი, სული ტრადიციულისაგან განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება, ფაქტიურად მატერიალიზებულია შინაარსობრივად და ჯერ კიდევ მიგნებული არაა ამ ახალი შინაარსის გამოთქმის შესაბამისი ცნება.

ფ. კესიდი თვითონვე შენიშნავს, რომ თალესი ღმერთს უწოდებდა დაუბოლოებელს, ე. ი. იმას, რასაც „არა აქვს არც საწყისი და არც ბოლო“, ხოლო ასეთი ადგილი, თალესის აზრით, მატერიალურ პირველსაწყისს (წყალს) უჭირავს, „რომლისაგანაც წარმოიშვება ყოველი საგანი და რადაც ყოველივე გარდაიქმნება“¹.

ასევე შინაარსობრივად მატერიალიზებულია ღმერთის, სულის, მამოძრავებლის გაგება ანაქსიმანდრე — ანაქსიმენესთან, იგი უბრალოდ სიცოცხლის ამხსნელ პრინციპად რჩება. ანაქსი-

¹ Ф. X. Кессиди. От мифа к логосу, стр. 131—132.

მანდრესთან ლმერთი აპეირონია, სუბსტანციაა, გონიერი, სა-
მართლიანი, ანთროპომორფული. ანაქსიმენესთან კი იგი ჰაე-
როვანია, სუნთქვის მსგავსია, ორთქლია და ა. შ.

პირველი ბერძენი ფილოსოფოსები სტიქიური მატერიალის-
ტები იყვნენ, რომელთა წინაშე ჯერ კიდევ მკვეთრად არ იდგა
არსისა და აზრის მიმართების პრობლემა, მათთან სამყაროს
პირველსაწყისის საკითხი დაისვა ფილოსოფიურ ასპექტში, რო-
გორც ერთისა (პირველსაწყისის) და მრავლის (სამყაროს საგ-
ნებისა და მოვლენების) მიმართების პრობლემა. ამ პრობლე-
მაშია ჩართული სული, როგორც სამყაროს მრავალფეროვნე-
ბის მონაწილე და ამ მიმართებაში ფასდება მისი ადგილი და
როლი. აღნიშნულ თეორიებში სული არ არის მატერიალური-
საგან გამოყოფილად განხილული, მისდამი დაპირისპირებუ-
ლი და რაღაც თავისითავადი. ამ მხრივ ძველი ბერძნების სტიქი-
ური მატერიალიში ჯერ კიდევ ხასიათდება მითოსთან ზოგი-
ერთი საზიარო ნიშნით. მაგრამ ამასთან ერთად მკვეთრი განსხ-
ვავებაც აშკარაა, რამდენადაც მატერიალური საწყისი დაპი-
რისპირებულია ლეთაებრივისადმი და პილოძორიზმის შესაბამი-
სად მატერიალური ახსნის გარეშე ითავსებს მომენტის, ელე-
მენტის სახით სულიერს.

თ ა ვ ი 3. ჰეგელი რელიგიასა და მითოსთან ფილოსოფიის დამოკიდებულების უსახებ

ჰეგელით დაიწყო ფილოსოფიის ისტორიაში ფილოსოფიის
მეცნიერების სპეციფიკის გარკვევა და მისი განსაზღვრა „მო-
ნათესავე დარგებთან“, აზროვნების სხვა ფორმებთან, კონ-

კრეტულ მეცნიერებებთან, მითოსსა და რელიგიასთან მიმართ ეფუძნებია. პეგელმა შემოსაზღვრა ფილოსოფია ცნებითი აზროვნების სფეროთი და გამიჯნა იგი სახეობითი და წარმოდგენითი აზროვნების ფორმებისაგან (ხელოვნება, რელიგია). ფილოსოფიას თავის საგნად მიეჩინა ჰეშმარიტების კვლევა, იგი პეგელმა გამოაცხადა ჰეშმარიტი, აბსოლუტური ცოდნის ცნებათა სისტემად.

* ფილოსოფია ამავე დროს, პეგელისავე განსაზღვრით, ეპოქის ასახვაა ცნებებში და მჭიდროდ არის დაყავშირებული ეპოქის ისტორიასთან, ეპოქის საერთო კულტურასთან, რამდენადაც ფილოსოფია გარკვეულ ეპოქაში განხორციელებული სულიერი კულტურის ერთი მხარეა. * ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ მსჯელობენ რელიგიის, პოლიტიკური ურთიერთობისა და ა. შ. ფილოსოფიაზე გავლენის შესახებ, და პირიქითაც, პირველთა მიმართ ფილოსოფიის უკუზემოქმედებაზე. მაგრამ საკითხის ასეთი დაყენების დროს განსხვავებულთა მხოლოდ გარეგნულ კავშირზეა მითითებული, მაშინ, როცა პეგელი მოითხოვს ამ მიმართების გამოხატვას „განსხვავებულთა ერთიანობის“ კატეგორიით, ე. ი. ხალხის სულიერი კულტურა, პეგელის აზრით, ერთიანი გონის მოღვაწეობის შედეგია, და ბუნებრივია, რომ ფილოსოფია, როგორც მისი ერთი მხარე, მომენტი სხვა მხარეებთან განსხვავებულთა ერთიანობის მიმართებაში იმყოფება.

* აქედან პეგელი ასეთ დასკვნას აკეთებს: ფილოსოფიის წარმოშობისათვის აუცილებელია სულიერი კულტურის გარეკველი საფეხური, გონის განვითარებაში ის დონე, როცა ხალხის, ერის ცნობიერება განთავისუფლდება ცხოვრებისეული პრაქტიკული შეზღუდულობისაგან, როცა თავის გარეთ მიმართუ-

ლი საგნობრივი ცნობიერება თავისთავს მოუბრუნდება. ამ
თვალსაზრისით ფილოსოფია თითქოს ფუფუნებაა, რამდენა-
დაც იგი გარეგანი აუცილებლობის დაძლევის, მატერიალური
დაკმაყოფილების შემდეგ ჩნდება. ამის მსგავსი აზრი გამოთქ-
მული ჰქონდა არისტოტელეს ფილოსოფიის შესახებ „მეტაფი-
ზიკაში“, როცა იგი შენიშვნავდა, რომ აღამიანებმა ფილოსოფო-
სობა დაიწყეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დაიკმაყოფილეს
ცხოვრებისეული მოთხოვნებიო!

ფილოსოფიის წარმოშობისა და განვითარების აუცილებელ
პირობად ჰეგელს მიაჩნია ადამიანთა პირველყოფილი ბუნებ-
რივი ცხოვრების „გარინდებული“, გულგრილი ყოფისაგან
განთავისუფლება და ყველა საფეხურზე ხალხთა კონკრეტუ-
ლი მატერიალური ყოფის მოცემული საზღვრებიდან იდეალუ-
რი გასვლა. ამ საზღვრების გადალახვა, ჰეგელის აზრით, არის
ბრძოლა, საზოგადოების შინაგანი გათიშვა, ხალხთა მისწრა-
ფებებისა და გარეგანი სინამდვილის დაპირისპირება, არსებუ-
ლი რელიგიის, პოლიტიკური ხელისუფლების, ზნეობის და ა. შ.
უარყოფა. ე. ი. მხოლოდ იქ ფილოსოფოსობენ, სადაც საზოგა-
დოების სულიერი რღვევის შინაგანი პროცესი იწყება. ასეთ
ეპოქაში გონი ეძებს თავშესაფარს აზრის სფეროში, რათა რეა-
ლური სამყაროს საწინააღმდეგოდ (რომელმაც თავი ვერ გაი-
მართლა) შექმნას აზრის სამეფო. ფილოსოფია მაშინ ჩნდება,
როცა ეპოქა ამოწურავს თავისი განვითარების შესაძლებლო-
ბებს არსებულ ფორმაში. მეცნიერებათა მფარველის, სიბრძნის
ღვთაების, მინერვას ჭოტი „მწუხრის უამს გამოდის“, მაშინ
„როცა ფილოსოფია თავისი აბსტრაქციების რუხი საღებავით

¹ Аристотель. Метафизика, 982 в 10.

წერს რუს ფონზე, მაშინ როცა უკვე განვლილია ჭაბუკობის
სინორჩე და სიცხოველე¹. ფილოსოფია მხოლოდ იდეალურ
სამყაროში ასახულ სინამდვილესთანაა შეთანხმებული¹, ხოლო
ფილოსოფიური თეორიები შედეგი იყო სოციალური და სუ-
ლიერი კოლიზიებისა, რომელთაც აპსოლუტური გონი წარ-
მოქმნიდა.

ფილოსოფიური აზრის განვითარების მთელი ისტორია
ჰქონდა ამ დებულების ილუსტრაციად გადააქცია. მაგ., იო-
ნიური ფილოსოფია წარმოიშვა მცირე აზრაში იმ დროს, როცა
დაუცა იონიის სახელმწიფოები. სოკრატესა და პლატონის
დროს ათენის სახელმწიფო დაშლის პროცესს განიცდიდა. ამი-
ტომ იყო, რომ პლატონი დიონისეს ახალ სახელმწიფოს თეო-
რიას სთავაზობდა. რომში ფილოსოფია გავრცელდა მხოლოდ
რომის რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, როცა რომის იმპერა-
ტორთა დესპოტიზმი გაბატონდა და ა. შ. ქმაშასადამე, ფილო-
სოფია ეპოქის ასახვაა, და ამით იგი თითქოს მთლიანად იგი-
ვეობრივია თავისი ეპოქისა, მაგრამ რამდენადაც იგი შემეც-
ნებაა, ცოდნა სცილდება კიდეც ამ ეპოქის საზღვრებს და უპი-
რისპირდება თავის ეპოქას. ფილოსოფია შინაარსობრივად ეპო-
ქითაა განსაზღვრული, ფორმით კი მას უპირისპირდება. ცოდნა
სინამდვილისაგან განსხვავებული და ოღმატებულია, როგორც
გონის მოღვაწეობის შედეგი, „სუბსტანციური გონის“ შესა-
ხებ ცოდნა. სწორედ ეს განსხვავებული იწვევს დაპირისპირე-
ბას არსებულსა და ფილოსოფიურ აზრს შორის, რომელიც
პროგრესის მიზეზია, რაც არ აჩერებს ფილოსოფიურ აზრს
ერთ დონეზე, რაც მას წინ ეწევა. იდეალისტი ჰქონდა აზრით,

¹ Гегель. Соч., т. IX, стр. 53.

ამ დაპირისპირებას ქმნის გონი როგორც სუბსტანციური არსი. ფილოსოფია აბსოლუტური გონის არსებობისა და განხორციელების ფორმაა, მისი ზრდა-განვითარება წმინდა გონის სახით აქვედან იწყება და ფილოსოფია, ამ აზრით, გონის „შინაგანი აკვანია“, აქედან ამოზრდილი ქმნის იგი მომავალში თავის ნამდვილ „ფორმაციას“!¹. X

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ჰეგელი ფილოსოფიის წარმოშობასა და განვითარებას სულიერი კულტურის სხვა მომენტების განვითარებასთან აკავშირებს, განსაკუთრებით კი მისი ინტერესის სფეროში შემოდის ფილოსოფიის დამოკიდებულების გარკვევა განსჯით ცოდნასთან, ე. ი. კერძო მეცნიერულ ცოდნასთან, აგრეთვე ხელოვნებასა და მითოლოგიურ-რელიგიურ თვალსაზრისებრით.

ფილოსოფია თავდაპირველად მთელი სულიერი კულტურის, საერთოდ განათლების, სიბრძნის იდენტურად იყო მიჩნეული. მაგ., ბერძნული ფილოსოფიის ჩასახვის დროიდან თითქოს ერთმანეთისაგან განსხვავდა შვიდი ბრძნისა და ფილოსოფოსთა საქმიანობა, მაგრამ ამის მიუხედავად ყოველი ბრძნული აზრი, ყოველი ცოდნა ფილოსოფოსობად ითვლებოდა. თუ თალესმა ფილოსოფიური პრინციპი დააღვინა, და ამავე დროს მზის დაბნელების ფაქტი ახსნა და იწინასწარმეტყველა, ეს მომდევნო მოაზროვნეთა მიერ შეფასებულ იქნა როგორც ფილოსოფოსობა, ე. ი. მზის დაბნელების ახსნაც ფილოსოფიად იწოდა. ასევე პითაგორას ბგერათა პარმონია, ან კოსმოსური სხეულების პარმონია იწოდებოდა ფილოსოფიად².

¹ Гегель. Соч., т. IX, стр. 55.

² იქვე, გვ. 58.

ასეთი ვითარება გრძელდებოდა შემდეგშიც — აღორძინების პერიოდში და ახალ დროშიც. ფილოსოფიად იწოდებოდა პოპ-სის მოძღვრება სახელმწიფოზე, დეკარტის ფიზიკა, პუგო გროციუსის საერთაშორისო სამართლის თეორია, ნიუტონის ფიზიკა და ა. შ.

აზროვნების სფეროები თავისთავში განსხვავებული არიან იმის მიხედვით, თუ რა არის მათი შესწავლის საგანი. კერძო მეცნიერებათა საგანი სასრული საგნები და მოვლენებია, მათ საქმე აქვთ განსაზღვრული საგნების შესახებ ცნობების აგრეგატთან, რომელიც თუმცა სისტემატიზებულია და შესაბამისად ზოგადი პრინციპებითა და კანონებით არის გამოთქმული, მაგრამ მათი მოქმედების სფერო შეზღუდულია, ისინი ეხებიან მხოლოდ განსაზღვრული რიგის საგნებს. ასევე განსაზღვრულაა ამ მეცნიერებათა მეთოდები. მართლაც, აზრის ზოგადი ფორმები, უზოგადესი განსაზღვრებანი და დებულებანი კერძო მეცნიერებებს საერთო აქვთ მოცემული ეპოქისა და ხალხის სულიერ კულტურასთან, მაგრამ ეს საერთო, როგორც აბსოლუტური გონის კუთვნილება, ცნობიერებაში მოქმედების დროს მამოძრავებელი და მიზანშეწონილობის მიხედვით შემეცნების წარმმართველი, — გაუცნობიერებელი რჩება. კერძო ცნობიერებამ არ იცის, არც აინტერესებს ის ზოგად-საყოველთაო, რომელიც მასში მოქმედებს. მას აქვს, მაგ., არსის, მიზნობრიობის და ა. შ. აბსტრაქტული ცნებები, ცნობიერება იყენებს მათ, მაგრამ არ იცის ამის შესახებ. მაგ., როცა გამოითქმება მსჯელობა „მზე იმყოფება ცაზე“ ან „ყურძენი მწიფეა“ და სხვ., აქ გამოყენებულია არსის ცნება არაცნობიერის დონეზე. აბსტრაქტულ ცნებათა კავშირები არის ის გაუცნობიერებელი მეტაფიზიკური, რომლითაც მოიპოვება ადამიანზე ზე-

მოქმედი კონკრეტული მასალა. ჩვენი ცნობიერება საგნებისად-
მი გარკვეული ინტერესით მოქმედებს და ამიტომ აბსტრაქ-
ტულის ეს რთული კავშირები არ არის გამოყოფილი კონკრე-
ტული შინაარსისაგან და არ იქცევა ჩვენი ცნობიერების რეფ-
ლექსიის ობიექტად.

ამრიგად, ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებებს საერთო
აქვთ ზოგადი დებულებები, ის, რაც ჩვენი ცნობიერების შე-
მეცნებით მოქმედებაში საყოველთაოა, რაც საბოლოოდ აბ-
სოლუტური გონის მოქმედებითა განსაზღვრული და რაც ყო-
ველი კონკრეტული შემეცნებლისათვის შემეცნების ზოგად
კანონზომიერებას წარმოადგენს. ეს ზოგადი პრინციპები, აზ-
როვნების ეს აბსტრაქტული ფორმა აბსოლუტის მიერ ჩვენ შე-
მეცნებაში მოპოვებული საყოველთაო ჰეშმარიტებანია, და
ამიტომ საერთოა ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებისათ-
ვის.

რელიგია, როგორც ცნობილია, ემყარება დოგმატებს, სა-
ყოველთაო ჰეშმარიტებებს. ამას პრინციპულად უპირისპირ-
დება აზროვნების ის აბსტრაქტული ფორმა, რომელიც საერ-
თოა ყოველი სახის შემეცნებისათვის, რადგან ამ უკანასკნე-
ლისათვის არაფერი არ არის მიღებული აზრის გარეშე, ყოვე-
ლივე მოაზრებულ უნდა იქნეს ფაქტიური ცნობიერების მი-
ერ, არავის შეუძლია ეს „სხვის“ მაგივრად გააკეთოს. ფილო-
სოფია გადაჭრით უარყოფს ავტორიტეტზე, „გამოცხადება-
ბაზე დამყარებული“ ცოდნის, ჰეშმარიტების ლირებულებას.
ფილოსოფია დაკავშირებულია კერძო მეცნიერებებთან შე-
მეცნების, ცოდნის ზოგადი ბუნებით, უპირისპირდება რელი-
გიას, როგორც შემეცნების გარეშე მდგარს, რწმენაზე დამყა-
რებულს, მაგრამ მასთანაც აქვს საერთო, ეს საერთოა ს ა გ ა ნ ი.

ამრიგად, ჰეგელის აზრით, ფილოსოფია და კერძო მეცნიერებანი საგნის მიხედვით განსხვავებული არიან, კერძო მეცნიერებას საქმე აქვს სამყაროს ცალკეულ შინაარსებთან, საგნებისა და მოვლენების გარკვეულ ჯგუფთან და, შესაბამისად, ეს არის სასრულის ცოდნა. წინააღმდეგ კერძო მეცნიერებისა, ფილოსოფიის საგანი განუსაზღვრელია და ამ ნიშნით მას საერთო აქვს რელიგიასთან.

ჰეგელის აზრით, თუ ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებებს შორის მსგავსებაა ფორმის მხრივ, რადგან, მარტივად რომ ვთქვათ, ორივე შემეცნებაა და შემეცნების ფორმები ერთნაირად გამოიყენება, მათ შორის განსხვავებაა შინაარსის, საგნის მიხედვით, — ერთისათვის საგანი არის განსაზღვრული, სასრული, მეორესათვის (ფილოსოფიისათვის) განუსაზღვრელი, უსასრულო. ეს მიმართება შებრუნებულია ფილოსოფიასა და რელიგიის დამოკიდებულებაში. ფილოსოფიასა და რელიგიას საერთო აქვთ საყოველთაოსთან, განუსაზღვრელთან. მაგრამ ისინი არსებითად განსხვავებული არიან ფორმით, პირველი ქმყარება შემეცნებას, მეორე მხა ცოდნას, დოგმატებს, რწმენას. ჰეგელი ასაბუთებს, რომ რელიგიის „ფორმა“ არსებით ზეგავლენას ახდენს შინაარსზე და ამიტომ ფილოსოფიასა და რელიგიას შორის პრინციპული წინააღმდეგობაა. რადგან ჰეგელის სისტემაში რელიგიური ცნობიერების განვითარებით ხდება გადასვლა ფილოსოფიურ ცნობიერებაზე, ამიტომ ფილოსოფიური შემეცნების რაობის გასაღები უნდა გახდეს მიმართების გარკვევა რელიგიასა და ფილოსოფიას შორის, უნდა გაირკვეს, თუ როგორ წარმოიშვა ფილოსოფია რელიგიური ცნობიერების განვითარების შედეგად.

რელიგია და კულტურულია წარმოდგენითს აზროვნებასთან
და, როგორც აზროვნება აბსოლუტური არსების შესახებ, ფიცი-
ლოსოფიასთან ახლოს დგას, აქ განსხვავებაა აზროვნების ორ
სფეროს შორის და არამც და არამც არ შეიძლება იმის მტკი-
ცება, რომ რელიგია აზროვნებას არ საჭიროებდეს. პირიქით,
„თავის მითებში, ფანტასტიკურ წარმოდგენებში და პოზიტი-
ურ თხრობაში რელიგია ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელო-
ბით implicite მოიცავს საყოველთაო აზრებს, როგორც
იმანენტურ შინაარსს...“ უფრო მეტიც, მის მითებში და ა. შ.
ფილოსოფების ფორმით მოცემულია ფილოსოფიური ში-
ნაარსი, ხოლო გარკვეულ ეტაპზე უკვე დაფარულად (impli-
cite) კი არა, არამედ გამოვლენილად და აშკარად (expli-
cite) რელიგიის ფილოსოფიური შინაარსი წარმოდგენილია
უკვე აზრის ფორმით. მაგ., სპარსულსა და ინდურ რელიგიებ-
ში გამოთქმულია მეტად ღრმა და ამაღლებული სპეციულატუ-
რი აზრები. უფრო შორს თუ წავალთ, მაგალითად, პატრისტი-
კაში ნამდვილი ფილოსოფიური მოძღვრებანი ჩამოყალიბებუ-
ლია რელიგიური ფორმით, ხოლო სქოლასტიკა თეოლოგიისა
და ფილოსოფიის შეერთებაა.

ასეთი კავშირისა და საერთო შინაარსის მიუხედავად ფი-
ლოსოფიასა და რელიგიას შორის არსებითი განსხვავებაა
ფორმით, რადგან საყოველთაო შინაარსი ფილოსოფიაში აზ-
როვნების ფორმით შედის, ხოლო რელიგიაში, ეს შინაარსი —
| წარმოდგენისა და გრძნობის საშუალებით. ეს განსხვავება სა-
ფეხურებრივი განსხვავებაცაა განვითარებაში. აზროვნება თა-
ვისი განვითარების დაბალ ფორმაში, წარმოდგენითს აზროვ-
ნებაში, — რელიგიაში გამოვლენილი შეზღუდულია, თავი-
სუფლებას მოკლებულია, ამიტომ აზროვნება ძლევს ამ ფორ-

გას და გადადის წმინდა აზრის ფორმაში, რითაც იგი საკუთხევის მინათების განვითარების მიღებაში მიღება და მიმდინარებაში მიღება და მიმდინარება აზრის მინათების განვითარების მიღებაში მიღება და მიმდინარება „ხალხური რელიგიაა“, ამის შემდეგ იწყება „ფილოსოფოსობა“¹, ე. ი. აზრის თავისთავადი მოღვაწეობა, აზროვნების იზოლირება ხალხთა ყოველგვარი რწმენისაგან!

პეგელი ფილოსოფიისა და რელიგიის დამოკიდებულების გარკვევისათვის მიმართავს ისტორიულ მასალას და ძველი ბერძნული ფილოსოფიის ბერძნულ წარმართობასთან დამოკიდებულების ისტორიულ ანალიზს იძლევა. ფილოსოფია იმთავითვე დაკავშირებულია წარმართობასთან, ძველი ბერძნული წარმართობის არეშია ჩაკეტილი. შემდეგ ხდება ფილოსოფიის თავისთავზე დამყარება, რისთვისაც ფილოსოფია თავის შინაგან არსებას ხალხური რელიგიის საშუალებით გააცნობიერებს და მასში თავისთავს შეიცნობს. ამის მაგალითია პირველი ბერძენი ფილოსოფოსების მოღვაწეობა, რომელიც აღიარებდნენ ხალხურ (წარმართულ) რელიგიას, არ ებრძოდნენ მას და არ იაზრებდნენ მის რაობას. თუმცა ქსენოფანე კოლოფონელიდან მოკიდებული ფილოსოფიის მკვეთრი გამოყოფა მოხდა წარმართული რელიგიისაგან და დაიწყო ბრძოლა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ (ასე გამოჩნდნენ, პეგელის აზრით, ანტიკური ათეიისტები), მაგრამ შემდეგ აბსტრაქტული აზრი და რელიგია ერთმანეთის გვირდით მშვიდად არსებობდნენ და თითქოს ერთმანეთს ხელს არც უშლიდნენ. (მაგ., სოკრატე და პლატონი. სოკრატე სამართალში მისცეს იმის გამო, რომ იგი ახალგაზრდებს სხვა ღმერთების

¹ Гегель. Соч., т. IX, стр. 74.

მორჩილებას ასწავლიდა და არ აღიარებდა ოფიციალურ ღმერა-
თებს, მან დემონები აღიარა და ისეთივე ძალა მიაშერა, რაც
ცნობილ ბერძნულ ღმერთებს).

ნეოპლატონიკოსებთან რელიგიისა და ფილოსოფიის გან-
ვითარების ახალი ეტაპი იწყება, რადგან მათ ხალხურ რელიგი-
აში აღმოაჩინეს წინა ფილოსოფოსების მიერ უარყოფილი სა-
ყოველთაო, შეეცადნენ იგი ფილოსოფიაში გაღმოენერგათ და
წმინდა აზრის ენაზე გამოეთქვათ. ასევე ქრისტიანულ რელი-
გიაში „საყოველთაო“ მოძრაობს მისთვის შეუსაბამო ფორმა-
ში, მოგვიანებით კი, როცა აზრმა „გაიმაგრა ფრთხები“, ჩვენ
ვხედავთ წინააღმდეგობას გონებისა რწმენისადმი. აზრი, რო-
გორც არწივის მართვე, პირველ დამოუკიდებელ აფრენას
იწყებს ჰეშმარიტების მზისაკენ, მაგრამ ამავე დროს რელიგი-
ასთან მიმართებაში აჩენს მტაცებელი ფრინველის ბრჭყალებს
და თავს ესხმის მას!

მხოლოდ ახალ დროში გახდა შესაძლებელი, ჰეგელის აზ-
რით, რელიგიისაგან სპეციულატური შინაარსის გამოთავისუფ-
ლებზ წმინდა აზრის მიერ ცნების საშუალებით. რელიგიის სპე-
ციულატური მარცვალი, ჰეშმარიტება, გახვეული აღმოჩნდა რე-
ლიგიურ მისტერიებში. ვერც ერთი თვალსაზრისი რელიგიის
შესახებ ვერ ახსნის მის ბუნებას, თვით სქოლასტიკაც კი
უძლურია მისი რაობის გაგებაში, თუმცა იგი საქმაოდ ღრმად
იკვლევს რელიგიას და წმინდა აზრით ცდილობს დოგმატების
შემეცნებას. რელიგიის რაობის ამხსნელი ვერ იქნება თვით
რელიგიური ცნობიერება, საჭიროა მისი დაძლევა მაღალი სა-
ფეხურიდან. ამას აკეთებს ფილოსოფია, რომელიც ცნებებს

1 Гегель. Соч., т. IX, стр. 75.

იმარჯვებს და იმ უპირატესობით ხასიათდება, რომ იგი რელიგიური გიასაც ახსნის, ე. ი. წარმოდგენითი ცნობიერების ბუნებასაც, და ღრმად ესმის თავისი თავიც. რელიგია აუცილებელია ფილოსოფიისათვის „საყოველთაოს“ ახალ ფორმაში ამაღლებისათვის, „საყოველთაოს სახალხო“ აღიარებისათვის, ცნობიერების მომზადებისათვის იმ სახით, რომ „საყოველთაო წმინდა აზრის ფორმაში გამოიხატოს და თავის თავზე დაფუძნეს“.

ჰეგელი ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართების თვალ-საზრისით იხილავს მითოლოგიის რაობას. ვ. ვუნდტის კლასიფიკაციის მიხედვით, ჰეგელი მითოლოგიის პროგრესისტული თეორიის წარმომადგენელია, რომლის მიხედვით მითოლოგია დას რელიგიის განვითარების ისტორიულ გზაზე და სათავე აღმოსავლეთში აქვს. აღმოსავლეთის ხალხების ბუნებრივი რელიგიებიდან განვითარდა სამი ძველი კულტურის ხალხის — ბერძნების, რომაელებისა და ებრაელების ესთეტიკურსა და ეთიკურ იდეებზე აგებული რელიგიები. ეს საფუძველი გახდა ქრისტიანობის წარმოშობისათვის, აბსოლუტური რელიგიის დაფუძნებისათვის, რომელიც ყოველი ეროვნული საზღვრის გარეთ გადის. მითოლოგია ჰეგელისათვის რელიგიური, ცნობიერების ერთი მომენტია. მითები რელიგიის განვითარების ფორმაა, მისი შემადგენელი ნაწილებია. ვ. ვუნდტი ჰეგელს უსაყველურებს კონსტრუქტივიზმს. ჰეგელის მთელი სისტემა კონსტრუქციულია, ლოგიკური კონსტრუქტივიზმი შევსებული იყო მეტად მდიდარი მასალით და ამგვარად გაგებული რელიგიისა და ამას-თან ერთად მითოლოგიის თეორია საკმაოდ დასაბუთებულ სახეს ატარებდა. ამან განსაზღვრა ის გარემოება, რომ 5. ვ. ჰელიძე 65

მე-19 ს. მეორე ნახევრამდე ჰეგელიანური თვალსაზრისი ბა-
ტონობდა, ხოლო ამ დროიდან ნათელი გახდა, რომ მითოლო-
გის სპეციფიკა გაურკვეველი დარჩა, ჰეგელიანური სქემით
მითის ბუნება ვერ აიხსნა. ამის მიუხედავად ჰეგელს ფილოსო-
ფიისა და რელიგიის ურთიერთობის საკითხის განხილვისას
მითოსის ბუნების კვლევის თვალსაზრისით მრავალი მნიშვნე-
ლოვანი მომენტი აქვს იღმოჩენილი, რომელთა შორის უპირ-
ველესია განვითარების კონცეფციის გამოყენება ამ საკითხის
გადაწყვეტაში.

ჰეგელი გამოყოფილად იხილავს ფილოსოფიისა და მითო-
სის დამოკიდებულების საკითხს. საერთოდ მითოსის არსების
1 გაგებაში უპირაისპირდება მისი წინამორბედის შელინგის
რომანტიკულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით მითოსი სი-
ნამდვილის გაცნობიერების ყველაზე რეალური ფორმაა, რომ-
. ლისაგან აზროვნების სრული განთავისუფლება შეუძლებე-
ლია. შელინგი ანვითარებდა თვალსაზრისს ფილოსოფიის, ხე-
ლოვნებისა და მითოლოგიური აზროვნების ერთიანობის შე-
სახებ, მას მითოსი ცნობიერების სუბსტანციალურ საფუძვ-
ლად მიაჩნდა, რომელშიც თითქოს სინთეზირებული იყო
არისტოტელური ოთხი მიზეზი. ე. ი. მითში გაერთიანებულია
ფორმალური და მატერიალური მიზეზი, რამდენადაც იგი სა-
ხეებით აზროვნებაა, გარკვეული სახეობითი ფორმა აქვს,
რომელიც შერწყმულია საგანთან, მატერიალურის პირველსა-
ხესთან, ამავე დროს მითში მყოფი იდეა, როგორც მისი ფორ-
მა, მოქმედი და მიზნობრივი მიზეზიცაა. ამგვარად, შელინგის
მიხედვით, მითები ემყარებიან ცნობიერების მიერ წარმოქმნილ
სასწაულებრივ საგნებს, რომლებიც დამოუკიდებლობას იძე-
ნენ, მათ თავისთავში აქვთ მატერიალური, ფორმალური, მოქ-


მედი და მიზნობრივი მიზეზები. ამ კონცეფციით შელინგმა პირველად ააგო მითოსის ფილოსოფიური თეორია, მითოსს ფილოსოფიური საფუძვლები მოუძებნა და იგი მჭიდრო კავშირში განიხილა ფილოსოფიასა, რელიგიასა და ხელოვნებასთან.

შელინგის მიერ მითოსის დაფუძნება ემყარებოდა ირაციონალისტურ-იდეალისტურ კონცეფციას, რომლის მიხედვით ცნობიერების განვითარებაში განმსაზღვრელია არაცნობიერი, ირაციონალური საწყისი. ამის მიუხედავად, შელინგი როგორც დიალექტიკოსი, პირველად იძლევა მითოსის განვითარების დიალექტიკურ-ისტორიულ სქემას, რომელიც არსებითად გაიზიარა ჰეგელმა და მითოლოგიის განვითარების ტრიალული სქემა ჩამოაყალიბა. ამ სქემის მიხედვით, მითოლოგიის აღმოსავლურ, ანტიკურსა და ევროპულ საფეხურებს შეესაბამებათ სიმბოლისტური, კლასიკური და რომანტიკული მხატვრული ფორმები.

მითოსში, შელინგის აზრით, საზეიმო სამოსელშია წარმოდგენილი „ჰეშმარიტი უნივერსუმი თავისთავში“. მითოსის (მითოლოგიის) მარტივი დეფინიცია, რომელიც, შელინგის მიხედვით, არ მოითხოვს არავითარ დასაბუთებას, შემდეგია: „მითოსი არის ომერთების შესახებ თქმულებათა ერთობლიობა, რომელშიც ღმერთებს მიუღწევიათ სრულყოფილი ობიექტურობისათვის ანუ მოუპოვებიათ დამოუკიდებელი პოეტური არსებობა“¹. იგი ამ აზრით „პრეპოეზიაა“, ყოველგვარი პოეზიისა და ხელოვნების წანამდლვარია. მისი ახსნა შეიძლება მხოლოდ თავისთავიდან, რადგან თავისთავშივე ატარებს

¹ Шеллинг. Философия искусства, М., 1966, стр. 105.

არსებობის აუცილებლობას. მითოსის, როგორც „მთლიანი-სათვის“, არსებითა შინაგანი სტრუქტურა, რომელიც აგრეთვე, მისი საზრისის საფუძველია და ამიტომ მითოსის რაობა არ აიხსნება მისი რამენაირი მიმართებით გარესამყაროსთან. შელინგი ამ თეზისის მიხედვით უარყოფს მითოსის კოსმოლოგიური, ფიზიკური ან მორალური, ფილოსოფიური ან ფილოლოგიური ახსნის შესაძლებლობას, ეს იქნებოდა მისი ახსნა გარედან, სხვა საფუძვლიდან.

შელინგის იდეალისტური დიალექტიკურ-ისტორიული სქემის მიხედვით, ცნობიერების, გონის განვითარება ირაციონალურით, სახეობით-წარმოდგენითი აზროვნებით დაიწყო და ისევ ირაციონალურით მთავრდება, უმაღლეს საფეხურზე გონი ინტელექტუალური ინტუიციის ფორმაში ხელოვნებას ახორციელებს. შელინგი ლოგიკურ აზროვნებაზე, ფილოსოფიაზე მაღლა აყენებდა ინტელექტუალურ ინტუიციას, ხელოვანის შემოქმედებით აზრით ჰერეტის. ფილოსოფიისა და ხელოვნების, ასევე ფილოსოფიის, მითოსისა და რელიგიის დამოკიდებულების შესახებ რაციონალისტი ჰეგელი შელინგის ირაციონალიზმის საპირისპირო თვალსაზრისს ავითარებდა.

შელინგი ძეველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის განუყოფელ ერთიანობაზე მიუთითებდა, რაც, მისი აზრით, მითოსით იყო ნასაზრდოები. პომეროსის პოემების შემდეგ თითქოს ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიყო პოეზია (ხელოვნება) და ფილოსოფია, რომელთა ფუნქციები გაიჩვევა იმგვარად, რომ პოეზიას ევალებოდა „ჩვენება“, ფილოსოფიას „დასაბუთება“. მაგრამ ამის მიუხედავად, შელინგის აზრით, მთელი ანტიკური ფილოსოფიის გასწვრივ პოეზია სამყაროს გააზრების შეატვრულ ფორმად დარჩა, ბრძენი ხილონი, პიტაკე და სო-

ლონი ლექსად გამოთქვამდნენ (გნომები) ეთიყურ პრინციპის
კებს, ხოლო ქსენოფანე კოლოფონელმა, პარმენიდემ და ეშვე-
ლოკლემ ფილოსოფიური პოემები შექმნეს. ამგვარად, ასეთ
პოეტურ სახეებში, შელინგის ვარაუდით, ფილოსოფიასთან
ერთად ცოცხლობდა და ვითარდებოდა მითოსი.

შელინგს მკვეთრად დაუპირისპირდა ჰეგელი, რომელმაც
მითოსი ხელოვნებისა და რელიგიის ურთიერთმიმართებაში
განიხილა, როგორც გონის განვითარების დაბალი ფორმა, ხო-
ლო ფილოსოფია გონის განვითარების უმაღლესი საფეხური
აზრის სრულყოფილ ფორმად, მისი არსების შესატყვებისად გა-
მოაცხადა. ფილოსოფიური აზრის წინაშე, ჰეგელის მიხედვით,
ქედს იხრის სამყარო თავისი დაფარული არსებით, თავისი სა-
იდუმლოებებით და მხოლოდ მას უმხელს თავის კანონზომიე-
რებას. ფილოსოფიური აზრი ძალას უკარგავს იზიდას საბურ-
ველზე წარწერილ სიტყვებს: „მე ვარ ის, რაც იყო, არის და
იქნება, არც ერთ მოკვდავს არ ძალუდს ახსნას ჩემი საბურ-
ველი“¹. ფილოსოფიური აზრი არსების მწვდომია და მისთვის
არ შეიძლება არსებობდეს პრინციპულად აუხსნელი, გაუგე-
ბარი, დაფარული. ის, რაც დღეს დაფარულია, ხვალ აისნის
თავის საბურველს, ფილოსოფიური აზრის წინაშე გამოავ-
ლენს თავის დაფარულ არსებას. ფილოსოფია იწყება ეჭვის
შეტანით, გადადის შეეჭვებით მიღწეულის გააზრებაზე და
ამთავრებს მისი დასაბუთებით. ამიტომ ჰეგელმა ფილოსო-
ფიის სახელმძღვანელო ფორმულად აქცია: Dubito, cogito,
deduco (ეჭვობ, ვაზროვნებ, ვასაბუთებ).

ჰეგელის თვალსაზრისი საყურადღიაური აზროვ-

¹ Гегель. Соч. т. 2, стр. 15.

ნების სპეციფიკის შესახებ ჩამოყალიბებულია ფილოსოფიისა, და რელიგიასთან მითოსის დამოკიდებულების გარკვევის დროს.

მითოსს, ჰეგელის აზრით, რელიგიის მსგავსად, თავის საგნად „არსება“ აქვს, მაგრამ რელიგიისაგან განსხვავებით მითოსი ფანტაზიის უნარის მქონე გონების პროდუქტია, იგი ხელოვნებასთანაა დაკავშირებული და მითში სპეციფიკურია ის, რომ სულიერი არ არის გამოყოფილი ფიზიკურისაგან!. ფილოსოფიის მიმართება მითოსთან გულისხმობს მასში წარმოდგენით სახეებში გამოსახული სუბსტანციური შინაარსის, „არსების“ აღმოჩენას. მითოსის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების ნიმუშს იძლეოდნენ ნეოპლატონიკოსები, ისინი მითებში ცნებითს ეძებდნენ. თავისთავად მითებში არ არის „სუბსტანციური არსება“ დაჭერილი, რადგან იგი მხოლოდ ცნებაში გამოითქმება, გრძნობადი წარმოდგენა კი მეტად შორს დგას მისგან. ამიტომ ვინც დეტალებში იკვლევს მითოსს და უამრავ წეს-ჩვეულებებში, მორთულობაში, რიტუალებში, მსვერპლთშეწირვაში საყოველთაოს, „არსების“ აღმოჩენას ცდილობს, უთუოდ შეცდომაში ვარდება. „არსების“ აღმოჩენა, მისი რეფლექსირება მხოლოდ მაღალ საფეხურზეა შესაძლებელი და ამას ფილოსოფია ახორციელებს მითოსისაგან ცნებითი განდგომით.

ჰეგელი იქვე შენიშნავს, რომ მითოლოგიურ სახეებში, სიმბოლოებში „მნიშვნელობაცაა“ დაჭერილი. მაგალითად, აქ მოიძებნება საყოველთაოს, მიზეზის, საწყისის მნიშვნელობა. ძველ სპარსულ მითოსში პირველსაწყისად დახასიათებულია

¹ Гегель. Соч., т. IX, стр. 78 — 81.

განუსაზღვრელი დრო, მარადიულობა, რომელსაც, დიოგენე
ლერტელის ცნობით, მართავს ორი ძალა: სიკეთისა და ბორო-
ტებისა. სპარსულ რელიგიაში ზოროასტრიზმში ორი საწყი-
სია: სინათლე და სიბნელე¹. ასევეა ფინიკიულების კოსმოგო-
ნიაში, ბერძნულ მითოსში, და ა. შ. აქ საწყისის როლში გამო-
დის ბნელი, ქაოსი, მას სკირდება მომწესრიგებელი, „გამანა-
ყოფიერებელი“ და ასეთია ჰაერი, სინათლე, როგორც სული-
ერი, ანუ „გონი“. სინათლე, როგორც სიბნელის დამძლევი და
მომწესრიგებელი, სიკეთე ბოროტებაზე გამარჯვებული ან
სულიერი, „ჰაეროვანი“ მატერიალური ქაოსის დამორჩილე-
ბელი მითოსში შეჩრწყმულია ფიზიკურთან, იგი აზრია, მაგრამ
ჯერ კიდევ გრძნობადია, არ მოუპოვებია საყოველთაობა, არ
გამოყოფილა ფიზიკურისაგან და ცნებად არ ქცეულა. ამიტომ
მითოსი არ ეხება ფილოსოფიის საგანს, იგი ვერ შევა ფილო-
სოფიის ისტორიაში, მასში მითის ფორმა აღმატებულია აზრ-
ზე, აზრი დამორჩილებული და დატყვევებულია ამ ფორმით,
ფილოსოფიამ კი ამ აზრს თავისთავალობა მოუპოვა, იგი ყვე-
ლაზე აღმატებული და თვითდამდგენი არსი აღმოჩნდა.

| მიუხედავად იმისა, რომ მითოსი დაბალი ფორმაა, ჰეგე-
ლის აზრით, ფილოსოფოსები მაინც იყენებდნენ აზრის მი-
თოლოგიურ ფორმას. მაგ., პლატონთან დიდი აღვილი უჭი-
რავთ მითებს, მითები თითქოს ალამაზებენ და ამარტივებენ
მის სტილს, მისაწვდომს ხდიან მსჯელობის წესს. ზოგიერთი
პლატონის ლირსებად მიიჩნევს მითების სიმრავლეს, მისი დია-
ლოგების მხატვრულ სტილს, ნამდვილად კი ამ ფორმას არსე-
ბითად არაფერი აქვთ საერთო მის ფილოსოფიურ თეორიას-

¹ Гегель. Соч., т. IX, стр. 79.

თან. პლატონის დიალოგი „პარმენიდე“ სრულიად თავისუფა-
ლია მითებისაგან, სიმბოლოებისაგან, შედარებისაგან, იგი
წმინდა სპეკულატური აზრის განვითარებას ემყარება. ე. ი.
პლატონისათვის მითები არსებითი კი არ არის, არამედ ისინი
გამოყენებულია სპეკულატური აზრის სიმაღლიდან ადვილად
მისაწვდომის ფორმამდე დაყვანისათვის, ის სააზროვნო მასა-
ლის მიწოდების ფორმადაა ნახმარი, აზრის უფრო მეტი მხატ-
ვრულობის, მეტი სიცხადით გამოთქმის საშუალებაა. მითი
აზრის მხატვრული გამოთქმის მანერაა, ამაში გარკვეული სი-
ლამაზეა, მაგრამ დიდი ნაკლია ის, რომ ამ შეთხვევაში იხმარე-
ბა სიმბოლოები, რაც არ არის აზრის ადექვატური. სიმბოლო,
მითური სახე ფარავს აზრის სიღრმეს, ვერ გამოთქვამს მას
მთელი სისრულით¹. ამიტომ იყო, რომ ფილოსოფიური აზ-
როვნების სტილისა და ლოგიკური ცნებითი აზროვნების განმა-
ვითარებელი არისტოტელე „მეტაფიზიკაში“ ამის შესახებ
წერდა: იმათი თვალსაზრისის, ვინც მითებით ფილოსოფოსობს,
არ ღირს სერიოზულ განხილვას დაექვემდებაროსო².

მითები მითოლოგიასა და რელიგიაში და, მეორე მხრივ,
მითები ფილოსოფიაში სრულიად სხვადასხვა ფუნქციას ას-
რულებენ აზრის მიმართ. მითოსში, უძველეს მითებში აზრი კი
არ მართავს ზოთის, ფორმას, არამედ აქ არსებითია აზროვნე-
ბის მითური ფორმა, მეორეხარისხოვანია აზრის ელემენტი. ფილოსოფიაში კი მითი გამოყენებულია უკვე არსებული აზ-
რის გამოთქმის ფორმად. „როცა ფილოსოფოსები იყენებ-
დნენ მითებს, მაშინ მეტწილად ისე ხდებოდა, რომ პირველად

¹ Гегель. Соч., т. IX, стр. 83.

² Аристотель. Метафизика, 1000 а 3.

გათ თავში მოსდიოდათ აზრი და შემდეგ ეძებდნენ მის შესახებ
ტყვის სახეს¹.

უძველეს ხალხებს პქონდათ წარმოდგენები წარმოშობასა
და მოსპობაზე, განვითარებაში წრებრუნვაზე, სიკვდილსა და
სიცოცხლეზე, არსის არარსში გადასვლაზე (ინდური რელიგი-
ები). მაგრამ ეს აზრები, ჰეგელის მიხედვით, მხოლოდ შემთხ-
ვევითი იყო, ის არ იყო ფილოსოფიური აზრის მიერ აუცი-
ლებლობით მოპოვებული. ფილოსოფიას არ შეუძლია აზრი
გახადოს თავის საგნად, თუ იგი გარეშე სუბსტრატია,
ფილოსოფია იქ იშვება, სადაც სუბსტრატი თვით აზ-
რია ფილოსოფიური აზროვნებისათვის იმანენტური, აზრი
თავისთავში განვითარებული, თავისთავშე დაფუძნებული, სა-
კუთარი კანონზომიერების მატარებელი, რომელიც ამავე
დროს მთელი სინამდვილის კანონზომიერების განმსაზღვრე-
ლიცაა.

ფილოსოფიის ამგვარი გაგებიდან გამომდინარე ჰეგელი
უარყოფს ფილოსოფიის არსებობას არა მხოლოდ მითოსისა
და რელიგიის ფორმაში, არამედ ხელოვნების, ლიტერატურის
ფორმაშიც. დიდი შემოქმედნი თუმცა აყენებენ ფილოსოფი-
ურ აზრებს, მსჯელობენ ადამიანის დანიშნულებაზე, მორალ-
ზე და ა. შ. მაგრამ არ იქნებოდა სწორი გვემსჯელა, მაგ., ეპ-
რიპიდეს, შილერის, გოეთეს ფილოსოფიაზე, ისინი ხომ ფი-
ლოსოფიურ აზრებს გამოთქვამენ მხოლოდ სხვათაშორის,
აქა-იქ, არ იყენებენ აზრის სპეციფიკურ ფორმას, — ცნებას,
მხოლოდ რომელშიც შეიძლება გამოითქვას სინამდვილის არ-
სება, რომელშიც შეიძლება დასაბუთდეს და განვითარდეს
მისი ჭეშმარიტი ყოფიერება.

¹ Гегель. Соч., т. IX, стр. 82.

ჰეგელი ფილოსოფიის არსების საკითხს იქვემდევს ფილოსოფიის საწყისის თვალსაზრისით. ფილოსოფია, მისი აზრით, იქ იწყება, სადაც „საყოველთაო ყოვლისმომცველ არსად გადაიქცევა“, ე. ი. არსი მიიწვდომება „საყოველთაობაში“; ეს არის აზროვნების საფეხური ცნობიერების განვითარებაში, საფეხური, როცა ცნობიერება განთავისუფლებულია ბუნებისაგან, მასთან დაპირისპირებისაგან, როცა მიღწეულია „თავისუფლების ცნობიერება“, ე. ი. აზრი თავისთვის ემყარება, უარყოფილია წარმოდგენითი ცნობიერება და აზრისათვის შინაგან არსად გადაქცეულია თვით აზრი, აზრი როგორც სამყაროს არსება. ამ მოთხოვნის მიხედვით, ფილოსოფია იქ იწყება, სადაც თეორიულად და პრაქტიკულად მიღწეულია ცნობიერების თავისუფლება: თეორიულად, როცა აზროვნების საგნად ცნება გადაიქცა, პრაქტიკულად, როცა მიღწეულია პიროვნების თავისუფლება, „ნამდვილი პოლიტიკური თავისუფლება“¹. ამგვარად, ფილოსოფიური ცნობიერებისათვის უპირველესი პირობა პრაქტიკულად პიროვნების, ინდივიდის თავისუფლებაა, ხოლო ამის საფუძველი, თავის მხრივ, თავისუფალი სახელმწიფოებრივი წყობილების განხორციელებაში მდგომარეობს. ვისაც ფილოსოფოსობა სურს, თავისუფლება უნდა მოიპოვოს მატერიალურისაგან, თავი უნდა იხსნას მატერიაში „ჩაძირულობისაგან“. აღმოსავლეთში განხორციელებული ცნობიერება ბუნებასთან იყო შერწყმული, გონი ბუნებასთან უშუალო ერთიანობაში იყო, ხოლო ამ ერთიანის დაშლა და ცნობიერებისათვის თავისთავადობის მიღწევა საპერძეოთში განხორციელდა, აქ მოიპოვა გონმა თავისუფლება, ფილოსოფიამ თავისთავადობა.

¹ Гегель. Соч. т. IX, стр. 89.

ჰეგელი გადაჭრით უარყოფს აღმოსავლეთში ფილოსოფიას რენაციის შესაძლებლობას, მის ბოლოსავლურ საწყისს, იმ საფუძვლით, რომ აღმოსავლეთის ხალხები ვერ აღწევენ თავისუფლებას „თავისოფის“, მათი ნება განსაზღვრულია დესპოტიზმის ბატონობით, რომელმაც ადამიანები ორ ჯგუფად გაჰყო: ბატონებად და მონებად და ჩაუნერგა დესპოტიზმის შიში. შიში მორჩილებას მოითხოვს, მორჩილების ცნობიერება რელიგიაა, ამიტომ ჰეგელი ფიქრობდა, რომ აღმოსავლეთი ვერ განთავისუფლდა რელიგიური ცნობიერებისაგან, რომლის განსაზღვრული საგანი ვერ ამაღლდა განუსაზღვრელის, აბსტრაქტულის გაცნობიერებამდე, ფილოსოფიურ ცნობიერებამდე. დესპოტიზმის პირობებში შიშის ცნობიერება ბატონობს როგორც მონაზე, ისე ბატონზე, ბატონი ბატონობს შიშის საშუალებით, ისიც შიშით არის განსაზღვრული და ამიტომ არაა თავისუფალი. აღმოსავლეთში იწყებს გონი მოღვაწეობას, მაგრამ არა თავისუფლებით, არა შემეცნებით, ფილოსოფიით, არამედ რელიგიით, შეზღუდული, წარმოდგენებული ჩავეტილი აზროვნებით. ამას გარდა აღმოსავლეთში არ არსებობდა პიროვნება, სუბიექტი ვერ განვითარდა ინდივიდად, ინდივიდი პიროვნებად. აღმოსავლეთში თუმცა სახელმწიფო განვითარდა, ამასთან დაკავშირებით განვითარდა სამართალი და ზნეობა, მაგრამ ყოველივე ეს ატარებდა პატრიარქალურ, „ბუნებისეულ“ ხასიათს, ყოველივე ცხადდებოდა ბუნების წესრიგად, არ არსებობდა სინდისი და მორალი!, იმ გაგებით, რომ აზრი ეხებოდა მხოლოდ საგნობრივს, ობიექტურს. ამიტომ აღმოსავლეთის აზროვნება ვერ ამაღლდა ფილოსოფიას

¹ Гегель. Соч. т. IX, стр. 92.

ამდე და ჰეგელთან აღმოსავლეთის ხალხების ფილოსოფიური შეხედულებები ფილოსოფიის ისტორიის გარეთ დარჩა. ფილოსოფიის საწყისი ჰეგელმა დასავლეთს დაუკავშირა, საბერძნეთს. მისი აზრით, დასავლეთში ამოვიდა თვითცნობიერების „თავისუფლების მზე“; აქ მიაღწია გონია პოლიტიკისა და თეორიული აზროვნების სფეროში „თავისუფლებას“, მაგრამ ეს თავისუფლება როდია განუსაზღვრელი. საბერძნეთში თუმცა მონობა იყო, სახელმწიფო დამყარებული იყო მონობის ინსტიტუტზე, მაგრამ თავისუფლების განხორციელების პირობა მაინც არსებობდა, არ იყო დესპოტიზმი. განხორციელებული იყო მონათმფლობელთა თავისუფლება, თავისუფლება არა საყოველთაო, არამედ ნაწილობრივი. საბერძნეთში თავისუფლება არსებობდა გარკვეულ საზღვრებში, ამის შემდეგ რომაულსა და გერმანელი ხალხების ისტორიაში გონი აღწევს თავისუფლების უფრო მაღალსა და, ბოლოს, უმაღლეს ხარისხს.

ჰეგელის ფილოსოფიის ისტორიული კონცეფცია ყალბიდეალისტურ საფუძველზეა აგებული, მაგრამ მასში მრავლადაა რაციონალური მარცვლები, რადგან ამ კონცეფციის აგების მეთოდი დიალექტიკურია თავისი არსებით, განვითარების ისტორიული პროცესის მიხედვით გააზრებული. ამ მეთოდის ვამოყენებით შეძლო ჰეგელმა ფილოსოფიის ისტორია მეცნიერებად ექცია, იმდროინდელი მეცნიერების დონეზე საფუძვლიანად გაერჩია ფილოსოფიის მიმართება ემპირიულ მეცნიერებებთან და რელიგიურ-მითოლოგიურ მსოფლმხედველობასთან, მიეთითებინა, მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე. ამგვარად, ფილოსოფია ცნებითი აზროვნების სფეროთი შემოიფარგლა, რომლის საგანია არსება, ხოლო მისი შე-

მეცნების პროცესი ლოგიკურია, აზრის ნამდვილი ფილოსოფიური-ისტორიული-განვითარების პროცესის შესაბამისი.

ამასთან ერთად ჰეგელის მიერ განხილული ფილოსოფიის ისტორიული განვითარების პროცესი წმინდა აზრის განვითარების, წმინდა იდეების ურთიერთიდან გამომდინარეობის, თეორიათა ლოგიკური მიმდევრობის პროცესზეა არსებითად დაყვანილი და ამით გაყალბებულია ფილოსოფიური აზრის რეალური ისტორია. თუმცა ჰეგელი ხშირად იმარჯვებს დებულებას ფილოსოფიის კავშირის შესახებ ისტორიულ პირობებთან, მაგრამ მისთვის თვით ისტორიულ მოვლენათა მონაცვლეობაც და აზრის განვითარებაც მიზნობრივად მოქმედი აბსოლუტური გონის იმანენტური განვითარების შედეგია, განვითარება ცალსახაა, ერთგანზომილებიანია. ამიტომ არის, რომ გონის განვითარების ისტორიაში უნდა ურთიერთ მონაცვლეობდნენ ხელოვნება, რელიგია და ფილოსოფია. ყოველი წინა საფეხური მოხსნილია მომდევნოში, თუმცა შენახულიც დიალექტიყის მოთხოვნის ძალით, მაგრამ ეს შენახვა ჰეგელთან ყოველივე იდეალურად ყოფნაა, აბსოლუტური იდეის განხორციელებაა, საბოლოო მიზნის მიღწევის, აბსოლუტური კეშმარიტების მოპოვების, ფილოსოფიური ცნებითი შემცნების სრულყოფის საშუალებაა.

ჰეგელმა ფილოსოფიური შემცნების უნარი სპეციფიკური დასავლური ცნობიერების კუთვნილებად გამოაცხადა და ოღონისავლური ცნობიერების უმაღლეს მიღწევად რელიგია მიიჩნია. ამ კონცეფციით ჰეგელმა საფუძველი ჩაუყარა ე. წ. ევროპოუნიტრიზმს და ფილოსოფიის საწყისი მხოლოდ ბერძნული სამყაროს მიღწევად ჩათვალა. უარყო აღმოსავლეთში ფილოსოფიური აზრის განვითარების შესაძლებლობა, რო-

გორც წმინდა თეორიული სპექტატური მოსაზრებით, ისე
სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლით. ჰეგელის მტკიცე-
ბით აღმოსავლეთის დესპოტიზმი სრულიად საპირისპიროა პი-
როვნების თავისუფლებისა, ხოლო ასეთი თავისუფლების გა-
რეშე, აზრის მატერიალურის ტყვეობიდან განთავისუფლების
გარეშე, ვერ მიიღწევაო ფილოსოფია მისი საკუთრივი მნიშ-
ვნელობით.

ევროპოცენტრიზმი ფილოსოფიის ისტორიაში დაგმობი-
ბილია მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან; ევროპოცენტ-
რიზმის საწინააღმდეგოდ მარქსისტულ პრინციპებზე აგებული
ფილოსოფიის ისტორია მოითხოვს როგორც აღმოსავლეთის,
ისე დასავლეთის აზროვნების საფუძვლიან კვლევას და მათი
სპეციფიკის გათვალისწინებას. აღმოსავლეთში, ძველ ინდო-
ეთსა და ჩინეთში გავლილია ფილოსოფიის განვითარების
თავისებური რთული გზა. აღნიშნულ ქვეყნებში ბერძნული
მითოსისა და ფილოსოფიის მიმართების განსხვავებული
ფორმები ჩამოყალიბდა, რომლებმაც თავისებურად განსაზღ-
ვრეს ფილოსოფიური აზრის შემდგომი განვითარების სპეცი-
ფიკა. თუმცა ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური საბერძნე-
თის ფილოსოფიის განვითარებაში ერთიადა იგივე ზოგადი კა-
ნონზომიერებაა, რამდენადაც დგება ფილოსოფიის ძირითა-
დი საკითხი და მის მიხედვით გაჩნდა ორი ტენდენცია, მიმარ-
თულება, მაგრამ აუცილებელია ამ ზოგადის კონკრეტიზაციის
ფორმების სპეციალური შესწავლა. ამ მოთხოვნის მიხედვით,
საჭიროა ფილოსოფიის საწყისის საკითხის სპეციალური შეს-
წავლა ანტიკური საბერძნეთის პირობებში და იმ განსხვავე-
ბის დაქვერა, რაც ძველი ჩინური და ინდური ფილოსოფიის
საწყისის სახით გვევლინება. დღეს სადაოდ არ ითვლება, რომ

ანტიკურ ფილოსოფიაში, — რაც ბერძნულ-რომაული ფილოსოფიის სინონიმს წარმოადგენს, — ფილოსოფიის საწყისი აღმოსავლეთის ფილოსოფიის აზროვნებასთან მიმართებაში განსხვავებულია, კერძოდ, სპეციფიკურად დაისვა ძველ საბერძნეთში ფილოსოფიური ასპექტით სუბსტანციის, საწყისის, ანუ არსის პრობლემა.

თავი 4. ძველი აღმოსავლეთის მითოსისა და ფილოსოფიის ზესახებ

თანამედროვე მეცნიერების დონეზე უკვე დადგენილად ითვლება მსოფლიო კულტურის შემოქმედი ძველი ხალხების როგორც მატერიალურ-ისტორიული, ისე სულიერი, კულტურულ-ისტორიული განვითარების ერთიანი გზის არსებობა, მათი მითოლოგიური, რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საერთო ნიშნები. ეროვნულ სპეციფიკურში განხორციელდა საკაცობრიო განვითარების საერთო კანონზომიერებანი, რომლებიც ეფუძნებიან ისტორიული მატერიალიზმის მიერ დადგენილ საზოგადოების განვითარების უზოგადეს კანონს — მატერიალური წარმოების მამოძრავებელ კანონს. ამ ობიექტურის გარდა მოქმედებდა სუბიექტური ფაქტორი, ადამიანური შემეცნების, ცნობიერების, ფსიქიკური სტრუქტურის განვითარებაში ჩამოყალიბებული სუბიექტური კანონზომიერება, რომლის ძალით, იმის მიუხედავად, თუ ძველი სამყაროს რომელი ხალხის ეკონომიკური ურთიერთობებს მიეკუთვნებოდა ადამიანი, იგი ბუნებასთან მიმართებაში სტიქიური ძალების შემეცნების, სინამდვილის აზროვ-

ნებითი დაუფლების ერთიან წესს ემორჩილებოდა. ცხოვრობდა აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, ადამიანი დაახლოებით ერთნაირად იაზრებდა წყალს როგორც არსებობის საფუძველს, სიცოცხლის სათავესა და წყაროს. კოსმოსის წარმოშობის პირვანდელი თვალსაზრისი თითქმის ერთნაირად ჩამოყალიბდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ადამიანთა ცნობიერებაში. ძველი ეგვიპტელები, შუმერები, ინდოელები, ჩინელები და ბერძნები სამყაროს შესახებ პირვანდელი თვალსაზრისის შემუშავებისას დასაბამად წყალს მიიჩნევდნენ. მაგრამ ცნობიერებაში გადატეხილი ეს ელემენტი აზროვნების სულ სხვადასხვა დონის შედეგს წარმოადგენდა: ერთ შემთხვევაში წყალი მითოლოგიურ-რელიგიური ფანტაზიის ნაყოფი, ღვთაების სახით დარჩა და მისი შემდგომი აზრისეული დამუშავება ვეღარ განხორციელდა, მეორე შემთხვევაში კი წყლის გაგებამ ცნების დონეს მიაღწია, აბსტრაქტული აზრის პროფექტად იქცა, რომლის შინაარსი ის აღმოჩნდა, რომ იგი ყოველი არსებულის გარდაქმნისა და უოფირების საფუძვლად, საყოველთაო-ნივთიერ საწყისად, სუბსტანციად გამოცხადდა (ძველი ბერძნები).

ამრიგად, ფილოსოფიური აზრის განვითარების ერთიანი კანონზომიერება ფაქტია, მაგრამ მისი აბსოლუტიზაცია შეცდომა იქნებოდა, თუ ამავე დროს არ არის გათვალისწინებული ერის, ხალხის თავისებურებანი, მისი ტრადიციები, ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა, გეოგრაფიული პირობები და ა. შ.

სპეციალისტ მეცნიერთა მიერ კარგად არის შესწავლილი და გარევეული ის გარემოება, თუ ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის კულტურების განვითარებაში რატომ ვერ განხორციელდა გადასცლა მითოსიდან ფილოსოფიაზე, იმის მიუხედა-

გად, რომ იქ თითქოს თეორიულად საკმაო საფუძველი არსებობდა ფილოსოფიის განვითარებისათვის.

ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში სამყაროს, მისი წარმოშობისა და წყობის საკმაოდ ღრმა გაცემის მიუხედავად ვერ ვიმსჯელებთ ამ ქვეყნების ხალხის ფილოსოფიურ მოძღვრებებზე. აქ შეიქმნა მარტოოდენ ერთდაგვარი „მარცვლები“, რომელ თაც ერთიანი მოძღვრების სახე ვერ მიიღეს, და მხოლოდ გამოსადევნი გახდნენ სხვა პირობებში ასეთ მოძღვრებათა შემუშავებისათვის.

თუმცა ზოგიერთი მკვლევარი იცავს აზრს ძველი ეგვიპტის ფილოსოფიის ფაქტიური არსებობის შესახებ, მატერიალისტური ფილოსოფიის საწყისებზეც კი მსჯელობს (მაგ. ი. ფრანცევი, ა. დობროვიჩი და სხვ.)¹, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი სპეციალისტებს აფიქრებინებს აღნიშნულ ქვეყნებში რელიგიური და მითოლოგიური მსოფლმხედველობიდან ფილოსოფიურზე გადასვლის შეუძლებლობას. ეს არის ძველ ბაბილონსა და ეგვიპტეში ქურუმთა კასტის ბატონობა, რომლებიც განაგებდნენ საზოგადოების თეორიულ-სულიერ საქმიანობას, ხოლო მათ თავისი კლასობრივი მდგომარეობისა და თეორიული მიზანდასახულობათა გამო არ შეეძლოთ რელიგიისაგან განთავისუფლება და ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლა. „შუმერულ-ბაბილონური და ეგვიპტური კულტურა, მსგავსად მთელი ძველი მახლობელი აღმოსავლეთის სულიერი კულტურისა, ვერ მომწიფდა აქ ფილოსოფიის როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების სპეციფიკუ-

¹ იხ. მაგ., Ю. П. Францев. У истоков религии и свободомыслия. М., 1959.

რი ფორმის წარმოშობისათვის. ამის ხელის შემუღების დროის სოციალურ-იდეოლოგიური მიზეზები¹.

ანგარიშგასაწევია მ. შახნოვიჩის მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში ფილოსოფიის ჩამოყალიბება შეუძლებელი გახდა იმის გამოც, რომ იქ ასტრონომია მითოსის ტყვეობაში დარჩა, ე. ი. ვერ მოხდა მეცნიერების გამოყოფა მითოსისა და რელიგიისაგან, ასტრონომია შერწყმული იყო ასტროლოგიასთან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პირველი ფილოსოფოსები სამყაროს ახსნას ციური სამყაროს კვლევას უკავშირებდნენ, ხოლო ცოდნის ამ დარგში ძველი ოღონისავლეთის ამ ქვეყნებმა თავი ვერ დააღწიეს ასტროლოგიას, მისტიკურ მოძღვრებას ვარსკვლავთა შესახებ, რომელნიც თითქოს განაგებენ ადამიანთა ბედს, ხალხის მომავალს, ბუნების კანონებს და სხვ. ასეთი თვალსაზრისი, ცხადია შეუძლებელს ხდიდა სინამდვილე ახსნილიყო თავისი თავიდან, მისტიკური ძალების გარეშე, მატერიალურიდან ან იდეალურიდან. ამის შესახებ ჯერ კიდევ პლუტარქე წერდა, რომ ცრურწმენა შეუძლებელს ხდიდა ადამიანებს გამოეკვლიათ ბუნების ძალები და მათ ღმერთების სახე მიიღეს. ცრურწმენა უშლიდა ხელს ციური სამყაროს შესახებ მეცნიერების შექმნას, ასტროლოგიიდან ასტრონომიაზე, კოსმოლოგიაზე გადასვლას.

ძველი ოღონისავლეთის აზროვნებას ახასიათებს მჭიდრო კავშირი ცის კულტთან, რამაც გარკვეული სოციალური წყობის პირობებში რელიგიისა და მითოსისაგან ფილოსოფიური აზროვნების ემანსიპაცია შეუძლებელი გახადა, ამიტომ

¹ История античной диалектики. М., 1972, стр. 11.

ვმსჯელობთ ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის ფილოსოფის „მარცვლებზე“, „ნამცეცებზე“, ხოლო, რაც შეეხება ძველი ჩინეთისა და ინდოეთის ფილოსოფიურ თეორიებს, თუმცა, მათ შინაგანი და ორგანული კავშირი არ გაუწყვეტიათ რელიგიურ-მითოლოგიურ აზროვნებასთან, მაგრამ ამ უკანასკნელს დაქვემდებარებული როლი დაკისრა სამყაროს ახსნის ფილოსოფიური ამოცანის წინაშე. ფილოსოფიის კავშირი რელიგიასა და მითოსთან უდაოდ ხელის შემშლელია სინამდვილის მეცნიერულ ახსნაში და სწორედ მასთან კავშირს აღმოსავლეთის აზროვნებამ, თვით ძველმა ჩინურმა და ინდურმა ფილოსოფიამ არსებითად თავი ვერ დააღწია. ეს სპეციფიკური თავისებურებაა ძველი ჩინური და ინდური ფილოსოფიისა და ამის გამო იყო, რომ დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ისტორიკოსთა უმრავლესობა უარყოფდა კიდეც აღმოსავლეთში საერთოდ ფილოსოფიის არსებობას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (ჰეგელი), ზოგი კი მისტიკასთან ფილოსოფიის გაიგივებით, ფილოსოფიისა და რელიგიის შერწყმის კონცეფციით აღმოსავლური ფილოსოფიის პოლოგეტის როლში გამოდიოდა (შოპენბაუერი)¹.

¹ ფილოსოფიის ისტორიაში ჰეგელის შემდეგ გაბატონებულ ევროპუნიტრიზმს მალე დაუპირისპირდა ორიენტალიზმი (აღმოსავლეთ ცენტრიზმი). მაგრამ ორივე მიმართულება საბოლოოდ აღმოსავლური ჭილოსოფიის უარყოფამდე მივიდა. ორიენტალიზმი აღმოსავლურ აზროვნებას აფასებს როგორც ირაკიონალურს, მისტიკურ-რელიგიურს, ე. წ. აზიური აზროვნების პრიორიტეტის მტკიცება ემყარება რელიგიურ ფანატიზმს და აღმოსავლეთის ეგზოტიკასთან დაკავშირებული განსაკუთრებულ სპირიტუალისტურ ბუნებაზე მითითებას. 1959 წ. პონოლულუში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილოსოფოსთა III საერთაშორისო კონფერენციაზე მიღიბული იქნა შეთანხმევ, ფილოსოფიური პრიორიტეტის პრობლემის

როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მეცნიერება მკვლევართა დიდი უმრავლესობა ამჟამად იცავს თვალსაზრისს მითოლოგიურ-რელიგიურისაგან ფილოსოფიის გამიჯვნის აუცილებლობის შესახებ, რომ სამყაროს ახსნის ფილოსოფიური წესი და მითოლოგიურ-რელიგიური მიღვომა არსებითად განსხვავებულია, რომელმაც ძველ საბერძნეთში უკვე მათი მკვეთრი დაპირისპირების სახე მიიღო. თუმცა აღმოსავლეთში ეს განსხვავება არ განვითარებულა დაპირისპირებად, წინააღმდეგობად, მაგრამ იქ ფილოსოფიამ შეძლო დაემორჩილებინა და ამ სახით შეეთვისებინა მითოლოგიურ-რელიგიური. აღმოსავლეთის ფილოსოფიის ამგვარი თავისებურების ახსნის მიზეზი, ცხადია, დასავლეთისაგან განსხვავებული საზოგადოებრივი ყოფითა და ამით განსაზღვრული საერთო კულტურულ-მეცნიერული დონით აიხსნება. ამ საერთო მიზეზთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნას აღმოსავლეთში ფილოსოფიურ მეცნიერებათა ჩამოყალიბების სუბიექტური მხარეც, ის, თუ ვინ იყვნენ ამ მოძღვრებათა შემოქმედა სწავლულნი; ისინი ქურუმები, ხშირად წმინდანებად მიჩნეული სუბიექტები იყვნენ, რომელთა მოძღვრების გავრცელებისას მათ ირგვლივ იქმნებოდა სწავლულთა კასტა და მოძღვარი მათ თვალში წმინდანის, ღვთაებრივი არსების დონემდე ამაღლდებოდა. ამ სახით გავრცელებული თეორიები ხალხში ღვთიური სიბრძნის სახელს იხვეჭდნენ და ამგვარად, ძველი

მოხსნის თაობაზე, ამ მოტივით, რომ ინდურ-ჩინური და ბერძნულ-რომაული (აღმოსავლეთისა და დასავლეთის) ფილოსოფია არსებითად ერთ დროში და ერთი კანონზომიერებით ვითარდებოდა, მათი სეციფიკური სხვაობის მიუხედავად (იხ. W. Ruben. Vorstellungen über Entwicklung und Bewegung in der altindischen Philosophie. Veränderung und Entwicklung, Berlin. 1974.

აღმოსავლეთის ფილისოფიურ თეორიებში მეცნიერულ დებარება და არსთან შეთავსებული რჩებოდა საქმაოდ ძლიერი საკრალური, მისტიკურ-რელიგიური მხარეები.

ქველი ინდოეთის, ჩინეთის და საბერძნეთის ხალხების ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებას წინ უძლოდა მითოსისა და რელიგიის ბატონობის პერიოდი // ზოგადი დახასიათებით, გვაროვნულ წყობილებას შეესაბამებოდა მითოლოგიური მსოფლმხედველობა, ხოლო მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბებას უკავშირდება ფილოსოფიური აზროვნების განვითარება. ქველი აღმოსავლეთის ქვეყნებში საზოგადოებრივი ცხოვრების წესი განსხვავდებოდა ანტიკური სამყაროს ადამიანთა ცხოვრების წესისაგან, და ამიტომ სულიერი-იდეოლოგიური პროცესებიც სპეციფიკურ ფორმებში მიმდინარეობდა. ცნობილია, რომ მონათმფლობელური წყობილების კლასიკური ფორმა საბერძნეთ-რომის სახელმწიფოებში განხორციელდა, და მას კ. მარქსმა „ანტიკური წარმოების წესი“ უწოდა, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, მონობის სოციალური ორგანიზაციის ჩამოყალიბების მიუხედავად, მონობა, როგორც ფაქტი, არსებით გავლენას არ ახდენდა ამ ქვეყნების წარმოების წესზე და ამიტომ კ. მარქსმა მას ანტიკურისაგან განსხვავებით, „აზიური წარმოების წესი“ უწოდა. მონის შრომა აღმოსავლეთის ქვეყნებში არ წარმოადგენდა საზოგადოებრივი წარმოების ძირითად მხარეს, იგი შეთავსებული იყო სამეურნეო წარმოების თემურ ურთიერთობებთან. როგორც სპეციალისტთა მიერ დასაბუთებულია, აღმოსავლეთში

¹ აკად. შ. ნუცუბიძის ვარაუდით, ქართული ფილოსოფიის ისტორიასაც ქვე თავისი მითოლოგიური წანამძღვრები. იხ. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, გვ. 36 — 64, 1956.

მიწაზე გერძო საკუთრება ვერ ჩამოყალიბდა კლასობრივი წყობილების აღრეულ საფეხურზე იმ მიზეზის გამო, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში მიწათმოქმედება დაკავშირებული იყო ხელოვნურ მორწყვასთან, რაც ოემის სიმკვიდრის საფუძვლად იქცა მონათმფლობელობის განვითარების პირობებშიც და აუცილებელი გახდა ამ ორი ურთიერთობის, გვაროვნულ-თემურისა და კლასობრივი დიფერენციაციის, თავისებური შერწყმა.

ამრიგად, „აზიური წარმოების წესი“ თავის მომენტად გულისხმობდა კლასობრივ ურთიერთობებში გვაროვნულის შემონახვას, უფრო მეტიც, კასტური წყობის სახით ფეოდალურ ურთიერთობათა აღრეული ფორმის ჩამოყალიბებას. ამიტომ ამ წესის დროს არსებობდა და ვითარდებოდა ძველი მითოლოგიურ-რელიგიური და ახალი, — ფალოსოფიური აზრი (ვედები). ძველი აღმოსავლეთის აზროვნებაში რელიგიური იმთავითვე შეთავსებული დარჩა მეცნიერულ აზროვნებასთან და ამიტომ იყო, რომ ფილოსოფიური აზრი მთლიანად ვერ განთავისუფლდა მითოსისა და რელიგიისაგან. რელიგია აქ იმდენად დიდ როლს ასრულებდა და მას ისე მძლავრად განაპირობებდა სოციალური ურთიერთობანი, რომ კ. მარქსმა ენგელსისადმი წერილში (1853 წ.) პირდაპირ დააყენა საკითხი: „რატომ დებულობს აღმოსავლეთის ისტორია რელიგიის ისტორიის სახესო“¹.

ფილოსოფია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ახალი ფორმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ძველ ინდოეთში, ჩინეთსა და საბერძნეთში. განსხვავებით ბერ-

¹ К. Маркс, Ф. Энгельс. Избранные письма. М., 1947, стр. 73.

ძნული ფილოსოფიისაგან, ჩინეთსა და ინდოეთში ფილოსოფიური აზრის რელიგიურისაგან ემანსიპაცია მეტად გაძნელდა, თუმცა ფილოსოფიამ გარკვეულ თავისთავადობას მაინც მიაღწია. ეს დიდ წარმატებას მოასწავებდა ძველ ეგვიპტესა და ბაბილონთან შედარებით, სადაც, როგორც ზემოთ ითქვა მხოლოდ ფილოსოფიური აზრის ჩანასახები არსებობდა რომლის განთავისუფლება რელიგიისაგან და დამოუკიდებელ მოძღვრებად განვითარება შეუძლებელი აღმოჩნდა.

თავი 5. ძველი ინდური მითოსი და უმთავრესი ცილოსოციური საოლები

§ 1. ძველი ინდური მითოსი

 ძველი ინდოეთის კულტურა მსოფლიო კულტურის უძველეს ხალხთა ისტორიაში იმ პრიორიტეტით ხასიათდება, რომ სწორედ აქ ჩამოყალიბდა მითოლოგიურ-რელიგიური მსოფლმხედველობის მაღალი ფორმა, რომელმაც განსაზღვრა მითოსიდან ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლისა და ფილოსოფიური სკოლების ჩამოყალიბების რთული ისტორიული პროცესი.

 ძველი ინდური მითოსი იმთავითვე რელიგიასა და ფილოსოფიის ელემენტებთან შერწყმული სახით ვედების შექმნის პროცესში გაფორმდა და ეს იმ დროიდან მოხდა, როცა ეპროპილან წამოსულმა არიელმა ტომებმა მდინარე ინდის სანაპიროები დაიკავეს, ადგილობრივ ტომებს თავს მოახვიეს თა-

ვისი კულტურა, ჰიმნები და რიტუალები, რომლებიც შემდეგ
ვედებათ გამოცხადდნენ და საკრალური მნიშვნელობა შეი-
ძინეს².

ვედები ინდოეთის ფილოსოფიის თეორიულ წანამძღვრე-
ბად ითვლება და მათ ამავე დროს ლიტერატურულ წყაროთა
მნიშვნელობა აქვთ ძველი ინდური მითოლოგიის, რელიგიისა
და ფილოსოფიის საწყისების შესასწავლად ქრისტიანულ
ვედებს მათი შექმნის ისტორიული თანმიმდევრობის მიხედ-
ვით ოთხ ჯგუფად ყოფენ, რომელთაგან უძველესად ითვლება
სამჰიტა, ხოლო ბრაჰმანები, არანიაკები და უპანიშადები
გაცილებით გვიან შექმნილი კომენტარები და დამატებანია
სამჰიტასი. ვედები თავიანთი საკუთრივი მნიშვნელობით
სამჰიტა, ხოლო დანარჩენ სამ ჯგუფთან ერთად შეადგენენ
ვედური ლიტერატურის კომპლექსს³. სამჰიტა 4 კრებული-
საგანაა შედგენილი: რიგ, სამ, იაჯურ, ათარვ-ვედა. თმთოეულ
ამ კრებულს შეესაბამება თავისი ბრაჰმანები, არანიაკები და
უპანიშადები. ასევე თითოეულ ბრაჰმანას შეესაბამება თავისი
უპანიშადები და არანიაკები და ა. შ., ამიტომ ვედებს ზოგჯერ
სამჰიტას სტრუქტურით ჰყოფენ.

¹ „ვედა“ სანსკრიტიდან „ცოდნად“ ითარგმნება, მაგრამ ეს არ შეე-
სატყვისება ცოდნის თანამედროვე გაგებას. ეს იყო „ცოდნა“ იმ ეპოქისათ-
ვის, როცა ცოდნად ითვლებოდა ჰიმნები, ლოცვანი, მსხვერპლთშეწირვისა
და შეჩენების წესები, მითები.

² С. Радхакришнан. Индийская философия. Т. I. М., 1956, стр. 50.

³ Древнеиндийская философия М., 1963, стр. 6.

⁴ იქვე „ბრაჰმანს“ სხვადასხვა მნიშვნელობანი აქვს. ამ სახელითაა აღ-
ნიშნული ვედების ნაწილი, ქურუმი, ვედების ერთ-ერთი ღმერთი, ტრანსცენ-
დენტური წარმართველი ძალა (იხ. В. В. Бродов, Индийская филосо-
фия нового времени, М., 1967, стр. 27-).

ცედების შექმნის თარიღიდან მიიჩნევენ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდის (არა უგვიანეს I ათასწლეულისა) კუცელაზე უძველესი და მოცულობით დიდია რიგ-ვედა¹. ეს ჰიმნების კრებული („რიგ“-ჰიმნი) შეიცავს 10 წიგნს და ითვლება ძველ ინდოელთა კოლექტიურ შემოქმედებად. რიგი-ვედა ხოტბას ასხამს ღმერთებს, ბუნების ძალებს. დანარჩენი ვედები ნაკლები თავისთავიდობით ხასიათდებიან და შედარებით ახალი შექმნილი არიან. მაგალითად, სამა-ვედა სიმღერების ვედაა (მელოდიები სრულდებოდა რიგ-ვედას ლექსის თანხლებით), იაჯური-ვედა—მსხვერპლთშეწირვისა, ხოლო „ათარგვედა“ — წყვევლის ვედები, რომელთაც ახლდა დაგმობა-შელოცვის ჰიმნები.

რიგ-ვედის ღმერთები ბუნების ძალების იგივეობრივნი არიან. ვედების შემთხველნი ბუნების მოვლენებსა და საგნებს პოეტური განცდებით აღიქვამენ, გასულიერებულად წარმოსახვენ ვედებში გამოხატულია ბუნებისადმი დიდა სიყვარულის გრძნობა, აღფრთვანება მზის ჩასვლისა და ამოსვლის საცრებით, იმ საიდუმლოებით მოცული მოვლენებით, რომლებშიც დანახულია სულისა და ბუნების ერთიანობა. ვედებში წარმოსახულ, მითურ, ცოცხალ, გასულიერებულ ბუნებასთან ადამიანი შერწყმულად გრძნობდა თავს და ბუნებაც თითქოს უხსნიდა საიდუმლოების კარებს, ციურ მოვლენებს უგზავნიდა თითქოს ციური სარკმლიდან, მიწისაკენ მიმართავდა მზესა და მთვარეს, ვარსკვლავებს, აისსა და დაისს

ძველი ინდოელების მითოსი, ს. რადპაკრიშნანის მიხედვით, უაღრესად ოპტიმისტურია. მისი შემოქმედი ადამიანები კო-

¹ რიგ-ვედას მოცულობით ადარებენ „ილიადას“ და „ოდისეას“ ერთად აღებულს.

ველ მოვლენაში ღმერთის წარმოსახვის დროს იმედიანად გრძნობენ თავს, მათ ბუნებრივ მოვლენათა ქაოსში ესმით ღმერთის ხმა და სულს სიმშვიდე ეუფლება, საშინელი საფრთხისაგან მათ თითქოს ღმერთები იცავენ¹. მითურ არსებებთან ერთიანობაში, მითოლოგიური ღმერთის იმედით ადამიანს თითქოს შეეძლო დაეძლია შიში ბუნების სტიქიების წინაშე.

ძველი ინდოელის ცნობიერებაში არსებითად იმავე გზით დაიწყო მითოლოგიური მსოფლმხედველობის შემუშავება, როგორც ჩინელი ან ბერძენ-რომაელი ხალხისა. ძველი ინდოელის ცნობიერებამაც შექმნა ფანტასტიკური წარმოდგენება მრავალმერთიანობის მითური სამყაროს შესახებ. თავდაპირველად ეს მითოლოგიური პოლითეიზმი არ არჩევდა ღმერთსა და ბუნებას, ადამიანსა და ღმერთს. ინდური მითოსის პირველ საფეხურს ს. რადჰაკრიშნანი „ნატურალისტურ პოლითეიზმს“ უწოდებს და მისი ანალიზით იმ დასკვნამდე მიდის, რომ აზროვნების ამ ფორმაში უკვე იღვა მიზეზთა ძიების საკითხით. წ. ეტიოლოგიური მიდგომა სინამდვილისადმი უკვე ჩანს აღრეულ ვედებში—რიგ-ვედაში. ამავე თვალსაზრისს იცავს საბჭოთა მკვლევარი, ძველი ინდური ტექსტების გამომცემელი ვ. ვ. ბროდოვი. მისი აზრით, რიგ-ვედა უკვე შეიცავს ფილოსოფიური აზროვნების მომენტებს, რიგ-ვედის პიმნებში ჩანს ძველი ინდოელების ცდა მისწვდნენ „არსის საიდუმლოებას“. ამ პიმნების ავტორები კითხვას ასე სვამენ: „რატომაა, რომ მზე, რომელსაც საყრდენი არა აქვს და არც არაფერზეა მიმაგრებული, ძირს არ ვარდება? „სად არის მზე ღამით?“ „სად შეიძლება ვიგულოთ ვარსკვლავები დღისით?“². ასეთნაირი

¹ С. Радхакришнан. Индийская философия, Т. I, стр. 58.

² Древнеиндийская философия. М., 1963, стр. 12.

კითხვები, ცხადია, უკვე ნიშნავს მიზეზ-შედეგობრივი ქავშია რების ძებას.

აკად. გ. ახვლედიანის მიერ თარგმნილი კოსმოლოგიურ-ფილოსოფიური შინაარსის რიგ-ვედაში, I, 185 — „ქება ცისა და დედამიწისადმი“ — ვკითხულობთ:

„1. რომელია ამათგან აღრინდელი, რომელი — გვან-დელი? როგორ წარმოიქმნენ ისინი, წინასწარ-მეტყველონ? ვინ უწყის ეგვ ნამდვილი? ცაში და დედამიწაზე ყოველივე, რაც რამ სახელდებულია. ორივე ბრუნავს დღე-ღამ, ვითარ-ცა ბორბალი“¹.

უფრო ღრმა ფილოსოფიური შინაარსის ამოკითხვა შეიძლება კოსმოლოგიურ ჰიმნში ნივთთა დასაბამის შესახებ (რიგ-ვედა, X, 129).

„1. მასშინა არ იყო რა: არცა ყოფნა და არცა არყოფნა.

არ იყო სიერცე, არც სააქაო, არც საიქაო...

რით იფარვოდა ყოველივე ან რა იძეროდა?

ვინ ფლობდა წყალსა და უფსერულ სიღრმეთ?

2. არ იყო მაშინ არც სიკედილი და არც სიცოცხლე.

არ იყო მაშინ დღისა და ღამის სხვადასხვაობა,

მხოლოდ სუნთქვადა თავისთვად ერთი, ურჩევი ქარ-ნიავთაგან; არა რა იყო თვინიერ მისა.

3. წყველიადი იყო წლელიადითვე გარემოცული,

თვალშეუდგამი წყალი იყო ეს ყოველივე.

სადაც არა რას გარსერტყმოდა არარაობა,

იქ წარმოიქმნა სითბოსავან ერთი ი“².

¹ ორი ქება რიგ-ვედადან. თარგ. გ. ახვლედიანისა. „მნათობი“, 1958, № 8, გვ. 25.

² იქვე, გვ. 26.

„ქებაში“ გრძელდება მსჯელობა სამყაროს ქაოსური სა-
წყისის, როგორც არსისა და არარსის ერთიანობის შესახებ, —
თხრობა იმაზე, თუ რა ძალამ დაპყო ზევითა და ქვევითა, ქვე-
ბუნება და ზე-ძლიერება. უარყოფილია ლვთაებათაგან მათი
წარმომავლობა, ნათქვამია იმაზე, რომ ღმერთებმა ქვეყნიე-
რების შექმნის შესახებ არა იციან რა.

რიგ-ვედის ჰიმნებში არის ე. წ. კოსმოგონიური ჰიმნი, ნა-
სატიას ჰიმნი, რომელშიც არსის პირველ მდგომარეობად მიჩ-
ნეულია რაღაც ამორფული, ერთიანად დაუნაშევრებელი რამ,
რომელზეც ითქმის, რომ არის და არც არის, მასში არაა არც
სიკვდილი და არც უკვდავება. არაა დღისა და ღამის სხვაობა!

ვედებში გვხვდება მსჯელობა წყლის როგორც საწყისის
შესახებ, გვხვდება მინიშნება ცეცხლის. პირველადობის თაო-
ბაზეც ვედებში წარმოდგენილი მითოლოგიურ-რელიგიური
პოლითეიზმი ლვთაებათა განსაკუთრებული სიმრავლით ხასი-
ათდება. ამ პოლითეისტურ პანთეონში 333 ლვთაებას ითვლი-
ან, რომელთა სამფენოვანი კლასიფიკაციაა წარმოდგენილი:
მიწის, ჰაერისა და ზეცის ლვთაებებად. ღროთა ვითარებაში
ჩნდებიან ძლიერი ღმერთები. ინდურ მითურ ღმერთებს
შორის აღრეულ პერიოდში ყველაზე ძლიერია ატმოსფერულ
მოვლენათა ღმერთი ინდრა ცის ღმერთი, წყლისა და ღრუბელ-
თაგან შობილი, რომელსაც ემორჩილება ქუხილი და წვიმა და
რაც ამ ქვეყნად სინათლის მიზეზად ითვლება.

ინდურ მითოსში თანდათან შემოდიან აბსტრაქტული

1 გ. მიულერის აზრით, „ნასატიას ჰიმნში“ უკვე იწყება გადასვლა
მითოლოგიური „პირველადიდან“ მეტაფიზიკურ „საწყისზე“. იხ. M. მიუ-
ლერ. Шесть систем индийской философии, стр. 52.

ლვთაებებიც. თანდათან ინდოელის ცნობიერებამ ერთმანეთი
საგან გამოყო ზეციური და მიწიერი, სულიერი და მატერია-
ლური. მითურ ლვთაებათა გაერთიანება იმას ნიშნავდა, რომ
ცნობიერებისათვის მრავალი ღმერთი ერთნაირი ძალისა აღმო-
ჩნდა, მათი საერთო დადგინდა, აზროვნებამ შემოქმედების აპს-
ტრაქტული გაგება დაიწყო.

1 ძველ ინდოეთში მითოსი პირვანდელ რელიგიურ წარმოდ-
გესებთან შერწყმულად განვითარდა, მაშინ, როცა, რიშიებმა—
მითურმა პოეტებმა მითურ-რელიგიური შინაარსის ველური
ჰიმნები შექმნეს. თუ რიგ-ვედებში წარმოსახული სამყაროს
ახსნა ბუნების სტიქიათა კულტს ემყარებოდა, თუ სამყაროს
გაგება ციური მნათობების გალმერთებისა და პოლითეიზმის
საფუძველზე ხდებოდა, ბრაჰმინიზმის განვითარების საფე-
ხურზე ჩამოყალიბდა რელიგიური ოვალსაზრისი, რომელიც
აღიარებს ლვთაებრივი ძალის რწმენას, ბრაჰმას, მსოფლიო
სულს, თვისებებს მოკლებულ ღმერთს. მისი მქადაგებლები
არიან ბრაჰმინები ანუ ქურუმები. **2**

3 ბრაჰმინიზმის წარმოშობას მეცნიერები უკავშირებენ ინ-
დოეთის ტერიტორიაზე დაახლოებით პირველი ათასწლეულის
შუა პერიოდში კლასობრივი წყობილების ჩამოყალიბებას,
გარნას სისტემიდან ყასტური წყობილების განვითარებას, იმ
დროს, როცა ცალკე გამოიყო ქურუმთა კასტა. ინდოეთის სა-
ზოგადოებრივ წყობილებაში კასტური ორგანიზაციის დანერ-
გვის შედეგად გართულდა ინდოელების საზოგადოებრივი ყო-
ფიერება, სოციალური ურთიერთობები და შესაბამისად შეიც-
ვალა მათი დამოკიდებულება ბუნებასა და საზოგადოებასთან.

ამ პერიოდის რელიგიური იდეოლოგიის, ბრაჰმინიზმისათ-
ვის დამახასიათებელია მთავარ ლვთაებათა გამოყოფა და რელი-

გიური დოქტრინის ჩამოყალიბება. ბრაჟმანიზმი ჯერ კიდევ
ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული პირვანდელი საზოგადო-
ების რელიგიურ-მითოლოგიურ თვალსაზრისებთან და ფაქტი-
ურად მათი მაგიური და წესჩვეულებითი მხარეების განვითა-
რებას წარმოადგენს”¹.

ბრაჟმანიზმის უმთავრესი ღვთაებანი გახდნენ ბრაჟმა, შივა
და ვიშნუ, მაგრამ ბრაჟმას ღვთაების სახით საბოლოო რელი-
გიურ დოქტრინაში მოქცევა ვერ მოხერხდა, რისი ზოგად სუბ-
სტაციალური ხასიათის გამო. ბრაჟმანის კატეგორიაში გააზ-
რებულმა ამ ღვთაებამ ფილოსოფიური შინაარსი შეძინა და
ტრანსცენდენტური საწყისის ცნების მნიშვნელობით ფუნქ-
ციონერობდა ფილოსოფიურ მოძღვრებებში. დანარჩენი ორი
ღვთაება, შივა და ვიშნუ შივაიზმისა და ვიშნუიზმის რელიგი-
ურ მიმართულებათა საფუძველი გახდა, ნოლო ბრაჟმანიზმი
შემოგვიანდუიშმი გადაიზარდა.

წნდოეთის რელიგიური მიმართულებების, — სექტანტური
და ერეტიკული რელიგიური მოძღვრებების ფართო განვითა-
რება დამახასიათებელია **VII — VI** საუკუნეებისათვის (ძვ. წ.).
ამ დროიდან ბრაჟმანიზმისათვის დამახასიათებელი მსხვერპლ-
შეწირვისა და თაყვანისცემის გართულებული წეს-ჩვეულებე-
ბის წინააღმდეგ გამოდიან სექტანტურ-ერეტიკულ რელიგიურ
მოძღვრებანი ჯაინიზმი და ბუდიზმი, რომელნიც ამ ქვეყნიუ-
რი ტანჯვისაგან აღამიანის განთავისუფლების გზებს ეძებენ

სულისტური რელიგიის აღრინდელმა ფორმამ დიდი გავ-
ლენა მოახდინა არა მხოლოდ ინდოეთისათვის დამახასიათებე-
ლი ესოდენ მრავალი რელიგიური მიმართულებების განვითა-

¹ Н. П. Аникеев, О материалистических традициях в индийской философии, стр. 25.

რებაზე, არამედ საერთოდ კულტურისა და ფილოსოფიური აზრის განვითარებაზეც । ინდოეთის საზოგადოებრივი ცხოვრისა და რებას ამ ხანას უკავშირდება ისეთი ეპიკური თუ რელიგიურ-მითოლოგიური ნაწარმოებები, რომლებშიც შინაარსობრივად სინკრეტულად გაერთიანებულია ისტორიული, მითური, ფოლკლორული, რელიგიური და ფილოსოფიური იდეები.

ამ აზრის დასაღასტურებლად შეიძლება განვიხილოთ ლიტერატურულად საკმაოდ დახვეწილი ზოგად-მსოფლმხედველობრივი იდეებით მდიდარი მითი „მარკანდეას ხილვანი“ მითში ასახულია ინდური რელიგიურ-მითოური ღმერთების გაერთიანების თავისებური პროცესი და კაცობრიობის ისტორიის პერიოდებად („საუკუნეები“) დაყოფის იდეაა განვითარებული. შინაარსობრივად ამ საოცრად ღრმა-აზროვან მითში სიკვდილ-სიცოცხლის, ამქვეყნიურისა და ღვთაებრივის მიმართების საკითხების მეტად საინტერესო ასპექტებია წარმოდგენილი. ბრძენი მარკანდეას ათასწლოვანი მოგზაურობის გზა იწყება სხეულის განწმენდის შემდეგ, როცა მან შეძლო მისცემოდა „განაზრებებს“ და, ამრიგად, აღმოჩენილიყო ყოველი არსის მიღმა, იქ, სადაც არ არსებობდა არც მხე, არც მთვარე და არც მიწა, არამედ იყო მხოლოდ წყალი და წყვდიადი. ამ წყვდიადში იგი ეძლევა ახალ განაზრებებს და უკიდეგანო სივრცეში ხეზე მძინარე ბიჭის სახით ჭვრეტს ღმერთს, რომელიც მითურ ღმერთთა თაობებს თავისთავში აერთიანებს. იგი ბრძენს მარკანდეას ეუბნება: „შვილო ჩემო, მე ვარ პურუშა, შენი შორეული წინაპარი. მე ვარ ვიშნუ-ნარიანა, მფლობელი ჩემ მიერ შექმნილი და ჩემში მყოფი საშუალოსი, მე ვარ ძე კაშაპისა და აღიტისა“¹. ამ თხრობაში ნათელი ხდება მისი

¹ Мифы древней Индии. М., 1975, стр. 198.

მრავალსახეობა, რომ იგი იყო რამა, კრიშნა, ბუდა და, ბოლოს, მეათე განსხეულება, რომლითაც იგი მომავალში მოვლინდება, იქნება पात्रात्म, ამაქვეყნის განმკითხავი, სამყაროს დალუპვის უამის ჟაუშუებელი. ღმერთისა და სამყაროს ურთიერთობის თავისებურ დიალექტიკას გამოხატავს შემდეგი სიტყვები: „ჩემი გამოვლინებაა მთელი სამყარო, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, მიწა და ზღვა, ქვეყნიერების მხარეები... მათში მე ვქმნი, ვინახავ და ეხსნი ჩემსავე თავს. მე ვარ ტრიმურტი—ერთიანი და სამპიროვანი ღმერთი. როგორც ბრაჰმა, მე ვქმნი სამყაროს, როგორც ვიშნუ — მე ვიცავ, როგორც შივა — მე — ვანგრევ მას“¹. მოვდავთა სიცოცხლე ღმერთისთვის მხოლოდ დღე-ლამეა, სამყაროს არსებობის ხანა ბრაჰმას ცხოვრების ერთი დღეა, ბრაჰმას ღმე კი სამყაროს დალუპვაა, რომლის შემდეგ იგი ხელახლა ჰქმნის სამყაროს.

कაცობრიობის ისტორია 12 ათასი ღვთაებრივი წლის თანატოლია, რომელიც ოთხ ხანად („चतुर्वर्ष“) იყოფა: ოქტოხს, ვერცხლის, სპილენძისა და „ბნელ ხანა“. პირველში ადამიანები კეთილნი, კანონების დამცველნი, სამართლიანები არიან, ე. ი. ჰეშმარიტ ბრაჰმანებს განასხეულებენ. შემდეგ კი თანდათანობით სამართლიანობა მცირდება, ვიდრე ბოროტებისა და ცოდვის ჰვეყანა „ბნელ ხანაში“ დალუპვამდე არ მივა. მაგრამ ეს არ არის საერთოდ სამყაროს დასასრული, „ყოველივე ისევ ისე თავიდან იწყება“, სამყაროს განახლებისა და დალუპვის ციკლი განუშევეტლივ მეორდება.

მითის ტექსტიდან ჩანს, თუ როგორ ერთიანდება ბრაჰმაში ყველა ღმერთის ძალა, როგორ ქმნის სამყაროს მარადიული

¹ Мифы древней Индии. М., 1975, стр. 199.

გრავი, როგორ აშესრიგებს სამყაროს არსებობას ღროში,
რომელიც სადღაც იწყება, ამოიჭურება და მთავრდება და
რომლის განახლება ხდება მარადიულად.

მითში „მარკანდეას ხილვანი“ კარგად აისახა მითურ-რე-
ლიგიური ღმერთების სინთეზირებისაკენ სწრაფვა, ბრაჟმანიზ-
მის დაწინაურებისა და მისი აპოლოგიის ტენდენციები; ამავე
ღროს მითის შინაარსში რელიგიურ-მითოლოგიურიდან ფი-
ლოსოფიურ აზროვნებაზე გადასცლის მინიშნებაც იგრძნობა.

III. მე-10 საუკუნისათვის დამთავრდა ინდოეთის კულ-
ტურის განვითარებაში ვედების პერიოდი, მოხდა მათი თავი-
სებური შეჯამება, რომლის შედეგად უპანिषადები¹ ან, როგორც მათ უწოდებენ, ვედა-ანტა, ვედების დასრულე-
ბა! უპანიშადები ვედების მოძღვრებათა არსების გამოხატუ-
ლებად ითვლება. თვით სიტყვა „უპა-ნი-შად“ ნიშნავს „ახლოს
მჯდომს“² ე. ი. მასწავლებელთან, ცოდნის წყაროსთან ახლოს
მდგომს, ან კეშმარიტებასთან ახლოს მყოფს. შემდეგში თან-
დათანობით შეიცვალა ამ სიტყვის მნიშვნელობა, უფრო მე-
ტად რელიგიური შინაარსით დაიტვირთა და აღნიშნავდა მას-
წავლებლისაგან რაღაც საიდუმლოს გამხელას ან ბრაჟმანთან
ახლოს ყოფნას, ანუ ცოდნით უმაღლეს არსთან დაახლოე-
ბას³.

Uპანიშადები ინდოეთის ფილოსოფიურ-რელიგიური, სა-
ერთოდ თეორიული აზროვნების უძველესი ქავებია,
განსხვავებით ვედებისაგან, რომელნიც უპირატესად მითოლო-

¹ ქ. ნერუ უპანიშადების შესახებ წერს: „უპანიშადები დაახლოებით
ჩ. წ.-მდე 800 წელს განეკუთვნება“; იბ. ქ. ნერუ „უპანიშადები“. „საუნა“,
1975, № 5, გვ. 220.

² С. Радхакришнан. Индийская философия, т. I, стр. 112—113.

7. ა. ველიძე

გიურ-რელიგიური და პრაქტიკული შინაარსის მატარებელნი
 იყვნენ. უპანიშადები ადამიანის ცნობიერების შედარებით
 თავისუფლების, ფილოსოფიური ჭეშმარიტების ძიების გზაზე
 მისი გამოსვლის ნაყოფია¹. მათში დასმულია ფილოსო-
 ფიური პრობლემები და აზრის ეს თავისებური თავისუფლება
 უპანიშადების წერის ფორმაშიც გამოჩნდა; სინი დაწერილია
 დიალოგის ფორმით² ფილოსოფიური აზრი შეუთავსდა პოე-
 ტურ სტილს³ ასხვავებენ წინაბუდისტურ და ბუდას შემდეგი
 ხანის უპანიშადებს, რომელთაგან წინაბუდისტურისათვის და-
 მახასიათებელია უპირატესად ფილოსოფიური რეფლექსია,
 მაშინ როცა ბუდას შემდეგდროინდელ უპანიშადებში შეზღუ-
 დული ფილოსოფიური იდეები სინკრეტიზებულია გაზვია-
 დებულ რელიგიურ დოქტრინებთან. უპანიშადების ავტორები
 თავიანთ ნააზრებს ღმერთებს მიაწერდნენ და ამით ცდილობ-
 დნენ გაეძლიერებინათ გამოთქმული აზრის ავტორიტეტი.
 უპანიშადები, გარკვეული აზრით, ვედებს უპირისპირდებიან
 კიდეც, რწმენის ცოდნაზე დამყარების, მრავალმერთიანო-
 ბისა და მითების უარყოფის, ერთი ღვთაებრივი ძალის მიხედ-
 ვით სინამდვილის ახსნის მოთხოვნით.⁴
 უპანიშადებში ჩამოყალიბებულია სამყაროსა და ადამიანის

1 უპანიშადებს შოპენპაუერი ასე აფასებდა: „უპანიშადების ყოველი ფრაზა ღრმაა, ორიგინალური და დიდებულ აზრებს ბადებს. ეს წიგნები გალწრფელია, კეთილშობილური სიწმინდით არის გამსკვალული... მთელ მსოფლიოში არ მოიპოვება ესოდენ სასარგებლო და ამამალლებელი ნაღვა წი... უპანიშადები უმაღლესი სიმრჩნის ნაყოფია... უპანიშადების შესწავლა მანუგაშებდა მთელი სიცოცხლე და ეგვავ მექნება ნუგეშად სიკედილის უამსაც“ (იხ. „საუნჯე“, 1975, № 5, გვ. 222). საწყალი ...

არსების იდეალისტური ახსნის ტენდენციები, ყველა გარეშე
ძალა ერთ ღმერთზე, ერთ ღვთაებრივ ძალაზეა დაყვანილი.
ეს ძალა სული ყოვლად ძლიერი, მარადიული, უსასრულო,
მიუწვდომელი, შემოქმედი, სამყაროს დამცველიცა და დამ-
ლუპველიც.¹ ს. რადპაკრიშნანის ცნობით, ასეთი მონიშმის მა-
უწყებელია შემდეგი მსჯელობა: „რადენი ღმერთი არსებობს
სინამდვილეში, ო, იაჯპიავალსკია? — „ერთი“!² უპანიშადებში
გაქრა კოსმოსური ღმერთები, მითური არსებანი, ფილოსო-
ფიური ცნობიერება გარე სამყაროს არსს განიხილავს ადამი-
ანურ სულთან მიმართებაში, თავის საკუთარ შინაგან სამყა-
როსთან კავშირში.³

უპანიშადებში თუმცა წამყვანი ფილოსოფიური ტენდენ-
ციები იდეალისტურია, მაგრამ მათში არის აგრეთვე, ცალკე-
ულ შემთხვევებში, მატერიალისტური ტენდენციის გამოხატუ-
ლებანიც. ქ. ჩერუს აზრით, უპანიშადებში ყურადღება უპი-
რატესად თვითშემეცნებას, პიროვნულ მე-სა და აბსოლუ-
ტურ მე-ს შემეცნებას ექცევს⁴ ამავე დროს ორივე იგივეობ-
რივად ცხადდება. ტბიექტური გარესამყარო არარეალურად
არ მიიჩნევა, თუმცა იგი ფარდობითი აზრით არის რეალური,
როგორც შინაგანი რეალობის სახე.⁵ უპანიშადებში, მითო-
ლოგიისა და რელიგიისაგან, და თვით მასშივე, ცამოცალკე-
ვებულია ფილოსოფიური პრობლემატიკა, რომელშიც გარ-
ჩევულ ადგილს იჭერს სამყაროს საწყისის, სუბსტანციის მე-
ტაფიზიკური პრობლემა, გვხვდება ასეთი კითხვები: „რას

¹ იქვე გვ. 118. მ. მთულერის აზრით, უპანიშადებში მიხეზობითი
პრობლემა დგას (იხ. M. Mioller, Шесть систем индийской философии,
стр. 17).

² იხ. „საუნკე“, 1975, № 5, გვ. 220.

წარმოადგენს ეს სამყარო? საიდან წარმოიშვა იგი? საით მოდის?“ პასუხი გვაუწყებს: „თავისუფლებამ შვა იგი. თავისუფლებაში ყოფიერებს იგი. თავისუფლებაში განხავდება, იგი“¹. ნათელია, რომ უპანიშადებში ონიშნული მეტაფიზიკური პრობლემა ადამიანის არსის მიხედვით იდგა და მისი სულის, შემეცნებისა და ფსიქიკის რაობის კვლევას უკავშირდებოდა.

უპანიშადების შემდეგ ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებების ლიტერატურული დამუშავების უფრო მაღალი ფორმაა სუტრები², ფილოსოფიური აფორიზმები, ლაკონურად გამოთქმული სიბრძნე. სუტრების პერიოდი დაიწყო V—IV სს. (ძვ. წ.), მაგრამ მალე ფილოსოფიური აზრის გამოთქმისათვის ეს ფორმა საქმარისი აღარ აღმოჩნდა და წარმოიშვა ე. წ. კარიკები, მოძღვრებათა კონსპექტირებული ტექსტები, რომლებიც სახელმძღვანელოდ იხმარებოდა და ფილოსოფიური აზრების გამოხატვის უფრო მოხერხებულ რაციონალიზებულ ფორმაზ ითვლებოდა³.

უდავოა, რომ უპანიშადების რაციონალისტურმა. სულისკვეთებამ, ფილოსოფიურმა იდეებმა მოამზადეს ძველი ინდური ფილოსოფიური სკოლების განვითარება⁴ მაგრამ ამასთან ერთად ამ პროცესს ხელი შეუწყო ინდური ეპოსის ხანამ, ეპიკურ პერიოდში მხატვრულ ფორმაში განვითარებულმა

¹ იხ. „საუნჯე“, 1975, № 5, გვ. 222.

² სუტრა ნიშნავს ძაფს. სუტრებში ფრაზების თანმიმდევრობა ქმნიდა გაღმოცემის ერთიან ძაფს, რომელზეც თითქოს აცმული იყო მძივების მსგავსად ბრძნული გამოთქმები, ფილოსოფიური მსჯელობები.

³ იხ. В. В. Бродов. Индийская философия нового времени, М., 1967, стр. 37.

წილოსოფიურმა შეხედულებებმა ამ პერიოდს მიეკუთვნება ცნობილი ეპოსი „რამაიანა“ და „მაჰაბარატა“ (18 წიგნად). ეს უკანასკნელი ამ დროის ფილოსოფიურ თვალსაზრისთა ძირითადი წყაროა და მასში მოთხრობილია ხელისუფლებისათვის მებრძოლი ორი სისხლით ნათესავი გვარის ამბავი „მაჰაბარატას“ ცალკეული ნაწილები ფილოსოფიური შინაარსის ტექსტებია („ბჰაგავატგიტა“, „მოკშადჰარმა“, „ანუგიტა“ და სხვ.). დაბჰაგავატგიტა („ღვთაებრივი სიმღერა“) მეექვსე წიგნის ნაწილია, ესება ფილოსოფიურ, რელიგიურ და ეთიკურ პრობლემებს.

„გიტა, — წერს ს. რადჰაკურიშჩანი, — ნახევრად ფილოსოფიური სისტემაა და ნახევრად პოეტური შთაგონების ნაყოფი. იგი უპანიშადებისაგან განსხვავებით ბევრ ფიქრს არ გვაიძულებს, რამდენადაც მასში სიცოცხლის პრობლემა წინდაწინვე ინტელექტუალური გზითაა გადაჭრილი... სულის მრავალმხრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ შეიძლება უპანიშადების მჭლე აბსტრაქციებით... გიტას ავტორს მიაჩნია, რომ ადამიანის ბუნება მიღრეკილებას არ ამჟღავნებს ლოგიკური კონსტრუქციებისადმი. ამიტომ იგი ეყრდნობა რა უპანიშადებს, იღებს მისგან რელიგიურ საფუძველს და მას ხალხური მითოლოგიისა და ფანტაზიის მეოხებით ცოცხალ სისტემად აქცევს“¹.

1 სარეკალი რადჰაკურიშჩანი, ბჰაგავატგიტა. თარგ. თ. ჩხერიშვილისა; „საუნდე“, 1976, № 1, გვ. 224. გიტას პირველ ნაწილში აღწერილია ადამიანის ღრმა სულიერი დრამა, მისი „სულის ბნელი ღამე“, სულიერი სიცარიილე-ეგზისტი. შემდევ კი იმართება დიალოგი ღმერთსა და კაცს (არჯუნას) შორის. აქ ღვთაებათა სახეები ერთმანეთს ენაცელება, მაგ., კრიშნა ბრაჟმანის ორეულია, ინდრაც თავს ბრაჟმანად აცხადებს. ბოლოს ყოველივე მთავრდება პიროვნების ღმერთთან შეერთებით, კაცში იმარჯვებს ატმანი — მარადიული სული. იხ. „ბჰაგავატგიტა“, თარგ. თ. ჩხერიშვილისა, ნაკადული, 1963.

„მაჰაბჰარატას“ ტექსტის ანალიზით მკვლევარების მიერ
დასაბუთებულია კლასიკური ხანის ინდური სკოლების ჩამო-
ყალიბებაზე ეპიკური პერიოდის ფილოსოფიური აზროვნების
ღიდი გავლენა. აღნიშნულია ამ დროს მთლიანი ფილოსოფი-
ური კონცეფციების ფორმირების ფაქტები, რომელიც მყაფ-
რად ფიქსირებულ ფილოსოფიურ ცნებებთან იყო დაკავში-
რებული.

ამ სახეობის ფილოსოფიურ აზროვნებას გარკვეული უპი-
რატესობა ჰქონდა უპანიშადებთან შედარებით, რადგან ეს
უკანასკნელი თუმცა უმაღლეს სიბრძნეს სწვდებოდა, მაგრამ
ლოგიკის თვალსაზრისით გაუმართავი, ამორფული, სპორადუ-
ლი ფილოსოფიური მსჯელობებით ისაზღვრებოდა.

ამგვარად, ძველი ინდოეთის საზოგადოებრივი ცხოვრე-
ბის კვალდაკვალ იდეოლოგიურ სფეროში დიდი ძრები მიმ-
დინარეობდა, რომლის შედეგად მითოლოგიურ-რელიგიურ
წარმოდგენებთან იმთავითვე სინკრეტიზირებული ფილოსო-
ფიური შეხედულებების განვითარების ხანგრძლივსა და რთულ
პროცესში მიღწეულ იქნა ფილოსოფიური აზრის მაღალი დო-
ნე, მომზადდა ფილოსოფიის ემანსიპაციის გარკვეული პირო-
ბები, რაც ძველ ინდოეთში ბოლომდე წარმატებით არ დამ-
თავრებულა.

§ 2. ძველი ინდოეთი ფილოსოფიური საოლები

(პლასიკური პერიოდი)

ფილოსოფიური სკოლების ჩამოყალიბება და ფილოსო-
ფიური ცოდნის მეცნიერებად ფორმირება, ფილოსოფი-
ური აზრის უმაღლეს დონეზე აყვანა ძველ ინდოეთში დაა-



ლოებით VI ს. (ძვ. წ.) განეკუთვნება. ეს ხანა საერთოდ ფილოსოფიური აზრის მეცნიერებად განვითარების დასაწყისია საკაცობრიო მასშტაბით. VI ს. (ძვ. წ.) დაიწყო, აგრეთვე, სრულიად დამოუკიდებელი გზით ფილოსოფიის განვითარება და აღორძინება ძველ ჩინეთსა და ანტიკურ საბერძნეთში.

ისტორიულად ინდოეთში ეს უკვე ადრეული შუასაუკუნეების ხანა ყუო და ამ დროს განვითარებული ფილოსოფიური სკოლები მიეკუთვნებიან ინდური ფილოსოფიის კლასიკურ პერიოდს! ფილოსოფიური სკოლები, რომელთაც აღიარება და თავის დროზე დიდი გავლენა მოიპოვეს, იყო: 1. ჯაინიზმი², 2. მიმანსა და ვედანტა (ვედებზე დამყარებული ორი სისტემა), 3. ბუდიზმი (რელიგიურ ფილოსოფიურ საფუძველზე წარმოშობილი, დაპირისპირებული ბრაჰმანიზმისადმი), 4. ჩარვაკა — ლოკაიატა, 5. სანქია, 6. ნია, 7. ვაიშაიკა³.

ძველი ინდური ფილოსოფიური თეორიების გაცნობისას ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყო-

¹ Антология мировой философии. М., 1969, т. I, § I, стр. 133.

² ჯინიზმი წარმოშობილია სიტყვიდან „ჯინი“-უძლეველი.

³ ინდური ფილოსოფიური სკოლების მამამთავართა შესახებ ვ. ბროდოვი „პატმაპურანადან“ ასეთი ცნობის თარგმანს გვაწვდის: „ერთმა კაცმა, სახელად კანადამ, შექმნა დიადი მოძღვრება ვაიშეშივად წოდებული. გაუტმამ შეაღვინა ნიაის შასტრები, კაპილამ დაწერა სანქიას შასტრები; ერთი ბრაჰმანი, სახელად ჯაიმინი გამოვიდა ათეიზმის დიადი მოძღვრებით; კაცმა სახელად დჰიმანმა ჩარვაკას შესახიზღი მოძღვრება შექმნა; ხოლო თვით ვიშნუ დემონების შემუსვრის მთხნით მოვლინდა ბუდას სახით, ბუდიზმის სრულიად ღვთისუარმყოფი მოძღვრებით“ (В. В. Бродов. Индийская философия нового времени, стр. 39).

ველი მოძღვრება მიზნის მხრივ ერთმანეთს ემთხვევა, შეიძანი
კი ადამიანური სულის ხსნა, ამქვეყნიურისაგან განრიდებაა. ამ
მხრივ ძველი ინდოეთის ფილოსოფიური სკოლები თითქოს
რელიგიურ-მისტიკური ამოცანების გადაწყვეტას ემსახურე-
ბოდნენ. მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება ქრება ამ სკოლებში
შექმნილი მოძღვრებათა პრობლემური ანალიზის შედეგად.
ძველ ინდურ ფილოსოფიურ მოძღვრებებში იდგა შემცნე-
ბის თეორიისა და ლოგიკის, ფსიქოლოგიისა და ეთიკის სა-
კითხები, შეიქმნა კატეგორიათა სისტემა, დამუშავდა ფილო-
სოფიური ტერმინოლოგია.

ძველ ინდურ ფილოსოფიაში აბსტრაქციის საკმაოდ მაღალ
დონეს მკელევარები მათემატიკისა და ენათმეცნიერების გან-
ვითარებით ხსნიან. ფილოსოფიის განვითარების ასეთ დონეს
ძველ ინდოეთში განსაზღვრავდა, აგრეთვე, მითოლოგიისა და
რელიგიის მრავალმხრივობა და სირთულე, რომლისაგან ფი-
ლოსოფიის საბოლოო გამიჯვნა თითქმის შეუძლებელი გახ-
და. **რამდენადაც** ძველი ინდოეთის ფილოსოფიისათვის დამა-
ხასიათებელია მშიდრო კავშირი რელიგიურ-მითოლოგიურ
მსოფლმხედველობასთან, ვედურ ლიტერატურასთან, ამით
იგი უფრო მეტად უახლოვდება ძველი ჩინეთის ფილოსოფიას
და მკვეთრად განსხვავდება ბერძნული ფილოსოფიისაგან, რო-
მელაც თავისი წარმოშობის პირველ საფეხურზევე არსები-
თად გაემიჯნა რელიგიასა და მითოლოგიას. მკვლევარები მი-
უთითებენ ინდოეთის ფილოსოფიის სინთეზურ ბუნებაზე, რაც
იმაში მდგომარეობს; რომ ევროპული ფილოსოფიისაგან განს-
ხვავებით, აქ არ მომხდარა დამოუკიდებელი დარგების გამო-
ყოფა, ყოველი ფილოსოფიური პრობლემა განიხილებოდა
როგორც მეტაფიზიკის, ისე გნოსეოლოგიის, ლოგიკისა და

ა. შ. თვალსაზრისით¹. ინდურ ფილოსოფიურ სკოლებში განსაკუთრებული ხავების მეთოდები აგრეთვე ფილოსოფიური პრობლემების დაშუ-შავების მეთოდები. თუ ევროპულ ფილოსოფიაში თეორიათა ისტორიული მონაცემები ხორციელდებოდა აღმავალი პროგრესის გზით, მოხსნა-შენახვის წესით, ინდურ ფილოსო-ფიაში ძვ. წ. VI საუკუნიდან ერთმანეთის გვერდით ჩამოყა-ლიბდნენ ფილოსოფიური სკოლები, რომელთაგან თითოეუ-ლი ითმენს, იწყნარებს მეორეს. ამასთან ერთად ყოველ ფილო-სოფიურ სისტემას თავისთავში დასრულებული, თავისთავადი სახე აქვს; ანლად წარმოშობილი ფილოსოფიური სკოლები ერთმანეთს არ მონაცემენ, არამედ პარალელურად არ-სებობენ ურთიერთშეწყნარების პრინციპით.

ინდოეთში ფილოსოფიას ეწოდებოდა „დარშანა“, ჰეშმა-რიტების წვდომა, ანუ, სიტყვა-სიტყვით — ჰეშმარიტების ხილვა² ყოველი ფილოსოფიური სკოლა ესწრაფვოდა ჰეშმა-რიტების ხილვას, რაც არათუ გამოცალკევებული, არამედ შერწყმული იყო პრაქტიკულ ცხოვრებისეულ საქმიანობას-თან. თუ ევროპულმა ფილოსოფიამ ბერძნული ფილოსოფიის სახით თეორიული საქმიანობა პრაქტიკას მოწყვიტა და ფი-ლოსოფიური მოღვაწეობა წმინდა თეორიის საქმედ გამო-აცხადა, ინდური ფილოსოფია პრაქტიკული ცხოვრების შე-მადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ქველი ინდოეთის ფილოსოფიურ სკოლებს საერთოდ მი-ლებული კლასიფიკაციის პრინციპით ორ ნაწილად ჰყოფენ:

¹ იხ. С. Чаттерджи и Д. Датта, Древняя индийская философия. М., 1954, стр. 8. ინდოეთის ფილოსოფიური სკოლების დახასიათებისას ძირითადად ამ შრომას ვემყარებით.

ორთოდოქსალურად (ასტიკა) და არაორთოდოქსალურად (ნასტიკა)! ორთოდოქსალურს მიეკუთვნება ექვსი უმთავრესი სკოლა: ვაიშეშიკა, მიმანსა, ვედანტა, სანქია, იოგა და ნიაია; ეს სკოლები სცნობენ ვედების ავტორიტეტს; მაგრამ სკოლათაგან ყველა არ აღიარებს ლმერთს სამყაროს შემოქმედად (მაგ., მიმანსა და სანქია), მაგრამ ორთოდოქსალურად ითვლებიან, რადგანაც ვედების ავტორიტეტს ემყარებიან. არაორთოდოქსალურად ითვლებიან ჩარვაკა, ბუდისტური და ჭაინისტური სკოლები; ესენი არ სცნობენ ვედებს. მაგრამ სკოლათაგან ორი — მიმანსა და ვედანტა ვედების შინაარსობრივ განვითარებას წარმოადგენენ, ამათგან ვედანტები ვედების სპეციულატურ მხარეს უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებენ, ხოლო მიმანსა ვედების მეორე მხარეს, რიტუალურს ემყარება, მას ამართლებს და ავრცელებს².

ამგვარად, ყველი ინდოეთის ყველა სკოლა არ ემყარებობოდა ვედების ავტორიტეტს, არც ლმერთის შემოქმედებით ბუნებას, არამედ ზოგ შემთხვევაში ცხოვრების გამოცდილებებს, ზოგგან კი მოძღვრის სიბრძნეს, მის მიერ მიღწეულ ჰეზ-

¹ იხ. С. Чаттерჯин Д. Датта. Древняя индийская философия, М., 1953, стр. 10.

² ინდური ფილოსოფიური სკოლების კლასიფიკაციის საკითხში აზრთა სხვაობაა. კლასიფიკაციის წაროს წარმოადგენენ კომპენდიუმები: „ექვსი ფილოსოფიის კომპენდიუმი“ (პარიბპადრა), „ყველა თეორიის კომპენდიუმი“, (შანქარა), „ყველა ფილოსოფიის კომპენდიუმი“ (შადპავაჩარა, დასახელებულია 16 სკოლა), „ყველა მოძღვრების კომპენდიუმი“ (უცნობი ავტორი). თანამედროვე ლიტერატურაში კველაზე გავრცელებულია ზემთაღნიშნული კლასიფიკაცია. (იხ. Н. П. Аникеев, О материалистических традициях в индийской философии М., 1965, стр. 59—60.).

მარიტებებს. ორთოდოქსალური სკოლები კი ვედებია და უპარესობა
ნიშანდების საფუძველზე ქმნიან „სუტრებს“, ე. ი. პრობლე-
მათა მოკლე ფორმულირებას.

|| გაინიშნი VI საუკუნეში (ძვ. წ.) ჩამოყალიბდა იდეა-
ლისტური ფილოსოფიური სისტემა გაინიშნი. სკოლის და-
მაარსებელია ვარდჰამანა. გაინისტი ფილოსოფოსები უარყო-
ფენ ვედების ავტორიტეტს და ღმერთს; მათი აზრით, ღმერთს
არ შეეძლო შეექმნა სამყარო, რადგან ერთის შექმნილს ერთ-
სახეობა ექნებოდა, სამყაროში კი მრავალფეროვნებაა, და
ამიტომ იმთავითვე არსებობდა მრავალი თვისების თავისითა-
ვადი საფუძველი ღმერთს არც არსებულ კანონზომიერებაში
ჩარევა შეეძლო; მარადიულ სამყაროში ყოველივე თავისი
თვისებებით ყალიბდება და გარდაიქმნება; თესლიდან მცენა-
რე იზრდება, შემდეგ თესლი იფანტება და ა: შ გარდა ამისა,
რაიმეს არსებობაზე მიგვითითებს ან აღქმა, ან დასკვნა, ხოლო
ღმერთის არსებობის გამართლება არც აღქმის საფუძველზე
შეიძლება და არც დასკვნებით. ღმერთი არ არსებობს, არსე-
ბობენ „განისები“ ანუ გაინისტები, რომელნიც სიბრძნისა
და ზნეობრივი სიწმინდის გამო თავისუფალ სულებად გადაიქ-
ცნენ, მიაღწიეს მარადიულობას, სრულყოფას, აბსოლუტურ
ნეტორებას. არსებობენ წმინდანები, წინასწარმეტყველნი,
ბრძნენი, ხოლო ისინი, ვინც მათი მოძღვრება იქადაგა — გა-
ნიწმინდნენ, სრულჰყვეს ცოდნა და ამის საფუძველზე თავისი
შევაც განისტები ქადაგებენ აბსოლუტურ ოპტიმიზმს, ყვე-
ლა ადამიანი უფლებამოსილია მისდიოს წმინდანების მაგა-

1 გაინიშნი როგორც რელიგიური ღოქტრინა და როგორც ფილოსოფი-
ური სკოლა განსხვავებულია.

ლითს და მიაღწიოს თავისუფლებას. ჭაინისტებს აქვთ სამყაროსა და შემეცნების თავისებური ასსნა: სამყარო ფაქტი და უხეში ატომებისაგან არის შედგენილი, არსებობს განფენილი და განუფენელი სუბსტანცია, განფენილი — ცოცხალ (ჯივა) და არაცოცხალ (აჯივა) არსად განიყოფება. პირველი — სულიერი არსებანი ცნობიერების უნარით ხასიათდებიან და როგორც „სუბიექტები“ უპირისპირდებიან არაცოცხალ „ობიექტებს“.

ობიექტის ცნებაში მოაზრებულია: მატერია — „ჰუდგალა“ ანუ ის, რაც შეერთებასა და დაშლას განიცდის, დრო და სივრცე, მოძრაობისა და უძრაობის პირობები. მატერია მუდმივია როგორც სუბსტანცია, მაგრამ თავისთავში თვისობრივსა და რაოდენობრივ ცვლილებებს განიცდის, რადგან იგი ატომარული სტრუქტურისაა და საგნები წარმოიქმნებიან ატომების ახალ-ახალი შეერთებებიდან. ამიტომ სამყაროში ორნაირი ცვლილებები ხდება თვისებათა შეცვლისა და ფორმის შეცვლის სახით. საგანთა თვისებების განსხვავების მიზეზია უხეში და ფაქტიზი (პრამანა) ატომების (ანუ) არსებობა და მათი განსხვავებული კომბინაციები. ბერძენი ატომისტებისა-გან განსხვავებით, ჭაინისტებმა ატომებს გრძნობადი თვისებები მიაწერეს და ატომებისაგან დამოუკიდებლად აღიარეს კანონზომიერება (კარმა), იგი შეუგრძნობ მატერიალურ არსად გაიაზრეს. ¶

ჭაინისტების ეთიკის ძირითადი მოთხოვნაა სწორი ანუ სამართლიანი ქცევას სამართლიანობა მიიღწევა ხუთი პრინციპის დაცვით ანუ „ხუთი უდიდესი აღთქმით“ („პანჩა შილად“ წოდებული ბუდისტების მიერ): 1. თავის შეკავება მკვლელობისაგან, 2. თავის შეკავება ტყუილისაგან, 3. თავის შეკავება

ქურდობისაგან (საკუთრების ხელშეუხებლობა), 4-თავის შეკა-
ვება ქორწინებისაგან, 5. თავის შეკავება გრძნობად საგნებთან
კავშირისაგან (რაღვან ამ სამყაროსთან კავშირში ყოფნა ნიშ-
ნავს მასზე დამოკიდებულებას). ადამიანის ცხოვრების მიზანი
სულიერი დამოუკიდებლობაა.

მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ ეთიკაში ეს ფილო-
სოფიური მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ მითოსის ნიადაგზე
დგას. ამაზე მიანიშნებს პირველი პრინციპი — სიცოცხლის
ქულტი, შიში სიცოცხლის მოსპობისა, ზრუნვა მისი დაცვი-
სათვის; შემდეგ ქცევის, აზრისა და გამოთქმის ერთიანობი-
სადმი მოწოდება: „არც იფიქრო მოკვლა“, „არც სთქვა მის
შესახებ“; ასევე გრძნობების არა მხოლოდ დათრგუნვა საქმით,
არამედ მათზე მსჯელობის, მათზე აზრის გამოთქმის აკრ-
ძალვა.

ბუდიზმი. ბუდისტური ფილოსოფია ბუდიზმის, როგორც
ერთიანი რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის,
ნაწილს წარმოადგენს. ბუდიზმის მოქადაგენი ცდილობდნენ
ლრმა ფილოსოფიური დასაბუთება მიეცათ მათი მოძღვრები-
სათვის, რომელმაც მესამე მსოფლიო რელიგიის ადგილი დაი-
ჰირა ქრისტიანობისა და ისლამის გვერდით. ბუდიზმი განვი-
თარდა როგორც ბრაჟმანიზმის ოპოზიციური მიმართულება.
თუ ბრაჟმანიზმი მაღალი კასტის, ქურუმთა იდეოლოგია იყო,
ბუდიზმი თავდაპირველად საზოგადოების დაბალი ფენების
ინტერესებს გამოხატავდა. ეგი ჩამოყალიბდა ბუდას ქადაგე-
ბებში. რომლებიც ზეპირისიტყვიერად ვრცელდებოდა, შემდეგ
კი ჩაიწერა (ცეილონზე I ს. ძვ. წ.) და დღემდე ეს მოძღვრება
„ტრიპიტაკას“ ანუ „სამი კალათა“ მოძღვრების სახელით არის

Ше¹монах²и³н⁴и⁵л⁶и⁷! Мон⁸д⁹в¹⁰р¹¹е¹²б¹³и¹⁴с¹⁵ პირ¹⁶ვ¹⁷ე¹⁸ლ¹⁹ ნაში²⁰լ²¹ში²² განხილული²³
ქ²⁴ც²⁵ე²⁶ი²⁷ წ²⁸ე²⁹ს³⁰ბ³¹, მეორ³²ე³³ში³⁴ გაღმოცემული³⁵ ქადაგებები³⁶, ფილო-
სოფიური³⁷ პრობლემები³⁸ კი მესამე³⁹ წიგნში⁴⁰ განხილული⁴¹.

ბუდიზმი⁴² დასაწყისში⁴³ გაფორმდა⁴⁴ რელიგიად „ლმერთის⁴⁵ გარეშე“, მაგრამ⁴⁶ შემდეგ⁴⁷ თვით⁴⁸ ბუდას⁴⁹ გაღმერთება⁵⁰ მოხდა⁵¹.
ბუდისტური⁵² მოძღვრება⁵³ მრავალნაირ⁵⁴ სკოლასა⁵⁵ და⁵⁶ მიმართუ-
ლებებში⁵⁷ გაშლილი⁵⁸ რამდენიმე⁵⁹ საერთო⁶⁰ ფილოსოფიურ⁶¹ პრინ-
ციპებზე⁶² იყო⁶³ დაფუძნებული⁶⁴, მაგრამ⁶⁵ ამავე⁶⁶ დროს⁶⁷ ამ⁶⁸ მიმარ-
თულებებში⁶⁹ განსხვავებული⁷⁰ პრობლემებიც⁷¹ დამუშავდა⁷².

ბუდას⁷³ ქადაგების⁷⁴ მიხედვით,⁷⁵ სამყაროში⁷⁶ არაფერია⁷⁷ უცვ-
ლელი⁷⁸, ცხოვრება⁷⁹ ყოველ⁸⁰ წამს⁸¹ დაბადება⁸² და⁸³ სიკვდილია⁸⁴. ამი-
ტომ⁸⁵ სამყარო⁸⁶ არსი⁸⁷ კი არა,⁸⁸ ქმნადობაა.⁸⁹ სიცოცხლე⁹⁰ ზოგჯერ
ხანგრძლივია⁹¹ (მაგ., ასწლიანი⁹² ხუ), ზოგჯერ⁹³ წამიერი⁹⁴ (მაგ., სხი-
ვის⁹⁵ გაელვება), მაგრამ⁹⁶ სამყაროში⁹⁷ როგორც⁹⁸ მთლიანში⁹⁹, რაც
წარმოიშვება¹⁰⁰, ისპობა¹⁰¹ კიდეც¹⁰² და¹⁰³ არაფერია¹⁰⁴ მუდმივი,¹⁰⁵ უცვლე-
ლი.¹⁰⁶ ბუდას¹⁰⁷ უთქვამს:¹⁰⁸ „ყველაფერი¹⁰⁹ უკიდურესობებშია,¹¹⁰ ჭეშ-
მარიტება¹¹¹ კი მათ¹¹² შუა“.¹¹³ ეს,¹¹⁴ მ.¹¹⁵ როის¹¹⁶ აზრით,¹¹⁷ ნიშნავს:¹¹⁸ არსი¹¹⁹ და
არარსი¹²⁰ უკიდურესობებია,¹²¹ ჭეშმარიტება¹²² კი ქმნადობაა¹²³ და¹²⁴ მათ¹²⁵
შუა¹²⁶ მდგომი¹²⁷. აქედან¹²⁸ ბუნებრივად¹²⁹ განვითარდა¹³⁰ ბუდისტური¹³¹
რელატივიზმი¹³², რომლის¹³³ სუბსტანციალური¹³⁴ საფუძველი¹³⁵ აღმო-
ჩნდა „დჰარმა“,¹³⁶ ის რაც¹³⁷ გაიელვებს,¹³⁸ რაც¹³⁹ გაწნდება¹⁴⁰ და¹⁴¹ გაუჩი-
ნარდება¹⁴². რაც¹⁴³ არსებობს,¹⁴⁴ ელემენტებისგან,¹⁴⁵ ატომებისგან¹⁴⁶ შედ-

¹ M. Рой. История индийской философии, стр. 262.

² აქედანაა წარმომდგარი ერთი ბუდისტური მიმართულების სახელ
„მაღპიამიკები“ — „საშუალონი“. ორ უკიდურესობათა შორის — „ყველა-
ფერი არის“, „არაფერი არ არის“, — ჭეშმარიტება შუაშია-„არსებობს
ქმნადობა საწყისისა და ბოლოს გარეშე“. (იხ. В. В. Бродов, Индийская
философия... стр. 61).

გება, მატერიალურიც და იდეალურიც, ხოლო ელემენტების
საფუძველია უხილავი, ამორფული, უმიზეზო თვისობრივი კ
სუბსტრატი „დჰარმა“, რომლის შედარება შეიძლება მხო-
ლოდ სიცარიელესთან.

ასე წარმოიშვა ბუდიზმში ყოფიერების ორად გაყოფა:
„დჰარმა“, სიცარიელის მსგავსი სუბსტრანციური ყოფიერება,
„ნირვანა“ (არსების სამყარო) და გრძნობადი მოვლენები
(სამსარი). ბუდისტურ მიმართულებებში ფილოსოფიურმა
პრობლემებმა გართულებული სახე მიიღეს, თუმცა თავდაპირ-
ველად ბუდიზმი მეტწილად ეთიქურ საკითხებს ეხებოდა.

სამყაროს, ყოფიერების საკითხი ბუდას მხოლოდ ადამია-
ნის ტანჯვისაგან განთავისუფლების თვალსაზრისით აინტე-
რესებდა. ხოლო თავისთვად ის, რასაც ფილოსოფიაში შემ-
დეგ მეტაფიზიკური პრობლემები ეწოდა, ბუდასათვის ფუჭი
საკითხებია, მათზე პასუხს აზრი არა აქვს. მისი აზრით, ადა-
მიანი, რომელიც ცხოვრებაში არსებული ტანჯვისაგან განთა-
ვისუფლების პრინციპულ საკითხებს თვალს არიდებს და იმას
იყვლევს, თუ რა არის, მაგალითად, სული თუ სხეული,
ისევე სასაცილოა, როგორც ის პირი, ვისაც მოწამლული ისა-
რი მოხვედრია და მოშორების ნაცვლად იმაზე იწყებს მსჯე-
ლობას, თუ ვინ გააკეთა ან ვინ ისროლა ეს ისარი.

ცხოვრება, ბუდისტების მიხედვით, აღსავსეა ტანჯვით,
სიამოვნებაც კი თავის თავში უბედურებას შეიცავს. ტანჯვა
გარკვეულმა მიზეზებმა გამოიწვია, მიზეზობრიობას მთელი
უბედურების სათავემდე; დაბადებამდე მივყავართ.

ბუდისტების მიხედვით, ტანჯვა შეიძლება მოისპოს მხო-
ლოდ მისი მიზეზის მოსპობასთან ერთად გრძნობად-მიწიერი
მისწრაფებებისაგან ადამიანის განთავისუფლებით. ამისათვის

არ არის საჭირო სხვა სამყარო, ეს მიიღწევა აქვე, გრძნობად
სამყაროში. ვინც აღწევს მიწიერ მისწრაფებათაგან განთავი-
სუფლებას, იგი გადაიქცევა „არდჰატად“ — პატივსაცემ პი-
რად. განთავისუფლების ამ მდგომარეობას „ნირვანა“ ეწოდე-
ბა, როცა უარყოფილია მისწრაფებები, ვნებები, გრძნო-
ბები და რომელთან ერთად ისპობა ტანჯვაც „ნირვანას“ მიღ-
წევა არ შეიძლება უმოქმედობით, იგი მიიღწევა „კეთილშო-
ბილ ჰეშმარიტებათა“ გააზრებილან, ანუ სრულყოფილი სიბ-
რძნის ზიარებიდან აქტიურ მოქმედებაზე გადასცლით. ამის
მაგალითს იძლევა ბუდა.

„ნირვანას“ მდგომარეობა თავისუფლებას ემთხვევა, იგი
ნიშნავს უბედურების მოსპობას თვით დაბადების, ჩანასახისა-
სე მოსპობით. სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს არა ჩანასახის
წარმოქმნითა და ზრდით, არამედ სულის მარადიული ყოფ-
ნით, სულის სიწმინდით. „ნირვანა“ სრული სიმშვიდის მდგომა-
რეობაა, მაგრამ ეს სიმშვიდე არა ჰგავს მიწიერს. ამიტომ არ
ძალგვიძს განვსაზღვროთ იგი, გონების ძალით დავახასიათოთ
ეს მდგომარეობა, მის მიმართ მხოლოდ ჟედარებები გამოიყე-
ნება, კერძოდ მის შესახებ ის ითქმის, რომ „ნირვანა ოკეანე-
სავით ღრმაა, მთის მწვერვალივით ამაღლებულია და თაფლი-
ვით ტკბილია“¹.

მკვლევართა აზრით, „ნირვანა“, როგორც დაუფუძნებელი,
უმიზეშო ადრინდელ ბუდიზმში, თუმცა უპირისპირდება მი-
წიერს, დაფუძნებულს, მიზეზობრივად განსაზღვრულს, მაგ-
რამ იგი ჭერ კიდევ არ აღნიშნავს იმქვეუნიურ ზეციურ სამყა-

¹ С. Чаттерджи и Д. Датта. Древняя индийская философия, стр. 120—121.

როს. მხოლოდ გვიანდელ ბუდიშმში მიიღო „ნირვანამ“ ზეც და სამყაროს, სამოთხის მნიშვნელობა. ადრინდელი ბუდისტების მიხედვით, „ნირვანას“ მდგომარეობაში ყრფა შესაძლებელია მიწიერი ცხოვრების დროს თვით მიწიერი-საგან განდგომით, წმინდა ყოფის მოპოვებით. ამგვარად დაანა-წილეს ბუდისტებმა ადამიანები „ჩვეულებრივ“ და „წმინდა“ ადამიანებად, მიწიერ მცხოვრებად და „წმინდა“ ქვეყანაში არსებულად. ეს უკანასკნელი თავიანთი ფიზიკური არსებო-ბით თავდაპირველად მიწიერს ეკუთვნიან, მაგრამ მათ შეუძლიათ ტანჯვის გამომწვევ მიზეზთაგან განთავისუფლება, გარე სამყაროსაგან განრიდება ფიზიკურადაც და აზროვნებაშიც. ისინი აღწევენ „ნირვანას“ მდგომარეობას, სრულ სიმშვიდეს, წმინდანები ხდებიან. ფაქტურად ეს, რა იქმა უნდა ყოველ-გვარი არსებობისა და აზროვნების „ჩაქრობაა“, ყოველიერს უგულვებელყოფაა, სულის სრული განდგომა და ცნობიერების ნამდვილი ინერტობაა. წმინდანი მას აღწევს შინაგანად, არ შეუძლია აღწეროს ან ასწავლოს, რაციონალური წესით გადასცეს ეს მდგომარეობა სხვებს. ამიტომ მიწიერ ადამია-ნებს მხოლოდ უნდა სწამდეთ მისი. მათ უნდა ირწმუნონ მისი წმინდანობა.

სხვა ღმერთი, სხვა სარწმუნო, ბუდისტურ მოძღვრებაში, ას არსებობს, გარდა იმ ადამიანისა, რომელმაც წმინდანობას მიაღწია. მგვარად, ბუდისტური ფილოსოფია, ისევე როგორც გაინიჩიმი, უარყოფს ღმერთს როგორც სამყაროს შემოქმედ ძალას ღმერთს როგორც ტრანსცენდენტურს.

ბუდისტური ფილოსოფია თავდაპირველი გულუბრყვილო დიალექტიკური მსოფლმხედველობაა ძველ ინდოეთში. ბუ-დისტების მსჯელობა სამყაროს წარმავლობისა და მარადიუ-

ლი მიმდინარეობის შესახებ ეხმიანება ბერძენი დიალექტიკულ-სის ჰერაკლიტეს „პანტა რეის“ (ყველაფერი მიმდინარეობს), პრინციპს. როგორც ზემოთ ითქვა, ბუღისტების მიხედვით, სამყაროში არაფერია უძრავი და უცვლელი, არც როგორც მისი მიზეზი და არც როგორც მისი კანონზომიერება, ყოველივე იმყოფება მოსვლისა და წასვლის, წარმოქმნისა და შეწყვეტის მდგომარეობაში. ამიტომ არსი და არარსი ერთმანეთს განაპირობებენ, ერთი და იგივეა წარმოშობა და მოსპობა, — დაბადება და სიკვდილი, თესლი და ხე... ამ მიმდინარეობაში დაპირისპირებული ერთიანდებიან და ამავე დროს ყოველივე „სხვაა“, თავისთავისაგან განსხვავებულია.

არსებობა პროცესია. ამიტომ მარადიული არსებობა თავის თავს ეწინააღმდეგება. რამდენადაც ყოველივე ცვალებადობაშია, უნდა ითქვას: არსებობს მომენტი, მდგომარეობა. როგორც ცეცხლი განახლდება ყოველ მომენტში, ასევე ხდება ჩვენი სხეულის განახლება ყოველ წუთს. ყოველი არსებული, თვით ჩვენი სიცოცხლეც სანთლის ალს ჰგავს, რომელიც უცვლელი გვვინა, თუმცა ჩაქრობისა და ნათების განუწყვეტელ პროცესშია. „ნირვანაში“ ყოფნა სულის ჩაქრობაა სანთლის მსგავსად, რომელსაც საწვავი გამოელია, მაგრამ პროცესი ამის შემდეგაც გრძელდება სხვა მდგომარეობაში.

ბუღიზმი ადამიანის ინდივიდუალურ ყოფიერებაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ადამიანის ცნობიერებითვე ხორციელდება. ადამიანი მიზეზობრივიადაა დაკავშირებული სამყაროში მიმდინარე პროცესებთან, მაგრამ ცნობიერებით ხდება იგი ინდივიდად, რომელიც თავისებური პიროვნული ალით იწვის, მოღის ამქვეყნად და გრძნობად სამყაროს მისთვის ტანგვა მოაქვს. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა დაისახოს

პრაქტიკული გზები ტანჯვის მოსახსნელად; აუცილებელია
აღამიანმა თავის თავში, თავისთავის გარდაქმნით მიაღწიოს
სრულყოფას.

• ადრინდელი ბუდიზმი იმედის გრძნობას უნერგავდა ადა-
მიანს, მას ბუნების დამძლევად და ლმერთისაგან დამოუკიდე-
ბელ არსად მიიჩნევდა. ამიტომ თავად ადამიანზე იყო დამო-
კიდებული ბედნიერების მოპოვება, ტანჯვისაგან განთავა-
სუფლება, და ეს ეხებოდა ყველა ასაკისა და სქესის, ტომისა
და წარმოშობის ადამიანს. ამ გარემოებამ გარკვეულად გან-
საზღვრა აღმოსავლეთის ქვეყნებში ბუდიზმის, როგორც ფარ-
თო მასშტაბის რელიგიური მოძღვრების გავრცელება /ზოლო
თავის განვითარებაში ბუდიზმმა სახე შეიცვალა, ბუდა ლმერ-
თად გადაიქცა, სულებს უკვდავება მიეწერათ. | მაგალითად,
იოგაჩარებმა მხოლოდ სულიერის რეალურობა აღიარეს და
სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულება განავითარეს, მად-
ჰიმიკებმა რელატივიზმი იქადაგეს, საუტრანტიკების სკოლა-
ში შემეცნების რაციონალური მეთოდები დამუშავდა, ხოლო
კაიდპაშიკებთან კვლავ აღიარებულია მატერიალური სამყარო
და მისი შემეცნების შესაძლებლობა.

| ბუდისტური ფილოსოფია 4 — 5 სს. (ახ. წ.) ინდოეთის
კულტურის ყველა ნაირსახეობას დაეუფლა და ეს მოძრაობა
იქადე განვითარდა, რომ მე-5 ს-ში მეფე კუმარაგუპტა I-მა
დაარსა ბუდისტური უნივერსიტეტი ბუდიზმი თანდათანობი-
თი სახეცვლილებით კარგად შეერწყა ახალ საზოგადოებრივ
წყობას — ფეოდალიზმს და იმ დროიდან მოკიდებული ბუდის-
ტური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება გავლენას ახ-
დენს არა მხოლოდ ინდოეთის, არამედ აღმოსავლეთის დიდი
ქვეყნების (ჩინეთი, იაპონია, მონგოლეთი) იდეოლოგიაზე.

3) ჩარვაკა-ლოკაიატა. ძველი ინდოეთის პირველი მატერიალისტური სკოლაა ჩარვაკა-ლოკაიატა. სახელწოდება „ლოკაიატა“ წარმომდგარია იქიდან, რომ ამ სკოლის წარმომადგენელნი სცნობდნენ მხოლოდ გრძნობად სამყაროს, „ამ სამყაროს“ („იჰალოკა“), უარყოფდნენ მიღმა სამყაროს („პარალოკა“). ამ სკოლის მეორე სახელწოდება ჩარვაკა ორგვარად არის განმარტებული; ჯერ ერთი, იგი აღნიშნავს „მატერიალისტს“¹ ამ სახელს მიაწერდნენ ადამიანს, რომელიც ქადაგებდა კარგ კამა-სმას („ჩარვა“ — „კამე“), ან რომლის სიტყვებს სარგებლობა და სიამოვნება მოჰქონდა და ამიტომ გასავალი ჰქონდა („ჩარვა ვაკ“ — სასიამოვნო, მომხიბვლელი). ჩარვაკა — უფრო ვიწრო მნიშვნელობით ოთხელემენტოვან თეორიასაც აღნიშნავს (ჩარვაკ-ოთხი სიტყვა)¹. ამ სკოლის აჩებობის ღროიდან მატერიალიზმის ცნება სკოლის სახელწოდებას შეერწყა (ჩარვაკა-ლოკაიატიკა). მეტწილად მატერიალისტი ინდოეთში იწოდებოდა „ლოკაიატიკად“, ე. ი. „ამა ქვეყნის“ (ლოკა) მაღიარებლად და დამფასებლად.

სკოლის მამამთავრად მეცნიერულ ლიტერატურაში მოხსენებულია ბრიჰასპატი (VII — VI სს.), ჩარვაკას სუტრების ავტორი, ხოლო გამოჩენილ წარმომადგენლად დასახელებულია ლჰიშანი. მათი სუტრები მოწინააღმდეგე სკოლის მოძღვართ გაუნადგურებიათ². ზუსტად არ არის დადგენილი, როდის შე-

¹ ი. ბ. В. В. Бродов. Индийская философия нового времени, стр. 42.

² „ჩვენ გავვაჩნია მხოლოდ რამდენიმე ურაგმენტი ლოკაიატადან, თანაც ყოველი მათგანი შემონახულია მოწინააღმდეგეთა გაღმოცემებში“. —

Д. Чаттопадхъяя. История индийского материализма, М., 1961, стр. 11—12.

იქმნა ეს სკოლა. ვარაუდით მისი შექმნა ბუდიზმის ჩამოყალიბების წინა პერიოდს მიეკუთვნება.

ჩარვაკა-ლოკაიატას მოძღვრება უპირისპირდება ვედებს, მსხვერპლთშეწირვის წეს-ჩვეულებებს, ქურუმთა ქადაგებებს, ფანატიზმს და საერთოდ ბრაჟმანისტულ იდეოლოგიას, დპი-შანის მიხედვით, არავითარი ღმერთი და უკვდავი სული არ არსებობს, არის შხოლოდ მრავალფეროვან ბუნებას მიეწერება. სამყარო ოთხი ელემენტისაგანაა შედგენილი: მიწისა, წყლისა, სინათლისა (ანუ ცეცხლისა) და ქარისაგან ანუ ჰაერისაგან. სხეულები მათი შეერთებით არიან წარმოქმნილნი. სხეულს აქვს ცნობიერების უნარი და სწორედ ეს არის სული, ამ უკანასკნელს არ გააჩნია სხეულისაგან დამოუკიდებელზ არსებობა. სულიც პირველსაწყისი ოთხი ელემენტისაგანაა შედგენილი, მათი გარკვეული წესით შეერთების შედეგად. ჩარვაკას მიხედვით, საიმედო ცოდნა აღქმით მიიღწევა, ხოლო აღქმაში მიზეზობრივი მიმართებები, აუცილებლობა არ არის მოცემული. ამიტომ იქრძალება აღქმის გარეშე მოცემულის სარწმუნოდ მიჩნევა. ამ თვალსაზრისით უარყოფილი ხდება ვედები და ქურუმთა ქადაგებანი, რადგან სხვათა დამოწმება შემეცნების წყაროდ მიუღებელია. ჩარვაკა-ლოკაიატას შემეცნების თეორია სენსუალისტურია, გონებითი შემეცნება, აბსტრაქტული აზროვნება შეცდომისა და სუბიექტური თვითნებობის წყაროდაა მიჩნეული.

ამავე ეთიკაში ეს სკოლა პედონისტურ დასკვნებამდე მიღის. რადგან მხოლოდ გრძნობადი სამყარო არსებობს და არ არის არავითარი იმჯვეუნიური, რომლის იმედი შეიძლება აღამიანს ჰქონდეს, ამიტომ ბედნიერების მოპოვების ყველა გზა აქვე, მიწიერი ცხოვრებისას უნდა განხორციელდეს და თავადაც

ასევე მიწიერ-გრძნობადი უნდა იყოს. აღამიანის სიცოცხლის მიზანი ამქვეყნიური ტანჯვისაგან განთავისუფლებაა, მაგრამ ეს შეუძლებელია მთლიანად და საბოლოოდ. ამიტომ აღამიანის მთელი ზრუნვა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ტანჯვა მინიმუმამდე დაიყვანოს სიამოვნების მაქსიმუმის განხორციელებით. აღამიანის იდეალია არა სრული განთავისუფლება ამქვეყნიურისაგან, რასაც ჭაინიზმი და ბულიზმი ქადაგებენ, არამედ ცხოვრების მაქსიმალური გამოყენება სიამოვნებისათვის; არა მზადება რაღაც სხვა ყოფიერებისათვის, არამედ ზრუნვა: ¹ არ დაკარგო შენი ცხოვრების არც ერთი მომენტი სიამოვნების გარეშე. აქედან მორალი: დღევანდელი გერჩიოს ხვალინდელს („დღევანდელი მტრედი სჯობს, ხვალინდელ ფარშევანგს“).

ბერძენი ჰედონისტი ფილოსოფოსის ეპიკურეს ეთიკურ მოწოდებას ეპასუხება ჩარვაკას მიმართვა აღამიანისადმი; „ვიდრე სიცოცხლე ჭერ კიდევ ჩვენია — იცხოვრეთ მხიარულად! არავის შეუძლია გაექცეს სიკვდილის გამგმირავ მზერას. თუ, ერთხელაც ეს მზერა დაფერფლავს ჩვენ ჩინჩხს, როდისღა იქნება შესაძლებელი მისი ხელახალი აღორძანება?“¹.

ჩარვაკა-ლოკაიარა ქადაგებს სიმდიდრის საჭიროებას ამ-ქვეყნად მიწიერი სიამოვნებისათვის, უარს აცხადებს მსხვერპლთშეწირვაზე, იმ ქვეყნიურისათვის მზადებაზე. ამ სკოლის ფილოსოფოსი დაცინის ქურუმებს, ბრაჟმანებს როგორც მატყუარებს, მომხვეველებს და ხარბებს: მსხვერპლთშეწირვა რომ სწამდეთ, როგორც მომავალი ბედნიერების პირობა, ისინი

1 сб. С. Радхакришнан. Индийская философия, т. I, стр. 236.



საკუთარი ბედნიერებისათვის თავიანთ მშობლებსაც კი უმაღლეს შესწირავდნენო მსხვერპლად. ჩარვაკას სკოლა უარყოფს სიკეთისა და ცოდვის სამყაროს, იმქვეყნიური სამოთხის ცნებებს, როგორც ქურუმთა გამონაგონს. ამ სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ასე მიმართავდა მაჰარაჯას: უგუნურიც და ბრძენიც სხეულის სიკვდილით კვდება, ორივენი იღუპებიან. სიკვდილის შემდეგ ისინი არ არსებობენ!

ჩარვაკა-ლოკაიატა ინდოეთში ერთ-ერთ ძლიერსა და ძნელად უარსაყოფ თეორიას წარმოადგენდა იდეალისტუბისათვის. ეს ძლიერი ყატერიალისტური და ათეიისტური მოძღვრება გაბედულად დაუპირისპირდა რელიგიურ-იდეალისტურ მიმართულებებს და ქურუმთა ავტორიტეტს. ამიტომ ამ სკოლას ისევე ეპყრობოდნენ, როგორც ეპიკურეიზმს ქრისტიანობის შემდეგ. მას ახასიათებდნენ როგორც მატერიალურით გატაცების, სიზარბისა და გრძნობად-სხეულებრივი ტქბობის აპოლოგიას. თავის შემდგომ განვითარებაში ჩარვაკა-ლოკაიატამ განიცადა სახეცვლილება რელიგიასთან შეთანხმების მიმართულებით, გვიანდელ ვარიანტში უკვე აღარ არის უარყოფილი მიღმა სამყარო და სულის უკვდავება.

IV მიმანსა და ვედანტა. IV ს. (ძვ. წ.) ძველ ინდოეთში წარმოიშვა ორი თეორია — მიმანსა და ვედანტა, რომელნიც უშუალოდ ვედების ჭეშმარიტებას ემყარებოდნენ, ვედებს აცხადებდნენ წმინდა წიგნებად და ფილოსოფიურ მსჯელობებს მათზე, როგორც უდაო ჭეშმარიტებაზე, ამყარებდნენ. მიმანსას ფუძემდებლად ითვლება ჭაიმინი; მან მოითხოვა

1 сб. В. В. Бродов. Индийская философия нового времени, стр. 45.

ვედების საზრისის გაგებადა ამით საფუძველი ჩაეყარდა ვე-
ლებზე კომენტატორულ მუშაობას. მიმანსას მოძღვრებაში გან-
საკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შემეცნებისა და
ლოგიკის საკითხებზე, შემეცნების პრობლემები რაციონალის-
ტურადა გადაწყვეტილი.

ვედების ჰეშმარიტებას იძლევა ლოგიკური ანალიზი, ხო-
ლო საერთოდ ჰეშმარიტებას — მათზე დამყარებული დასკვნე-
ბი. მხოლოდ შეცდომის მიხეზით ან სიზარმაცით, ანდა სხვა
მსგავსი მიზეზით ჩვეულებრივ ვედებს უწოდებენ საზრისს
მოკლებულთ. მათი საზრისი ლოგიკური, ეტიმოლოგიური და
გრამატიკული ანალიზით შეიმეცნება¹. უშუალოდ შემეცნება-
დია სიტყვისა და მისი საზრისის კავშირი. სიტყვასა და მის
საზრისს შორის კავშირი არ არის ნებისმიერი, სიტყვამარადიუ-
ლია, მარადიულია მისი საზრისიც და არსებაც. ხოლო ეს კავ-
შირი არც მიზეზ-შედევობრივი, არც თანაარსებული და არც
გარეკავშირია, — ეს არის თქმულისა და სათქმელის კავშირი.
მარადიულია საზრისი, მისი გამომთქმელი სიტყვა და სიტყვის
ელემენტებიც. ყოველივე ზემონათქვამის მტკიცება არ ემყა-
რება ვედებს, შემეცნების არც რომელიმე სხვა წყაროს, ეს
აქსიონაა.

გაიმინის აზრით, ვედები სამყაროს შექმნამდე არსებობ-
დნენ. ისინი არ არის შექმნილი არც ღმერთის და არც ადა-
მიანის მიერ. ღმერთი არ არსებობს, რომ არსებულიყო, მას
ვედები უნდა შექმნა. ჯაიმინი უარყოფდა ღმერთს, მაგრამ
უმვებდა უსახო ღვთაებათა არსებობას, რომელნიც ვერ შექ-
მნიდნენ ვედებს.

¹ М. Рой. История индийской философии, стр. 427.

 ვედები მარადიულნი არიან, სამყარო კი წარმოქმნასა და ნერევის პროცესშია, სწორედ ამიტომ ვედები მათ გამომოქმედებულამდე არსებობდნენ და გამოთქვეს იმათ, ვინც ისინი აღმოაჩინა, შეისწავლა და დაიმახსოვრა, შემოუნახა ქვეყნიერებას. ვედები უცვლელი სახით თაობიდან თაობებს გადაეცემოდა.

მიმანსაკები (მიმანსას მიმდევრები) იყენებდნენ დედუქციურ მეთოდს ვედების მიმართ, ინდუქციურს კი — სამყაროს მოვლენების მიმართ. მათ ორმად დაამუშავეს შემეცნების პრობლემები.

3 ვ დ ა ნ ტ ა ს ფილოსოფიური მოძღვრებაც ძვ. წ. მე-4 ს. ჩამოყალიბდა. მის დამაარსებლად ითვლება ბადარაიანა, რომელსაც ჯაიმინის მასწავლებლად ასახელებენ. ვედანტას ფილოსოფია უპანिषადებს ეყყარება, და ძირითადად ვედანტის სუტრებზე კომენტარებს წარმოადგენს. ეს ფილოსოფიური თეორია ოთხ ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი ეძღვნება ბრაჰმანას, მეორე — სხვა ფილოსოფიური დოქტრინების უარყოფას, მესამე ნაწილი არჩევს ამქვეყნიურ ცხოვრების საკითხებს, საგანთა შეძენილ და საკუთარ თვისებებს, სინამდვილის სწორი შეცნობის პირობებს და თავისუფლების საკითხს. მეოთხე ნაწილი საკუთრივ ეხება მხოლოდ ღვთაება ბრაჰმას შემეცნების შედეგებს.

ვედანტას უმთავრესი მიზანია ბრაჰმანის არსების დაფუძნება. უარყოფილია ბრაჰმას მიერ სამყაროს ქმნადობა, რადგან ეს ეწინააღმდეგება სუტრის შინაარსს, სადაც წერია: „აქ ადრე არა არსებობდა რა, ყველგან სიკვდილი სუფევდა, რომელსაც შიმშილის სახე ჰქონდა“. აი ამ სიკვდილიდან აღდგა სული სიკვდილითა სიკვდილისა უარმყოფელი. „მე — სიკვდილი. სიკვდილის სიკვდილით გავხდები სული“, ე. ი. დასა-

წყისში იყო არარა და მისი უარყოფით არარას მიერ წარმო-
იქმნა სული (არარსი უარიყო არარსით), განხორციელდა ის,
რასაც დასავლეთის ფილოსოფია უარყოფის უარყოფის ფორმუ-
ლით გამოხატავს! როგორც ინდური ფილოსოფიის მკვლევა-
რი მ. რო შენიშნავს, ძველ ინდოელებს იმ დროს უნდა სცოდ-
ნოდათ უარყოფითი სიდიდეების ნამრავლის თვისება, უარყო-
ფითებით დადებითი სიდიდის დადგენის შესახებ.

არარას უარყოფით დადგენილი სული განმარტებულია
როგორც ბრაჰმა, რომელშიც ჩაისახა მთელი სამყარო.
ბრაჰმასა და სამყაროს მიმართებისათვის უპანიშადებში
გამოყენებულია უარყოფის უარყოფის („ნეტუ ნეტუ“) ცნე-
ბა და ამის მიხედვით სამყარო წარმოდგენილია სრულ დაპი-
რისპირებად, ბრაჰმას უარყოფის უარყოფად, ხოლო თვით
ბრაჰმას დადებითი დახასიათებაა ის, რომ იგი არის „კეშმა-
რიტებათა კეშმარიტება“.

სამყაროში განსხვავებულია სული და მატერია. მატერია-
საგანაა წარმოშობილი ჰაერი, ჰაერისაგან — ცეცხლი, ცეც-
ლისაგან — წყალი, წყლისაგან მიწა, ეს ელემენტები მატერი-
ასაგან მომდინარეობენ და, როცა სამყარო ინგრევა, ყველანი
მასში განზავდებიან. ადამიანის სხეული სამი ელემენტისაგან
შედგება (წყალი, ცეცხლი, მიწა). ცოცხალი ორგანიზმები
ზრდის უნარით განსხვავდებიან არაცოცხალთაგან. ადამიანი
არა მხოლოდ იზრდება და მოძრაობს, არამედ აზროვნებს კი-
დეც, მისი ხეედრია ტანჯვაც და ნეტარებაც (ცხოველი კი
მხოლოდ იტანჯება). სული ბრაჰმასგან მოვლინდება, რო-
გორც ცეცხლისგან ნაპერწკლები; როგორც ნაპერწკლები ვე-

¹ М. Рой. История индийской философии, М., 1958, стр. 453.

ლარ უბრუნდებიან ცეცხლს, ვერც სული უბრუნდება ბრაჟი
გას.

ბრაჟმას აქვს ორგვარი ფორმა — კონკრეტული და აბს-
ტრაქტული. კონკრეტული არაა მარადიული, აბსტრაქტული
კი მარადიულია. ბრაჟმას შემეცნება უარყოფის უარყოფაა
იმ აზრით, რომ უარიყოფა მისი კონკრეტული ფორმა, რათა
მეორე უარყოფით დადგინდეს მისი მარადიულობა.

ამგვარად, ვეღანტებმა უარყოფის უარყოფის პრინციპი
გამოიყენეს როგორც თავისებური დედუქციური დასაბუთე-
ბის მეთოდი; არარსის არარსებობის უარყოფით მათ სურდათ
დაედგინათ ჰეშმარიტი არსი, ბრაჟმა.

სამყაროში ყველაფერი იცვლება და ისე მიედინება, რო-
გორც მდინარის ტალღები, ყოველივე ერთმანეთშია გადახ-
ლართული, ერთ მთლიანობას ქმნიან ერთ დიდ არსად ერთი-
ანდებიან მსგავსად მდინარეებისა, რომლებიც, ბოლოს ოევ-
ნეში ჩაედინებიან და ჰეკარგავენ თავიანთ გარკვეულობას, ინ-
დივიდუალობას. წწორედ ისევე, როგორც მდინარის წყალი
ოკეანის წყლად იქცევა, საგნებიც თავიანთ ინდივიდუალობას
ჰეკარგავენ მთლიანში, რასაც ბრაჟმა ეწოდება ბრაჟმა,
როგორც ერთეულთა უარყოფა, ყოველგვარი უარყოფის
უარყოფაა, ყოველი განსაზღვრულის უარყოფათა არსებაა.

ვეღანტების მიხედვით, ვედები შემეცნების წყაროა და არა
შედეგი. ისინი არ არის შექმნილი ადამიანური ცნობიერების
მიერ. რიგვედა „დიადი წარსულის სუნთქვაა“ ბრაჟმას შემ-
მეცნებელს ორგვარი ცოდნა უნდა ჰქონდეს: დაწყებითი და
უმაღლესი, უნდა იცოდეს გრამატიკა, ასტრონომია და უნდა
შეისწავლოს უპანიშადები, რითაც დაეუფლება უმაღლეს
ცოდნას, შეიმეცნებს უზენაესს.

შემეცნება თავისუფლების, გზაა, მაგრამ ისეთი შემეცნება, რომელიც ვედების ცოდნას, მსხვერპლთშეწირვას, ასკეტიზმს, მარხვას ერთმანეთთან ათავსებს. ასეთი შემეცნებით ჩვენი ქცევები წმინდაა, აზრი — ღრმა და ძლიერი, ეს ჯერ მხოლოდ პრაქტიკული სფეროა თავისუფლების მოპოვების გზაზე, თავისუფლება განხორციელდება, როცა ადამიანი კეთილდღეობას მოიპოვებს, ამალლდება ბრაჟმას შემეცნებამდე.

აზროვნების სიღრმე, დასაბუთების სიმკაცრე, მეთოდოლოგიური სიზუსტის მოთხოვნა და ამ პოზიციიდან მკაცრი კრიტიკა ბუდიზმისა და სხვა მოძღვრებებისა, სამყაროს ეფემერულობის მტკიცება და მისი დაპირისპირება ბრაჟმასთან როგორც სრულშენილისა არსებით და ცოდნით, — ყველა ეს მომენტი მიუთითებს იმაზე, რომ ძველი ინდოეთის ფილოსოფიაში რელიგიისა და ეთიკის პრობლემებთან მჭიდრო მიმართებაში ობიექტური იდეალიზმი განვითარდა, რომლის ანალოგიაა ანტიკურ საბერძნეთში პლატონის ფილოსოფია.

ვედანტას ფილოსოფიურ მოძღვრებაში საერთო ნიშნები დაიძებნება პლატონის ფილოსოფიასთან. სინამდვილის პლატონურ დაყოფას იდეებისა და გრძნობადი საგნების სამყაროდ ვედანტას მოძღვრებაში შეესაბამება მოჩვენებითი არსის ანუ გრძნობადი სამყაროს და კეშმარიტი არსის ანუ ბრაჟმას დაპირისპირება; ეს ონტოლოგიური დაპირისპირებაა გნოსეოლოგიურსაც განსაზღვრავს: ორთავე თეორიაში ადამიანის დანიშნულება სულის თავისუფლების მიღწევაა, რაც იმით ხორციელდება, რომ სული სხეულისაგან თავისუფლდება და ბრაჟმას შემეცნებით თავისუფლებას აღწევს. ორთავე თეორიაში დაშვებულია თავისთავადი კეშმარიტებანი: პლატონთან იდეები, ვედანტისტებთან ვედები და უპანიშადები.

6) სანქიას ფილოსოფიური მოძღვრება შეიქმნა მე-ხაუკუნეში (ძვ. წ.). მისი პირველი წარმომადგენელია კაპილა. ამ მოძღვრების მთავარ მხარეს შეადგენენ რელიგიურ-ეთიკური მოძღვრების საფუძველზე წამოჭრილი გნოსეოლოგიური პრობლემები. ეს ფილოსოფიური თეორია ტანჯვის მიზეზებს, მის სახეებს და ტანჯვისაგან განთავისუფლების გზებს იკვლევს!

კაპილას აზრით, სამყარო შექმნილი არ არის და, რა თქმა უნდა, არც შემოქმედი არსებობს. სამყარო, როგორც მთლიანი, თანდათანობით, იმანენტურად ვითარდება; სამყარო არც რეალობაა და არც ილუზია, რადგანაც ის არსებობს, იცვლება და ისპობა. მიუხედავად იმისა, თუ როგორი არსებობა აქვს სამყაროს, იგი მაინც შემეცნებადია

ცოდნა მომდინარეობს შეგრძნებებიდან, დასკვნებიდან და ვედებიდან¹ ვედებზე დაფუძნებული ცოდნა გაცხადებაა, წინასწარმეტყველთა სიტყვების განდობაა. სანქიას ფილოსოფიის მიხედვით, ვედები ასკერმა წინასწარმეტყველებმა შექმნეს და რადგან ისინი სიტყვებით და ბევრებით გამოითქვა, — მარადიულნი არ არიან, არ არის გამორიცხული არც შეცდომები ვედების წარმოთქმის დროს. ვედები უძველესი დროიდან არსებობენ და ხალხს შეცდომით გაუჩნდა აზრი მათი მარადიულობის შესახებ.

ცოდნას თავისუფლებამდე მიჰყავს ადამიანი. ნამდვილი თავისუფლება პრაქტიკული მოქმედებით მიიღწევა | უანგარო

¹ სანქიას ფილოსოფიური თეორიის დეტალური ანალიზი მოცემულია ნაშრომში Н. П. Аникеев, О материалистических традициях в индийской философии.

მოქმედებით ადამიანი თავიდან იცილებს ტანჯვას და ადგება
თავისუფლების გზას.

სანქიას მოძღვრება ფილოსოფიური დუალიზმის წინაშე
აღმოჩნდა, ვერ გაირკვა სულისა და ბუნების საგანთა ურთი-
ერთკავშირი, ცნობიერებისა და საგნის მიმართება, ცდისეუ-
ლი შემეცნებისა და გონებითი ცოდნის კავშირი. ლმერთი,
როგორც შემოქმედი, სანქიას მიხედვით, არ არსებობს, იგი
არც სულია, რომელიც შეზღუდულიდან თავისუფალი გახ-
დებოდა, რადგან ეს ეწინააღმდეგება ლმერთის გაგებას. ყვე-
ლაზე სწორია ლმერთის ისეთი გაგება, რომლის მიხედვით იგი
ჩვენი წინაპარია. მაშასადამე, ყოველი ჩვენთაგანი შეიძლება
გახდეს ლმერთი. თუმცა, შემოქმედი ლმერთის არსებობა უარ-
ყოფილია, მაგრამ საჭიროდაა მიჩნეული სრულყოფილი ადა-
მიანური სახის ლმერთის დაშვება; ამით ლმერთი მიწიერ-სხეუ-
ლებრივ არსს დაუახლოვდა და მისი საბოლოო უარყოფა ვერ
განხორციელდა.

შესაძლებელია გამართლებული იყოს სანქიას მოძღვრების
შედარება ძველი ბერძნების გულუბრყვილო მატერიალიზმ-
თან, რადგან პირველ ბერძნ მატერიალისტებთან მატერია-
ლური საწყისია აღიარებული, ცვალებადი სამყარო ნივთიერი
სუბსტანციდანაა ახსნილი. შემოქმედი ძალის, ლმერთის უარყო-
ფა, ზებუნებრივი ძალების განდევნა სამყაროდან და ცდა
სამყარო აიხსნას თავისთავიდან — ეს ამოსავალი პრინციპი
და მისგან გამომდინარე მოთხოვნები საერთო ნიშნებად შე-
იძლება ჩაითვალოს სანქიას და მილეტის სკოლის ფილოსო-
ფოსებისათვის ამასთან ერთად მათ შორის განსხვავება უთუ-
უდ არსებობს, რაც უპირველეს ყოვლისა ბერძნული ფილო-
სოფიური აზროვნების შედარებით ლოგიკურ თანამიმდევრუ-

ლობასა და სიმწყობრეში ჩანს, რაც ესოდენ მიუღწევი შეიქნა
საერთოდ ძველი ინდური ფილოსოფიისათვის. სწორედ ამი-
ტომ იყო, რომ სანქია აშკარა დუალიზმის პოზიციაზე დარჩა,
მილეტის სკოლამ კი მატერიისა და მოქმედი ძალის, სხეული-
სა და სულის დუალიზმი პილოძოისტური მატერიალიზმის სა-
სარგებლოდ გადაწყვიტა.

¶ სანქიას დამსახურება ინდური ფილოსოფიის ისტორიაში
მატერიალისტური თეორიის დაფუძნების ცდაში მდგომარე-
ობს: რისთვისაც დამუშავებულია პრაკტიკის (მატერია), პუ-
რუშას (სულის), მიზეზობრიობის ცნებები. სამყარო გაეგებუ-
ლია როგორც პრაკტიკი, მარადიული და ერთიანი, მარადიუ-
ლი მოძრაობით დახასიათებული. მიზეზობრიობის პრინციპის
რაციონალური გამოყენებით ნაცადია ლმერთის ოსებობის
უარყოფა, გარჩეულია მატერიალური და მწარმოებელი (მოქ-
მედი) მიზეზი, აგრეთვე მიზეზთა მიზეზი როგორც უმიზეზო,
და რიგითი მიზეზშედეგობრივი მოვლენები.

¶ ვა ა შ ე შ ი კ ა . III ს.-ში (ძვ. წ.) წარმოიშვა ვაიშეში-
კას სკოლა, დამფუძნებლად ითვლება კანადა. მიმართულების
სახელწოდება წარმომდგარია სიტყვიდან „ვიშეშა“, რაც ნიშ-
ნავს „განსაკუთრებულს“ („აღმატებულს“) თითქოსდა ეს
მოძღვრება იმთავითვე გამოირჩეოდა ძველი ინდოეთის სხვა
მოძღვრებათაგან და ამიტომ ეწოდა „განსაკუთრებული“, ანდა
იმიტომ, რომ „განსაკუთრებულის“ კატეგორიას აქ განსაკუთ-
რებული ადგილი ეჭირა.

ამ მატერიალისტური თეორიის მიხედვით, მთელი სამყარო
რომ დაიშალოს, დარჩება მარადიული ატომები, რომელნიც
თავდაპირველად უძრავი არიან, ატომის სახელწოდება „პარა-
მანუ“ წარმომდგარია სიტყვიდან „ორის განაყოფი“, წყვილის

ნაწილი; ყოველი არსებული ორად იყოფა, ხოლო ამაღრის
განაყოფი არის პარამანუ ანუ ატომი¹ ამრიგად, ატომების
არსებობა დასკვნითი მსჯელობითაა დადგენილი და ამავე გზით
გაირკვევა ატომთა განვენილობისა და მოძრაობის პირობე-
ბის — სივრცის, დროისა და ეთერის არსებობა² ეთერი ატომ-
თა შორის ცარიელი სივრცეა, ხოლო ატომები, კანადას აზრით,
თვისობრივად განსხვავებულია ერთმანეთისაგან³, ისინი „ვი-
შეშას“, — განსაკუთრებულს წარმოადგენენ.

ელემენტები, სამყაროს ოთხი სტიქია⁴ ატომების ერთობ-
ლიობაა, ეს არის სფერო ცვლილებისა და განვითარებისა,
ატომები კი მარადიული არიან, ე. ი. სამყარო შედგენილია
ფიზიკური სხეულებისა და ცოცხალი სულიერი მოვლენებისა-
გან. რომლებიც საბოლოოდ ატომების შეერთებათა ტრანს-
ფორმაციის შედეგს წარმოადგენენ. ხოლო მოქმედება, კა-
ნონზომიერება ფიზიკურ მოძრაობადაა გაგებული და მას
„კარმა“ ეწოდება.

ვაიშეშიკას სკოლაში პირველად მთელი სიღრმით დამუ-
შავდა მოძლვერება კატეგორიების შესახებ. დადგენილია შვი-
ლი კატეგორია: სუბსტანცია, თვისობრიობა, მოქმედება, სა-
ყოველთაობა, განსაკუთრებულობა, თანაარსებობის მიმართე-
ბა და არარსი. ამათგან ექვსი დადგითი შინაარსის კატეგო-
რიაა, ერთი (უკანასკნელი) უარყოფითი.

ვაიშეშიკას მოძლვერებაში ცნების რეალისტური თეორიას
საფუძველიცაა მიგნებული, გამოკვლეულია, რომ ერთი ვა-
რეობის საგნებს ერთი სახელი აქვს მათი საერთო ბუნების

¹ Д. Чаттопадхъяя. История индийской философии. М., 1966.
стр. 22.



ვამო. იქმნება აზრი ამ საერთოს, საყოველთაოს შესახებ, ეს არის ცნება, ზოგადი იდეა. ამგვარად, ცნება ასახავს ერთიანობას, განსაზღვრავს საგანთა კლასებს.

ამ მოძღვრებაში გაანალიზებულია სამი სახის ცნება: უზოგადესი, ანუ ყოვლისმომცველი — „პარა“, უდაბლესი, ანუ ერთეულადი — „აპარა“ და შუალედური — „პარაპარა“¹.

საყოველთაოს კატეგორიას უპირისპირდება განსაკუთრებულის ანუ „ვიშეშას“ კატეგორია. განსაკუთრებული თავის გვარში ერთადერთი ინდივიდუალობაა, მას არა აქვს ნაწილები, ამიტომ არ იშლება და არ იცვლება, ე. ი. მარადიულია.

ვაიშეშიკას მოძღვრებაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია თვისობრიობა და თვისება. თვისობრიობა თავისთავადია, თვისება კი დამოკიდებულია და ერთი საგნიდან მეორეს გადაეცემა, მაგალითად, ატომთა მოძრაობა თვისებაა, მარადულობა — თვისობრიობა.

ვაიშეშიკას ფილოსოფიურ თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა არარსის კატეგორიას; არარსის ორი სახე არსებობს: ერთია რამეს არარსებობა რაღაც სხვაში, მეორე — რომ ერთი ნივთი არ არის სხვა ნივთი, რაც გამოითქმება შემდეგი მსჯელობების ფორმით — „S არ არის არა P-ში“ და „S' არ არის P“². აქვე დეტალურადაა გამოკვლეული მათი ვარიანტები. ვაიშეშიკას თეორია კატეგორიების კვლევით ფილოსოფიური აზროვნების მაღალ დონეზე დადგა, მაგრამ სინამდვილის ფილოსოფიური ახსნა მისთვის მიზანს კი არა,

¹ С. Чаттерджи и Д. Датта. Древняя индийская философия, стр. 22—23.

² ა. პელიძე

საშუალებას წარმოადგენს ამ მოძღვრების მიხედვით, ადამიანის მიზანი სულის თავისუფლებაა, რისი მიღწევის საშუალებაა ცოდნა, სამყაროს ახსნა, ვაიშეშიკას ფილოსოფია, თავისი პირვანდელი ფორმით მატერიალისტურ ტენდენციას რომ ატარებდა, მოგვიანებით ნიაიას იდეალისტურ თეორიას დაუკავშირდა და გაიზიარა კიდეც მოქმედი ძალის, მწარმოებელი მიზეზის იდეა. ამას გარდა მეტი ყურადღება მიექცა გნოსეოლოგიურ პრობლემებს და სამყაროს მომწესრიგებელის კვლევა დაიწყო. თუ, კანადას აზრით, სამყარო მატერიალური ნაწილაკებისაგან, ატომებისაგანაა აგებული, შემდეგ კითხვა დაისვა იმის შესახებ, თუ რა ძალით ერთიანდებიან ისინი, და მითითებულ იქნა შემოქმედ, მწარმოებელ მიზეზზე, — ღმერთზე.

ვაიშეშიკას სკოლის უდიდესი დამსახურება ატომისტური მოძღვრების ჩამოყალიბებაა. შეუძლებელია ძველ ინდურ ფილოსოფიაში ატომისტიკაზე მსჯელობა ბერძენი ატომისტის, დემოკრიტეს მოძღვრებასთან ანალოგიის გარეშე. ამ ანალოგიაზე საინტერესოდ მსჯელობს ფილოსოფიის ისტორიკოსი დ. ჩატოპაძეია. მისი აზრით, ვაიშეშიკას ფილოსოფია ბერძნული ატომისტიკის ანალოგიურ თეორიულ წანამძღვრებზე აღმოცენდა. დემოკრიტეს მოძღვრება ჰერაკლიტეს ცვალებადი სამყაროს უცვლელ საფუძველს ეძიებდა და პარმენიდეს, არსში აღმოაჩინა ეს უცვლელი; საჭირო გახდა უცვლელი არსის ამძრავება და მოძრაობის პირობის — სიცარიელის დაშვება. ასევე ინდურ აზროვნებაში ბრაჟმანიზმა სცნო მარადიული ლვთაებრივი არსი (ბრაჟმა), ბუღისტებმა კი ყოველივე წარმავლობასა, გარდაქმნასა და განვითარებაში განიხილეს. ამ ორი თეორიის დასრულებას (თავისებურ სინ-

თეზირებას) წარმოადგენს ვაიშეშიკას მოძღვრება, რომელიც დემოკრიტეს მსგავსად ოლქმელ, გონებით საწყდომ ატომს „პარამანუს“ აღიარებს, როგორც უცვლელ, მარადიულ საფუძველს და ასეთი საწყისების შეერთება-გათიშვით ცდილობს ახსნას სამყაროს მრავალფეროვნება.

მსგავსებასთან ერთად ამ ორ ატომისტურ თეორიას შორის, რომლებიც ქრონოლოგიურადაც კი ემთხვევიან ერთმანეთს, განსხვავებაც არსებობს, რაც უპირველეს ყოვლისა თვით ატომის ძირითადი ნიშნების გარკვევაში, მოძრაობისა და აუცილებლობის გაგებაში ვლინდება. ატომს დემოკრიტემ მრავალი ნიშანი მიაწერა, კანადას დახასიათებით კი ატომს სამი ნიშანი აქვს: განუყოფელობა, უმცირესობა და მარადიულობა. კანადამ ატომი და მოძრაობა ისე მჭიდროდ ვერ დააკავშირა, როგორც დემოკრიტემ. კანადასთან ატომები თვისობრივად გარკვეული არიან ოთხი ელემენტის შესაბამისად, დემოკრიტესთან კი ასეთი შეზღუდვა არ არსებობს, დემოკრიტემ აუცილებლობა დაუშვა, ვაიშეშიკებთან კი ატომთა სისტემაში შემრიცელა თავისუფალი ნება, ღმერთი, მწარმოებელი მიზეზში მაშასადამე, ვაიშეშიკებმა ატომისტიკის უფრო მარტივი მოდელი მოგვცეს, ვიდრე ბერძნებმა. ინდოეთში ატომისტიკამ ვერ მიიღო ისეთი თანამიმდევრული მატერიალისტური სახე ბუნების ახსნაში, როგორც ეს დემოკრიტეს მოძღვრებას ახასიათებს. და ეს მოხდა იმის გამო, რომ ინდოეთსა და საბერძნეთში სრულიად განსხვავებული საზოგადოებრივი ყოფა ასაზრდოებდა ატომისტიკას.

ჰეგელმა მიუთითა ვაიშეშიკას როგორც რაციონალისტური თეორიის კავშირზე ნიაიას ფილოსოფიურ მოძღვრებასთან. ხოლო ცნობილმა მკვლევარმა დ. ჩატოპადჰარიამ ნიაია და



ვაიშეშიკი ერთად განიხილა როგორც არსებითად ერთმანეთ-
თან შერწყმული მოძღვრებანი.

(8) ნიაია. ნიაიას ფილოსოფიის დაფუძნება მიეკუთვნება გა-
უტამას. ამ მოძღვრების შესახებ ყველაზე აღრეული ტექს-
ტები III საუკუნეშია (ძვ. წ.) დაწერილი, ხოლო დანარჩენი
წყაროები პირველ საუკუნეს (ახ. წ.) განეკუთვნება. ცნობი-
ლია, რომ ნიაიას სკოლა უკვე IV ს. დაიყო ბუდისტურ ნიაი-
ად და არაბულისტურ ნიაიად, რომლებიც ერთმანეთის გვერ-
დით განვითარდნენ. ნიაიას კვლევის ცენტრში დგას სწორი აზ-
როვნების პირობები და სინამდვილის შემეცნების საშუალება-
ნი. ამიტომ მას ხშირად უწოდებენ მოძღვრებას აზროვნების შე-
სახებ. მაგრამ კეშმარიტი შემეცნების პირობებისა და მეთო-
დების კვლევას არა აქვს თავისთავადი მნიშვნელობა, ეს ექვემ-
დებარება აღამიანის განთავისუფლების მიზანს, ცხოვრები-
სეულ საკითხებს.

შემეცნება შეიძლება იყოს სარწმუნო (აღქმა, დასკვნა,
შედარება, დამოწმება) და არასარწმუნო (მეხსიერება, ეჭვი,
შეცდომა და პიპოთეტური არგუმენტი). ნიაია არჩევს აღქმის
ფორმებს, გრძნობადი აღქმისაგან გამოყოფს ზეგრძნობად
კერეტას რომელიც ემყარება „წმინდა ნაწერებს“, „შრუ-
ტის!“.

ამ მოძღვრებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო

1 შრუტი — გაღმოცემული ამბები, რაც არ შეიძლება ჩაითვა-
ლოს რომელიმე ერთი პიროვნების ან ლერთის ნაწარმოებად. წმინდა ნა-
წერებში ამათგან განსხვავებულია ს მ რ ი ტ ი — გახსნებული ამბები.
რომლებიც ყოველთვის თავის შემოქმედს, ავტორს გულისხმობს. ასეთი ან
ღმერთია ან აღამიანი. იხ. M. მიულერ. Шесть систем индийской фило-
софии, стр. 14.

დასკვნის ფორმების კვლევას. დასკვნა ახსნილია როგორც სა-
მი ტერმინისაგან შედგენილი და ამგვარად, გამოკვლეულია
კატეგორიული სილოგიზმის ფორმა, ოღონდ არისტოტელური
ლოგიკისაგან განსხვავებით სამი მსჯელობის (დიდი, მცირე
წანამძღვარი და დანასკვი), ნაცვლად ეს დასკვნა ხუთი მსჯე-
ლობისაგანაა შედგენილი, ხუთწევრიანია.

რამა ~~მოკვდავია~~
 რადგან რამა იდამიანია
 ყველა ადამიანი მოკვდავია
 რამა ~~იდამიანია~~
 მაშასალამე, რამა ~~მოკვდავია.~~

პირველი მსჯელობა რაიმეს ადასტურებს, მეორე აჩვე-
ნებს ამ დასტურის საფუძველს, მესამე ზოგადი მსჯელობაა,
რომელმაც უნდა დაადგინოს საფუძვლისა და მოცემული ფაქ-
ტის კავშირი, მეოთხე — ზოგადის გამოყენებაა მოცემული
შემთხვევის მიმართ, მეხუთე დანასკვია გამოყვანილი. წინა
მსჯელობებიდან. ამგვარად, დასკვნას აქვს ორი პირობა: სა-
შუალო ტერმინის მცირესთან კავშირის ცოდნა და საშუალო
ტერმინის დიდთან უცვლელი თანაარსებითი მიმართება.

თავისი დანიშნულების მიხედვით დასკვნა ორგვარია: ჰეშ-
მარიტი ცოდნის შემძენი, აღმოჩენითი და ცოდნის ჰეშმარი-
ტობის დამსაბუთებელი. ერთი-დასკვნაა ჩვენთვის, მეორე
სხვისთვის, ე. ი. სხვისთვის დამაჯერებელს ხდის ცოდნის ჰეშ-
მარიტობას. დასკვნა ორგვარია, აგრეთვე, იმის მიხედვით, —
გადასცელა ხდება მიზეზიდან შედეგზე თუ შედეგიდან მიზეზ-
ზე. დასკვნები გარჩეულია, იმის მიხედვითაც საშუალო ტერ-
მინი დიდ ტერმინთან მხოლოდ დადებით კავშირში იმყოფება,

უარყოფითში, თუ ერთდროულად დადგებითსა და უარყოფით
მიმართებაში. ნიაიკებმა გამოიკვლიეს დასკვნაში შეცდომის
ხუთი ფორმა, რომლებიც ემყარებიან საშუალო ტერმინის არა-
სწორ გააზრებას ან გამოყენებას. ნიაიას მოძღვრების მიხედ-
ვით ყოველი არსებული შემეცნების ობიექტია, რომელთაგან
ზოგი ფიზიკური სამყაროს სახით არსებობს, ან მიეკუთვნება
ფიზიკურს, ან მის მიღმა მდგომია, ფიზიკური სამყარო შედ-
გენილია ოთხი ელემენტისაგან: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხ-
ლი. ამ ფიზიკურს მიეწერება, როგორც მისი კუთვნილება, —
არაფიზიკური: დრო და სივრცე.

რადგან ნიაიას მოძღვრება არსებითად ცხოვრებისეულ სა-
კითხებს განიხილავს, ამიტომ ამ თეორიის აგებისათვის დიდი
მნიშვნელობა აქვს მე-ს მისეულ გაებას. საერთოდ ძველ
ინდურ ფილოსოფიაში მკვლევარები არჩევენ მე-ს ოთხ გაე-
ბას 1. მე — ცოცხალი სხეული ცნობიერების ატრიბუტით
(ჩარგავა), 2. მე — აზრთა ნაკადებით, ცნობიერების სერიებით,
დინამიკური (ბუდიზმი), 3. მე — ერთიანი, უცვლელი, ემანა-
ციური გონიერება (ვედინტა). 4. მე — შემმეცნებელი სუბი-
ექტი (ვაიშეშიკა). ამასთან მიმართებაში, ნიაიას გაებით, მე
განსხვავებულია სხეულისა და, აგრეთვე, გრძნობისაგან, გო-
ნებისა და ცნობიერებათა ნაკადებისაგან. მე შეიმეცნება ში-
ნაგანი სულიერი განცდით, შინაგანი აღქმით. ნიაიას მოძღვრე-
ბის უძირითადესი მიზანი, ისევე როგორც მთელი ძველი ინ-
დური ფილოსოფიურ-ჩელიგიური მოძღვრებისა მე-ს თავი-
სუფლებაა. განთავისუფლებული მე არსებობს როგორც წმინ-
და სუბსტანცია, სხეულისაგან სრულიად დამოუკიდებელი, ყო-
ველგვარ ტკივილსა და სიამოვნებას მოკლებული.

თავისუფლებისათვის აუცილებელია როგორც საკუთარი



შე-ს ჰეშმარიტი შემეცნება, ისე ცდაში მოცემული ყოველი მიზანი ამიერკის შემეცნება. აუცილებელია იმის გაგება, რომ ჩვენი მე განსხვავებულია სხეულისაგან, გონებისაგან, გრძნობებისა-გან და სხვ. ამის გაგება შეიძლება საღმრთო წიგნებით, საღაც ჩვენი მე-ა დახასიათებული და რომლის გასაგებად საჭიროა გაღმოცემულის გააზრება. მე-ს თავისუფლება საბოლოოდ ღმერთის წყალობადაა გაგებული, რომელიც ღმერთისადმი მი-მართვით მიიღწევა, ღმერთთან მიმართებაში აღამიანის თავი-სუფლება შეფარდებითია. ღმერთი მარადიულია, უსასრუ-ლო მე-ა, რომელიც ქმნის, იცავს და ანგრევს სამყაროს. იგი მარადიული ცნობიერების ატრიბუტით ხასიათდება. ღმერთი მოქმედი მიზეზიცაა და მიზნისაკენ ყველა არსების წარმართ-ველიც, მორალური ქმედების მიზეზიცაა და შემფასე-ბელიც.

ს. ჩატერჯისა და დ. დატას გამოთქმული აქვთ მოსაზრება ნიაის მოძღვრებაში ღმერთის არსებობის დასაბუთების ათი არგუმენტის შესახებ, რომლებიც მათი აზრით, მოიცავენ და-სავლეთ ევროპისათვის ცნობილ თითქმის ყველა არგუმენტს¹. განხილულ არგუმენტთაგან განსაკუთრებით ყურადსაღებია კა-უზალობის არგუმენტი, რომელსაც დასავლეთის თეოლოგიაში მართლაც დიდი ადგილი უჭირავს. მისი შინაარსი ასეთია: სამ-ყაროს ყოველი რთული არსი (მთები, ზღვები და სხვ.) შექმნი-ლია ელემენტებისაგან. ელემენტების შეერთება მოქმედებას გულისხმობს, ისევე როგორც მეტურპლე თიხისაგან აკეთებს ქოთანს. გონიერი მოქმედების გარეშე ვერ შეიქმნებოდა წეს-

¹ С. Чаттерджи и Д. Датта. Древняя индийская философия, стр. 202.

რიგი, კავშირი (ელემენტებისა). ამავე დროს გონიერი მიზეზი უნდა ფლობდეს ცოდნას საწყისი ელემენტების შესახებ, მათი წესრიგში მოსაყვანად. ეს არის ყველგან მყოფი და ყოვლისმცოდნე ღმერთი.

ინდურ ფილოსოფიურ სკოლებს შორის ნიაიას მოძღვრებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლოგიკური და გნოსეოლოგიური პრობლემების საქმაოდ ღრმა დამუშავების თვალსაზრისით. ამ თეორიის მეთოდოლოგიური მხარე მაღალ თეორიულ დონეზე დგას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არგუმენტირების, ლოგიკური გამომდინარეობის მეთოდს, ეს მეთოდია მომარჯვებული ჰეშმარიტების ძიებისა და საწინააღმდეგო მოძღვრებათა კრიტიკის დროს. ამ მეთოდით ნიაიას სკოლას დიდი გავლენა ჰქონდა ძველი ინდოეთის სხვა ფილოსოფიურ სკოლებზე.

ინდური ფილოსოფია რომ არ არის მხოლოდ რელიგიური ხასიათისა, ე. ი. ავტორიტეტზე დაყარებული, /რომ იგი არ არის შეზღუდული რელიგიური დოგმატიზმით და მოკლებული კრიტიკულობას, ამის ერთ-ერთ ნიმუშს ნიაიას მოძღვრება იძლევა.

თუმცა ფილოსოფიის ე. წ. ინდოლოგიური პრობლემები, მსგავსად სხვა სკოლებისა, აქაც ბოლომდე არ არის დამუშავებული, რის გამო სამყარო სხვადასხვა პლანის რეალობათა ერთიანობაზეა დაყვანილი. მაგ., ღმერთის ყოვლისშემძლეობასთან ერთად სამყაროს საწყისის ადგილს იკავებენ მატერიალური ელემენტები, ინდივიდუალური სულები, გონებანი. მართალია, ამ მოძღვრებაში ერთიანი აბსოლუტური საწყისის დაგენა ვერ განხორციელდა, მაგრამ ამასთან ერთად ღრმად დამუშავდა ლოგიკის თეორიული პრობლემები, სწორი აზროვ-

ნების წესები, გამოიკვეთა ფილოსოფიური პრობლემები და ჩამოყალიბდა კატეგორიები. ჰეგელი თავის „ფილოსოფიის ისტორიაში“ ძველი ინდოეთის სხვა მოძღვრებათა შორის ნიაის განსაკუთრებულ დამსახურებაზე მსჯელობს და მასში ხელავს აღმოსავლური აზროვნებიდან დასავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლის საფუძველს. ჰეგელის მიხედვით, აქედან დაიძრა ფილოსოფიური აზრი „თავისუფლებისაკენ“, რომლის გარეშე აზროვნების საკუთარ ნიადაგზე განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. ნიაის მოძღვრებით, სამყაროს შემეცნება სულისათვის მხოლოდ ვარჯიშია, რითაც მიიღწევა თავისუფლება, ე. ი. ჰეგელის სიტყვებით, მიიღწევა „ინტელექტუალური სუბსტრანციალობა“, აზრის განუსაზღვრელობა რაომე ვარეშეთი და ეს არის ფილოსოფიის არსებითი საწყისი, ეს არის იდეალიზმი¹, (ხოლო ჰეგელს, როგორც ცნობილია, ჰეშმარიტ ფილოსოფიად იდეალიზმი მიაჩნდა). ამ დონეზე, ფიქრობს ჰეგელი, მიღწეულია აზროვნების განვითარების ის საფეხური, როცა აზროვნება თავისთავად ხდება ჰეშმარიტების „საფუძველი“, მაგრამ ფილოსოფიურ აზროვნებას ვერ კიდევ აქვს არსებითი ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ინდური ფილოსოფია ამ თეორიით აღწევს „ინტელექტუალურ სუბსტრანციალობას“, რომელშიც მოხსნილია სუბიექტი, მე. იგი იძირება და იკარგება „აბსტრაქტულ ობიექტურობაში“. ჰეგელი ფიქრობდა, რომ ძველ ინდურ ფილოსოფიაში აზრი და აზრის ობიექტი, აზრის შინაარსი და აზრის მოქმედება ვერ გამოლიანდა, რომლის გამო აზრმა ვერ მოიპოვა სრული თავისთავადობა, თავისუფლება, სუბსტრანციალობა. ეს, მისი

¹ Гегель. Соч. IX, стр. 131.

აზრით, დასავლეთის აზროვნებაში, ბერძნულ ფილოსოფიაშია მოცემული. აქ აღწევს აზრი საყოველთაო, მაგრამ თავ-დაპირველ აბსტრაქტულ მნიშვნელობას, უპირისპირდება კონკრეტულ სამყაროს. აზრის განვითარების მთელი შემდეგი გზა ჰეგელმა წარმოადგინა როგორც აზრის კონკრეტული შინაარსით გამდიდრებისა და თავისთავში კონკრეტულობის განხორციელების პროცესი, რაც მან ევროპული ფილოსოფიის სპეციფიკად მიიჩნია.

ძელი ინდური ფილოსოფია ჩამოყალიბდა და განვითარდა თავისი სპეციფიკური ნიშნებით. ინდურ ფილოსოფიურ სკოლებში შემუშავებულმა ძირითადმა ცნებებმა ატმანი (ბრა-ჰმა), კარმა, ჭივა, პრაკრიტი, ანუ, მათი გამოყენების ნიუანსთა განსხვავების მიუხედავად, ძირითადად ერთმნიშვნელოვანი გაგება დაიმკვიდრეს. ატმანი აღნიშნავს პრაკრიტისადმი (ბუნება, მატერია) დაპირისპირებულ ზედროულსა და განუფენელს, მიზეზთა გარეთ მდგომს, უცვლელ არსს, — გონს, განსხვავებულს ჭივასაგან (სულისაგან). ჭივა მიისწრაფვის ატმანისაკენ და ესაა მისწრაფება უკვდავებისაკენ. სულის სწრაფვაცა და სამყაროში ყოველი მოქმედება კარმად-კანონზომიერებად იწოდება. ინდურ ფილოსოფიურ მოძღვრებებში ხშირადაა გამოყენებული ცნება „ანუ“-ელემენტი, რასაც ეფუძნება ინდოელ ფილოსოფოსთა შეხედულებანი სამყაროს ატმარული სტრუქტურის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ასე ღრმად ფილოსოფიური ცნებების მიგნება ძველ ინდურ ფილოსოფიაში უმეტესად ვერ არის დაფუძნებული შესაფერისი დონის ლოგიკური დასაბუთების წესზე, რაც იმ მიზეზით აიხსნება, რომ ამ ქვეყნის როგორც ძველი, ისე აღრეული ფეოდალიზმის ხანის ფილოსოფიის უმ-

თავრესი საფუძველი და საზომი ან ველებისა და უპანიშადების
 ტექსტისადმი ერთგულება იყო, ან ძველი ტრადიციული
 რელიგიურ-მითოლოგიური ზღუდავდა ლოგიკური დასაბუთე-
 ბის მეთოდების შემუშავებასა და ფართოდ დანერგვას, ლოგი-
 კურის ლალად გაშლას ფილოსოფიური აზროვნების სფერო-
 ში, მწყობრი სისტემების თანმიმდევრულ ლოგიკურ განვი-
 თარებას. ძველ ინდურ ფილოსოფიას წანამძღვარად ჰქონდა
 მზამზარეული სააზროვნო მასალა, რომელიც დოგმატიზებუ-
 ლი სახით შემზღუდველი გახდა მთელი მისი განვითარები-
 სათვის. ინდოეთი, წერდა კ. ნერუ „შებორკილი იყო ძველის
 მოგონებებითა და ტრადიციებით“¹. ველებისა და უპანიშადე-
 ბის უდიდესი ავტორიტეტი თავისებურ ტვირთად იქცა ინდუ-
 რი ფილოსოფიის პროგრესული განვითარებისათვის, რადგან
 მუდამ ხდებოდა უკან მიბრუნება, ავტორიტეტის დამოწმება.
 ავტორიტარიზმის პრინციპის გაბატონების, ტრადიციული-
 საღმი ქედმოხრილობის გამო აქ ქვეყნის ფილოსოფიას თან
 დაჰყვა ინტროსპექტულობა და არაისტორიულობა.

თავისთავად, თუმცა, საკაცობრიო აზრის უდიდესი მონა-
 ბოვარი იყო ველებისა და უპანიშადების ფილოსოფიური დე-
 დაარსი, ინდური ფილოსოფიის მასაზრდოებელი და იმთავით-
 ვე მისი მაღალი თეორიული დონის განმსაზღვრელი, მაგრამ
 ეს თეორიული სიმდიდრე ფილოსოფიური აზრის შემდგომი
 განვითარების შემფერხებელის, მისი აისტორიულობის, ინტ-
 როსპექტულობის მიზეზიც გახდა.

¹ Дж. Неру. Открытие Индии, М., 1955, стр. 305.

თავი 6. ძველი ჩინური მითოსი და პირითალი
ფილოსოფიური მიზართულებანი

§ 1. ძველი ჩინური მითოსის თავისებურებანი

ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფიის თავისებურებანი მითოსთან და რელიგიასთან მიმართებაში ნათლად ვლინდება ძველ ჩინურ ფილოსოფიაშიც, რომელსაც უმაღლესი ცივილიზაციის ძველი ქვეყნების კულტურის შესაბამისად, აგრეთვე, წინ უძლოდა ადრინდელი გვაროვნული წყობილების შესაბამისი რელიგიურ-მითოლოგიური აზროვნება.

დადგენილად ითვლება ადრეული ჩინური მითების ზოომორფიზმი, ღმერთებისა და სულების გამოსახვა ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და ცხოველ-ადამიანთა სახით¹. ასე იყვნენ გამოსახული ბუნების სტიქიათა ამსახველი და მმართველი ღმერთები ქარის, წვიმის, ღრუბლის, ქუხილისა და ა. შ. ღმერთების ამ პანთეონის სათავეში იდგა უმთავრესი ღვთაება შან-დო რომელიც ამავე დროს ზეცის პერსონიფიცირებული ღვთაებაც იყო და ჩინელთა წინაპარიც.

წინაპართა გაღმერთება, მათი ღაყავშირება სტიქიათა გაღმერთებასთან ჩინური მითოსის ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა. მსხვერპლთშეწირვა ცისა და მიწის ღვთაებათათვის ამავე დროს იყო მსხვერპლშეწირვა წინაპრებისადმი, რისი უფლებაც ჰქონდა მხოლოდ იმას, ვინც ახლოს იდგა ღმერთთანაც და ადამიანთანაც, ვისაც შეეძლო მათ შორის ეშუამ-დგომლა. თუმცა მითოსის ფორმაში ძველი ჩინეთის ხალხები

¹ сб. Юань Кэ. Мифы древнего Китая. М., 1965.

յոსმოგონიურ პრობლემებს წყვეტდნენ და, სხვა ხალხების
მსგავსად, მათაც შექმნეს მითი ქაოსის — უფორმო წყვდია-
ღის, როგორც სამყაროს საწყისი ღმერთის, შესახებ, მაგრამ
არსებითი მაინც წინაპართა მითები იყო. ერთ-ერთი მითი
მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაუჩნდა წყვდიაღს,
ანუ ქაოსს ორი სული (ინი და იანი), რომელთაც მოაწესრი-
გეს სამყარო, ერთმა დედამიწა (ინი), მეორემ — ზეცა (იანი),
სხვა მითში ქაოსის მოწესრიგება პირველი ადამიანის მოქმედე-
ბასთან არის დაკავშირებული. მან წყვდიაღს ცული დაარტყა,
კველაფერმა, რაც მსუბუქი და წმინდა იყო, ზემოთკენ მიაშუ-
რა — წარმოიქმნა ცა, ხოლო ის, რაც მძიმე და უწმინდური
აღმოჩნდა, ძირს დარჩა — წარმოიქმნა დედამიწა.

ჩინური მითოსის კიდევ ერთი თავისებურება, რითაც იგი
განესხვავება სხვა ხალხთა მითოსს, ის არის, რომ აქ არ იყო
მკეთრი დაპირისპირება კეთილსა და ბოროტ ღვთაებებს შო-
რის და ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ ღმერთები და
მიცვალებულთა სულები¹. როგორც საერთოდ ყველა ხალხისა,
ჩინური მითებიც ეხებიან, აგრეთვე, ადამიანთა შრომით
ცხოვრებას, აღიდებენ გმირებს, რომელთაც ადამიანებს ასწავ-
ლეს მიწის ხვნა, იარალის კეთება, მუსიკა და ცეკვები, მუსიკა-
ლური ინსტრუმენტების კეთება. უძველესი მითები ეხებიან
სამყაროს წარმოშობას, უფრო მოგვიანო კი ადამიანთა წარ-
მომავლობას. შემდეგში ფართოვდება მითების თემატიკა, ფან-
ტაზიის ძალა სულ უფრო მეტად იგრძნობა, ჩნდება მითები
შურინავ ეტლსა და ხალიჩაზე და ა. შ.

მითები საქმაოდ სახეშეცვლილი, რაციონალიზებული სა-

¹ Юань Кэ. Мифы древнего Китая, стр. 14, 15.

ნით შემოინახეს ჩინელმა ფილოსოფოსებმა და პოეტებმა. მი-
თების რაციონალიზაცია, ისტორიულ მოვლენებზე მათი გა-
დაყვანა ჩინეთში დაიწყო კონფუციანობის გავრცელების შემ-
ღებ, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა მითოლოგიას, მას
რელიგია შეუპირისპირა და მითოსის დაძლევის მიზნით აქტი-
ურად დაიწყო მითების ისტორიზაცია. ასე გადაიქცნენ მითო-
სის გმირები ისტორიულ გმირებად, მითები ისტორიული
პროცესების მონაწილენი გახდნენ. იუან კეს აღწერილი აქვს
ჩვენამდე შემონახული ლიტერატურული ძეგლი „წიგნი მთა-
თა და ზღვათა“ (შედგება 18 ძიუანისაგან), რომელიც დასუ-
რათებულია, იყოფა ორ მთავარ ნაწილად „მთათა წიგნად“ და
„ზღვათა წიგნად“; პირველი ერთიან გამართულ თხრობით
ტექსტზეა აგებული, მეორე კი, მეცნიერთა ვარაუდით, თავ-
დაპირებელად მხოლოდ სურათებით იყო გამოსახული და მხო-
ლოდ შემდეგ შეიქმნა ტექსტი, როგორც სურათების განმარ-
ტებანი.

ძეგლი ჩინელების ფანტაზიით შექმნილი მითების გმირებს,
ურთოსანი ცხოველების, გრძელყურა და გრძელკუდა არსებე-
ბის, სამპირიანი, დაკრეჭილკბილებიანი და ბრჭყალებიანი აღა-
მიანების, დრაკონებისა და ფენიქსების სახით, არ გააჩნიათ
ბერძნულ ან რომაულ მითურ არსებათა შშვენიერება და
პლასტიკურობა, მაგრამ ეს ფანტასტიკური არსებანი თავიანთი
მოქმედებით უჩვეულოდ გაბედული, შეუდრეკელი და ძლი-
ერი არიან.

ჩინურმა მითოსმა დიდი გავლენა მოახდინა ჩინური ფილო-
სოფიისა და ხელოვნების განვითარებაზე. თუმცა მას ისეთი
მწყობრი, სისტემური სახე არა აქვს, როგორც ბერძნულ-
რომაულს, მაგრამ როგორც დაოისტური, ისე ბუდისტური

ფილოსოფია და რელიგია იყენებენ ჩინური მითოსის გმი-
რებს, მთურ ადამიანურ სახეებს, ანთროპომორფულ ლეთა-
ებებს;

ძველი ჩინელი ორი სამფლობელოს მორჩილად მიიჩნევდა
თვისთვეს: ზეციურისა „ტიანდი“ რომელშიც წარმოდგე-
ნილი იყვნენ მზის, მთვარის, ვარსკვლავთა, ღრუბელთა, ქარი-
სა და ა. შ. ლეთაებები, და მიწიერისა — „შანდი“, იმპერატო-
რის მეუფეობით, რომლის სამფლობელოში შედიოდა ეს ქვე-
ყანა თავისი მიწით, მთებით, მდინარეებითა და ზღვებით.
იმპერატორი ზეცის შვილად (ტიანდი) ითვლებოდა და ამიტომ
ამქვეყნადაც „ლეთაებრივი“ ძალა უნდა გამოევლინა ამგვა-
რად, ძველი ჩინელის ცნობიერებაში სამყარო წარმოდგენილი
იყო ერთგვარი ტრიადის სახით, რომლის მიხედვით ზეციურსა
და მიწიერ სამფლობელოს შორის იდგა მესამე — თავად აღა-
მიანი, ორივე სამფლობელოს მორჩილი. ძველი ჩინელის წარ-
მოდგენით, იმპერატორი თითქოს თავისი ლეთაებრივი წარმო-
შობით დაკავშირებული იყო ზეციურ სამფლობელოსთან და
ამიტომ ის ზეგავლენას ახდენდა ბუნების მოვლენებზე, შეეძ-
ლო შეეცვალა ისინი თავისი ქცევებით, მაგიური მოქმედებე-
ბით, რიტუალებით. იმპერატორთა კაზზე იმყოფებოდნენ წი-
ნასწარმეტყველნი, ქადაგნი, მისნები, რომელთა მოვალეობა
იყო იმპერატორისათვის მომავლის განსაზღვრა, მოვლენების
ახსნა მკითხაობით, ექსტაზში ჩავარდნით, მაგიური საშუალე-
ბებით, ბედის წინასწარი მინიშნებით. ამ წესით ცველ ჩინეთ-
ში დაგროვდა მაგიური მნიშვნელობის უამრავი წეს-ჩვეულე-
ბა, ბრძნული გამონათქვამები, რიტუალები და შესაბამისი
სიმბოლური ჩანახაზები, რომელთა შემონაზვა მომავალი თა-
ობისაფვის მოითხოვდა მათ ჩაწერას და განმარტებათა დართ-

զաս. ասց թարմութեա „Ռիզնօ զարդայմնատա“ — „օծնոն“, նորացը լո սաղմուտու եասօտու նաթարմութեա, հոմելու քանչուցուանոն-
ծու մոյր դայանոնդա հոգուր ամ ժոմզրեամա լզուայեանուց
մալու ճամսածուցելու ամ Ռիզնօս տազդապորացը լո զարուանը
մեղցնուու ուց սամերամուրու յարու յաջացտա დա միշերալու
մոյր, աս գոլլուռու նաթարմութեա սաեց էյոնդա, զա-
մուցը լու ուց ռիցա-լահուցեանո մացու մեսաեծ, անդանեծ,
զանմարեանո, թինասթարմերուցուրու մովուցեանո, բալցուրո
գոլլուսուցուրո զամույմեծ դա մոտուցեանո մեչըլունծու թյ-
սու մեսաեծ.

21 | մեռու ասեց գոլլուռու թարմունծուն նաթարմութեա
մցը հինցետშու մեյմնուու „ուժուրուատա Ռիզնօ“ անց „մզծոնու“,
հոմելու ու տազմուրուու 305 յուցուու դա սահութուալու նալ-
եսուրու սոմլուրա. ամ Ռիզնեծու մոնահունծու մեսարու մեյմնուու
յուցուու մեսամյ ատասթլուրու (ձ. թ.-ոտ) ներուսութուցուրած,
եռլու մատու հաֆերա դա լանցեթա եղեծու զալուց զան-
քերուու մշու.

— հինցետշու գոլլուսուցուն թարմունծուս և պեցուալուսի մյցլու-
զարեծ սյազմուրեան „ո-ծնոնս“ դա „մո-ծնոնս“ մոնահունծու
զալմուցը մացունծու, տազդապորացը հրելուցուրու հիմե-
նուն մոտուրու թարմուցցենծուս դա ասիրուռոցուրու սունծու
զալալանցու քրուցը, մեցնուրու սունծու սագուցը մշու
զալացունու ճասացունու, մի դրու, հուրա մոտուրուս դա հրելո-
ցուրու հրելուրունծուս դա քեմարութեամ զեզո
մերուն, հուրա զեզու յայեթ դադցա բուսա դա մմերամուրու
կուլու, մատու մույրեա, օգամունու ծելուս դա ծովնեծու մոյ-
լունցուն զամցեծլու լուտուրու, նեցուրու արսեցեծու մոյր.
յու տյուրուու մոտու մեռլու մաս մեմլու, հուցեսաւ սնո-

ბიერებამ ციური მოვლენების გაგება მისტიკურ-რელიგიური მიზანის საგან გაათავისუფლა, სინამდვილე ძირითადად ისე განიხილა, როგორადაც არსებობდა. ეს მოასწავებდა ცნობიერების პროგრესს მეცნიერებისაკენ, რასაც განაპირობებდა ძველი ჩინეთის საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის განვითარება, გვაროვნული წყობიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა. ისტორიულად ეს მოხდა ჯოუს ჩინეთიდან იმპერატორთა შპართველობის ფორმის განვითარების დროს, როცა საიმპერატორო კარზე ქადაგთა და წინასწარმეტყველთა გვერდით გაჩნდნენ სწავლულნიც ჩამოყალიბდა ბრძენთა კასტა. თავდაპირველად ბრძენი ვარსკვლავთმრიცხველს ერქვა, რომელსაც ვარსკვლავების მოძრაობით შეეძლო დაედგინა მომავალი, განესაზღვრა ბედი, შემდეგ კი შეედგინა კალენდარი, ერთმანეთთან შეეჯერებინა მთვარისა და მზის კალენდარი. ესე იგი, ბრძენი ასტრონომიით იწყებდა და ასტრონომიაზე გადადიოდა, რისთვისაც მას მათემატიკური ცოდნა და პრაქტიკული გამოყილება უნდა გამოიყენებინა.

ქველ ჩინეთში ფილოსოფიის საწყისად ითვლება ის ხანა, როცა ზეცას ჩამოეხსნა თავისი რელიგიურ-მითოლოგიური შარავანდედი¹⁰ და ზეციური მოვლენების ერთგვარი დეპერსონიფიკაცია განხორციელდა, როცა ზეცა ჩინელის ცნობიერებაში გადაიქცა აბსტრაქტულ მარეგულირებელ ძალად, რომელსაც დიდხანს მაინც რაღაც საიდუმლოებით მოცული კანონზომიერების, მსოფლიო კონების, მარეგულირებელი ძალის მნიშვნელობა შერჩა, ამით ძალზე შესუსტდა მისტიკურ-რელიგიურის საფუძველი და შეიზღუდა მისი არეალი: **ამასთან ერთად საზოგადოებრივ ცხოვრებაში** **მიმდინარე პროცესებმა, გვარის დაშლის შედეგად წარმოშობილმა სამეფო-**

ებმა, მათ შორის ომმა და შულლმა, კლასების დაპირისპირებამ და საზოგადოებრივი ბოროტების ფაქტმა ნათელი გახდა, რომ მიწიერ საზოგადოებრივ ცხოვრებას ზეცა არ მართავს. ამ საფუძველზე რელიგიურ-მითური წარმომადგენლების შეზღუდვა დაიწყო ეთიკის მხრიდანაც, კერძოდ, ხდება ადამიანთა ქცევის ნორმების თავისთვადობის აღიარება დემითოლოგიზაციისა და ზეცის დეპერსონიფიკაციის განვითარებას ძველ ჩინეთში ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ამ ქვეყანაში არ იყო ჩამოყალიბებული ქურუმთა ძლიერი კასტა, რომლის განუსაზღვრელმა ბატონობამ ძველ ეგვიპტეში შეუძლებელი გახადა რელიგიურ-მითოლოგიური აზროვნებიდან ფილოსოფიურზე გადასვლა. ამავე მიზეზით ეს პროცესი გაცილებით მდორედ და ძნელად მიმდინარეობდა ძველ ინდოეთში, რადგან იქ ბატონობდნენ ბრაჟმანები, ორთოდოქსული რელიგიის დამცველები.

ჩინურ ფილოსოფიას წინ უძლოდა მითურ არსებათა ისტორიულ პიროვნებებად წარმოსახვა. მითები ისტორიულ ამბებად გარდაიქმნენ, ლერთები და სულები — ისტორიულ პიროვნებებად ამის საფუძველს იძლეოდა ეჭვი იმპერატორთა ზეციურ წარმოშობასა, ზებუნებრივ ძალასა და დანიშნულებაში. იმპერატორი მიწიერ ლერთად იყო აღიარებული, მის ღვთაებრივ-ბუნებაში დაეჭვების ყველა პირობა არსებობდა.

ჩინური მითოსიდან ფილოსოფიაზე გადასვლის პროცესი არ იყო ისეთივე სახის, როგორც სხვა ერების კულტურულ განვითარებაში; ოუმცა ეს გადასვლა ზოგადად ხორციელდებოდა რელიგიურ-მითოლოგიურისაგან ფილოსოფიური პრობლემების გამიჯვნით, მაგრამ ჩინური ფილოსოფიური სკოლების

ბის დამარსებელთა გაღმერთებამ, მათმა წარმოსახვამ ლეპ-
ენდარულ არსებებად, გმირებად (კონფუცი, ლაო-ძი და სხვა)
და მათი მოძღვრებისადმი საკრალური, ღვთაებრივი იდუმალე-
ბის მიწერამ,—განსაზღვრა ჩინური ფილოსოფიისა და რელი-
გიის ერთგვარი სიმბიოზი. ფილოსოფია რწმენას იყენებდა,
სინამდვილის ახსნაში ღმერთიც მონაწილეობდა, როგორც ამ
ახსნაში სიძნელეთა გამამარტივებელი და ამიტომაც თითქოს
აუცილებელი ელემენტი, მაგრამ მაინც აზრი ბატონობდა
რწმენაზე, სამყაროს კანონზომიერება ზღუდავდა და ძალას
ართმევდა ღმერთს.

ჩინური ფილოსოფიის ორი ცნობილი სკოლიდან — კონ-
ფუციანობისა და დაოიზმიდან განვითარდნენ ცნობილი რე-
ლივიური მიმართულებანი, მაგრამ თვით ეს მოძღვრებანი რო-
დი არიან წმინდა რელიგიური, თუმცა ამ მოძღვრებათ ჯერ
კიდევ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული მატერიალისტური
თუ იდეალისტური სახე არ ჰქონიათ. მართალია, ლაო-ძის
მოძღვრება მატერიალისტური ინტერპრეტაციის სრულ სა-
ფუძველს იძლევა, მაგრამ ასევე უდავოა, რომ მასზეა და-
ფუძნებული რელიგიური მიმართულება დაოიზმი და იგი იდე-
ალისტური მოძღვრების ნიშნებითაც ხასიათდება. თავიანთ
მხრივ კონფუციანებმა მითების ისტორიზაცია მოახდინეს და
ამით საფუძველი მოამზადეს მატერიალისტური თეორიისათ-
ვის. მაგრამ კონფუციანობა ეთიკური პრობლემების დამუშა-
ვებაში იდეალისტური მოძღვრებაა და ამ მხრივ მას იმთავით-
ვე მრავალი საერთო ნიშანი აკავშირებდა რელიგიურ მიმარ-
თულებებთან!

¹ კონფუციანობის რელიგიურ მოტივებზე მეტყველებს ბედისწერის აღიარება, ზეცის მმართველი ძალის დაშეება. II-ს-დან (ძვ. წ.) კონფუცი

ძველი ჩინური ფილოსოფიის ძირითადი ცნება „დაო“ თავისი წარმოშობით მითური შინაარსისაა, იგი ჯერ კიდევ ინგბის სახელმწიფოში ნიშნავდა „ბრინჯს“ (მაშასადამე, მასაზრდოებელს). „დაო-დე-ძინში“ გაიგივებულია დაო და წყალი; დაო და იმპერატორი, მას უწოდებდნენ აგრეთვე უპიროვნო ძალას, რომელიც ყველა საგანშია, საწყისს, რომლისაგან ყოველივე მომდინარეობს, მაგიურ ძალას, მამოძრავებელს, კანონზომიერებას და ა. შ.!

რადგან ჩინური მითის გმირები — მითური ადამიანები, არა არიან სამყაროს შექმნის მონაწილენი და ახლოს დგანან მიწიერ არსებებთან, ამიტომ ისინი შეიძლებოდა აღვილად ქცეულიყვნენ ისტორიულ პირებად. ფილოსოფიისა და შემდეგში გაბატონებული რელიგიის აქტიური გავლენით მითის გმირები იმპერატორებისა და მათი კარის წარჩინებულთა სახელებს დაუკავშირდნენ. ასე მოხდა ძველ ჩინეთში მითოსის რაციონალიზება, მითოსიდან, ერთი მხრივ, ფილოსოფიაზე გადასცლა, მეორე მხრივ კი, რელიგიური ორთოდოქსალური თვალსაზრისების განვითარება (ჩინური ბუდიზმი, დაოიზმი).

ძველი ჩინური ფილოსოფიის წარმოშობის ისტორიული წინაპირობა იყო ძვ. წ. მე-12 საუკუნიდან მონათმფლობელური წყობის განმტკიცება, ე. წ. ჯოუს ტომის გამარჯვების შედეგად პირველი ძლიერი დინასტიის გაბატონება, რომელმაც მე-3 საუკუნემდე (ძვ. წ.) იარსება.

ჯოუს დინასტიაში, თუმცა, პირველ ხანებში ჯერ კიდევ

ლეთაებად გამოცხადდა, კონფუციანობა უ-დის იმპერიაში კანონიზირებულ რფიციალურ იდეოლოგიად აღიარეს.

1 Древнекитайская философия, т. I, М., 1972, стр. 6.



გაბატონებული იყო რელიგიურ-მითოლოგიური მსოფლმხედვების კულტურა, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მითოლოგია თანდა-თანობით კოსმოლოგიურ კონცეფციებსაც დაუკავშირდა, მეორე მხრივ კი ფილოსოფიას დაუახლოვდა, რადგან მითების რაციონალიზაცია მოხდა. მეცნიერ მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ კონფუციანობის გავრცელების შემდეგ მითები დაუკავშირდნენ ისტორიულ მოვლენებს, ჩინური კულტურის განვითარებაში დაიწყო დემითოლოგიზაციის პროცესი, რომელიც ერთბაშად არ დამთავრებულა ფილოსოფიის წარმოშობით და მითების უარყოფით, არამედ მითოსი შეცვლილი, ისტორიზებული სახით, შეერწყა ფილოსოფიას. ამ დროიდან მითები ფილოსოფიური თვალსაზრისის გამოთქმის საშუალებადაცაა მიჩნეული, განსაკუთრებით იმ წინამორბედი ისტორიული თაობების დამოწმების საშუალებად, რომლებიც თითქოსდა ოქროს ხანაში ცხოვრობდნენ და ამიტომ მათი ქცევები და გამოთქმები ავტორიტარიზმის ძლიერ საფუძვლად გამოიყენებოდა.

VIII—VII სს. (ძვ. წ.) შეიქმნა „ტრაქტატი ცელილებათა შესახებ“ („ი ძინი“), რომელშიც წარმოდგენილია სამყაროს ახსნა სიტუაციათა ურთიერთმონაცელეობით, რომელთაც სინათლე და სიბნელე განავებს. ამგვარი თვალსაზრისი ძველ ჩინეთში მეცნიერებისა და მატერიალისტური მსოფლმხედველობის განვითარების წანამძღვრებს ქმნიდა, მაგრამ ჩინურ მითოსში უფრო ძლიერი საფუძველი იდეალისტურ ფილოსოფიას აღმოაჩნდა.



ფილოსოფიის წარმოშობა ძველ ჩინეთში უკავშირდება VIII ს. (ძვ. წ.)¹ ამ დროიდან განმტკიცდა მიწაზე კერძო საკუთრება, განვითარდა საწარმოო ძალები, ხელოსნობა. ეს იყო ჯოუს ერთიანი სახელმწიფოს სამეფოებად დაშლისა და მათი ურთიერთშორის ომების პერიოდი, რომელიც III საუკუნეში გაერთიანებით დამთავრდა, ჩამოყალიბდა ცინის ცენტრალიზებული სახელმწიფო.

ფილოსოფიური აზრი ჩინეთში VIII — VI სს. ყალიბდებოდა, ხოლო მომდევნო სამ საუკუნეში მოხდა მისი სწრაფი აღორძინება. ეს არის VI — III საუკუნეები (ძვ. წ.), რომლებიც საერთოდ ძველ ჩინეთში იდეოლოგიურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აღორძინების პერიოდად იქმნდება. მას ხშირად ჩინური ფილოსოფიის ოქროს ხანასაც უწოდებენ, რადგან ამ დროს მოღვაწეობდნენ დიდი ჩინელი მოაზროვნეები: ლაო-ძი, კონფუცი, მო-ძი, ჭუან-ძი, მენ-ძი, სიუნ-ძი. ამ დროს ჩამოყალიბდა უმთავრესი ფილოსოფიური სკოლები — დაოიზმი, კონფუციანობა, მოიზმი, ლეგიზმი, ძველი ჩინური მატერიალიზმი.

¹ ძველეს ჩინურ წერილობითს ძეგლში „ში-ძინში“ ასახულია სოციალური წინააღმდეგობანი, გამოხატულია სიძულვოლი სასტიკი მბრძანებლების მიმართ. მასში გაერთიანებულია ხოტბანი, ჰიმჩები, მიძღვნილი გმირებისადმი, ქვეყნის მმართველებისადმი. ეს ტექსტი მოგვიანებით გამოიყენეს კონფუციანებმა და მოისტებმა, მათ არსებითად დამახინჯეს პირვანდელი ტექსტის შინაარსი. აღდგენილი ტექსტი ითვლება

შინაფილოსოფიურ ნაწარმოებად, რომელშიც ასახულია სოფიური ციალური იდეები, თვალსაზრისები.

ძველი ჩინური ფილოსოფიის შემორჩენილი ტექსტებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „დაო დე ძინი“ — დაო-ძიმის მამამთავრის ლაო-ძის ფილოსოფიური ნაწარმოები!, „ლუნ-იუი“ (საუბრები და განსჯანი”), ე. ი. კონფუცის მოძღვრების ჩანაწერი (კუნ-ფუ-ძი-მასჭავლებელი, ლათინური ტრანსკრიპცით გადავიდა ევროპაში „კონფუციუსი“), „მო-ძი“ (მოისტების მოძღვრების დალაგება, ითვლება სკოლის მოაზროვნეთა კოლექტიურ ნაწარმოებად).

ძველი ჩინეთის უმთავრეს ფილოსოფიურ სკოლებად ითვლება 6 სკოლა: ნატურფილოსოფიური (ინისა და იანის მოძღვრების მომხრენი), კონფუციანობა, მოისტები, ნომინალისტური სკოლა (მინდა — უწოდებენ აგრეთვე სოფისტების სკოლას), ლეგისტები ანუ ჭანონმდებელთა სკოლა (ფაძია) და დაოიზმი (მოძღვრება დაოსა-და-დეზე)².

კონფუციანობა. საერთოდ ძველი ჩინეთის იდეოლოგიურ-კულტურულ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა კონფუციანობამ (კონფუცი 551 — 479 ს., ძვ. წ., პირველი

¹ რუსულად „დაო-დე-ძინი“ ცალკე წიგნიდ გამოიცა 1950 წელს. მეორენარად მისი სახელწოდებაა „ლაო-ძი“. ფილოსოფოს ლაო-ძის განაზრებანი ჩაწერილია მიმდევრების მიერ IV — III სს. ძვ. წ. (იხ. Ян Хин-шун, древнекитайский философ Лао-цзы и его учение, М., 1950).

² ეს კლასიფიკაცია ეკუთვნის სიმა ციანიას (II—I სს. ძვ. წ.) შრომაში „ში ძი“ („ისტორიული ჩანაწერები“). ეს კლასიფიკაცია დღესაც გავრცელებულად ითვლება, თუმცა იგი არ არის ერთადერთი (იხ. Древнекитайская философия, т. 1, М., 1972, стр. 16, 17).

კერძო სკოლის დამაარსებელია ჩინეთში¹). ეს ძირითადად რელიგიურ-ეთიურ პრობლემებთან დაკავშირებული მოძღვრებაა, მთელი ყურადღება ადამიანს ეთმობა, რომლის ცხოვრება ბედზე დამოკიდებულად ცხადდება. კონფუციანების მიხედვით სიმდიდრე, აღიარება და პატივისცემა ბედითაა განსაზღვრული, იმგვარად, რომ მთელი მიწიერი ყოფა-ცხოვრება ზეციერის ნებას, ბედისწერას ემორჩილება. კონფუცის მიმდევრებმა შემოიტანეს „აბსოლუტური ჭეშმარიტებისა“ და ამავე დროს „სულიერი საწყისის“ აღმნიშვნელი ცნება „ჩენი“. იგი ზეციური კანონია (ტიან-დაო) და დედამიწაზე, განხორციელებისას ადამიანთა ცხოვრების წარმმართველი კანონის მნიშვნელობას იძენს (უენ-დაო). ეს ნიშნავდა ცოდნის თანმობილობის დაშვებასაც. „უმაღლესი ცოდნა“, კონფუცის აზრით, თანმობილია², ხოლო შეგრძნებებით, გამოცდილებით მიღებული — „უდაბლესი“ ცოდნაა. უმაღლესი ცოდნის წყაროა ძველი მოძღვრებანი, გადმოცემათა სიბრძნე, ამიტომ მთელი ახლანდელი ცოდნა ტრადიციული სიბრძნის მიხედვით უნდა შემოწმდეს. ამ თვალსაზრისით კონფუციანები არ ეხებიან არც შემეცნების პრობლემებს და არც ლოგიკის საკითხებს, ისინი ტრადიციონალისტები არიან, ცოდნა მზამზარეულ სიბრძნიზეა დაყვანილი.

კონფუციანები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რიტუალებს³. კონფუცი მოითხვდა „უმაღლესი ცოდნისა“.

¹ კონფუციანობის შესწავლის უმთავრესი აუტენტური წყაროა კონფუცის „საუბრები და განსჯანი“, („ლუნ-იუი“).

² Древнекитайская философия, т. 1, стр. 198.

³ იქვე, გვ. 159.



და რიტუალების, ჩაცმულობისა და ცერემონიალის შეთანხმების გებას. ამის გამო კონფუცის მიმდევართა წინააღმდეგ მკაცრად ვამოვიდნენ მოისტები. ტექსტში, რომელიც საგანგებოდ კონფუციანელთა წინააღმდეგაა დაწერილი, ვკითხულობთ: „კონფუციანელები მიისწრაფვიან მიაღწიონ შთაგონებულ გარეგნობას, მდიდრულად ირთვებიან, თანამედროვენი რომ აცდუნონ. ისინი სიმღერებითა და ცეკვებით ცდილობენ მოიმრავლონ მოწაფეები, აწყობენ უამრავ რთულ ცერემონიალებს, რათა წარმოჩნდნენ და მიიძყრონ მრავალი აღამიანის ყურადღება. მათი ვრცელი მოძლვრება არ შეიძლება იყოს სამყაროს წესრიგის ამხსნელი. მათ უამრავ განაზრებებს არ ძალუდთ დაეხმარონ უბრალო აღამიანებს. მთელი ცხოვრების მანძილზეც კი ვერ აითვისებ მათს მოძლვრებას...!“

კონფუცის ყველაზე გამოჩენილი მიმდევარი მენ-დი (372 — 289 ს. ძვ. წ.) ამტკიცებდა, რომ დედამიწაზე „ჩენის“ — ზეციერი კანონის, „აბსოლუტური ჭეშმარიტების“ განმახორციელებელია ბრძენი მმართველი, ხელმწიფე, როგორც „ზეცის შვილი“. თუმცა დანარჩენი აღამიანები დაბადებიდანვე კუთილი არიან, თან დაჰყვათ ოთხი კეთილშობილი თვისება: ანაგრძნობა, სირცევილი, გრძნობა, თავმდაბლობა და ჭეშმარიტება — მცდარობის გამორჩევის უნარი, მაგრამ რამდენადაც იღამიანებზე გავლენას ახდენს საზოგათოება, იმდენად ეს კეთილი თვისებები იკარგება, იჩქმალება. მენ-დის აზრით, აღამიანის სსნა მხოლოდ კონფუციანობის აღმარებაშია, მისი ათვისებით და გამოყენებით შესაძლებელია სიკეთისადმი მისწრაფების

¹ Древнекитайская философия, т. I, стр. 198.

შენარჩუნება, მეორე მხრივ კი საჭიროა ყველა მოწინააღმდეგები მიმართულების დაგმობა, უარყოფა!

მო ი ზ მ ი ა დიდად გავლენიანი სკოლა, რომელმაც ლოგიკისა და შეშეცნების თეორიის საკითხები დამუშავა და კონფუციანობას დაუპირისპირდა, იყო მოისტების სკოლა. მისი დამარსებელია: მო-ძი (მო-დი, ცხოვრობდა 479 — 381 წწ. ძვ. წ.). იგი უარყოფდა წინასწარ არსებულ ბედს. მოისტების მიხედვით, ადამიანებს ახასიათებთ „საყველთაო სიყვარული“, ურთიერთდახმარება და ადამიანის ბედიც ამაზეა დამოკიდებული. ეს განსაზღვრავს, აგრეთვე, სახელმწიფოთა ურთიერთობას, ურთიერთ სიყვარულით და დახმარებით დაიძლევა ომები და მტრობა. თუ რაძდენად შეძლებს ადამიანი განამტკიცოს თავისი სოციალური მდგომარეობა, რამდენად მოახერხებს „საყველთაო სიყვარულის“ მოთხოვნის შესრულებას, ამის მიხედვით განსჯის მას ზეციერი ძალა? მოისტურ წყაროებში მოცემულია ბედისწერის კონფუციანური თეორიის კრიტიკა, კონფუციანები მისდევდნენ თვალსაზრისს: „უოველივე იმთავითვე განსაზღვრულია ბედით. ის, რაც ბედითაა განსაზღვრული, არც არაფერს მოიკლებს და არც არაფერს მოიმატებს. სილარიბე და სიმდიდრე, ჭილდო და სასჯელი, ბედნიერება და უბედურება ისეთი წყაროდან მომდინარეობენ, რომელიც არ შეუძლია შექმნას ადამიანური სიბრძნის ძალამ. მოისტების თვალსაზრისით, „კონფუციანები

¹ კონფუციანობის შესახებ პეგელი შენიშნავს, რომ იგი მხოლოდ პრაქტიკული სიბრძნე იყო მოქლებული უველგვარ სპეციალურ-ფილოსოფურ საზრისს.

² Древнекитайская философия, т. I, стр. 198.

იმისადმი მიღევნებას მოუწოდებენ, რასაც ყოვლად ბრძენის განათების უნდა მისდევდეს, მათი მოწოდებანი არ შეესაბამებიან ყოვლად ბრძენის მოწოდებას¹.

ბედისწერის საწინააღმდეგოა ყოველივეს განსაზღვრა თავისი მიხეზის მიხედვით, თავისი საფუძვლით. ამიტომ ბედნი-ერებას ბედი ვერ გიწყალობებს. ბედნიერება თავად ადამიან-მა უნდა მოიპოვოს შრომითა და კაციშოვეარეობით. „არა აქვს აზრი ბედისადმი მორჩილებას. თუ უარვყოფთ ბედს, მა-შინ უბედურებაც აღარ იქნება“.

როცა ადამიანმა თავისი მოქმედებისა და აზრის საფუ-ძველი, მიზეზი იცის, იგი, მოისტების მიხედვით, ბედისწერას უარყოფს. მიწათმოქმედმა, რომელიც დილაადრიან იწყებს შრომას და გვიან საღამოს ბრუნდება სახლში, იცის, რომ შიმშელი აღარ ემუქრება, და მაშასად მდე, ათარე ბედისწე-რისა ეშიხია. თუ მუყაითად მუშაობ, მაძღარო ხარ, თუ არადა, შიშმილით სული გაგძვრება. ვინც ეს იცის, მისთვის დასკვ-ნაც ნათელია, უნდა ეცადოს არ იყოს ზარმაცი.

მოისტები ცოდნის ორ წყაროს აღიარებენ: შეგრძნებებს და აზროვნებას (ხინი). აზრი სწორ სახელებს უნდა აღვენდეს და ამაზეა დამოკიდებული შემეცნების ღირებულება. არსე-ბობს „საყოველთაო სახელი“ ანუ ცნება, რომელიც თავის-თავში შეიცავს ყველა კონკრეტულ საგანს. ეს არის „სავა-რეულო სახელი“, მსგავსი საგნების ერთობლიობის აღმნიშვ-ნელი. ამას უპირობები კერძო სახელი“, რომელიც უკვე აღარ იყოფა, ერთ სავანს ეხება. მოისტების სკოლაში დადგინ-და, აგრეთვე, მსჯელობის რაობა. მსჯელობას დაეკისრა სის-

¹ Древнекитайская философия, т. I, стр. 197, 198.

წორისა და შეცდომის განსაზღვრა, კანონიერი და უკანონო
ქცევის განსხვავება. საერთოდ კი მთელი ცოდნა და თვით
მსჯელობაც, მათი აზრით, საბოლოოდ გამოიცდება ამ წესით:
(1) არსებობს თუ არა რამე გრძნობად სამყაროში, ცისქვე-
შეთში? (2) რამდენად შეესატყვისება ფაქტებს, ხალხთა დიდი
უმრავლესობის მიერ მოსმენილი და დანახული?!

გვიანდელი მოისტების მიერ დაზუსტებული და განვითა-
რებულია მოძღვრება ცოდნაზე, ბუნებასა და ადამიანზე. გან-
საკუთრებით შინაარსიანი, ლოგიკურად სისტემატიზებულ და
ლაკონიურ განსაზღვრებებშია ჩამოყალიბებული „მო-ძის“
ტექსტის პირველი ნაწილი „კანონის“ რაობის შესახებ¹.

ეს ტექსტი მსჯელობის თანმიმდევრობისა და ლოგიკურ
განსაზღვრებათა სიზუსტის მხრივ სამაგალითოა ძველი ჩი-
ნური ფილოსოფიისათვის. შემეცნებისა და ლოგიკის საკი-
თხებზე მოისტების შეხედულებებში ჩატერიალისტური ტენ-
დენციებია გაშუკვითილი, რომლის შესაბამისად ეს სკოლა
შემდეგში თახდათანობით გულუბრყვილო მატერიალიზმის
მიმართულებით განვითარდა.

~~და ო ი ზ მ ი.~~ ძველ ჩინეთში ყველაზე მეტად ფილოსო-
ფიურად დასრულებული მოძღვრების სახე მიიღო დაოიზმმა,
რომელიც აშკარად დაუპირისპირდა მითოლოგიასა და რელი-
გიას. ამ მოძღვრების მამამთავარია ლაო-ძი (VI—V სს. ძვ. წ.),
მას მიეწერება ტრაქტატი „დაო-დე-ძინი“ (წიგნი დაოს შესა-
ხებ). სკოლის სახელწიდება დაოიზმი წარმომდგარია სიტყვი-
დან „დაო“, რაც აღნიშნავს სამყაროს საგანთა უნივერსალურ

¹ Древнекитайская философия, т. I, стр. 197.

² Древнекитайская философия, т. 2, стр. 67.



յանոնթօմոյերեծ და հաց ամ թուժվարեծ մոհոտագ ցնեծակ բարմուգցենք. ամ տղորուս մոխեցցոտ, թռեսնոլու չեցուրո դա մովոյրո մալցեծ დաპորուսնորեծ ան թռիկոլցեծ մովոյրո հուս չեցոյրուսագմո. լառ-դո օլուարեց და սաշանտա մաტերուալուր პօրվելսաթյուսս, սუթսախնցուս—“ցո” դա, ամստաս ցրտադ, թռյմեց մալոս, յանոնթօմոյերեծ—“դառս”, հռմլուս մալոտ, հաց արևեծոնես, ցարդայմնուս პրոցըս՛մո. պոցելուզ թռմհառնա—ցանցուտարեցամու დա մտացարո ուս արուս, հռմ ց թռոցյուսո եցեծ դապորուսնորեցուլմո ցագասցլուս ցիոտ. „արսո դա ահարսո ցրտմանցու ծացեցեն, մեցլո դա ացուլո ցրտմանցու յմնուն, ցրմելո դա թռյմեց ցրտմանցու յմնուն, մալալո դա դապալո ցրտմանցու ցանսաթլցրացըն, ծցըրեծո թերթյումուսաս ჰարմոնում մոռնուն, წոճա դա մոմդրեցնո ցրտմանցու ცոլուն¹. իսո, ჰերայլություս լողցուսուս մեցացսաւ, սամցարուս յանոնթօմոյերեծ դա ոցո դապորուսնորեցամո ցլոնցցեծ. ամս լառ-դո այց ցամոտյամեն: „դառս թռյմեցցեծ դապորուսնորեծաս.. սամցարումո պայլա սացանո արսմո օბացցեծ, ხոլու արսո արահումո ჩասաեցա². // „դառ“ պայլացյերս յմնուս, տացալ կո յմնուգու, պայլացյերս ացորհմեծ տացալ սպորհմո, պայլացյերս ცոլուս, ամթհացցեծ տացալ սպալելո դա յմհրացո. „դառ յառսուգան յմնուս სացնեծս, չյը ցաս դա ցըդամովիսս, Մեմդեց կո պայլուզ մասից արսեցնուլս, մուս թռյմեցցեծ սաթլցարու արա պյաս. մե ահ յուցո մուսո սաեցլո. ոյրոցլուուտու ալնոնցնուսաս մաս դառս վարուցցեծ, ենձուսմոյերագ զանովյեծ սաեցլս դա դուալս վարուցցեծ. դուալս ոցո յսասհլուլո, ցանցսաթլցրել թռմհառնամո, մաս արա

¹ Ян Хин-Шун. Древнекитайский философ Лао-Цзы, и его учение, стр. 115.

² օձա, ՅՅ. 138.

ძევს საზღვარი... საზღვარს, რომ ვერ აღწევს, თავისთავს უბრუნდება. აი, ჩატომაა დიადი დაო, დიადი ცა, დიადი მიწა, დიადია, აგრეთვე, ხელმწიფე. სამყაროში ოთხი რამ არის დიადი და მათ შორისაა ხელმწიფე”¹.

ადამიანი მისდევს მიწიერ კანონებს, მიწა ცის კანონებს, ცა — დაოს კანონებს, ხოლო დაო მისდევს მხოლოდ თავის-თავს. „დაომ წარმოქმნა ერთი, ერთმა — ორი, ორი ქმნის სამს, სამმა წარმოქმნა ყველა არსება“². დაო თითქოს სიცარიელეა, მაგრამ მოქმედებით ამოუწურავია, ყველა საგნის წინაპარია, ყველა მოვლენის სათავეა, ე. ი. უპირველესია.

დაოიზმის მიხედვით, ადამიანი არ უნდა ჩაერიოს ბუნების კანონზომიერებაში, ვინც ჩაერევა და შეეცდება შეცვალოს იგი, მაშინვე მარცხს განიცდის. ლაო-ძის აზრით, ადამიანთა ვალია მისდიონ დაოს კანონს, შეეწყონ ბუნების წესრიგს, თავიდან მოიშორონ ფუფუნება, დაუბრუნდნენ პირველყოფილ ბუნებრივ ცხოვრებას. დაოსთან შეთანხმება აქ განვითარებულია ბრძენის უმოქმედობამდე: „უნდა მოვიპოვოთ უმოქმედობა, სიმშვიდე“.

დაოიზმს თავის განვითარებაში მატერიალისტური ტენიცუიები აღმოაჩნდა და ისინი თანდათან გაძლიერდა. „ცი“ მატერიალური სუბსტრატი ხუთ ელემენტზეა დაყვანილი (ცეცხლი, მიწა, ლითონი, წყალი, ხე). მაგრამ ამავე დროს დაშვებულია დაო უსაწყისო, უცვლელი, მმართველი სამყაროსი, შეუმეცნებელი და არარსის იგივეობრივი. ამიტომ დაოიზმი წინააღმდეგობრივ მოძლვრებად დარჩა.

¹ Древнекитайская философия, т. I, стр. 122.

² იქვე, გვ. 128.


ჩინური ფილოსოფიიდან პეველი ყველაზე მეტად აფასებს
დაოზმეს. იგი ლაო-ძის „შესახებ წერს, რომ კონფუცი მასთან
დაღიოდა რჩევის შისაღებად, რომ დაოისტებმა მთელი თა-
ვიანთი სიცოცხლე გონების შესწავლას მოანდომეს!

საინტერესო წყაროებია შემონახული დაოზმის მიმდევ-
რის ჯუან-ძის „შესახებ, რომელიც „მასწავლებელი ჯუანის“
„(ჯუან-ძი)“ ეპითეტით არის მოხსენიებული და ნაწერებიც ამ
სახელითაა დასათაურებული. „ჯუან-ძი“ ითვლება მაღალ-
მხატვრული სტილით შესრულებულ ნაწარმოებად, რომელ-
საც ამშვენებენ მოხდენილი და ორმაზროვანი შედარებები,
ლაქონიური სტილი და თხრობის ლალი, თავისუფალი მანერა.
ამიტომ ადრინდელი დაოზმის გავრცელებისათვის ამ ნაწარ-
მოებს დიდი როლი შეუსრულებია. მას საერთოდ დიდი გავ-
ლენა მოუპოვებია ჩინეთის ძველი კულტურის განვითარე-
ბაში. აქ აღარ გვხვდება ჩინური წყაროებისათვის დამახასია-
თებელი მარტივი ქადაგებანი, დამრიგებლური ტონით გადმო-
ცემული დებულებები, ავტორი მიმართავს დიალოგს და ეძი-
ებს ჭეშმარიტ აზრს დაოს „შესახებ. მაგალითისათვის შეიძ-
ლება მივუთითოთ ერთ-ერთ დიალოგზე, „ჯუან-ძის“ თ. 22.
„ცოდნის მოგზაურობა ჩრდილოეთში“, რომლის მთავარი მო-
ქმედი გმირია „ცოდნა“². დაოს ზუსტი განსაზღვრებისათვის
ცოდნა გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ, მიჰყვება შავი წყლის

¹ Гегель соч., т. IX, стр. 114, 115. პეველი ადარებს „დაოს“ და „ლო-
გოსს“.

² ჩინური იერთოგლიფი „ჯი“ რუსულად თარგმნილია Знаниe-დ. ნაწარ-
მოებში „ცოდნა“ გაპიროვნებულია. ქართულ ენაზე ჭერჭერობით არაფერი
უმოგვეპოვება ჩინური ფილოსოფიის პირვანდელ წყაროთა შესახებ, ამიტომ
მიზანშეწონილად მივიჩიეთ ამ დიალოგის ურცლად მოყვანა.

ნაპირებს¹, ავიდა საიდუმლო ქედზე და იქ შეხვდა „უმოქმედოს“². ცოდნამ მას მიმართა კითხვებით: 1) როგორ მოვიაზრო, რა მოვიფიქრო, რომ შევიცნო დაო? 2) სად იმყოფება იგი? 3) რა მოვიმოქმედოთ, რა გზით წავიდე, რომ „მივიღედაოსთან? ცოდნამ სამი კითხვა დასვა, მაგრამ „უმოქმედო“ დუმილით შეხვდა.

პასუხი რომ ვერ მიიღო, ცოდნა გაემგზავრა სამხრეთით თეთრი წყლის მიმართულებით, ავიდა „ეჭვის დამაბოლოებელ“ ქედზე და იქ დაინახა „ამალებული უგუნურება“. ცოდნამ მასაც იგივე კითხვები დაუსვა, ხოლო პასუხად მოესმა: „ო! მე ეს ვიცი და ახლავე გეტყვი“. მაგრამ უგუნურება როგორც კი შეეცადა წარმოეთქვა თუნდაც ერთი სიტყვა, მაშინვე დაავიწყდა, რაც უნდა ეთქვა. ცოდნა დაბრუნდა თავის სახელმწიფოში, სამეფო კარზე წარდგა ხუან-დის წინაშე და კვლავ დასვა აღნიშნული სამი კითხვა. ხუან-დიმ უპასუხა: „არც იაშროვნო და არც იფიქრო — ეს არის დაოს შემეცნების საწყისი, იგი არსად არ იმყოფება და არც არაფრითაა გაშუალებული — არაფერია დასაწყისი დაოს ყოფიერებისა. არაფერს არ მისდიო და არც ერთი გზა არ ეძიო — ეს არის საწყისი დაოს მიღწევისა. დაოს ვერ მისწვდები ვერც სიტყვებით, ვერც სიკეთით, ვერც გულმოწყალებით. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთი მოვატყუოთ სიკეთით, მოწყალებით, ცერე-

¹ ჩრდილოეთი და სამხრეთი ძვ. ჩინეთის კოსმოლოგიის მიხედვით. სიბნელისა და სინათლის მხარეა, ძველ ბერძნებთან ასეთი იყო დასავლეთი და აღმოსავლეთი (შეად. პარმენიდე და ჯუან-დი).

² „უმოქმედო“ „უ-ვეი“-Недеяниს დაოზშის უმთავრესი ცნებაა. ამ ნაწარმოებში აღნიშნავს „იდუმალ უმოქმედობას“, იდუმალ ჰეშარიტებას, რომლის გამოთქმა არ შეიძლება.

მონიებით, მაგრამ ამით შევქმნით მხოლოდ უწესრიგობას, დავშორდებით დაოს. ჩვენს გარშემო ვხედავთ ცისა და მიწის სრულყოფილ სილამაზეს, ვიცით ოთხი დრო წელიწადისა თავისი კანონებით და ა. შ. ბრძენი ეძებს ცისა და მიწის სრულყოფილი მშვენიერების. წყაროს, სათავეს, სწვდება წესრიგს, რომელთა მიხედვით წყვდიადიდან საგნები წარმოიქმნებიან. საგნები თითქოს თავისთავად წარმოიქმნებიან და ისპობიან. თავისთავად არიან კვადრატული და მრგვალი, მაგრამ ეს დაოსგანაა, მათში დაო შერწყმული. მისგან არის, რომ ცის ქვეშ არაფერია ისეთი, რაც არ განიცლილეს მულმივ გარდა ქმნებს.

დიალოგი გრძელდება, გასარკვევია, როგორია დაო. კუნძი (კონფუცი) კითხვით მიმართავს ლაო-დანს: „დღეს რადგან თავისუფალი დრო გაქვთ, გავპედავ და გითხავთ სრულყოფილი დაოს შესახებ“. ლაო-დანი ურჩევს მას, მოემზადოს მარხვით, სუფთა გულით, წმინდა გონებით და მოისმენს შემდეგს დაოს დაახლოებითი აღწერილობის შესახებ: — ნათელი იბადება ბნელისაგან, წესრიგიანი იბადება უწესრიგოსაგან (უფორმოსაგან), სულიერი იბადება დაოსაგან, სხეულებრივი — თესლისაგან. ყველას, ვინც კი დაოს მისთევს, აქვს ძლიერი ორგანიზმი, მშერეტელ გონება, მახვილი გრძნობა, მისი აზრი მუშაობს დაუღლელად და ეხება ყველა საგანს შეუზღუდველად. დაოს გარეშე ცა ვერ იქნებოდა მაღალი და მიწა ვრცელი. დაოს გარეშე ვერ იმოძრავებდნენ ცის თაღზე მზე და მთვარე, ხოლო საგანთა ქაოსი ვერ განვითარდებოდა წესრიგად — თ რა არის დაო!

დაოს არა აქვს არც თავი და არც ბოლო, საგნები კი ემორჩილებიან წარმოშობასა და მოსპობას და ისინი ვერ მი-
II. ა. პელიძე

აღწევენ სრულყოფას. ისინი ხან ცარიელი არიან, ხან სრული, მათი სხეულებრივი ფორმა მუდმივ იცვლება.. დაოიზმის მიმდევარს ესმის სინამდვილის დიალექტიკური ბუნება, იცის, რომ განვითარების პროცესი შეუქცევადია, რომ განვლილი წლების უკან მობრუნება არ შეიძლება და არც დროის შეჩერებაა შესაძლებელი. საგნები ხან მცირდებიან, ხან იზრდებიან, ხან ივსებიან, ხან ცარიელდებიან, არსებობას ჰყარგავენ და კვლავ თავიდან იწყებიან. ეს ყველაფერი დაოს კანონია. ყველა საგანი რაღაცისაკენ მიისწრაფვის. არ არსებობს მოძრაობა, რომელსაც შედეგად ცვლილება არ მოსდევდეს, არ არსებობს არც ერთი მომენტი, რომელმაც რაღაცის შეცვლა არ გამოიწვიოს. ამიტომ, როცა ვინმე კითხულობს: რა მომოქმედოს?“ ან „რა არ მომოქმედოს?“, ფილოსოფოსი პასუხობს: არაფერი, რადგან ყოველივე თავისთავად იცვლება!

დღესაც ლრმა ფილოსოფიური აზროვნების ნიმუშად რჩება არსისა და არარსის მიმართების გარევევა დაოიზმის მიმდევრის მიერ, რაც ტექსტში ასე იკითხება: „არსებობს საწყისი და ის, რაც ჯერ არ არის საწყისი საწყისისა, აგრეთვე ის, რაც ჯერ არ არის საწყისი იმისა, რაც ჯერ არ არის საწყისი საწყისისა. არსებობს არსი, არსებობს არარსი, არსებობს ის, რაც ჯერ არ არის საწყისი არარსის არსებობისა და აგრეთვე არსებობს ისიც, რაც ჯერ არ არის საწყისი არსებობისა, რომელიც საწყისია არარსად არსებობისა. უეცრად ჩნდება არარსი და გაურკვეველია ნამდვილად რა არსებობს და რა არ არსებობს: არსი თუ არარსი“¹.

¹ Древнекитайская философия, т. I, стр. 273.

² იქვე, ვ. 257.

დაოიზმმა დიდი გავლენა მოახდინა ჩინური ფილოსოფიის
განვითარებაზე. მოძღვრება „დაოს“ შესახებ ამ ფილოსო-
ფიის მრავალი მიმართულების უმთავრეს საკვლევ პრობლე-
მად გადაიქცა. „დაოს“ შესახებ მოძღვრებას იყენებდა „ფა-
ძიას“ მატერიალისტური სკოლა. სკოლის შიმდევრებს „კათ-
ნიკები“ ანუ ლეგისტები ეწოდათ, იმის გამო, რომ იკვლევდ-
ნენ ბუნებისა და საზოგადოების კანონებს. მათი აზრით, დაო
უდევს საფუძვლად ბუნების კანონებს (ლი-ს), საზოგა-
დოების კანონები (ფა) ადამიანთა მოქმედების, ქცევის
კრიტერიუმი, დროის მიხედვით ცვალებადია და სახელმწი-
ფოს განმტკიცების საშუალებას წარმოადგენს. „ფაძიას“ უმ-
თავრესი წარმომადგენელი ხან-ფეი (III ს. ძვ. წ.-ით) მეორე
მატერიალისტური მიმართულების მეთაურის სიუნ-ძის მოწა-
ფე იყო. სიუნ-ძის (298—238 წწ. ძვ. წ.-ით) მოძღვრება გულ-
უბრყვილო მატერიალისტურ თეორიად ითვლება. ეს მოაზ-
როვნე თავდაპირველად კონფუციანელი იყო, მაგრამ შემდეგ
მათ დაშორდა, როცა ზეცისა და მიწის დაპირისპირება უარყო
და ზეცაც ბუნების მატერიალურ ნაწილად გამოაცხადა, ზე-
ციური მოვლენები ახსნა ბუნების კანონების მიხედვით. სიუნ-
ძიმ უარყო, აგრეთვე, ბედისწერა როგორც ზეციური ძალით
განსაზღვრული აუცილებლობა, და ბედი თავად ადამიანით
განსაზღვრა. **¶**

სიუნ-ძის მიერ ყურადღება გამახვილებულია შემეცნების
პრობლემაზე. ადამიანს შეუძლია შეიმეცნოს გარემომცველი
ბუნება. შემეცნება შეგრძნებებით იწყება, მაგრამ მათ მართავს
გონება, აზროვნება (სინი), რომელიც მისდევს ბუნების კანო-
ნებს. ამ მოძღვრების მიხედვით, ადამიანი შეფასებულია
ეგოისტად, არსებად, რომელშიც ავი და არა კეთილი მიღრე-

კილებებია იმთავითვე მოცემული. სწორედ აქედან გამომდინარეობს ბრძენის მიზანი: გარდაქმნას აღამიანი, მიმართოს კეთილი მიღრეკილებებისაკენ და ამის საფუძვლად კონფუციანელთა „დარიგებანი“ გამოიყენოს.

III საუკუნეში (ძვ. წ.) ჩინეთის ფილოსოფიის აღორძინების პერიოდი დამთავრდა, II—I ს-ით დამყარდა ხანის დინასტია, იმპერატორ ცინის ხელისუფლება დაემხო. ახალი ხელისუფლების დროს სახელმწიფოში შეიქმნა მძიმე ეკონომიურ-პოლიტიკური ვითარება, რასაც იდეოლოგიაში შედეგად მოჰყვა რელიგიისა და მისტიკის გავრცელება. დაოიზმის ფილოსოფიური მოძღვრებიდან განვითარდნენ რელიგიური სექტები, თავად ლაო-ძი ღვთაებად გამოაცხადეს. მთლიანად რელიგიური სახე მიიღო კონფუციანობამ. ეს ფილოსოფიური ტენდენციის მიმართულება აშეარა თეოლოგიად განვითარდა ამ ხანაში მატერიალიზმის დამცველად გამოვიდა ვან-ჩუნი (27—97 წწ. ახ. წ.), რომელმაც თავისი „კრიტიკული განსჯანით“ (ლუნ-ხეი) ბრძოლა გამოუცხადა თეოლოგიასა და მისტიკას და სცადა განევითარებინა წინა პერიოდის ჩინური მატერიალისტური ტენდენციები. მასთან შეიმჩნევა, აგრეთვე, სინამდვილისადმი დიალექტიკური მიღვომის მომენტები, თუმცა იგი ცასა და მიწას მთლიანობაში უცვლელად მიიჩნევდა. ვან-ჩუნის აზრით, მატერიალური სუბსტანცია ორგვარია: ზეკოური — ნისლოვანი მასების სახით, და მიწიერი — მკვრივი სხეულების სახით. ამ მარადიულად არსებული სუბსტანციური საწყისების ურთიერთმოქმედებით წარმოიქმნება ყოველივე სამყაროში.

ვან-ჩუნი ცნობილია როგორც მითოსის კრიტიკოსი: „კრიტიკულ განსჯანში“ იგი წერს: „ამბობენ, რომ ისრისმტყორც-

ნელი ესროდა ისრებს ათ მზეს და დაამარცხა ცხრა, ერთი
შე კი მუდმივად ამოდისო. აშეარა უაზრობაა!.. განა შეიძ-
ლება ცეცხლის ჩაქრობა ისრის სროლით?“ ამ კრიტიკას ორ-
გვარი მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, ვან ჩუნმა მითი გადაარ-
ჩინა დავიწყებას (ტექსტში შეიტანა იგი), ხოლო, მეორე
მხრივ, აშეარად გვიჩვენა ფილოსოფიის ოოგორც რაციონა-
ლური, კრიტიკული აზროვნებისა და მითოლოგიური წარმო-
დგენითი აზროვნების განსხვავება.

ძველმა ჩინურმა ფილოსოფიამ საქმაოდ დიდი წარმატე-
ბები მოიპოვა მითოლოგიურ-რელიგიური აზროვნების ფონზე.
მაგრამ, მკვლევართა აზრით, მისი გატანა ამ ქვეყნიდან და
გავრცელება ან გავლენა სხვა ძველი ქვეყნების ხალხთა ფილო-
სოფიურ აზროვნებაზე არ მომხდარა. არა მხოლოდ ევროპისათ-
ვის; არამედ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისთვისაც კი (ინდოე-
თი, ეგვიპტე) უცნობი დარჩა ჩინური ფილოსოფია. მისი შეს-
წავლა ევროპაში დაიწყო მხოლოდ შუა საუკუნეების გვიან-
დელ ხანაში, ეს იყო ჩინეთის თავისებური „აღმოჩენა“ ევრო-
პის მიერ.

ოფიციალური ქართველობის მუზეუმი

არ შეიძლება ითქვას, რომ მითოსი და ფილოსოფია ძველ
ჩინეთსა და ინდოეთში ერთმანეთს მკვეთრად და გადაჭ-
რით დაუპირისპირდნენ. მითოლოგიურის საფუძველზე დაი-
წყო ფილოსოფიის აღორძინება და თავის განვითარებაში ფი-
ლოსოფიურ აზრს იმანენტურად უნდა გაეუქმებინა მითო-
ლოგიური წარმოდგენები და ლეთიურ არსებათა რწმენა, მაგ-
რამ ეს საქმაოდ ძნელი ამოცანა აღმოჩნდა, რადგან მითო-
ლოგიამ უფრო მაღალი ფანტასტიკური მსოფლმხედველობის,
რელიგიურის სახეც მიიღო, ამგვარად დაუპირისპირდა ფილო-
სოფიას და ნაწილობრივ „შეიქრა“ კიდეც ფილოსოფიურ

მსოფლმხედველობაში. ოღონსავლეთის ფილოსოფია საერთოდ
იმ სპეციფიკით ხასიათდება, რომ იგი თავისთავში შინაგანად
გაორებული, თავისში რელიგიურის მომცველი, მაგრამ მისი
დაძლევისაკენ მისწრაფებულ მსოფლმხედველობად განვი-
თარდა. ამ ვითარებამ განსაზღვრა მისი განვითარების ნელი
ტემპი, რელიგიური მომენტებით დამძიმებულ ფილოსოფიას
განვითარების ტემპიც ნელი პქონდა და თეორიათა გენეტი-
კური თანმიმდევრული აღმავალი განვითარება, ერთიანი
იდეური აღმასვლა გაძნელებული იყო. ამასთან ერთად ინ-
დურ ფილოსოფიას თავისთავში შემორჩა მითოსის მომენ-
ტები მოძღვრებათა დამფუძნებლების გაღმერთებისა და მათ
გამონათქვამთა საკრალურობის რწმენის სახით. აქ შეიძლება
დავიმოწმოთ ვ. ვუნდტი, რომლის მიხედვით მითოსიდან მეც-
ნიერებაზე გადასვლის წესი განსხვავდებოდა მსოფლიო კულ-
ტურის სხვადასხვა ცენტრში./ მაგ. მითოსისა და რელიგიისა-
გან ინდური ფილოსოფიის გამიჯვნა შინაგანი პროცესი იყო,
რომელსაც არ მიუღია მეცნიერებისა და რწმენის დაპირისპი-
რების, ბრძოლის სახე, / ინდოეთსა და ჩინეთში, ისე როგორც
საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში, მეცნიერიცა და კულტ-
მსახურიც ქურუმი იყო, იგი თავის მოღვაწეობაში ორ საქმეს
ერთმანეთთან არიგებდა და ამის გამო აქ მეცნიერება და რე-
ლიგია მშვიდობიან თანაარსებობაში ვითარდებოდნენ!. საბერძ-
ნეთში ამისაგან განსხვავებით, წერს ვ. ვუნდტი, რელიგიუ-
რისა და მითოლოგიურისაგან ფილოსოფიურის, მეცნიერული
მსოფლმხედველობის გამოყოფა ბრძოლით ხდებოდა, ამიტომ
ბერძნული ფილოსოფია უკვე ადრინდელი დროიდან მიისწ

¹ В. Вундт. Введение в философию. СПБ., 1903, стр. 60.

რაფოდა არა უბრალოდ შემცინებით მოთხოვნილებათა დაკმა-
ყოფილებისათვის, არამედ, აგრეთვე რელიგიის დაძლევისა-
თვის. ძველი ბერძნები, რომელთაც ეს ბრძოლა წამოიწყეს
რელიგიისა და მითოსის წინააღმდეგ, ქურუმთა წოდებას კი
არ ეკუთვნოდნენ, არამედ ცრურწმენათაგან თავისუფალი
ადამიანები იყვნენ, მოწოდებული სამყარო და ცხოვრება
გაეაზრებინათ ფაქტიურად არსებული სახით, სინამდვილე
აეხსნათ თავისთავიდანვე.

თავი 7. პერძეული მითოსი და ფილოსოფიის საწყისის პროგლოგა

1. პერძეული მითოსის ლიტერატურული წაროვანი

პირველად ელინს შეუმართავს თამაშიდ
თვალი და გაუბედავს მას პირველად
ღმერთებთან ბრძოლა.

ლ უ კ რ ე ც ი უ ს ი.

მეცნიერულ ლიტერატურაში მიღებულად ითვლება დებუ-
ლება იმის შესახებ, რომ მითოსი არის პირველყოფილი გვა-
როვნული წყობილების იდეოლოგია, ტომობრივი ცნობიერე-
ბის მსოფლმხედველობა.⁷ ისტორიულად ჩამოყალიბებული
მითოლოგიური სისტემები გვაროვნული წყობილების აღორ-
ძინების დროს გაფორმდა, ხოლო გაფორმების მასალად გამო-
ყენებული იყო როგორც ლიტერატურული ძეგლები, ისე ზე-

პირი თქმულებანი, შემონახული გვიანდელ დამწერლობაში, აგრეთვე ფერწერასა და ქანდაკებაში. ასე შეიქმნა მსოფლიო კულტურის უძველესი ხალხების მითოლოგიური ლიტერატურული ძეგლები — ძველი ჩინური მითები, ინდოეთში — ვედები, სპარსეთში — ავესტა, ძველ საბერძნეთში — ილიადა და ოდისეა.

(ბერძნული მითოსის პირველ პერიოდს ქტონიურს უწოდებენ. ამ დროს აღიარებული იყო მიწისქვეშა, ქვესკნელის ღმერთები, რომლებიც ძველი ბერძნის წარმოდგენით, გარდა ცვლილთ მიიბარებდნენ და მზრუნველობდნენ მცენარეთა ფესვებსა და მარცვლეულზე! ლმერთების სათავეში გეა იდგა, ამოუწურავი შემოქმედებითი ძალით, ცოცხალთა მფარველი. ბერძნული მითოლოგიის ისტორიაში გარდატეხას მოასწავებდა მითები ეპიკური პოეზიის დონეზე, ჰომეროსის ღმერთები, — როგორც უკვდავი ადამიანები, სილამაზითა და ძალით შემქულნი. ეს ოლიმპიური ლმერთების გამარჯვება იყო დემონებზე და გიგანტებზე!)

ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“ თავიანთი ძირითადი შინაარსით მითოლოგიური ეპიკური ნაწარმოებებია მითებზე აგებული. რამდენადაც ჰომეროსისათვის მითური ნამდვილად არსებულადა მიჩნეული, არ არის განსხვავება ნამდვილსა და მითურს შორის, შეიქმნა ეპოსი, „ნამდვილი“ ამბავის თხრობა, რომლის პერსონაჟები, — ლმერთები და რეალური ადამიანები, დემონები და გმირები, ოლიმპოს ლმერთები და ადამიანები ერთად მოქმედებენ. ამ ნაწარმოებთა სიუეტი და შინაარსი ძირითადად ასახავენ რეალურ ადამიანთა

¹ Ян Парандовский. Мифология, 1971, стр. 26.

ცხოვრებას, მათ ბრძოლას, მარცხს, გამარჯვებებსა და განუ-
ღებს. ჭომეროსის ხანა გვაროვნული წყობილებიდან მონატ-
შე მფლობელურ ურთიერთობებზე გადასვლის ხანაა საბერძნეთ-
ში.¹ ამ პერიოდში ბერძნულმა მითოლოგიამ თავის სოცია-
ლურ საფუძველთან ერთად ამოწურა განვითარების შესაძ-
ლებლობანი, ამიერიდან იგი მხატვრული შემოქმედების,
კერძოდ, ბერძნული ეპოსის განვითარების წყაროდ იქცა².
| ჭომეროსის პოემები მითოლოგიურ-ეპიკური ნაწარმოებებია,
სადაც მითოლოგიური უკვე თავისებურად ემორჩილება ადა-
მიანურს, თუმცა ფანტასტიკური სამყარო მაინც აქტიურად
მონაწილეობს ადამიანთა გრძნობად ყოფიერებაში.

| ოლიმპიური ღმერთების ბატონობამ მთლიანად ვერ მოიცვა
ბერძნული რელიგია. ძველ ბერძენს ამ დროიდან ორგვა-
რი რწმენა დაეუფლა: 1) რელიგიური — სულების უკვდავე-
ბისა და ღმერთების, რომლებიც ღვთისმსახურებას მოითხო-
ვენ, და 2) ლიტერატურასა და ხელოვნებაში განვითარებუ-
ლი, — სახელმწიფოს მიერ აღიარებული³.

ბერძნული მითოსისათვის დამახასიათებელია სისტემუ-
რობა, მითების მთლიანი სიუჟეტი, მოქმედებათა ერთიანობა
და განსაკუთრებული დინამიკურობა, შინაარსობრივი განვი-
თარება. მოგვიანებით, ამ მითების ლიტერატურული გაფორ-
მების შესაბამისად, უფრო მოქნილი დინამიკური ფორმების
გამონახვის მისწრაფებაც გაჩნდა. თავდაპირველად მითოლო-
გია ძველი ბერძნების ქალაქ-სახელმწიფოების ღვთაებრივი
არსებობის გამართლებას, მათ ღვთაებრივ წარმოშობას, ღმერ-

¹ Ф. Х. Кессиди. От мифа к логосу, гл. III.

² Ян Парандовский. Мифология, стр. 28.

თებთან და გმირებთან გენეალოგიური კავშირის დადგენს ემსახურებოდა. ამის შესაბამისად ყოველ ბერძნულ ქალაქში შემუშავებული იყო მითები ამ ქალაქის დაარსების, მოქალაქეთა წარმომავლობის, მათი დაცველი გმირებისა და ღმერთების შესახებ. ქალაქ-სახელმწიფოს საზოგადოებრივი ყოფაცხოვრება მითებში წარმოსახული იყო გმირებისა და ღმერთების ადამიანებთან ურთიერთობით. ამ ურთიერთობებში გამოკვეთილად ჩანდა დაპირისპირებული ძალები, როგორც წესი, მითები მთავრდებოდა კეთილი ძალების გამარჯვების დემონსტრირებით.

სტოელების მოწაფემ, ათენელმა გრამატიკოსმა და მითოგრაფოსმა აპოლოდორემ ძვ. წ. II ს.-ში შეადგინა მითოლოგიურ ნაწარმოებთა „ბიბლიოთეკა“. ყოველგვარი ფილოსოფიური ინტერპრეტაციის გარეშე „ბიბლიოთეკაში“ მან მოქლედ, და მეტწილად წყაროებსე მითითებით, გადმოსცა გენეალოგიის პრინციპით დალაგებული მითების შინაარსი. „ბიბლიოთეკა“ იწყება თეოგონიით (1, 1—5), შემდეგ გადმოცემულია გიგანტომახია და თხრობა დევეკალიონთა საგვარეულოზე (1, 8—9). პირველი წიგნი მთავრდება არგონავტების ლაშქრობის დაწვრილებითი ისტორიით. II წიგნი ეხება ინახების საგვარეულოს, ჰერაკლეს გმირობას და ა. შ., III წიგნში გადმოცემულია ევროპის შთამომავალთა ისტორია. (IX ს. ბიზანტიელ პატრიარქს ფოტიოსს ხელთ ჰქონია „ბიბლიოთეკის“ სრული ტექსტი, ამჟამად არსებობს მხოლოდ პირველი სამი წიგნი).

აპოლოდორეს „ბიბლიოთეკის“ ღირსება ის არის, რომ აქ

¹ Аполлодор. Мифологическая библиотека, Л., 1972.

ბერძნული მითები წარმოდგენილი არ არის როგორც ისტორიული ფაქტები, ისინი არც გეოგრაფიული ნიშნითაა დანაწევრებული, ავტორი მითების დალაგების საფუძვლად იღებს გენეალოგიურ პრინციპს და იმოწმებს მრავალ ძეველსა და ახალ წყაროს. გენეალოგიის მიხედვით ჯერ ღმერთების ურთიერთობაა წარმოდგენილი, შემდეგ გმირებისა და თანდათანობით მითების პერსონაჟებად აღამიანები ჩნდებიან. სიზიფესა და არგონავტების მითები უკვე აღამიანთა ცხოვრებისა და მოქმედების თემას შეეხება. აქ ღმერთები აღამიანთა ყოფის შართველად გამოდიან, მაგრამ აღამიანებთან მეტად ახლო ურთიერთობაში არიან, აღამიანები ზოგჯერ აბეზლებენ ღმერთებს ერთმანეთთან, ატყუებენ მათ, რის გამოც ისჯებიან სითამამისათვის, და მაინც აღამიანი ხშირად არ ემორჩილება ღმერთების ნებას (სიზიფე); ზოგჯერ მოკვდავი აღამიანი გმირობის ან მოხერხებულობის გამო ღმერთის სურვილით უკვდავიც კი ხდება.

აპოლოდორემ უარყო ანტიკურ საბერძნეთში ჯერ კიდევ VIII—VII ს-ში ორფეულების მიერ გავრცელებული აზრი — უოველი მითი ისტორიულ კეშმარიტებას ასახავს და ღმერთები ხალხის მიერ იდეალიზებული გმირი აღამიანებიაო.¹ უეპველია, მითები რეალურ ურთიერთობათა ასახვაა, რეალურ საფუძველზეა წარმოქმნილი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მითებში მხოლოდ ისტორიული ნამდვილი ამბებია გადმოცემული!² უკვე დადგენილია, რომ აპოლოდორეს მითოლოგიურ „ბიბლიოთეკაში“ არგონავტების თქმულებათა გადმოცემის დროს საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი შავი

¹ მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972, გვ. 4.

ზღვის სანაპიროთა ხალხების ისტორიულ-გეოგრაფიული კან-
ლაგება¹. არგონავტთა მოგზაურობის ვრცელი მარშრუტი რე-
ლურ ცნობებს ემყარება და მას ქართული კულტურის ისტო-
რიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ,
ამ ფონზე გაშლილია მითის სიუჟეტი, მითოლოგიური ცნო-
ბიერების ფანტაზიის შემოქმედება.

ძველი ბერძნული მითოსისათვის დამახასიათებელია არა
მხოლოდ ბუნების ძალების, სტიქიების პერსონიფიკაცია, არა-
მედ ღმერთების წარმოსახვა უაღრესად აღამიანური სახით
გაღმერთებული სტიქიების ანთროპომორფულობა მათ ადა-
შიანურ ურთიერთობებსაც განაპირობებს და ამიტომ ბერძ-
ნული მითის ღმერთები უკავშირდებიან ერთმანეთს, მრავლ-
დებიან, ურთიერთობენ ადამიანებთანაც, შობენ გმირებს. ასე
იქმნება მთელი ღვთაებრივი გენეალოგია, რომლის სათავეა
გაღმერთებული სტიქიონი და მისი განშტოებები ვრცელდება
მამაცა და გონიერ გმირებამდე.

ბერძნული მითების წარმოშობას მეცნიერება უკავშირებს
საბერძნეთის ევროპულ ნაწილს (ატიკა, ბეოტია, თესალია და
სხვ.), ეგეოსის არქიპელაგის კუნძულებს (კროტონს, რო-
დოსს, დელოსს) და მცირე აზიის დისავლეთ სანაპიროების
ბერძნულ დასახლებას. აქ ძვ. წ. II და I ათასწლეულში წარ-
მოშობილი ცალკეული მითები, თქმულებანი და მთლიანი
ციკლებიც ისეთი თქმულებებისა, რომლებიც შემდეგ თანდა-
თანობით ერთიანდებოდნენ გარკვეულ სისტემებად². მითების

1 ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. ობ., 1964.

2 Н. А. Кун. Легенды и мифы древней Греции. М., 1955, стр. 4.

პარველი შემოქმედნი იყვნენ მოხეტიალე მომღერლები, აედები, რომლებიც გვარის წარჩინებულთა კარზე დეკლამაციით ან კითარზე აკომპანიმენტით ასრულებდნენ მათ მიერ შეთხულ ან გავონილ თქმულებებს, ჰიმნებს გვარის ან ტომის მფარველ ღმერთებზე. ისინი უმღეროდნენ ღმერთებთან და-ალოებულ გმირებს, ხოტბას ასხამდნენ გვარის მეთაურს, თითქოს ღმერთისაგან წარმოშობილს. ასეთი მითების პარა-ლელურად შეიქმნა შრომასთან, ბრძოლასთან და მიცვალე-ბულებთან დაკავშირებული თქმულებანი თავიანთი შესაბა-მსი ჰიმნებით, სიმღერებითა და რიტუალებით. მაგ., ბეო-ტის ქალაქში თებეში გავრცელებული ყოფილა სიმღერები და თქმულებანი ლხინის და ლვინის ღმერთის დიონისეს, მზის ღმერთის აპოლონის მიერ ნიობეს შვილების დაღუპვის, მეფე ოიდიპოსის ბედის შესახებ; კუნძულ კრიტოსზე გავრცელებუ-ლი ყოფილა თქმულება — მითი უძლიერეს ღმერთზე ზევსზე, რომელმაც ხარის სახე მიიღო და გაიტაცა ფინიკიის დედოფალი ეფროპა; მათ შთამომავლებად ითვლებოდნენ კრიტოსის ხე-ლისუფალნი. ასევე გავრცელდა მთელი ციკლი მითებისა ჰერაკ-ლეზე, არგონავტებზე, ტროას ომსა და ოდისევსის თავგადა-სავალზე².

უძველესი სიმღერებისა და თქმულებების მიხედვით, ზო-

¹ გვარის მეთაურის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, იმ დროიდან, როცა გვარში უთანასწორობა შეიტა, გვარის უფროსი როგორც წარჩინე-ბული დაუპირისპირდა გვარის წევრებს, მდაბიოთ, საჭირო გახდა წარჩინე-ბულთა მეხოტებენი. მთართველთა პროფესიონალ მეხოტეეთ აედები ეწოდათ. (ჩ. ს. ყაუხჩიშვილი. ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1971, გვ. 19 — 20).

² Н. А. Кун. Легенды и мифы... стр. 4.

გიერთმა აედმა შექმნა მთლიანი ეპიკური პოემები, რომლებიც
დასაწყისში ზეპირად ნათქვამი ზეპირადვე ვრცელდებოდა.
ასეთებადაა მიჩნეული ძვ. წ. IX ს. შექმნილი პოემები „ილია-
და“ და „ოდისეა“, რომლებიც ბრმა ჰიმეროსს შეუთხზავს და
რამდენიმე თაობას ზეპირსიტყვიერებაში შემოუნახავს. მხო-
ლოდ ძვ. წ. VI ს. მოხდა მათი ჩაწერა და ამდროიდან გადა-
იქცნენ წერილობით ლიტერატურულ ნაწარმოებებად; ისინი
ძეველი საბერძნეთის ყველა სკოლაში ისწავლებოდა. ამიტომ
ამბობს პლატონი, „ეს პოეტი ელადის მასწავლებელი იყონ“.
(შემდეგში ეს პოემები ისწავლებოდა, აკრეთვე, ელინისტური
სახელმწიფოებისა და რომის იმპერიის მრავალ სკოლაში).
„ილიადაში“ აღწერილია ტროასთან ბერძნების ათწლიანი ომის
ეპიზოდები¹, ხოლო „ოდისეაში“ მოთხრობილია ბერძნების
მითური გმირის ოდისევის თავგადასავალი ხიფათით აღსავ-
სე გზებზე და სამშობლოში მისი მშვიდობიანი დაბრუნების
ამბავი.

| ჰომეროსის ეპოქა მითოსის დაძლევის დასაწყისად ითვ-
ვლება. | ჰომეროსის ამ ეპიკურ პოემებში ღმერთები დიდი პა-
ტივით უკვე აღარ იხსენებიან, მათ ახასიათებთ ადამიანთა
ყველა ნაკლოვანება — ურთიერთთან შულლი, ვერაგობა,
მრუშობა, სიცრუე და გაუტანლობა. ამავე დროს ჰომებში მი-
თოლოგიურ ასპექტში აღწერილია სამყაროს წყობა, მისი შედ-

¹ მეცნიერებაშ დღეისათვის დამტკიცებულად მიიჩნია ტროალის ომის
რეალურობა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებული ჯერ
კიდევ XIX ს. დამსევს პ. შლიმანის მიერ. ამ საკითხის ისტორიულ-ფილ-
ლოგიური კვლევის თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს იძლევა. რისმაგ
გორდეზიანი შრომაში „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და
ეთნოგენეზისის საკითხები¹, თბ., 1970.



ენილობა, არსებობა ცის და მიწისა, რომ ცა დედამიწას
გარს აკრავს და იყოფა ზეცად და ცისქვეშეთად, ზეცა ეთე-
რია, ცისქვეშეთი კი ჰაერი; უმოძრაო და ბრტყელი დედამიწა
დაფარულია წყლის უდიდესი სივრცით, მიწის ქვეშ კი ღიღ
სილრმეში ჰადესის სამეფოა ანუ ტარტარისი. ამავე დროს
ჰომეროსს ოთხი სტიქიის არსებობაზეც უფიქრია, რადგან
ეპოსში მიწისა და წყლის გარდა ლაპარაკა ჰაერისა და ცეცხ-
ლის თავისთავადობაზე.

მითოსის ფონზე სამყაროს წარმოშობის საკითხს ეხება
ქ. წ. VIII ს. პოემა „თეოგონია“, შექმნილი ბეოტიის მცხოვ-
რების ჰესიოდეს მიერ. ჰესიოდემ ამ ნაწარმოებში შეკრიბა და
გარევეული სისტემით დაალაგა მითები, შეათავსა ერთმანეთ-
თან და შედევად მიიღო ერთი მთლიანი მითი ღმერთების
ურთიერთოსაგან წარმომავლობის შესახებ. „თეოგონია“
მწყება პირველადი ღმერთით ჟაოსით, რომლისაგან იბადება
მიწა (გეა) და ამასთან ერთად ეროსი. ჟაოსიდან წარმოიშვა
აგრეთვე ერებოსი, წყვდიადი და ლამე. ერებოსისა და ლამის
შეულლებით დაიბადა ეთერი, სინათლე და დღე. მიწამ წარ-
მოშვა ცა (ურანოსი), მთები და ზღვები. ეს ყოველივე პირ-
ველსაწყისის ფონზეა წარმოდგენილი, ამის შემდეგ კი იწყება
ღმერთების შთამომავლობითი გენეალოგია. მიწისა და ცის
შეულლებით წარმოიშვა ოკეანე და ტეფილოსი, აგრეთვე ციკ-
ლოპები, ტიტანები, გიგანტები. ცალ-ცალკე დახასიათებულია
ტიტანების შთამომავლობა, ყველაზე უმცროსი ტიტანების
შემკვიდრის კრონოსისაგან წარმოიქმნა ღმერთების ახალი
თაობა; კრონოსის შვილია ზევსი, რომლის ოლიმპიური სამფ-
ლობელოს ღმერთები აღამიახებთან ახლოს არიან, ქორ-
წინდებიან მოკვდავ არსებებთან და შობენ გმირებს (როგო-
რიცაა, მაგალითად, ჰომეროსის პოემის გმირები).

ჰესიოდეს „თეოგონიას“ თეოკოსმოგონიას უწოდებენ, რამდენადაც აქ ღმერთების ურთიერთმიმართებათა საშუალებით სამყაროს წარმოშობის მითიური სურათია შექმნილი, იგი ფანტასტიკური ახსნაა სამყაროს წარმოშობის ბუნებრივი პროცესისა; თეოგონია წინამეცნიერული აზროვნების კოსმოგონიაა!, აქ ჰერსონიფიცირებული ღმერთები ბუნებრივ სტიქიათა ანალოგებს წარმოადგენენ.

¶ მ დროიდან მითოლოგიური აზროვნების შიგნით აშკარა განხეთქილება მოხდა, მითური ღმერთები მოემსახურნენ სამყაროს ახსნას, მათ თავიანთი ღვთაებრივი ძალა დაკარგეს, აღამიანებთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს, ზეციდან მიწაზე ჩამოვიდნენ. ამ გზით საბერძნეთში მითოლოგიამ მოამზადა საფუძვლები სამყაროს თავისთავიდან ახსნისათვის, ღმერთი დამატებად გადაიქცა სამყაროსათვის, ღმერთებმა სახელი გაიტეხს უკვე ჰომეროსის პოემებში, ხოლო ჰესიოდესთან ისინი არსებითად ბუნებრივ მოვლენებად მოქმედებენ. დადგა მითოლოგიური აზროვნების მეცნიერული აზროვნებით შეცვლის დრო, ბუნებრივი მოვლენების ერთ მთლიანობაში გააჩრებისა და სამყაროს თავისთავიდან ახსნის ისტორიულ პერიოდზე გადასცვლა ყოველმხრივ მომზადებული აღმოჩნდა.

¶ ვ. წ. VII—VI საუკუნეებიდან ანტიკურ საბერძნეთში ფილოსოფიური აზროვნების ისტორია დაიწყო და ამ დროიდან ფილოსოფიური აზრი მთელ თავის განვითარებაში არსებითად დაუპირისპირდა მითოსსა და რელიგიას. პირველი ფილოსოფოსები ჯერ კიდევ მითოსის გავლენას განიცდიან, ხოლო ფილოსოფიაში მათ წინააღმდეგ სერიოზული არგუმენ-

¹ История философии, т. I, М., 1940, стр. 18.

ტები ქსენოფანე კოლოფონელმა (570—470) წამოაყენა, უარ-
ყო მრავალლმერთიანობა, ერთლმერთიანობის, მონოთეიზმის
გრკიცება ერთსაწყისის მიხედვით ფილოსოფიური მოძღვრე-
ბის გამართლების მიზანს დაუქვემდებარა.

მითოსის წინააღმდეგ გაილაშქრეს ლოგოგრაფებმა, პირ-
ელმა ბერძენმა ისტორიკოსებმა. მათ VII საუკუნიდან
(ძვ. წ.) ჩაიწერეს ოქმულებანი, მითები, ლეგენდები, აღწერეს
აღვილმდებარეობანი მათი გავრცელებისა, მცხოვრებთა რწმე-
ნა, კულტი, ცხოვრების წესი. ლოგოგრაფების ერთი ნაწილი
იმას ასაბუთებდა, რომ მითები სასაცილო სიცრუეაო, მეო-
რენი კი მათ ისტორიული ფაქტების აღწერილობად მიიჩნევ-
დნენ. მაგ., ჰეკატაოსმა (მილეტიდან VI ს. ძვ. წ.) საგანგებოდ
გაარჩია ჰერაკლეს მითი და დასძინა, რომ ეს თავიდან ბო-
ლომდე გამოგონილია, რადგან არავითარი ღმერთები მიწის-
ქვეშეთში არ შეიძლება არსებობდნენო! ამგვარად, ძლევნე-
ბიან ღმერთები, მათ იდგილს იყავებენ რეალური ფაქტები.
ბუნების მოვლენები, რომლებიც მეცნიერულ ახსნას უნდა
დაექვემდებარონ. ეს მოითხოვა საზოგადოებრივი ცხოვრების
განვითარებამ, მონათმფლობელური ურთიერთობის ჩამოყა-
ლიბებამ. **საწარმოო** ძალთა განვითარების აუცილებლობამ
დღის წესრიგში დააყენა სინამდვილესთან ახლებური მიმარ-
თება, მითოლოგიური ცნობიერების შეცვლა მეცნიერული
ცნობიერებით. მითები ამ ღროიდან არსებითად მხატვრული
შემოქმედების სახეებად დარჩნენ, რომელთაც წარმატებით
იყენებდნენ V ს. (ძვ. წ.) ცნობილი ტრაგიკოსები ესქილე,
სოფოკლე, ევრიპიდე, პოეტი პინდარე და სხვ. მითური სახე-
ების მხატვრული გამოყენება დღემდე გრძელდება და ამ

¹ История философии, т. I, М., 1940, стр. 21.

თვალსაზრისით მითოსი კვლავაც ის ამოუწურავი არსენალია, რომლითაც საზრდოობდა და საზრდოობს საკაცობრიო აზრი ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების გრძელ ისტორიულ გზაზე.

მითოსი გვაროვნული წყობილების იდეოლოგიაა, იგი არსებობს მონათმფლობელური ფორმაციის დასაწყისშიც, მაგრამ ამ ფორმაციის აღორძინების ხანაში იგი ჰკარგავს გაბატონებულ მდგომარეობას, ადგილს უთმობს ფილოსოფიას, მეცნიერულ მსოფლმხედველობას ნათქვამიდან, ცხადია, არ გამომდინარეობს, რომ ფილოსოფიური აზროვნების ჩასახვის დროიდან შეწყდა მითოლოგიური აზროვნება, თითქოს მითოსი გაქრა. მთელი ანტიკური ეპოქის გასწვრივ მითოსი არსებობს ამა თუ იმ ფორმაში, მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერების გაბატონებულ ფორმად ფილოსოფია გადაიქცა თუმცა მითები ხელოვნებისა და ლიტერატურის გარდა გარკვეული სახით თვით ფილოსოფიურ თეორიებშიც მონაწილეობენ, მაგრამ ფილოსოფიურ-მეცნიერული მსოფლმხედველობის აღზევების პირობებში მითს მისთვის უმნიშვნელო მომენტის მნიშვნელობალა შერჩა.

გ 2. ანტიკური (ძველი პერიოდი) ფილოსოფიის საფუძის გასახია

ბერძნები ყოველთვის დარჩებიან წევა მასწავლებლებად.

კ. მარქსი

მითოსმა მსოფლმხედველობრივად განსაზღვრა ფილოსოფიის წარმოშობა იმ თვალსაზრისით, რომ ორივე მსოფლმხედველობაა, სამყაროს შესახებ ერთიანი თვალსაზრისია, პირ-

ელი — ფანტასტიკური, არამეცნიერული, მეორე — მეცნიერული, ცნებით აზროვნებაში გათორმებული, დასაბუთებული და თეორიულად ჩამოყალიბებული. ფილოსოფია მითოლოგიური მსოფლმხედველობის ბაზაზე და მისი არსებითი უარყოფის გზით უნდა განვითარებულიყო, ხოლო სინამდვილის ფანტასტიკური ასახვიდან, სახეებით აზროვნებიდან მეცნიერულ ასახვაზე, ცნებით აზროვნებაზე გადასვლის დროს სინამდვილის მხატვრული ასახვის ფორმას უთუოდ უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი, რამდენადაც მხატვრული სახე, გრძნობადი სახისაგან განსხვავებით, გარკვეული ზოგადობით ხასიათდება. ჩადგან მითოსში აუცილებელ მომენტად იგულისხმება სახეებით აზროვნება, სწორედ ამიტომ ფილოსოფიის საწყისის პრობლემის სპეციალისტ მკვლევართა დიდი ნაწილი სინამდვილის მხატვრული ასახვის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და მას მითოსიდან ფილოსოფიაზე გადასვლის საშუალო რგოლად, შუა საფეხურადაც კი მიიჩნევს. ვ. ვუნდტი ფილოსოფიის საწყისად აღიარებს „პოეტურს“, რომლისაგან, მისი აზრით, შემდეგ განვითარდა „დიალექტიკური“ და „კრიტიკული“ ფილოსოფია. ფილოსოფიის საწყისია „პოეტური ფილოსოფია“, წარმოდგენილი კოსმოლოგიური პოეზიის ფორმით, რომელმაც მითოლოგიური ღმერთები უარყო და აღიარა ბუნების ძალები, ობიექტური კანონების მოქმედება¹. ედ. ცელერის მიხედვით, პოეზიის განვითარებამ, ეპოსის, ლირიკისა და დიდაქტიკური ლიტერატურის სახით, განსაზღვრა მითოსის დასრულება და ფილოსოფიაზე გადასვლა². ამ თვალ-

¹ В. Вундт. Введение в историю философии, Спб., 1903, стр. 37.

² Эд. Целлер. Очерк истории греческой философии, 1912, стр. 17.

საზრისს იზიარებენ საბჭოთა ფილოსოფოსები ა. ლოსევი,
ფ. კესიდი და სხვ.

ბერძნული ფილოსოფიის წარმოშობაში მხატვრული ასახვის, ხელოვნების, პოეზიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება იმით აიხსნება, რომ ბერძნული მითოსი მხატვრული ფორმით იყო დახვეწილი და დამუშავებული. მასში თავდაპირველად არ იყო, ან მეტად ნაკლებად იყო რელიგიური საკულტო ელემენტები. ბერძნულ მითებში რელიგიურ-მითურს აღემატებოდა მხატვრული ასახვის მომენტები, ხელოვნებით — ლიტერატურული მოტივები. სპეციალისტების აზრით, ბერძნებთან ბუნების შესახებ მითებში აღრევე გაქრა საკულტო წეს-ჩვეულებათა ტენდენციები და ამ გზით მითები დაუახლოვდა ამბავს, ზღაპარს, რომ აქ უპირატესად მხატვრული ფორმა ბატონობდა, ხოლო რიტუალებს, საწესო-საკულტო ქმედობებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდათ (აღმოსავლეთის მითოსთან შედარებით). მკვლევართა მიერ შედარებითი ანალიზით დადგენილია, რომ, მაგალითად, ძველი ინდური მითოსისათვის მეტადაა დამახასიათებელი რელიგიურ-საკულტო ელემენტები, ბერძნული მითოლოგიური აზროვნება აღმოსავლეთთან შედარებით მსოფლმხედველობის უფრო მაღალი ფორმაა, რისი სოციალური მიზეზი საბერძნეთის პოლისური სისტემის უპირატესობაშია დაძებნილი და რომელსაც აღმოსავლეთის კასტური წყობის საპირისპირო ახასიათებდა მეტი დემოკრატიზმი, პიროვნების თავისუფლება.

ბერძნულ მითოს მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით მეტი ზემოქმედების ძალა გააჩნდა აზროვნების განვითარებისათვის, ბერძნული მითური სახეები ხშირ შემთხვე-

ვაში ისეთი განზოგადების დონეზე აღიოდნენ, რომ შინაარსობრივი საყოველთაობით ცნების დონეს უახლოვდებოდნენ (მაგ., პესიოდეს ქაოსი). სწორედ ასეთი მხატვრული მოტივებით ბერძნული მითოსი აჩქარებდა ბერძნული ხელოვნებისა და ფილოსოფიის განვითარებას და წარმოადგენდა მის „არსენალსა“ და, გარკვეული აზრით, საფუძველსაც.

უდაოა, რომ ბერძნული ფილოსოფიის საწყისი მითოსთან ორგანულად არის დაკავშირებული, მაგრამ მხოლოდ ამ კავშირის გარკვევით ვერ გადაწყდება ფილოსოფიის საწყისის პრობლემა. წინაფილოსოფიური მითოლოგიური აზროვნება არ მოიცავდა ადამიანის აზროვნების ყველა შესაძლებლობას. აზრი ემცირიული დაკვირვების, გამოცდილების საფუძველზე ვითარდებოდა, მდიდრდებოდა და ორმავდებოდა შინაარსობრივად. მითოლოგიური ღმერთების, სტიქიონების ღვთაებრივი ძალების რწმენასთან ერთად ადამიანის აზროვნება გულუბრყვილო რეალიზმის გზითაც ვითარდებოდა. ადამიანი, დარწმუნებული გარე სინამდვილის რეალობაში, აკვირდებოდა ციურსა და მიწიერ საგნებსა და მოვლენებს, მათ წესრიგს გამოჰქმდა თავის ენაზე და, ამგვარად, ვითარდებოდა მათემატიკა, რიცხვებზე მოძღვრება, გეომეტრია ჩაისახა როგორც მიწის ზომვის ხელოვნება, კოსმოგონია კოსმოსის წარმოშობისა და აღნავობის თეორიად ჩამოყალიბდა.

შეუძლებელია ფილოსოფიური თეორიების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე არ მოეხდინა გავლენა მათემატიკურ ცოდნას, რიცხვებზე და გეომეტრიულ ფიგურებზე მოძღვრებას, რომლის სპეციფიკა ერთეულად, კერძო მოვლენებისაგან აბსტრაქტორება და რაოდენობრივ მიმართებებში ზოგადის წვდომაა. მათემატიკური ცოდნის გარეშე ძნელი წარმოსად-

გენია პითაგორეიზმი, დემოკრიტესა და პლატონის მოძღვანება.

ძველ საბერძნეთში ფილოსოფიური აზროვნების ჩასახვასა და განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა კოსმოსურ მოვლენებზე დაკვირვებამ, კოსმოგონიურმა ცოდნამ. პირველი ფილოსოფოსები კოსმოგონიის განმავითარებელნი არიან, რომლებიც თავიანთ მხრივ აგრძელებენ ემპირიული დაკვირვებით დაგროვილ ცოდნას, რომლის წყალობით დაძლეულ იქნა თეოკოსმოგონია და დაიწყო კოსმოსის თავის-თავიდან ახსნა, წარმოიშვა კოსმოგონია.

პირველი ბერძენი ფილოსოფოსის თალესის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ მეტად მცირე ცნობებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თალესის, როგორც კოსმოსის მკვლევარის, შესახებ ფაქტებს. ცნობები გვაუწყებენ, რომ თალესმა იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება, რომელიც მოხდა ლიდიის მეფის ალიატისა და კიაკსარ მიდიელის ჯარებს შორის შეტაკების დროს; ეს უნდა მომხდარიყო 585 წ. 28 მაისს. თალესის წინასწარმეტყველება უთუოდ მნათობებზე ხანგრძლივი დაკვირვებებით იყო განპირობებული. ამგვარმა დაკვირვებებმა მისცა შესაძლებლობა თალესს წელიწადი 365 დღედ დაეყო, ხოლო თვე 30 დღედ, შეედგინა კალენდარი და ა. შ. სწორედ ეს მონაცემები ჰქონდა მხედველობაში დიოგენე ლაერტელს, როცა თალესს ბერძნებს შორის პირველ ასტრონომს უწოდებს¹. კოსმოსის კვლევამ, აღმოსავლური ცოდნის ზიარებამ, ბერძნული თეოკოსმოგონიის კრიტიკულმა ათვისებამ და დაგ-

¹ Аntichные философы. Киев, 1955, стр. 5, 6.

ჩოვილი სიბრძნის დაუფლებამ, თალესი პირველ ნატურფილოსოფიაში გახდა. მან სამყაროს საწყისად ფიზიკური ელემენტი, წყალი გამოაცხადა. „იონური ნატურფილოსოფიის წყალში, — წერს ფოიერბახი, — ჩაქრა წარმართული ასტრო-თეოლოგიის ლამპარი“. თალესი ამაღლდა ბუნების მეცნიერულ შერეტამდე და „ხალხური რწმენისათვის ღვთაებრივი არსებანი, ვარსკვლავები განაზრებისა და გამოთვლის საგნად აქცია“¹.

თუ თალესის დაკვირვებები კოსმოგონიის საფუძველს იძლევა, მისი მიმდევრების — ანაქსიმანდრესა და ანაქსიმენის მოძღვრებაში კოსმოგონიის კოსმოლოგიად, სამყაროს წესრიგის შესახებ თეორიად განვითარება ხდება.

ძეელი ცნობების მიხედვით, ანაქსიმანდრეს საკმაოდ მწყობრი ნატურფილოსოფიური მოძღვრება აუგია სამყაროს წარმოშობის შესახებ². მას უმტკიცებია, რომ აპეირონიდან, როგორც ყოველივე არსებულის, წარმოქმნილისა და წარმავალის პირველი მიზეზიდან, წარმოიშვა მიწიერი და ციური სამყარო, რომ დედამიწას გარს არტყია ჰაერი, რომელიც სითბოსა და სიცივისაგან წარმოქმნილი ცეცხლოვანი სფეროს მიზეზით ცილინდრის ფორმის დედამიწას გარს ერტყმის, როგორც ხეს თავისი ქერქი. ცეცხლოვანი სფეროს დაშლით წარმოიქმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ანაქსიმანდრეს აღნიშნულ მტკიცებებში კოსმოგონიის კოსმოლოგიად განვითარების საწყისი ჩანს, რადგან ფილოსოფოსი არ კმაყოფილ-

¹ Л. Фейербах. История философии, т. I, М., 1967, стр. 65.

² 12 [2] A 10 H. Diels, Die Fragmente der Vorsokratiker, hrsg von iv. Kranz, 1960.

დება კოსმოსის წარმოქმნაში მოვლენათა თანმიმდევრობის აღწერით, გენეზისით, არამედ იგი იძლევა მთელი კოსმოსის კანონზომიერების დახასიათებას, რომ ყოველი აპეირონი-ნიდან წარმოქმნილი ქვეყნიერებანი განუსაზღვრელი არიან მსგავსად პირველსაწყისისა, განუსაზღვრელი მიზეზისა, რომ ისინი მხოლოდ გარკვეულ დრომდე არსებობენ და ისპობიან, კვლავ აპეირონს უბრუნდებიან, რომ მთელი კოსმოსი განუ-წყვეტელი წარმოშობა-მოსპობის განუსაზღვრელ წრებრუნ-ვაში იმყოფება.

ანაქსიმანდრე მსჯელობს, აგრეთვე, სამყაროს სტრუქტუ-რაზე, დედამიწის ცილინდრისებურ ფორმაზე, რომლის სიმაღ-ლესა და სიგანეს შორის ზუსტი მათემატიკური შეფარდებაა, რომ დედამიწას გარს არტყია ჰაერი და ცეცხლისებური სფე-როს დაშლით მიღებული რეოლები: მზე, მთვარე, ვარსკვ-ლავები.

ანაქსიმანდრეს აზრით, დედამიწა ჰაერში თავისუფლად დაცურავს, არა აქვს საყრდენი. იგი ერთნაირი მანძილითაა დაშორებული ციური სხეულებისაგან, რომელთაგან ყველაზე შორს მზეა, ყველაზე ახლოს ვარსკვლავები, ხოლო შუაში იმყოფება მთვარე. ანაქსიმანდრემ ციური სხეულები დედამი-წის ირგვლივ მოძრავად დაახასიათა და სამყაროს გეოცენტ-რული სისტემის პირველი მოდელი შექმნა.

კოსმოსის წყობის საინტერესო თეორია აავო, აგრეთვე, მომდევნო ფილოსოფოსმა ანაქსიმენემ, რომელთანაც განუსა-ზღვრელი საწყისი — აპეირონი თვისობრივად გარკვეული, განსაზღვრული გახდა, და ამასთან ერთად შეინარჩუნა რაოდე-ნობრივი განუსაზღვრელობა. ყოველივე არსებული ჰაერის შე-კუმშვითა და გაშლით, შემტეიცებითა და გათხელებით წარმო-

იქმნება. ჰაერიდან წარმოქმნას გარკვეული თანამიმდევრობა, არა მარტინი აქვს, ჰაერის შეკუმშვით წარმოიშვა კერ მიწა, შემდეგ მიწი-
 საგან მზე, მთვარე და ყველა მნათობი! სამყაროს წარმოშობა
 ანაქსიმენემ განსაზღვრულ მატერიალურ სტიქიას — ჰაერს
 ღაუკავშირა და მისი შეკუმშვითა და გათხელებით ახსნა სამ-
 ყაროში მიმდინარე პროცესები, წარმოქმნა და მოსპობა. ანა-
 ქსიმენეს მიერ შეკუმშვა-გაშლის პრინციპი მოძრაობის პრინ-
 ციპის ჩამოყალიბების პირველი სახეა. ანაქსიმენემ ჰაერთან,
 როგორც სუბსტანციასთან ერთად, მოძრაობაც ღაუშვა და
 მთელი სამყარო ურთიერთთან დაკავშირებული, ერთმანეთი-
 საგან გამომდინარე მოვლენების ერთობლიობად წარმოიდგინა.

ამგვარად, ბერძნული ფილოსოფიის ჩასახვა და განვითა-
 რების საწყისი პერიოდი მჭიდროდ არის დაკავშირებული
 სამყაროს შესახებ მოძრვრებასთან, რომელსაც წინ უძლოდა
 ოეოკოსმოგონია, აქედან კი განვითარდა სამყაროს მეცნიე-
 რული კვლევა, — კოსმოგონია და კოსმოლოგია. მილეტის
 ნატურფილოსოფიური სკოლა კოსმოგონიურ-კოსმოლოგიურ
 ძიებებშია ფორმირებული და ამიტომ იქ არხეს პრობლემა
 ფილოსოფიაში კოსმოსის შესახებ ოეორიასთან მჭიდროდ იყო
 დაკავშირებული; რადგან შემდეგშიც სოკრატემდელი ფილო-
 სოფია ძირითადად კოსმოლოგიური პრობლემატიკის მიხედვით
 განვითარდა, ამიტომ ამ პერიოდს ფილოსოფიაში კოსმოლო-
 გიურ პერიოდს უწოდებენ.

სველი ბერძნული ფილოსოფიის ჩამოყალიბებაზე დიდი
გავლენა მოახდინა, აგრეთვე, სოციალურ-პოლიტიკურმა და
ეთიკურმა იდეებმა. ამ იდეების ავტორად ბრძენი იყო მიჩ-

¹ 13 A 6. H. Diels, Die Fragmente der Vorsokratiker. Bd. 1. Berlin, 1922.

ნეული, რომელთა რიცხვს ძველი ბერძნები შვიდით უკავშირდნენ, თუმცა მათი რაოდენობა ბევრად აღმატებოდა ამ რიცხვს (რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ დასახელებული შვიდეულის სხვადასხვა ვარიანტში განსხვავებული სახელებიც გვხვდება)¹.

პლატონი დიალოგში „პროტაგორა“ ასახელებს შვიდ ბრძენს: თალეს, პიტაკეს, ბიანტეს, სოლონს, კლეობულეს, მისონსა და ხილონს². მათ „ლაკონური აღზრდის ერთგულთ“ „ლაკონურად“ გამოუთქვამთ ბრძნული აზრები, რომელთაგან პლატონი ასახელებს დელფოსის ტაძარზე წარწერილს: „შეიცან თავი შენი!“ და „ზომიერება ყველაფერში“. აქვე პლატონი საგანგებო მსჯელობის საგნად ხდის პიტაკეს გამოთქმას: „ძნელია იყო კეთილშობილი“. ანტიკური ეპოქის უცნობი პოეტის ცნობით, შვიდ ბრძენს (რომელთა შორის მისონი შეცვლილია პერიანდრეთი) ასეთი აფორიზმული დებულებები გამოუთქვამთ: კლეობულე — „ზომიერებაა ყველაფერზე უმთავრესი“, სპარტელი ბრძენი ხილონი — „შეიცანიო თავი შენი“, კორინთელ პერიანდრეს ურჩევია „თავი შეიკავეო განრისხებისაგან“, მილეტელი პიტა-

¹ რიცხვი შვიდის დაკავშირება ბრძენთა რიცხვთან აისნება ამ რიცხვისათვის საკრალური მნიშვნელობის მიწერით. ბერძნულ მითოლოგიაში შვიდი ითვლებოდა აპოლონის რიცხვად და ახალ მთვარემდე მეშვიდე დღეს ხდებოდა აპოლონისადმი მსხვერპლშეწირვა.

² პითაგორელებმა რიცხვი შვიდი სიბრძნის სიმბოლოდ გამოაცხადეს. ამ რიცხვს სიბრძნესთან აკავშირებდნენ აგრეთვე ინდოეთში, აქ შვიდი ბრძენი ითვლებოდა ბრაჟმანთა წინაპრად. იხ. М. И. Шахнович, Происхождение философии и атеизма.

² Платон. Соч., т. I, 1968, стр. 230. (343 В).

კე, — „არავითარი ზედმეტი“, ათენელი სოლონი „დააკვირდიო ცხოვრების ბოლოს“, ბიანტე — „ბოროტება გძლავრობს ყოველგან“, თალესი მილეტელი — „თავდებად ნურვის დაუდგებიო“¹. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ბრძენთა გამოთქმები უპირატესად მორალური სენტრული ციების, დამრიცებლურ-აღმზრდელობითი შინაარსის გამომხატველია. ეს შინაარსი ამავე დროს გარკვეული სოციალ-პოლიტიკურ ასპექტსაც შეიცავს და აფორიზმების სახით გამოთქმული, ზოგად პრინციპში ჩამოყალიბებული, ცხოვრებისეული საყოველთაო მოქმედების ნორმებად იქცა. პირველი ბრძენი, წერს კ. მარქსი, აერთიანებენ თავისთავში თეორიულსა და პრაქტიკულს, სიბრძნეს — ზნეობრივ პრაქტიკულსა და პოლიტიკურ-სამართლებრივ მოღვაწეობასთან².

დასახელებულ ბრძენთა შორის გამოიჩინევიან სოლონი როგორც კანონმდებელი (რომელსაც პლატონი „ჩვენ სოლონს“ უწოდებს) და თალესი — პირველი ბერძენი ფილოსოფოსი. სოლონი (ძვ. წ. დაახლ. 640—559 წწ.) ანტიკური ეპოქის დიდი პოლიტიკური მოღვაწე და პოეტია. მის შესახებ საქმიანდ მდიდარ ცნობებს გვაწვდის პლუტარქე³. მისი ცნობით, სოლონი თავისთავს ღარიბთა ფენას აკუთვნებდა, სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა და მხოლოდ აუცილებელი ქონების მომხრე იყო. იგი თუმცა ელევიებსა და იამბებს თხზავდა და შიგ ფილოსოფიურ აზრებსაც აქსოვდა, მაგრამ ეს მისთვის

¹ М. И. Шахнович. Происхождение философии и атеизма, Л., 1973, стр. 214.

² К. Маркс, Ф. Энгельс. Из ранних произведений, М., 1955, стр. 131.

³ პლუტარქე. ჩჩეული ბიოგრაფიები, 1975, გვ. 137 — 175.

„გართობის საგანი“ იყო. პლუტარქეს ცნობით, მას ნაკლებ
აინტერესებდა ბუნების მოვლენები და უმთავრეს უურადღე-
ბას პოლიტიკას აქცევდა. წოლონმა შეადგინა პირველი წერი-
ლობითი კანონები. ჭოცა ეს მისმა მეგობარმა ანაქარსისმა
გაიგო, სასაცილოდ აიგდო; ძლიერ მოქალაქეთა უსამართლო-
ბისა და სიხარბის დათრგუნვა შეუძლებელია, ეუბნებოდა
ანაქარსისი, შენი კანონები ობობას ქსელსა ჰგავს, რომელიც
მხოლოდ სუსტებსა და წვრილფეხობას შეიძყრობს. სოლონს
ამის წინააღმდეგ უთქვამს: „ადამიანები იცავენ იმ შეთანხმე-
ბებს, რომელთა დარღვევა არავისთვის არაა ხელსაყრელი. მე
ისე შეხმატკბილებულად შევუდგინე კანონები მოქალაქეთ,
რომ ყველასათვის ცხადი იყოს, თუ რაოდენ სჯობს კანონთა
დარღვევას სამართლიანი მოქმედებაო“¹. ათენელებმა სოლონი
არქონტად, მომრიგებელ მოსამართლედ და კანონმდებლად
აირჩიეს. მას ურჩევდნენ ერთმმართველობის ტირანიული
ფორმით გატარებას, რასაც სოლონი პრინციპულად ეწინააღმ-
დეგებოდა, მოითხოვდა „ძალაუფლებას სამართალი უნდა მიე-
სადაგოსო“. სოლონის კანონებში სამართლებრივი დებულე-
ბები (საკუთრების დაცვის, მოქალაქეობის უფლების, ქორწი-
ნებისა და სხვ.) დაკავშირებული იყო მორიალურ პრინციპებ-
თან (მოქალაქის დამოკიდებულება სამშობლოსადმი, მეგობ-
რებისადმი, ნათესავებისა და მშობლებისადმი).

ბრძენთა წინაშე, და მათ შორის სოლონთანაც, დადგა სა-
კითხი ზნეობრიობის, სამართლიანობის საზომის შესახებ. ამის
პასუხს ისინი ცხოვრებისეული გამოცდილების განზოგადების
მიხედვით იძლეოდნენ. ბრძენი თავისებურად ეძებდა ზოგადს,
სუბსტანციას, მიზეზს; ამჯერად ზოგადი გამოითქვა მხატვრულ

¹ პლუტარქე, რჩ. ბიოგრაფიები, გვ. 141.

უორმაში: აფორიზმებში, მახვილსიტყვაობაში, ანდაზებში, სოლონმა ზოგადი სამართლის ფორმაში — კანონებში გამოთქვა. თუ აქამდე ძველი ბერძენი კეშმარიტების საზომს დელფოსის მისნის წინასწარმეტყველებაში ეძებდა, ახლა საზომი გახდა ბრძენის სიტყვა, ბრძენის მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტება ზოგადი დებულების სახით გამოთქმული სამართლიანობის, სიმართლის ეტალონად იქცა. კ. მარქსის სიტყვებით ბერძენი ხალხის გონი, მათი სულიერი მისწრაფებები და მიღწევები თეორიულად ბრძენთა ენით გამოითქვა!

ბრძენთაგან გამოირჩეოდა ბრძენთა შორის მოხსენიებული თალესი მილეტელი (624—547 ძვ. წ.), რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა ბუნების მოვლენებზე დაკვირვებას. სხვა ბრძენთა შორის, რომელთაც სახელი მოიხვევეს პოლიტიკური მოღვაწეობითა და მორალის ქადაგებით, თალესი ემპირიული ცოდნის შეძენით დაინტერესდა. ამის შესახებ წერს პლუტარქე: იმ დროისათვის საჭირო ცოდნას თავისი ბრძნული დაკვირვებებით მხოლოდ და მხოლოდ თალესმა გაუსწრო წინ. სხვებმა კი ბრძენის სახელი გონივრული პოლიტიკური მოღვაწეობის წყალობით მოიხვევეს². ძველმა ბერძნებმა, ამიტომ, თალესი ბრძენთა შორის უბრძნესად აღიარეს და, თქმულების მიხედვით, ელენეს მიერ ზღვაში ჩაგდებული ოქროს სამფეხი თალესს მიუძღვნეს³. ამ თქმულებიდან ნათლად ჩანს, რომ თალესი მართლაც უბრძნესად იყო აღიარებული ბრძენთა შორის. პლუტარქეს მიერ წარმოდგენილ ცნო-

¹ К. Маркс, Ф. Энгельс. Из ранних произведений, стр. 133.

² პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები, გვ. 140.

³ იქვე.

ბაში სოლონისა და თალესის პაექტობის შესახებ ცხადად ჩანს
თალესის უპირატესობა ამ კამათში, მისი აზროვნების სიღრ-
მე, ლოგიკურობა.

თალესი ის პიროვნებაა, რომელმაც თავისთავში გააერთი-
ანა ორი კატეგორიის მოაზროვნე ბრძენი და ფილოსოფოსი,
მისი სახით მოხდა გადასვლა ერთიდან მეორეში, „ბრძენის“,
„სოფოსის“ დაძლევა „ფილოსოფოსით“, პრაქტიკული სი-
ბრძნისა მეცნიერებით. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ დაიწყო
თალესით ფილოსოფიური აზროვნების დამოუკიდებელი გან-
ვითარების ისტორია ძველ საბერძნეთსა და, საერთოდ, და-
სავლეთ ევროპაში.

არისტოტელემ თალესი შვიდ ბრძენთა შორის ერთადერთ
მოაზროვნედ მიიჩნია, რომელმაც მითოლოგიური თქმულებე-
ბისაგან გაათვისუფლა ბუნების შესახებ ცოდნა და შექმნა
სამყაროს შესახებ ზოგადი თვალსაზრისი, რამდენადაც მან
დააყენა საწყისის პრობლემა და სამყაროს პირველმიზეზის
კვლევით წყლის სუბსტანციალობის მტკიცებამდე მივიდა.
„იმათ შორის, ვინც პირველად დაიწყო ფილოსოფოსობა, უმ-
რავლესობამ ყველა საგნის საწყისად მხოლოდ მატერიის სახე
მიიჩნია“¹, ხოლო საწყისი, არისტოტელეს აზრით, არის ის,
„რისგანაც შედგენილია ყველა საგანი, რისგანაც პირველად
არის წარმოშობილი და რაღაც საბოლოოდ დაიშლება...“;
„თალესი, მამამთავარი ასეთი ფილოსოფიისა, მას წყალს უწო-
დებს“.

დიოგენე ლაერტელის ცნობით, „თალესი, გარდა სახელ-
მწიფოებრივი საქმეებისა, ბუნების კვლევასაც მისდევდა....

¹ Аристотель. Метафизика, 983 а 24.

ყოველივეს საწყისად მან წყალი სცნო და ამტკიცებდა, რომ სამყარო გასულიერებულია და სავსეა დემონებით“¹.

ბერძნული ფილოსოფია მატერიალური საწყისის დაღვენით დაიწყო. პირველი ფილოსოფოსების უძირითადესი ამოცანა სამყაროს თავისთავიდან ახსნა იყო, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ მითოსს უხდიდნენ ხარქს, რამდენადაც მატერიალური ბუნება გასულიერებულად, საგნები და მოვლენები ცოცხალ არსებებად, მთელი სამყარო ჰილოძოსტურად ჰქონდათ გაგებული. ბერძნული ფილოსოფიის სათავეში ბუნების საგნები ჯერჯერობით სულიერთან ერთიანობაშია წარმოდგენილი და ამით ფილოსოფიას ჯერ კიდევ საერთო აქვს მითოლოგიურ-აზროვნებასთან. ამიტომ მიაწერდა თალესი „არასულიერ საგნებს სულს და მაგნიტისა და ქარვის მიზიდულობას მათ სულიერობას უკავშირებდა“².

ამგვარად, საბერძნეთის ბრძენთა შორის თალესი ის მოაზროვნეა, რომლის შემდეგ ძალა უნდა დაეკარგა „დელფოსის აპოლონის წინასწარმეტყველებას“, მის „ბუნდოვან ღვთაებრივ ჭეშმარიტებას“ და „პითიური სამფეხის“ ოღმოჩენასთან ერთად „ბერძნულ გონს“ ახალი³ დიადი ძალის მოპოვება. ფილოსოფიისაკენ გზის გაკვლევა უნდა ეზეიმა.

თალესის მიერ დაფუძნებული მილეტის სკოლის მეორე წარმომადგენელთან ანაქსიმანდრესთან (610—546 ძვ. წ.) საწყისია „განუსაზღვრელი“ — აპეირონი. ეს საწყისიც ჯერ კიდევ მითოლოგიურისაგან მთლიანად არ არის განთავისუფ-

¹ Аристичные философы. стр. 5-6.

² იქვე, გვ. 6.

³ К. Маркс, Ф. Энгельс. Из ранних произведений, стр. 133.

ლებული, რაც იმაში ჩანს, რომ მას მიეწერება ცოცხლისთვის
დამახასიათებელი ნიშნები. მას ახასიათებს „სამართლიანო-
ბა“, მასში საგნებს შეუძლიათ „გამეტიჩრება“, უსამართლო-
ბის ჩადენა, ხოლო აპეირონი მათ „სჯის“, იგი არის „უკვდა-
ვი“ „უბერებელი“ და უკვდავების, მარადიულობის გამო
ღვთაებრივადაც კი ცხადდება.

თუმცა ანაქსიმანდრემ თალესის შემდეგ ფილოსოფიაში
საწყისის კვლევა უმაღლეს აბსტრაქციამდე აამაღლა, აპეი-
რონს, როგორც სუბსტანციას, ჩამოაშორა ყოველგვარი თვი-
სობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა, რითაც პირ-
ველსაწყისი განთავისუფლდა თალესის წყლის თვისობრივ
შეზღუდულობათაგან, მაგრამ მას მაინც შერჩა მითოლოგიუ-
რის ნაშთები, რაც პილოძოიზმში გამოვლინდა და რის გამოც
აპეირონი პილოძოისტურად გაგებულ სუბსტანციად დარჩა.

ფ. კესიდის აზრით, „ანაქსიმანდრეს ტერმინოლოგიაში მო-
ცემულია რელიგიურ-მითოლოგიურის, მხატვრულ-ესთეტიკუ-
რის (ტრაგიკულის), მეტაფიზიკურ-პოეტურისა და ზნეობრივ-
სამართლებრივის ელემენტებიც, მაგრამ ეს სრულიადაც არ
ნიშნავს იმას, რომ იგი ვერ არჩევდა ბუნებას და საზოგადოე-
ბას, ფიზიკურსა და ეთიკურს. სწორია მხოლოდ ის, რომ იგი
მათ ერთმანეთთან არ აპირისპირებდა, არ ატარებდა მათ შო-
რის სუბსტანციურ განსხვავებას“¹. ხოლო ეს ტერმინოლოგია,
მისივე აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს არც „წყეული მი-
თოლოგიური აზროვნების გადმონაშთად და არც ცოცხალი
რელიგიურ-მითოლოგიური ცნობიერების გამოხატულებად,
არამედ იგი „სინამდვილის შესახებ სპეციფიკურ ანტიკური“

¹ Ф. Кессиди. От мифа к логосу, стр. 129.

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისის საპირისპიროდ უნდა
ითქვას, რომ ანაქსიმანდრეს არა მხოლოდ ტერმინოლოგიაში,
არამედ მოძღვრებაშია მოცემული სოციომორფიზმიც და ან-
თროპომორფიზმიც, სამყაროსა და საზოგადოების ერთი კა-
ნონზომიერების მიხედვით. გააზრება, ადამიანის ბუნების მი-
ხედვით საგანთა ბუნების დახასიათება და ეს სწორედ მითო-
ლოგიური ცნობიერების სპეციფიკის თავისებურ ახალ ფორ-
მაში გამოვლენის შედეგი იყო. თუმცა ფილოსოფიურმა აზრ-
მა ზოგადად დასძლია მითური წარმოდგენები და ამიტომ ანა-
ქსიმანდრემ, ცხადია, გაარკვია „სუბსტანციური სხვაობა“
საჭყისის რელიგიურ-მითოლოგიურსა და მეცნიერულ-ფილო-
სოფიურ გაგებას შორის, მაგრამ იგი განხორციელდა სამყა-
როს, როგორც მთლიანის, სინთეზურად ერთიანის გააზრება-
ში, სადაც ჯერ კიდევ არ არის მკვეთრად გარჩეული და დაპი-
რისპირებული სულიერი ფიზიკურისაღმი და მით უმეტეს
ადამიანი ბუნებისაღმი, საზოგადოება ფიზიკური სამყარო-
როსაღმი. რამდენადაც სამყაროს ასეთი მთლიანობითი, არა-
დიფერენცირებული გაგება მითოლოგიური თვალსაზრისისა-
თვის სპეციფიკურია, ანტიკურ სამყაროში ანაქსიმანდრეს
დროის ფილოსოფიის მიერ არ შეიძლება მთლიანად მოხსნი-
ლად ვიგულვოთ ასეთი არადიფერენცირებული გაგება, არა-
მედ მისი თავისებური გამოყენება და ფილოსოფიური პრობ-
ლემებისაღმი დამორჩილება უნდა მომხდარიყო. სწორედ
ამის შედეგია მითოლოგიური „ელემენტის“ ფილოსოფიასთან

¹ Ф. Кессли. От мифа к логосу, стр. 127.

შეგუება და ჰილოძოიზმის სპეციფიკურ ფორმაში მოვლინება.
მილეტის სკოლის მესამე წარმომადგენელთან ანაქსიმენეს-
თან (585—528 წწ. ძვ. წ.) მატერიალური ელემენტის, ბუნე-
ბის სტიქიის — ჰაერის პირველსაწყისად დასაბუთებაა მო-
ცემული. მან გაითვალისწინა ანაქსიმანდრეს აპეირონის, რო-
გორც განუსაზღვრელი საწყისის, ნაკლი, რაც იმაში მდგომა-
რეობდა, რომ აპეირონი ყოველი მიმართებით განუსაზღვ-
რელი, გაურკვეველიც და თავისი რაობით არსებითად ამოუ-
ცნობიც დარჩა. ანაქსიმენე თალესის სუბსტანციის ანალო-
გიურ საწყისზე, გარკვეულ მატერიალურ ელემენტზე —
ჰაერზე შეჩერდა, რომელსაც პირველთან მიმართებაში ის
უპირატესობა ჰქონდა, რომ იგი მოკლებული იყო გრძნობად
თვისებებს. ჰაერი ხელშეუხები და თვალით უწვდომი მატე-
რიალურია, ე. ი. თითქოს გრძნობადი თვისებებით შეუზღუ-
დავი, მაგრამ ამავე დროს აპეირონის დარად არ არის მთლი-
ანად განუსაზღვრელი და გაურკვეველი. ანაქსიმენეს მიერ მი-
კვლეული პირველსაწყისიც ჯერ კიდევ თავისებური მითო-
ლოგიური „გადანაშთით“ ხასიათდება, იგი „ცოცხალი“ ჰაე-
რია, კოსმოსის „სუნთქვაა“, ამ აზრით კოსმოსური სულია.
ამავე დროს ჰაერი ისეთი საწყისია, რომელსაც შეკუმშვისა
და გაშლის, გასქელებისა და გათხელების თვისება აქვს, ე. ი.
გარკვეული აზრით მექანიკური გარდაქმნით ხასიათდება. ანა-
ქსიმენემ თავის ჰილოძოისტურ მოძღვრებაში მისი უარმყო-
ფელი, მექანიკიზმის მომენტი შემოიტანა. მატერიალისტური
თეორიის ეს ახალი პრინციპი ძლიერ წინააღმდეგობას უწევს
და სდევნის მითოლოგიურ-რელიგიურს, რაღან მისი მოთხოვ-
ნის შესაბამისად ყოველივე უნდა აიხსნას მექანიკურ პროცესს
დაქვემდებარებული მატერიალურით. აღსანიშნავია, რომ მექა-
ნიკიზმის მომენტი თანდათან გაძლიერდა მილეტელი ფილოსო-

ფოსების („დიდი ფიზიკოსების“) გამგრძელებლებთან „მცირე ფიზიკოსებთან“. მა უკანასკნელთა წარმომადგენელი ემპედოკლე სამყაროს მრავალფეროვნებას პირველადი ოთხი ელემენტის—მიწის, წყლის, ცეცხლისა და ჰაერის—შეერთებითა და გათიშვით ახსნის, ხოლო ანაქსაგორასათვის ყოველი არსებული პირველადი „თესლების“, პომოიმერების გაერთიანებისა და დაშლის შედეგს წარმოადგენს. თუ ემპედოკლე-ანაქსაგორასთან კვლავ გაზიარებულია პილოძოიზმი, — ემპედოკლესთან შეერთებისა და გათიშვის მიზეზი სიყვარულისა და სიძულვილის ძალა, ხოლო ანაქსაგორასთან გონიება „ნუსი“, — მომდევნო მატერიალისტურ თეორიაში, დემოკრიტესთან, ყოველივე ახსნილია ატომთა მექანიკით. დემოკრიტეს მიხედვით, პირველსაწყისია ატომები და სიცარიიელე, რომელშიც გაიშლება ატომების მოძრაობა, მათი გაღაადგილების, შეერთებისა და გათიშვის პროცესი. ატომი არ არის „ცოცხალი“ ელემენტი, იგი თავისთავად უმოძრაო, ინერტული მატერიალური საწყისია, მის გარეთ არსებობს მოძრაობა და მისი განხორციელების პირობაა სიცარიიელე. ასეთი ამოსავალი პრინციპებით დემოკრიტემ სიცარიიელე ატომების მოძრაობის პირობად გამოაცხადა, სული ფსიქიური მოვლენების ატომების მოძრაობის შედეგია, ოლონდ სხვა სხეულთა ატომებისაგან თვისებებით განსხვავებულია ის ატომები, რომელთა ერთობლიობაც სული და მისი რიგის მოვლენები არიან. სულის ატომები ფაქტიზი და მსუბუქია, ნაზია და მრგვალი ფორმისაა. სული მოკვდავია, სხეულთან ერთად ივიც იშლება და ატომებად განიბნევა. ე. ი. დემოკრიტემ საწყისის მხრივ წაშალა სხვაობა მატერიალურსა და სულიერს შორის; ატომების მექანიკა უნივერსალურ კანონზო.

მიერებად გადაიქცა, რომელიც კოსმოსურ აუცილებლობას ქმნის და რამაც არ იცის გამონაკლისი, შემთხვევითი. ასეთ თეორიაში აღარ დარჩა ადგილი ღმერთისა და მითური არსებებისათვის. ყოველივე, რაც არსებობს, ბუნებაში თითქოს თანამიმდევრულად აიხსნა მატერიალიზმის თვალსაზრისით. მექანიციზმა განდევნა პილოძოიზმი, მითოსის მომენტი, მატერიალიზმისათვის პრინციპულად უცხო, მაგრამ პირვანდელი მატერიალიზმის შეზღუდულობით განსაზღვრული. დემოკრიტეს ატომისტიკის შემდეგ ანტიკური მატერიალიზმის ისტორიაში მითოლოგიურ-რელიგიური მომენტის მონაწილეობა სამყაროს ახსნაში პრინციპულად უკუგდებულია. ამისი ნიმუშია ეპიკურე და ლუკრეციუსი, რომელთა მატერიალიზმი მათი ათეისტური თვალსაზრისის საფუძვლად იქცა.

ამგვარად, მატერიალისტური თეორიის განვითარების ისტორიაში დემოკრიტე პირველია, რომელმაც დასძლია პილოძოიზმი და ამასთან ერთად მითოლოგიურ-რელიგიურის გავლენა ფილოსოფიაზე. მან ბუნების ახსნაში თანმიმდევრულად გაატარა მატერიალიზმის პრინციპი და საფუძვლიანად დაუპირისპირდა იდეალიზმსა და რელიგიას.

მაშასადამე, დემოკრიტესთან ჩვენ გვაქვს მექანიციზმის საფუძველზე მატერიალისტური თეორიის მითოლოგიურ-რელიგიური დანამატებისაგან განთავისუფლების პირველი ნიმუში. მაგრამ ანტიკურ საბერძნეთში მითოლოგიურის უარყოფის გზით ვითარდებოდა, აგრეთვე პირვანდელი გულუბრყვილო, სტიქიურ-დიალექტიკური თვალსაზრისი. მითოლოგიურის სრული დაძლევისა და უარყოფის ორი ძირითადი ტენდენცია ერთმანეთს ავსებდა ანტიკურ საბერძნეთში: მექანისტურ-მატერიალისტური და სტიქიური დიალექტიკურ-მატერიალისტური.

პირველი ბერძენი ფილოსოფოსების ამოცანა, როგორც
ცნობილია, სამყაროს თავისი თავიდან ახსნა იყო. პირველ-
საწყისს უნდა შეესრულებინა უნივერსალური სინამდვილის,
კოსმოსის, მრავალფეროვნებათა ამხსნელის როლი. ძველ
ბერძნებთან ფილოსოფიის ძირითადი საკითხი მატერიისა და
ცნობიერების დამოკიდებულების შესახებ თავდაპირველად
ერთისა და სიმრავლის მიმართების ასპექტით დადგა და მატე-
რიალიზმის სასარგებლოდ გადაწყდა, ერთი მატერიალურ
სუბსტრატში დაიძებნა (წყალი, აპეირონი, ჰაერი, ცეცხლი).
მატერიალური ერთიდან სიმრავლის ახსნა მოძრაობა-ცვალე-
ბადობის პრინციპის გარეშე შეუძლებელია; ერთი რაღაც
ცვლილებებით უნდა გარდაიქმნას თვისებრივად განსაზღვ-
რული მოვლენების სიმრავლედ. ამიტომ იყვნენ პირველი
ბერძენი მატერიალისტები სტიქიური დიალექტიკოსები, თა-
ლესისათვის წყალი გარდაიქმნება სიმრავლედ და სიმრავლე
ისევ წყალს უბრუნდება. ანაქსიმანდრესთან აპეირონიდან გა-
მოსული სიმრავლე ისევ მასში შთაინთქმება და ასე უსასრუ-
ლოდ. მაგრამ მილეტის სკოლაში ვერ გადაწყდებოდა საკითხი
ცვალებადობა-მოძრაობის მიზეზისა, იმ ძალისა, რომელიც
ერთიდან მრავალს წარმოქმნის და სიმრავლეს ისევ ერთთან
მიაბრუნებს. ეს საკითხი ამ სკოლაში მარტივი სახით დადგა
და გადაწყვეტაც შესაბამისად მარტივი უნდა ყოფილიყო:
ერთი, საწყისი, რომლისგანაც ყოველივე მომდინარეობს,
„ცოცხალი“, მატერიალურია, ცოცხალს აქვს მხოლოდ თვით-
მოძრაობის, თვითცვლის უნარი და ამიტომ „ცოცხალი“, „გა-
სულიერებული“ მატერიალური სუბსტრანციიდან დაშვებულია
სიმრავლედ გაშლა, გარდაქმნა, ცვალებადობა, მოძრაობა.
მაშასადამე, ის ძალა, რომელიც ერთიდან მრავალს წარმოქმ-

ნის, მატერიალურშია, მაგრამ მისთვის უცხო ძალაა, „ცოცხალი ძალაა“. ეს არის სწორედ ჩვენთვის ცნობილი მითოლოგიურის „გადანაშთი“, ჰილოძოისტურად გაგებული საწყისი.

ჰერაკლიტეს მოძღვრებაში მოპოვებული ასეთი „სულიერი“, „ცოცხალი“, მამოძრავებელი ძალის ცნება მატერიალურთანაა დაკავშირებული, მაგრამ მატერიალური საწყისის ცნებასთან იგი შერწყმულიცაა და განსხვავებულიც. ჰერაკლიტესათვის საწყისია ცეცხლი მარად მოძრავი და აალებადი. კანონზომიერად ქრობადი და ანთებადი, რომლისაგან მომდინარეობს გზა ზევით და გზა ქვევით (ზევით — მიწა-წყალი-ჰერი-ცეცხლი, ქვევით — ცეცხლი-ჰერი-წყალი-მიწა). ცეცხლის გარდაქმნის კანონზომიერება მთელი კოსმოსის განმსაზღვრელია და ამ კანონზომიერებას ჰერაკლიტემ უწოდა ლოგოსი (ანუ სიტყვა—აზრი—გონება). ლოგოსი კოსმოსის წესრიგია, მსოფლიო გონებაა; იგი აზროვნების კანონზომიერებაცაა, მაგრამ არ არის იდეალური ძალა, მას არაფერი აქვს საერთო ჰეგელის აბსოლუტურ გონთან (თუმცა ჰეგელი ცდილობდა ამის დასაბუთებას). ლოგოსი ჰერაკლიტესთან ონიშნავს ბუნებაში არსებულ კანონზომიერებას, იგი ამით შინაარსობრივად ემთხვევა პირველსაწყისს, ცეცხლს, რომელსაც აქვს წესრიგი, მაგრამ ცეცხლი მისგან განსხვავებულიცაა, როგორც მატერიალური, ბუნების სტიქია.

ამგვარად, ჰერაკლიტემ მატერიალური საწყისისა და მოძრაობა განვითარების კანონზომიერების ცნებათა ურთიერთი-საგან გამოყოფის თავისებურებაზე შინაიშნა და ამით საფუძლიანად გააღრმავა ფილოსოფიური პრობლემატიკა, მატერიალისტური თეორია დიალექტიკურ კონცეფციას დაუკავშირა და სამყაროს კანონზომიერებაში ღრმად ჩახედვა მოითხოვა.

ლოგოსი, როგორც კანონზომიერება, მუდმივ დაფარულია: „ბუნებას თავის დამალვა უყვარს“, შემმეცნებლის ვალია მისი ძიება და წვდომა. ლოგოსის მიხედვით, განხილულ სინამდვი-ლეში ყოველივე ერთია, ყველაფერი წესრიგის ერთიან ხაზზე თავსდება.

თუმცა ჰერაკლიტემ ბოლომდე ვერ დასძლია ჰილოძოიზ-მი, მის მოძღვრებაში ლოგოსი, როგორც გონება, ჰილოძოიზ-მის საფუძველს მაინც ქმნის, მაგრამ ამ თეორიაში არსებითად მომზადებულია თეორიული წანამძღვრები ჰილოძოიზმის უარ-ყოფისათვის, რადგან ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებე-ლი მატერიალურისა და სულიერის სიმბიოზი, ფიზიკურ-სულიერის მითოლოგიური ერთიანობა დაშლილია. მატერია-ლური საწყისი დიალექტიკური კანონზომიერების ძალით გა-ნიცდის გარდაქმნებს, ხდება დაპირისპირებულთა გაორება ერთიანში, მყარდება წინააღმდეგობისა და ჰარმონიის ერთია-ნობა, რაც დაპირისპირებაში გადადის და ა. შ. ასე განესხვავა ჰერაკლიტესთან ერთმანეთს ცნების მხრივ ობიექტური სინამ-დვილე და მისი კანონზომიერება, ცეცხლი და ლოგოსი.

თუმცა ჰერაკლიტემ თავისი წიგნი „ბუნების შესახებ“ არტემიდე ეფესელის ტაძარს შესწირა, მაგრამ ამ შრომაშივე მან მკაცრად გააკრიტიკა მითოსი და „მრავლისმცოდნეობის“ მიმდევარი ჰესიოდე, რომელმაც ვერ გაიკო, რომ „დღე და ღამე ერთია“ (B 57), მიუთითა ჰომეროსის შეზღუდულობაზე, რომელიც ადვილად „სცდებოდა“ „ყოვლად ნათელი საგნე-ბის“ შემეცნების დროს (B 56). ჰერაკლიტემ მითები გამონა-გონად ჩათვალა, პოეტებისა და მოხეტიალე მომღერლების თვითნებურ ნათხზავად მიიჩნია. მისი ცნობილი აფორის-ტული დებულება, რომ „სამყარო არ არის წარმოქმნილი არც

ერთი ღმერთისა და არც ერთი ადამიანისაგან, არამედ იყო, არის და იქნება მარად უკვდავი ცეცხლი...“. მიმართულია ცყველი სახის მითოლოგიური და რელიგიური ჩრდენის წინააღმდეგ. ჰერაკლიტე დასცინოდა მსხვერპლთშეწირვასა და კერპთთაყვანისცემას: „ამაოდ ფიქრობენ ისინი სისხლში ამოსვერილნი მსხვერპლის შეწირვით განიწმინდებიან. ეს ემსგავსებოდა იმას, ტალახში შესვრილი კაცი ტალახითვე რომ განბანილიყო... მათი ლოცვა კერპებისადმი იგივეა, თითქოს ვინმე შენობას ესაუბრებათ. მათ არაფერი იციან ღმერთებზე და გმირებზე“ (B 5).

ჰერაკლიტეს ფრაგმენტებიდან ნათლად ჩანს მითოსის წინააღმდეგ მიმართული არგუმენტების ძალა, რადგან ისინი შემუშავებულია რაციონალური აზროვნების, ცნების, ფილოსოფიური შემეცნების დონეზე. მიუხედავად ამისა, ჰერაკლიტეს ზოგადფილოსოფიური კონცეფცია თუმცა ეწინააღმდეგებოდა მითოლოგიურისადმი დათმობას, მაინც ეს თეორია შინაგანად წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, ცეცხლი, მატერიალური სტიქია ჰილოძოიზმის მომენტს შეიცავდა. ამას გარდა ჰერაკლიტეს ფრაგმენტებში ჯერ კიდევ ჩანს მითოლოგიურის ტერმინოლოგიური ზეგავლენა. ჰერაკლიტე მითურ სახეებს იყენებს ლოგოსის დახსიათების დროს, ლოგოსი მისთვის ზევსია *Zeus*, ცხოვრების სათავეა *Zéry*, მეუფეა, მაგრამ იმ აზრით, რომ იგი არის დღისა და ღამის, ზამთრისა და ზაფხულის, ომისა და მშვიდობის, სიღატაკისა და სიმდიდრის მონაცემება, დაპირისპირება და ერთიანობა.

მითოსის უფრო თანმიმდევრული კრიტიკოსი, რომელმაც პრინციპულად და შეგნებულად დააყენა საკითხი ფილოსოფიური შემეცნების საგნის გამიჯვნისა მითოლოგიურ-რელი-

გიურისაგან, ქსენოფანე კოლოფონელია. ქსენოფანეს ფილო-
სოფიური პოემა ემსახურება, ერთი მხრივ, ფილოსოფიის შე-
სასწავლი არსის როგორც განუყოფელად ერთიანის კვლევას,
მეორე მხრივ, მითოსისა და რელიგიის კრიტიკას. ქსენოფანემ
კარგად იცის მითოსი, რადგან იგი, როგორც რაფსოლი,
მოგზაურობის დროს გაეცნო მრავალ მითურ სახეებს,
გააცნობიერა ლვთაებათა სიმრავლე და პოლითეიზმში ბერძ-
ნების პოლიტიკურ-ეკონომიური დაცემულობის მიზეზი დაი-
ნახა. მისი აზრით, მრავალღმერთიანობამ დაქსაქსა და ერთმა-
ნეთისაგან გათიშა ბერძნები. ფილოსოფიური დასაბუთების
მიხედვით, მხოლოდ ერთი ღმერთი გამართლდება, რადგან:
1. მრავალი ღმერთი ერთმანეთს ძალას აკლებს; თუ ისინი
თანაბარნი არიან, მაშასადამე, არც ერთი მათგანი არ შეიძლე-
ბა იყოს ღმერთი, 2. თუ ისინი არათანაბარძალოვანნი არიან,
მაშინ ძლიერი იმარჯვებს სუსტზე და სუსტი ღმერთი შეუძ-
ლებელია არსებობდეს. თუ ღმერთი არის, იგი უნდა იყოს
ერთი და განუყოფელი, ერთგვაროვანი და უცვლელი, მარა-
დიული და უძრავი. ეს არის ისეთი არსი, რომელიც, ქსენო-
ფანეს მიხედვით, ყოველგვარ ლვთაებრივ თვისებებს მოკლე-
ბულია და გრძნობადი ბუნებისგანაც განსხვავებულია. რო-
გორც ელევლების მოძღვრებაში შემდეგ უფრო დაზუსტდა,
არსის ეს გაგება სინამდვილის არსებას დაემთხვა. ფილოსო-
ფიის საგანი, საზოგადოდ, არსებაა, — ერთი, უცვლელი, უძ-
რავი და სრულყოფილი. ამ ნიშნებით იგი ღმერთს ემთხვევა,
მაგრამ ღმერთი როდია. ქსენოფანეს მიზანი მრავალღმერთია-
ნობის უარყოფაა, მაგრამ ამ გზით იგი ერთღმერთიანობის
დასაბუთებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ ფილოსოფიის
საგნის გამოყოფას რელიგიისა და მითოსის საგნისაგან. ფილო-

სოფიის საგანი არც მითურ-რელიგიური არსია და არც
გრძნობადი ბუნების სახით მოცემული.

ქსენოფანე უარყოფდა ყოველგვარ ღმერთებს — ნატურა-
ლიზებულსაც და ანთროპომორფულსაც. ცვალებადი ბუნების
საგანთა გაღმერთება შეუძლებელია, ღმერთი არ შეიძლება
იცვლებოდეს, ღმერთებს არც ადამიანური სახე შეიძლება
ჰქონდეთ, რადგან ისინი მაშინვე ეროვნულ თავისებურებებს
შეიძენენ, მიწიერი თვისებებით აღივსებიან და ერთმანეთს და-
უპირისპირდებიან. ასეთები იყვნენ ჰომეროსისა და ჰესიოდეს
ღმერთები. ისინი ისე ებრძვიან ერთმანეთს, მლიქვნელობენ,
ქურდობენ, მრუშობენ, როგორც ადამიანები¹. ასეთი ღმერთე-
ბი, ქსენოფანეს აზრით, ადამიანების შექმნილია. მათ ღმერ-
თები თავისი სახის მიხედვით შექმნეს. ამიტომ არის ეთიოპიე-
ლების ღმერთი ჰაჭუა და შავი, თრაკიელებისა კი ცისფერ-
თვალება და ქერათმიანი² (B 16). კლიმენტ ალექსანდრიელის
ცნობით, ქსენოფანეს უთქვამს: „ხარებს, ცხენებსა და ლო-
მებს ხელები რომ ჰქონდეთ, ადამიანთა მსგავსად ხატვა და
ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნა რომ შესძლებოდათ, მაშინ
ცხენები გამოსახავდნენ ღმერთებს ცხენების მსგავსთ, ხარები
ხარების მსგავსთ და მათ მისცემდნენ ისეთ გამოსახულებას,
როგორი სხეულებრივი სახეც თითოეულ მათგანს აქვს“
(B 15)³.

ამგვარად, ქსენოფანე კოლოფონელმა კატეგორიულად
უარყო ღმერთები, მითოლოგიური პოლითეიზმი და მათი წარ-

1 Антличные философы, стр. 45.

2 ოქ 3 3, 33. 45-46.

3 ოქ 3 3, 33. 45.

შოშობის ანთროპოლოგიურ საფუძველზე მიუთითა, მისი აზერით, ლმერთი, რომელზეც ფილოსოფოსი იმსჯელებს უსახოა, დროისა და სივრცის გარეშეა; იგი ის ერთიანი არსია, რომელიც ბუნების მრავალფეროვნებას საფუძვლად უდევს და რაც კეშმარიტი შემეცნების საგანს წარმოადგენს. თეორია კეშმარიტი არსის, მოჩვენებითის საპირისპირო მეტაფიზიკური ყოფიერების, როგორც სინამდვილის არსების შესახებ, ქსენოფანეს მიმდევარმა პარმენიდემ განავითარა და აბსტრაქტული ფილოსოფიური აზროვნება ანტიკურ საბერძნეთში უმაღლეს დონეზე აიყვანა. პარმენიდემ განასხვავა აზრის სავანი, გონებით ცნებით საწვდომი არსი და შეგრძნების ობიექტი, გრძნობადი საგნები. ის, რაც შეგრძნებებში სიმრავლედ წარმოდგება, გონებისათვის თავის საფუძვლად რაღაც ერთიანს გულისხმობს, მხოლოდ აზრით საწვდომს, ცნებით გამოთქმულს. შეგრძნებებს მოვლენებთან აქვთ საქმე, გონებას — ცნებასთან, არსებასთან.

ფილოსოფიური აზროვნების ასეთ მაღალ დონეზე მითოსისათვის ადგილი აღარ რჩება. თუმცა პარმენიდეს ფილოსოფიური პოემის შესავალი ერთი შეხედვით მითური შინაარსისაა: ცოდნით გატაცებულ ახალგაზრდას მითური ეტლი ქალ-მერთთან მიიყვანს, რომელიც მას ორ გზას აჩვენებს: გზას კეშმარიტებისა და ცდუნებისა, აცნობს ორ დებულებას, რომელსაც თუ აზროვნება გაჰყვება, ერთით კეშმარიტებას მიაღწევს (არსი არის, არარსი არ არის), მეორეთი შეცდომაში ჩავარდება (არარსი არის, არსი არ არის), — მაგრამ მთელი ეს გარეგნული მითური სახეები და ანალოგიები ემსახურებიან სინამდვილის ორი მხარისა და ცოდნის ორი სახის პრინციპული განსხვავების დადგენას. სინამდვილეში პარმენიდემ აღ-

მოაჩინა გრძნობად-რეალურის მიღმა ლოგიკურის, აზრის, ცნების საგანი. ისიც თავისებური სინამდვილეა, მაგრამ ბუნებისაგან განსხვავებით, რომელიც ვერ ინარჩუნებს ერთსახეობას, იგი მყარია, ერთი, უცვლელი და უძრავი.

პარმენიდეს არსის თეორიაზე აივ ძენონის პარადოქსები, პლატონის იდეათა თეორია, არისტოტელეს მეტაფიზიკა და ლოგიკის თეორია.

მითოლოგიასთან ანტიკურ ფილოსოფიურ თეორიებს შორის ყველაზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული პითაგორეიზმი, რომლის ჩამოყალიბება ფილოსოფიურ-რელიგიური სექტის შექმნასთანაა დაკავშირებული. პითაგორელთა კავშირი საიდუმლოდ ინახავდა წეს-ჩვეულებებს, კვლევის მეთოდს და ყოველი მეცნიერული მიღწევა ღრმად დასაიდუმლობულად ითვლებოდა. აქ გაბატონებული იყო მისტერიები, აკრძალვები (ტაბუ), პითაგორას უმაღლესი კულტი. მის ნათქვამს „წმინდა სიტყვის“ მნიშვნელობა ჰქონდა, რომლის განხილვა, კრიტიკა მკაცრად იყო აკრძალული და მეფობდა სრული ავტორიტარიზმი მის მიმართ. „მან თქვა“ — („აუტოს ეფა“) უმაღლეს ჭეშმარიტებას ნიშნავდა, პითაგორას სიტყვა იყო სიტყვა ღმერთისა. პითაგორელთა კავშირის მთელი ყოფაცხოვრებითი მხარე, წეს-ჩვეულებები, „პითაგორული ცხოვრების წესი“ არა მხოლოდ შესაბამისობაში იყო რელიგიურ-მითოლოგიურ აზროვნებასთან, არამედ მის თავისებურ გაგრძელებასა და განვითარებასაც კი წარმოადგენდა.

მეორე მხრივ, პითაგორიზმის ძირითადი შენაძენი ფილოსოფიური აზრის ისტორიისათვის სრულიად ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ-მითოლოგიურ მისტიციზმს და სამყაროს რაციონალურ ახსნას მოითხოვდა. პითაგორას აზრით, ყოველი

არსის საფუძველია რიცხვი, რაოდენობა. რაც არსებობს, ყო-
ველივე გაიზომება და აიწონება, რიცხვში გამოისატება, რი-
ცხვის მიხედვით ყოველივე იცვლება, თვით რიცხვი კი უც-
ლელი და მარადიულია. რიცხვი არც იდეალურია და არც
მატერიალურია, იგი საგნის, ბუნების მიღმა, მეტაფიზიკური
არსია, მაგრამ არ არის იდეალური. რადგან აზროვნება რი-
ცხვებით სწვდება საგნებსა და მიმართებებს, ამიტომ ყოვე-
ლივე რაციონალიზებულია, შემეცნება გონების მუშაობაა
მათემატიკური წესით, რიცხვებისა და ფიგურებზე ოპერა-
ციებია. ამგვარად, პითაგორიზმი სამყაროს რაციონალური
წესით ახსნას მოითხოვს, მაგრამ რამდენადაც რიცხობრივი
მიმართებები ვერ ამოწურავს მოვლენებს, რომელთა აზომვა
შეუძლებელია (მაგ., სიკეთე, ლერთი, მეგობრობა, სიბრძნე
და სხვ.) ამიტომ იწყება რიცხვთა მისტიფიკაცია, რიცხვებს
მიეწერებათ თვისობრივი გარკვეულობანი (მაგ., 5=ქორწი-
ნებას, 8=მეგობრობას, 7=სიბრძნეს და ა. შ.). ეს უკვე ეწი-
ნააღმდეგება პითაგორიზმის ამოსავალ თეორიულ პრინციპებს.
პითაგორულ რაციონალიზმს უპირისპირდება, აგრეთვე, ამ
მოძღვრებაში განვითარებული სულის მეტემფსიქოზის თეო-
რია. პითაგორელებმა დაუშვეს სულის უკვდავება, რიცხვთა
მისტიკა და ამ მხრივ ეს მიმართულება მჭიდროდ დაუკავშირ-
და რელიგიასა და მითოსს, ხოლო თავისი არსებითი აღმო-
ჩენით, სინამდვილის რაოდენობრივი მიმართებების გამოვ-
ლევითა და რიცხობრივი რაციონალური წესრიგის დადგენით
პითაგორიზმი შინაგანად ებრძოდა და უპირისპირდებოდა ყო-
ველგვარ მისტიკასა და რელიგიას.

მითოსთან მიმართებაში პითაგორიზმის ეს თავისებურებანი
გარკვეული აზრით განმსაზღვრელი გახდა პლატონის იდეა-

ლიზმისთვისაც. პლატონის მოძღვრების დედაარსი მეცნიერული ცოდნის საფუძვლების აღმოჩენაა, ჰეშმარიტების დაფუძნებაა. თუ არსებობს ჰეშმარიტება, უნდა არსებობდეს ჰეშმარიტი ცოდნის საგანი; პლატონმა ასეთად იდეების სამყარო მიიჩნია და ერთმანეთს შეუპირისპირა გრძნობადი მოვლენების სამყარო და გონებით საწვდომი, არსებათა (იდეათა) სამყარო. თავიანთი ღირებულების შესაბამისად ერთმანეთს დაუპირისპირდა გრძნობადი ცოდნა (როგორც არცოდნა) და ჰეშმარიტი ცოდნა (ცოდნა „არსებულად არსებულის“ შესახებ). პლატონმა ნათლად გაარკვია განსხვავება არსებასა და მოვლენას, საფუძვლად დებულსა და მის სახესხვაობას, პირველმიზეზსა და მის გამოვლენას, შედეგს შორის. ანალოგიურად ერთმანეთისაგან განსხვისდა გონება, ცნებითი აზროვნების უნარი და შეგრძნებები, — ბნელი, გაურკვეველი, მოჩვენებითი ცოდნის უნარი. ასე იდგა პლატონთან ფილოსოფიის მეცნიერული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა ობიექტური იდეალიზმის თვალსაზრისს დაეჭვემდებარა. პლატონის მოძღვრებაში ის რაციონალური, რაც ფილოსოფიის მეცნიერული პრობლემების კვლევას გულისხმობს, შეთავსებული აღმოჩნდა მითოლოგიურ-თეოლოგიურ მომენტებთან. პლატონის დიალოგებში მთავარი პერსონაჟები, მოქმედი გმირები ხშირად მითური არსებანი არიან (მაგ., „ფედროსში“, „ნადიმში“ დასხვა), აღწერილია მითური სამყაროს სტრუქტურა („ტიმაონისი“, „ფედონი“ და ა. შ.). პლატონი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი, მითებს იყენებს არა მხოლოდ მხატვრულ ხერხად, მანერად, არამედ გარკვეულად იძულებითაც; იგი მითოლოგიურით ავსებს იმ ხარვეზებს, ნაკლოვანებებს, რაც იდეალისტურ დასაბუთებას არ ექვემდებარება, ე. ი. მეცნიერული ცოდნის საფუძვლების აღმოჩენაა, ჰეშმარიტების დაფუძნებაა.

რული აზრის ძალის უკმარისობისას საჭირო ხდება აზრზე ძალის დატანება, ზებუნებრივი ძალების, მითური არსებების შემოყვანა.

არისტოტელემ ლოგიკური დასაბუთებითი აზროვნების უმაღლეს დონეზე აიყვანა ანტიკური ფილოსოფია და უარყო მითოლოგიის თეორიული გამართლების შესაძლებლობა. მან შეიმუშავა ფილოსოფიური აზროვნების მეცნიერული სტილი, უარყო მხატვრული, დიალოგური ფორმა და ფილოსოფიური აზროვნება ფილოსოფიურ მონოლოგად აქცია. მაგრამ ანტიკური ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ამ უმაღლეს დონეზე არისტოტელე მაინც ხარჯს უხდის მითოლოგიას თავის კოსმოლოგიაში, რომელიც მისი მოძღვრების ყველაზე სუსტ ადგილს წარმოადგენს.

უდავოა, რომ ბერძნული ფილოსოფია არსებითად საკუთარ ნიადაგზე წარმოიშვა და განვითარდა, მაგრამ აღმოსავლეთის მხრივ ბერძნულ აზროვნებაზე ზეგავლენის ფაქტის უარყოფა მაინც არ შეიძლება. იგი უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა აღმოსავლეთური ბუნების კვლევის (მათემატიკის, ასტრონომიის) გავლენის სახით. შესაძლოა ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში დაგროვილი მდიდარი ბუნებათმეცნიერული ცოდნა ჯერ კიდევ არ იყო თეორიულ დონემდე ამაღლებული და პრაქტიკულ-უტილიტარულ ხასიათს ატარებდა, მაგრამ უეჭველია მისი გავლენა ბერძნულ აზროვნებაზე, საღაც როგორც ს. დანელია ვარაუდობს¹, ამ ცოდნის თეორიულ-მეცნიერული დამუშავება განხორციელდა, იგი დედუქტიური, დასაბუთებული გახდა.

¹ ს. დანელია. ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ. თბ. 1926, გვ. 55.

ძველი ინდური, ჩინური და ბერძნული მითოლოგიური მსოფლმხედველობის განვითარების საფუძველზე ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბების საერთო კანონზომიერების გამოკვლევით ნათელი ხდება, რომ ფილოსოფიური აზრის განვითარებისათვის აუცილებელი იყო გარკვეული სოციალურ-ისტორიული პაზისის პირობებში სულიერი კულტურის განვითარების სპეციფიკური ტრადიციების შექმნა, რომელთა ჩამოყალიბება მოხდა პირველ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციათა შეცვლის ვითარებაში, კერძოდ გვაროვნულიდან კლასობრივი ურთიერთობის განვითარების დროს. ამასთან ერთად ისიც ნათელია, რომ ამ სამი ქვეყნის (ინდოეთი, ჩინეთი, საბერძნეთი) კულტურულ-იდეური ცხოვრების ზოგადი კანონზომიერება სრულიად სპეციფიკურ ვითარებაში ხორციელდებოდა, იმის შესაბამისად, თუ როგორი სპეციფიკური ინდივიდუალური სახე მიიღო ამ ქვეყნებში გვაროვნულმა და პირველი კლასობრივი საზოგადოების განვითარებამ.

მხოლოდ ძველი ინდოეთისა და საბერძნეთის მითოსისა
და ფილოსოფიურ მიმართულებათა შედარებაშიც ნათლად
ვლინდება სპეციფიკური, ის განმასხვავებელი ნიშნები, რომ-
ლებმაც თავი იჩინეს ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური
საბერძნეთის იმდროინდელი საზოგადოებრივი ცნობიერების
ფორმების ჩამოყალიბებაში. მეცნიერები მიუთითებენ მკვეთრ
განსხვავებაზე ინდურ ველურ მსოფლმხედველობასა და ბერძ-
ნულ მითოსს შორის. ველებში სინკრეტულ მთელში შეერწყა
ერთმანეთს მითური, რელიგიური და ფილოსოფიური, ამგადა-
მა სინკრეტიზაციამ არსებითი ზეგავლენა მოახდინა ინდუ

ფილოსოფიაზეც, რომელშიც რელიგიურ-მითური შეწყნარებული ბული და შეგუებული აღმოჩნდა ლოგიკურ-დასაბუთებით აზროვნებასთან. რაც შეეხება ბერძნულ მითოსს, იყი, ეპოსში ფორმირებული, უპირატესად მხატვრულ-ესთეტიკური ლირებულების მქონე აღმოჩნდა და ამის გამო საკმაოდ გამიჯნული იყო ქურუმთა ოფიციალური რელიგიური ქადაგებებისაგან. როცა მსჯელობა ეხება ხოლმე მითოსისა და რელიგიის მსგავსება-განსხვავებას, მკვლევართ მხედველობაში აქვთ ამ მიმართების კლასიკური ფორმა, ბერძნული მითოსი და მისი განსხვავება რელიგიისაგან.

მითოლოგიური საფუძვლის განსხვავებამ განსაზღვრა ინდური და ბერძნული ფილოსოფიის სპეციფიკური თავისებურებანი, რაც შემდეგ ძირითად ნიშნებში შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1. ძველი ინდოეთში მითოსიდან ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლა არ განხორციელებულა ისეთი სიმკვეთრითა და პრინციპული ნახტომის ფორმით, როგორც ეს საბერძნეთში მოხდა. მიზეზობრივად ეს იმით იყო განპირობებული, რომ ძველი ინდოეთის სოციალური მმართველობის კასტურმა ფორმამ დააკანონა ცხოვრებისა და აზროვნების შედარებითი სტატიკური ფორმები, მაშინ როცა საბერძნეთის პოლისური სისტემა ცხოვრების დინამიკურ წესს უზრუნველყოფდა, მოითხოვდა ახალი თეორიების, მოძღვრებების ჩამოყალიბებას ძველის კრიტიკული დაძლევის გზით. ამასთან ერთად მეორე მიზეზი ისიც იყო, რომ ინდოეთში ფილოსოფიური აზრის რელიგიურით შეზღუდულობის გამო ვერ მოხდა ფილოსოფიური აზრის დაფუძნება ბუნებათმეცნიერულ ცოდნაზე, იმის მიუხედავად, რომ მათემატიკამ იქ მაღალ დონეს მიაღწია. საბერძნეთში კი ფილოსოფია უშუალო და მჭიდრო

კავშირში იმყოფებოდა ბუნების შემეცნებასთან, მეცნიერულ აზროვნებასთან — როგორც აღმოსავლეთის ხალხისა, ისე საკუთარი ქვეყნის ბუნებათმეცნიერულ ცოდნასთან.

2. ინდური ფილოსოფიური აზროვნება თითქმის ქრონოლოგიურ ჩარჩოებსა და პერსონიფიკაციას მოკლებული სახით შემორჩი ისტორიას, ფილოსოფიურ თეორიებს ნაკლებ ატყვიათ ინდივიდ-შემოქმედთა კვალი, საძებნია მოძღვრებათა ანტეცედენტი, ავტორი (ფილოსოფოსთა სახელები ზოგჯერ პირობითია, ზოგჯერ ერთმანეთშია აღრეული). ბერძნული (ნაწილობრივ ჩინური) ფილოსოფიისათვის არამცუუ არ არის დამახასიათებელი პიროვნებისა და ისტორიული პერიოდების ასეთი ნიველირება, არამედ მოაზროვნის ინდივიდუალობასა და ისტორიულ მოკლენებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ამიტომა ჩვენ დეტალურად ვიცით, როგორ ტრაგიულად დაამთავრეს სიცოცხლე ემპედოკლემ, ანაქსაგორამ, სოკრატემ, როგორ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდნენ ძენონი და მელისო და ა. შ. ამ გარემოებამაც განსაზღვრა ის ვითარება, რომ ძველმა ბერძნებმა ფილოსოფიასთან ერთად ფილოსოფიის ისტორიაც შექმნეს, ანტიკურმა ეპოქამ აქცია არის ტოტელე ფილოსოფიის ისტორიკოსად, წინა ფილოსოფიური აზრის სისტემატიზატორად.

3. მაშინ როცა ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ცნებებს აღგენდნენ და ყოველი მომდევნო თეორია წინა თეორიების რაციონალურ გადამუშავებასა და ათვისებას წარმოადგენდა. ძველ ინდურსა და ჩინურ ფილოსოფიაში ცნებები წინაფილოსოფიური აზროვნებიდანაა შინაარსობრივად აღებული. ვედებსა და ჩინურ მითოსში ჩამოყალიბებული ზოგადი სახეები ცნებების მნიშვნელობით გაფორმდა ფილოსოფიურ თეო-

რიებში და განსხვავებული გამოყენებაც მოიპოვა. ცნებათა ასეთი სტატიურობის მიზეზი, გარდა შზაშზარეული ვეღური და ჩინური მითური ცოდნისა, ისიც იყო, რომ კულტურა და ფილოსოფიური აზროვნება ინდოეთისა და ჩინეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სახელმწიფოებრივი კარჩაკეტილობის გამო დიდხანს იყო მოწყვეტილი სხვა ქვეყნებთან კულტურულ ურთიერთობას. ძველი ბერძნები კი არა მხოლოდ საკუთარ გამოცდილებებს აჯერებდნენ სხვა ხალხთა (აღმოსავლეთის) პრაქტიკულსა და მეცნიერულ გამოცდილებებთან, არა მედ თვით ქვეყნის შიგნით პოლისურ სისტემაში მეზობელი ქალაქ-სახელმწიფოები დიდ ურთიერთგავლენას განიცდიდნენ.

ნათქვამის მიხედვით, მითოსიდან ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასვლის კანონზომიერების მომავალი კვლევისათვის აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის მომენტის /გათვალისწინება: 1. ძველი კულტურის ხალხთა მითოლოგიური და ფილოსოფიური აზროვნების ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების გამოვლენა და დადგენა კონკრეტული მასალის შესწავლის საფუძველზე. 2. მითოსის ამბივალენტური ბუნების საფუძვლიანი შესწავლა როგორც რაციონალურისა და ირაციონალურის, ცოდნისა და ემოციურის, ჭეშმარიტისა და რელიგიურ-მისტიკურ მომენტთა დიალექტიკური ერთიანობისა. ამგვარი დიალექტიკური მიღვომით დაიძლევა მითოსის თანამედროვე ბურუუაზიული თეორიების უმთავრესი ცალმხრივობანი რაციონალისტური (ტეილორი) და ირაციონალისტური (ფროიდი) ინტერპრეტაციების სახით. 3. საკაცობრიო აზრის უდიდესი პროგრესის, მეცნიერულ აზროვნებაზე გადასვლის კანონზომიერების შესწავლისათვის საჭირო

დარგობრივი სპეციალური კვლევის გათვალისწინება და სინ-
თეზირება, რომელშიც უმნიშვნელოვანეს ადგილს დაიჭირს
სოციალურ-ისტორიული, ლოგიკურ-გნოსეოლოგიური და
ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური მიღვომა. 4. აუცილებელია ფი-
ლოსოფიისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის მიმართების,
ფილოსოფიისა და მეცნიერების, კერძოდ ბუნებათმეცნიერე-
ბასთან დამოკიდებულების საფუძვლიანი შესწავლა.

საბჭოთა ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ ფილო-
სოფიის ისტორიულ გამოკვლევებში (სამტომეული, ექვსტო-
მეული)¹ გატარებულია თვალსაზრისი რომ ფილოსოფია წარ-
მოიშვა რწმენისაგან ცოდნის გათიშვის საფუძველზე, რომ
ფილოსოფიური აზრის დაბადება რწმენის წინააღმდეგ ცოდ-
ნის ბრძოლის დასაწყისს უკავშირდება. მაგრამ როცა მსჯე-
ლობა ეხება ფილოსოფიას, როგორც დაპირისპირებულს რწმე-
ნისადმი, აუცილებელია გაირკვეს ცოდნის ცნება, რა იგუ-
ლისხმება მასში — ბუნებათმეცნიერული ცოდნა, თუ კიდევ
სხვა რამ? ხომ არ უსწრებდა წინ მეცნიერული ცოდნა ფილო-
სოფიას და ხომ არ აპირობებდა ამ უკანასკნელს? თუ ფილო-
სოფია და მეცნიერება ერთად წარმოიშვა?

ამ საკითხებს ეხებიან მე-19 საუკუნის დასავლეთ ევროპის
ტრადიციული ფილოსოფიურ-ისტორიული კონცეფციები
(ცელერი, გომბერცი, ვინდელბანდი), რომელთა მიხედვით ფი-
ლოსოფია და მეცნიერება ერთად წარმოიშვა ძველ საბერძ-
ნეთში და ეს მოხდა არსებითად ცნობიერების იმანენტური

¹ История философии, т. I, М., 1940; История философии, т. I, М., 1957.

განვითარების საფუძველზე, რომ ევროპული ფილოსოფიის
სახით ძველ საბერძნეთში მეცნიერული ცოდნა, ცნებითი აზ-
როვნება დაუპირისპირდა რელიგიურ-მითოლოგიურ რწმენას.
ამ კონცეფციებში წარმოდგენილია ფილოსოფიის საწყისის
განხილვის გნოსეოლოგიური ასპექტი, რომლის მიხედვით,
ცნობიერებამ რწმენის სფეროდან გააკეთა ნახტომი ლოგიკურ
აზროვნებაზე, ცნებით ცოდნაზე. მოცემულ შემთხვევაში ფი-
ლოსოფიური აზროვნების საწყისის განმსაზღვრელად ცნობი-
ერება ცხადდება, და ამრიგად, საკითხი იღეალისტური პოზი-
ციიდანაა გადაწყვეტილი. ბურჯუაზიულ ფილოსოფიაში სა-
კუთრივ მითოლოგიური აზროვნების განვითარების ფორმების
გამოკვლევა და ფილოსოფიის საწყისის პრობლემის ფსიქო-
ლოგიური ასპექტის დადგენა ვ. ვუნდტის დამსახურებას წარ-
მოადგენს.

ამათგან განსხვავებით საბჭოთა ავტორების თვალსაზრისი
საბერძნეთში ფილოსოფიის საწყისის შესახებ არსებითად ემ-
ყარებოდა საკითხის განხილვის სოციალურ ასპექტს, რომლის
მიხედვით გვაროვნული წყობილების რღვევის შემდეგ შეიქმნა
სოციალური საფუძველი წარმოების პროცესში დაგროვილი
ცოდნა დაპირისპირებოდა რწმენას და ფილოსოფია წარმო-
შვა როგორც ამდაგვარი სოციალური ძვრების ასახვა საზო-
გადოების სულიერ სამყაროში.

ფილოსოფიის წარმოშობის ისტორიული კანონზომიერების
მეცნიერულ კვლევაში მარქსისტულ-ლენინური პოზიციიდან
მიღწეული ზემოაღნიშნული შედეგები ახალი დასკვნებით შევ-
სებას მოითხოვდა, რადგან საკითხის კვლევა ძირითადად ითვა-
ლისწინებდა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორს და ნაკლები
ყურადღება ექცეოდა სხვა ფაქტორებს (მაგ. ფსიქოლოგი-

ურს, ლოგიკურ-გნოსეოლოგიურს და სხვ.). ამ მიმართულებით ჩვენში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, ჩამოყალიბდა მითოსისა და ფილოსოფიის მიმართების ახსნის საყურადღებო კონცეფციები და ამ პრობლემის გადასაწყვეტად მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

გამოცემის ლიტერატურა

ჭ. გარესი და ფ. ენგელსი, ანტიკურობის შესახებ, თბ., 1937.
 გარესი ჭ., ენგელსი ფ., „გერმანული იდეოლოგიის“ I თავის ახალი
 პუბლიკაცია. რჩ. ნაწ., ტ. 1, თბ., 1975. გარესი ჭ., პოლიტიკური ექინო-
 მის კრიტიკისათვის, თბ., 1932. ენგელსი ფ., ოჯახის, კურძო საქუთრე-
 ბისა და სახელმწიფოს წარმოშობა. რჩ. თხზ., ტ. 2, თბ., 1950.
 ლენინი ვ. ი., თხზ., ტ. 38, თბ., 1963. აბაშეძე ვ., ნარკვევები პო-
 ლიტერატ მოძღვრებათა ისტორია, 1, თბ., 1975. ბერძენი და რომაული
 აკტორები, თარგმანები პეტრე ჭავთარაძისა, თბ., 1962. გორდე ზია-
 ნი რ., „ილიადა“ და ეგოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგრაფ-
 ზისს საყითხები. თბ., 1970. დანე ლია ს., ანტიკური ფილოსოფია სოკ-
 რატის წინ, თბ., 1926. ელადის მუზა. ბერძენი პოეტები. თარგმ. რ. მიძი-
 ნოშვილისა, თბ., 1963. კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბ.,
 1976. კოსევენი მ., პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები,
 თბ., 1971. მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972. ნერუ ჭ., უპანიშადები,
 თარგმ. თ. ჩხერნელისა; ურუნ. „საუნჯე“, 1975, №5. ნუცუ ბიძე ჭ.,
 ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, 1956. ორი ქება რიგ-ევადან.
 თარგ. გ. ახვლედანისა; „მნათობა“. 1958. № 8. ვლერარე ე., რჩეული
 ბიოგრაფიები, თბ., 1975. რად ჰაკრი შნანი ს., ბქაგავატგიტა. თარგმ.
 თ. ჩხერნელისა. „საუნჯე“, 1976, № 1. რამაიანა, ინდური ეპოსი. თარგმ.
 რ. გვერდისა, თბ., 1951. ურუ შაძე აკ., ძელი კოლხეთი არგონავტე-
 ბის თქმულებაში, თბ., 1964. ჩიქოვანი მ., ბერძნული და ქართული
 მითოლოგიის საყითხები, თბ., 1971. ცინცაძე გ., ფილოსოფიისა და
 კურძო მეცნიერებათა ურთიერთობის შესახებ, თბ., 1973. წერეთ ე-
 ლი ს., ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, ანტიკური ფილოსოფია, თბ.,

1973. ყაუბენიშვილი ს., ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბ.,
1971. პეტერია, გ. ესთეტიკა, ტ. 1, თარგმ. გ. პაპუაშვილისა, თბ., 1973.
პეტერია, გ. ლოგიკის მეცნიერება, თარგმ. გ. პაპუაშვილისა, თბ., 1962.
პეტერია, გ. ისტორია ტ. 1—2, თარგმ. თ. ყაუბენიშვილისა, თბ.,
1975—1976. პოდერხისი, თდისეა. თარგმ. ზ. კიკნაძისა და თ. ჩხერ-
ჯილისა, თბ., 1975.

Маркс К. и Энгельс Ф., Из ранних произведений, М., 1956.
Маркс К. и Энгельс Ф., Избранные письма, М., 1947. Ленин В. И., Философские тетради, М., 1947. Аристотель, Метафизика, М — Л., 1934. Аристотель, физика, М., 1936. Аристотель, Соч., т. 1. М., 1975. Античные философы, Киев, 1955. Античная литература, М., 1963. Аникеев Н. П., О материалистических традициях в индийской философии, М., 1965. Антология мировой философии, т. 1, Часть 1—2, 1969, 1972. Аполлодор, Миологическая библиотека, Л., 1972. Арский Ф., В стране мифов, М., 1968. Асмус В. Ф., История античной философии, М., 1965. Атеисты, материалисты, диалектика древнего Китая, Вопросы философии, 1968 № 7. Брамана Чаттерджи, Сокровенная религиозная философия Индии. Калуга, 1908. Бродов В. В., Индийская философия нового времени, М., 1967. Богданов А. А., Наука об общественном сознании, 1923. Буров В. Г., Титаренко Л. М., Философия древнего Китая, в кн. Древнекитайская философия, ч. 1, М., 1972. Виндельбанд, История древней философии. СПБ. 1908. Вундт В. Миф и религия, СПБ, 1913. Вундт В., Введение в историю философии, СПБ, 1902. Гегель, Сочинения, т. IX, М.—Л., 1932. Гете, Сочинения, т. VIII, М.—Л. 1934. Гулиан К. И., Амбивалентность первобытного мифа. Философские науки, 1968, № 1. Древнениндийская философия, М., 1963. Древнекитайская философия, т. 1 и 2, 1972—1973. Древнеримские мыслители, Киев, 1958. Золоторев А. М., Родовой строй и первобытная мифология, М., 1964. Индийская культура, М., 1975. Индийская философия, Философская энциклопедия, т. 2, 1962. История античной диалектики, М., 1972.

История философии, т. 1, М., 1940, т. 1, М., 1957. История философии и вопросы культуры, М., 1975. Кессиди Ф. Х., От мифа к логосу, М., 1972. Китайская философия. Философская энциклопедия, т. 2, 1962. Крамер С. Н. История начинается в Шумере. М., 1962. Краткий очерк истории философии. М., 1967. Кун Н. А., Легенды и мифы древней Греции, М., 1955. Леви-Стросс К. Структура мифов. Вопросы философии, 1970, № 7. Лосев А. Ф. Античная мифология в ее историческом развитии. М., 1957. Лосев А. Ф., Проблема символа и реалистическое искусство, М., 1976. Лосев А. Ф., История античной эстетики, т. 1, 2, 3, 4, 1963—1975, Лосев А. Ф., Мифология, Философская энциклопедия, т. 3. 1964. Маковельский А. О., Досокротики, ч. 1—3. Казань, 1914—1919. Маковельский А. О., История логики, М., 1967. Материалисты древней Греции, М., 1955. Матье М. Э. Древнеегипетские мифы, М., 1956. Мегрелидзе К. Р. Основные проблемы социологии мышления, Тб., 1965. Мелетинский Е. М., Клод Леви-Стросс и структурная типология мифов. «Вопросы философии», 1970, № 7. Мифы древней Индии. М., 1975. Михайлова С. Н., Чанышев А. Н. Ионийская философия, М., 1966. Мюллер М., Шесть систем индийской философии, М., 1901. Плеханов Г. В., Литературное наследие, Сб. № 11, М., 1939. Проблемы античной культуры, Тб., 1975. Радхакришнан С., Индийская философия, т. 1—2, М., 1956. Рассел Б. История западной философии, М., 1959. Риг-веда, Избранные гимны, М., 1972. Рой М., История индийской философии, М., 1958. Синха Н. К., Банерджи А. Ч., История Индии, М., 1954. Танери П., Первые шаги древне-греческой науки. СПБ, 1902. Тренчени-Вальдапфель Имре. Мифология, М., 1959. Фейербах Л. История философии, т. 1, М., 1967. Фейербах Л. Основы философии будущего. Л., 1936. Францев Ю. П., У истоков религии и свободомыслия, М., 1959. Целлер Эд. Очерки истории греческой философии, И., 1913. Чанышев А. Н., Эгейская предфилософия, М., 1970. Чаттопадхаяя Д. История индийского материализма, М., 1961. Чаттопадхаяя Д. История индийской философии, М.,

1966. Чаттерджи С. и Датта Д., Древняя индийская философия, М., 1954. Шахнович М. И., Происхождение философии и атеизма, Л., 1973. Шахнович М. И., Первобытная мифология и философия, Л., 1971. Шеллинг, Философия искусства, М., 1966. Ян хин-шун, Древнекитайский философ Лао-цзы и его учение, М., 1950. Юань Кэ. Мифы древнего Китая, М., 1965. Bröcker W. Die Geschichte der Philosophie vor Sokrates. Frankfurt/M. 1965. Diels H. Die Fragmente der Vorsokratiker. Bd. 1. Berlin, 1922. Hegel G. Vorlesungen über Geschichte der Philosophie. Leipzig, 1971. Kranz W. Die Griechische Philosophie. München. 1971. Ley H. Geschichte der Aufklärung und des Atheismus, Bd. 1, Berlin, 1966. Nestle W. Griechische Studien. Untersuchungen zur Religion, Dichtung und Philosophie der Griechen. Stuttgart, 1948. Redlow G., Stiehler G. Das Entwicklungsproblem in der Philosophie des griechisch – römischen Altertums. Veränderung und Entwicklung. Berlin, 1974. Ruben W. Beginn der Philosophie in Indien. Aus den Veden. Berlin, 1955. Ruben W. Vorstellungen über Entwicklung und Bewegung in der altindischen Philosophie. Veränderung und Entwicklung. Berlin, 1974. Totok W. Handbuch der Geschichte der Philosophie. Bd. 1. Frankfurt/M 1964. Trencseny – Waldapfel Imre. Untersuchungen zur Religionsgeschichte. Budapest. 1966.

გ ი ნ ა ა რ ს ი

თ ა ვ ი ①	მითოსის რაობა	8
თ ა ვ ი ②.	მითოსისა და ფილოსოფიის მიმართების თანამედროვე მეცნიერული ასკემტები	24
თ ა ვ ი ③.	ჰეგელი რელიგიასა და მითოსთან ფილოსოფიის და- მოყიდებულების შესახებ	54
თ ა ვ ი ④.	ძველი აღმოსავლეთის მითოსისა და ფილოსოფიის შესახებ	79
თ ა ვ ი ⑤.	ძველი ინდური მითოსი და უმთავრესი ფილოსოფიური სკოლები	87.
შ კ 1. ძველი ინდური მითოსი		87
შ კ 2. ძველი ინდური ფილოსოფიური სკოლები (კლასიკური პე- რიოდი)		102
თ ა ვ ი ⑥.	ძველი ჩინური მითოსი და ძირითადი ფილოსოფიური მიმართულებანი	140
შ კ 1. ძველი ჩინური მითოსის თავისებურებანი		140
შ კ 2. ძველი ჩინური ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებანი		150
თ ა ვ ი ⑦.	ბერძნული მითოსი და ფილოსოფიის საწყისის პრობლემა	167
შ კ 1. ბერძნული მითოსის ლიტერატურული წყაროები		167
შ კ 2. ანტიკური (ძველი ბერძნული) ფილოსოფიის საწყისის შესახებ		178
დასკვნა		208
გამოყენებული ლიტერატურა		215

МЭРИ ИВАНОВНА ЧЕЛИДЗЕ



От мифологии
к философскому мышлению
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1977

რედაქტორი ე. მესხი
მხატვარი ზ. აფანასიევი
მხატვრული რედაქტორი ქ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორები: თ. მაჩაბელი, ლ. არჩევაძე
გამოშვები ა. სააკაძე

გადაეცა წარმოებას 8/VII-77. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XII-77.
საბეჭდი ქაღალდი № 1, 70×108^{1/2}. პირობითი ნაბეჭდი თაბ-
ხი 9.62. საალტ.-საგამომც. თაბახი 8.12.
უ 07169. ტირაჟი 1000. შეკვ. № 1777.

ფასი 1 მას. 10 კაბ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

ს. ბ. № 34

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცვემლობათა, პო-
ლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომ-
იტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეცნიერობის გამზ. № 7
Тбилисская книжная фабрика Государственного Комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательства,
литографии и книжной торговли, пр. дружбы № 7

